644/4
1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

4

ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს ალკკ ც. კ-სა და
მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

37968

4

1959

აპრილი

სახელმწიფო
გამომცემლობა
„საბჭოთა
საქართველო"

შინაარსი

ო. ძინძლაძე — ვიტყვით — ლენინი, პარტია
გვაქვს წარმოდგენილი 3
გ. გეფეშკორი — დაიარა (ლექსი) 7
ე. ჟიფიანი — მოთხრობები 8
ჯ. ჩარკვიანი — ლექსები 23
ო. ჩიჩილაშვილი — ფოლადის ფრთებზე (გადგრძელება) 26
ლ. ხულაბერიძე — ლექსები 42
ნ. ჩაჩავა — ლექსები 44
გ. ცეცხლაძე — ლექსები 46
მ. ლაკერბაი — ბედუეულმართი წუთი (თარგმნა ა. გეწაძემ) ლეილა და ადამური, ესმა-ბანუში, არდენ სეიდიჯი (თარგმნა მ. ასათიანმა) 49
მ. ციმბერინგი — მე ვნახე ლენინი (ლექსი, თარგმნა შ. ამირანაშვილმა) 60

ჟანრები

რ. ჭეიშვილი — მოთხრობები 62
დ. ივარდავა — ლექსები 74
ო. გოგბერონიძე — თეა (მოთხრობა) . . . 77
რ. დვალიშვილი — მოთხრობები 83
ი. ბეხერი — ლექსები (თარგმნა ბ. ადეიშვილმა) 89

კრიტიკა და ჟურნალისტიკა

ს. ჯილაია — ეგნატე ნინოშვილი 91
თ. ჭილაძე — გალაკტიონ ტაბიძე . . . 108
გ. ფუტკარაშვილი — მუსიკა ჩვენი სულისა . 115
ვ. ასათიანი — „რაც დაეწყებოთ არ ეგონ-
დება" 118

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ. მრევლიშვილი — ორი საუკუნის რაინდი . 122
ა. ადამია — სამი გახსენება 125

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკაცია

შ. გოგუალიშვილი — ეგნატე ნინოშვილი და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 130

ხელოვნება

ნ. ამირეჯიბი — „სხვისი შვილები" . . . 137

სატირა და იუმორი

ნ. დუმბაძე — მე, ბებია, ილიკო და ილარიონი 142

ყოველი მხრიდან

ქრონიკა 155

რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია:
თ. ბადურაშვილი, რ. თვარაძე (პ/მგ მდივანი), კ. კალაძე, გ. შატბერაშვილი, ო. ჩხეიძე, გ. ციციშვილი, ნ. ჭავჭავაძე, ს. ჭილაია.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მახარაძის ქ. № 14, ტელ. № 3-87-02

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/V-59 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10. შეკვეთა № 235.
უე 03128. ქაღალდის ზომა 70×108. ტირაჟი 7500.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5.

Комбинат печати Главполиграфиздата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ქინქლაძე

ვიტყვით — ლენინი, პარტია გვაქვს წარმოდგენილი

ეს ლაკონიური და ამასთან მეტად, ღრმა შინაარსის მატარებელი საყოველთაოდ ცნობილი სიტყვები, რომლებიც ადგრ უკვე სამნახევარი ათეული წელია ჩვენი თანამგზავრები არიან დიდი ლენინის მიერ ნაჩვენებ გზაზე, დღეს რადაც განსაკუთრებული ძალიერებითა და დამაჯერებლობით ჟღერენ. განსაკუთრებული იმიტომ, რომ ახლა, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 89 წლის თავზე, სოციალისტური რევოლუციისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ლენინური თეორია თავის უდიდეს და უბრწყინვალეს გამარჯვებას ზეიმობს. იმიტომ, რომ ლენინიზმის იდეურმა მემკვიდრემამ თავისი სრულყოფილი განვითარება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ახალ ამოცანებთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI კრიდლობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში პპოვა. ამიტომაა, რომ ჩვენს შეგნებაში ლენინი და პარტია ერთ მთლიანობაშია წარმოდგენილი. ამიტომ ისმის ახე ოპახიანად ჯღეს ვლადიმერ მაიაკოვსკის მშეეარე ხმა:

„ვიტყვით — ლენინი,
პარტია გვაქვს
წარმოდგენილი,
ვიტყვით — პარტია
და ვგულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს“...

... ვლადიმერ ლენინი. ეს სახელი, ჩვენთვის, ოვითეული საბჭოთა ადამიანისათვის ახე მახლობელი და მშობლიური, უკვე კარგა ხანია, რაც უცხო აღარ არის მილიონობით მშრომელისათვის მსოფლიოს უკლებლივ ყველა ქვეყანაში. ამ ძვირფას სახელს იმეორებენ ევროპის, აზიისა **და** აფრიკის მრავალეროვნ**ებ**ა**ს**ა **ხალ**ხ**ებ**ი, ი**ნ**ი**ნ**ი, ვ**ი**

ა **ვ**ლ**ადიმერ ლ**ენ**ინ**ს, **დ**ი**ადმა ი**დ**ეებ**მ**ა გაუნათეს გზა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ, დემოკრატიისა და ბედნიერი მომავლისაკენ.

ფასდაუდებელია ვ. ი. ლენინის ღვაწლი მეცნიერული კომუნიზმის შემოქმედებითად განვითარებისა და მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დააარსა, გამოაწრთო და დაავაჟკაცა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის ავანგარდი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. მშობლიური მზრუნველლობით ზრდიდა იგი რუსეთის მუშათა რევოლუციური მოძრაობის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, „... ეპოქის გონებას, პატიოსნებასა და სინდისს“ — მის მიერ შექმნილ სრულიად ახალი ტიპის პარტიას, **პროლეტარიატის** კლასობრივი ორგანიზაციის უმაღლეს ფორმას. მან, ოქტომბრის რევოლუციისა და მსოფლიოს მშრომელთა დიდმა ბელადმა, ჩამოაყალიბა პარტიის იდეოლოგიური, ორგანიზაციული და თეორიული საფუძვლები, შეიმუშავა ტაქტიკური და სტრატეგიული მოქმედების საკითხები. მუშათა კლასის ასეთი მოწინავე, ორგანიზებული რაზმის გარეშე, რომელმაც შეძლო პროლეტარიატის, ყველა მშრომელთა მასობრივი ორგანიზაციის შემოკრება და მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია, რუსეთის მშრომელი ხალხი ვერ შეძლებდა თავისი რევოლუციური დიქტატურის განხორციელებას და ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენებას, იმ გარემოებამ, რომ რუსეთის მუშათა კლასს სათავეში ედგა ისეთი პოლიტიკურ ბრძოლებში ნაცადი პარტია, როგორიც იყო ბოლშევიკების პარტია საკმაოდ გაბედული იმისათვის, რომ წაეყვანა ხალხი გადამწყვეტ იერიშზე, და საკმაოდ წინდახედული იმისათვის, რომ გვერდი აეარა ყოველგვარი წყალქვეშა ქვებისათვის მიზნისკენ მიმავალ გზაზე, — ძირითადად განაპირობა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წარმატებით დაგვირგვინება. „ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყობთ კიდეც იმით, — ამბობდა მსოფლიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელი ვ. ი. ლენინმ, რომ ნოდარ გვსგდა ბედნიერება დაგვეწყო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, დაგვეწყო ამაღლებული ისტორიის ახალი ეპოქა“.

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამა, განსაზღვრა მისი მთავარი მიმართულებანი, მანვე დასაბამი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნიზმის გამარჯვებისათვის მთელი ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. ლენინმა შეიმუშავა მსხვილი, კოლექტიური, მექანიზებული მიწათმოქმედების შექმნის „კოოპერაციული გეგმა“ და წამოაყენა კულტურული რევოლუციის განხორციელების პროგრამა. ახალი ეპოქის დაწყებამ დასაბამი მისცა ისტორიული მნიშვნელობის დიად გარდაქმნებს ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. განხორციელდა საბჭოთა სახელმწიფოს ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმა, შეიქმნა მძლავრი ტექნიკით შეიარაღებული კოლექტიური სოფლის მეურნეობა, მოხდა ნამდვილი კულტურული რევოლუცია. საბჭოთა კავშირში ახლა ალარ არის ჩამორჩენილი ეროვნული „განაპირა მხარეები“, როგორც ეს მეფის რუსეთში იყო. ჩვენს ქვეყანაში ყველა ხალხს აქვს სკოლა შობლიური ენაზე. ყველასათვის ფართოდ მისაწვდომია განათლებისა და კულტურის წყარობები, ლიკვიდირებულია უფლებრივობა, განხორციელდა საყოველთაო შეიდწლიანი სწავლება, ფართოდ განვითარდა საშუალო და უმაღლესი განათლება. მიღწეულ წარმატებათა საფუძველზე შესაძლებელი გახდა სოციალიზმის არა მარტო სავსებით, არამედ საბოლოო გამარჯვების მიღწევაც.

„ამორციელებდა რა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლტიკას, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში სკკპ XXI ყრილობაზე, — ჩვენმა ხალხმა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე სათავეში ედგა ი. ბ. სტალინი, მოახდინა ულრმესი გარდაქმნები. გადალახეს რა თავიანთ გზაზე ყველა სიძნელე, ამსხვრევდნენ რა კლასობრივი მტრებისა და მათი აგენტურის — ტროცკისტების, მემარჯვენე ოპორტუნისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და სხვათა წინააღმდეგობას, ჩვენმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა მოიპოვეს ისტორიული გამარჯვებანი, ააშენეს ახალი, სოციალისტური საზოგადოება“. ამ მსოფლიო ისტორიული გამარჯვებების მოპოვების შედეგად საბჭოთა კავშირმა ახლა მრეწველობის განვითარების მხრივ მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა, ხოლო წარმოების ტემპის მხრივ გაუსწრო ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას, რითაც კიდევ ერთსელ და საკმაოდ დამაჯერებლად დამტკიცა წარმოების სოციალისტური სისტემის აშკარა უპირატესობა კაპიტალიზმის წინაშე.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა, ინტერვენტებსა და თეთრგვარდიელებზე გამარჯვებულმა შემდეგ, პირველ ნაბიჯებს დგამდა დანგრეული მეურნეობის აღსადგენად, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა მტკიცედ და გაბედულად ინონასწარმეტყველა: „ჩვენ კიდევ მიგაღწევთ ამას, რომ დავეწიოთ სხვა სახელმწიფოებს ისეთი სისწრაფით, როგორზედაც ისინი არც კი იცენებიენ“. ცხოვრებამ, სინამდვილემ, ეს წინასწარმეტყველებაც დაადასტურა, რეალობად აქცია და საბჭოთა მრავალეროვანი ოჯახის ხალხებს გზა გაუნათა კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ამჟამად, როცა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — თავისი განვითარების ახალ პერიოდში შევიდა, პარტიის ისტორიულმა XXI ყრილობამ, კომუნიზმის მშენებელთა ყრილობამ, მიიღო ჩვენს ქვეყანაში უკანასკნელ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის გრანდიოზული პროგრამა, რომელიც მთლიანად და სავსებით ემყარება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის შემდგომი განვითარების ლენინურ გენერალურ ხაზს. სწორედ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა განასახიერებს პარტიის ლენინურ — გენერალურ ხაზს კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში და განსაზღვრავს საბჭოთა ხალხის ძირითად, მთავარ ამოცანებს უახლოესი შვიდი წლის მანძილზე.

ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების ყოველმხრივი განვითარება, მძიმე ინდუსტრიის უპირატესი განვითარების ბაზაზე ეკონომიკის ყველა დარგში წარმოების ისეთი ზრდის მიღწევა, რომელიც შესაძლებელს გახდის გადაიდგას გადამწყვეტი ნაბიჯი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და კაპიტალისტურ ქვეყნებთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირის გამარჯვების უზრუნველსაყოფად — ასეთია ჩვენი მთავარი ამოცანა ეკონომიურ დარგში. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებამ — ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის გაძლიერების, სახალო მეურნეობის ყველა დარგში ტექნიკური პროგრესის, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის ბაზაზე უნდა უზრუნველყოს ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

ჩვენი მთავარი ამოცანაა პოლიტიკური დარგში — საბჭოთა სოციალისტური წყობილების, საბჭოთა ხალხის ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომი განმტკიცება, საბჭოთა დემოკრატიის განვითარება, კომუნისტური საზოგადოების შშენებლობაში ხალხის ფართო მასების აქტიურობისა და თვითშემქედების განვითარება, სახელმწიფო საკითხების გადაჭრაში საზოგადოებრივი ორგანიზაციების ფუნქციების გფართოება, პარტიისა და სახელმწიფოს ორგანიზატორული და აღმრთელობითი როლის ამაღლება, მუშათა და გლეხთა კავშირის, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა მეგობრობის ყოველი ღონისძიებით განმტკიცება.

ამბანაგ ნ. ხრუშჩოვის მოხსენებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე შემდგომი განვითარება ჰპოვა მარქსისტულ-ლენინური თეორიის მთელმა რიგმა საკითხებმა, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ და პრაქტიკულ მუშაობაში. სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის უზრუნველყოფოს არა მარტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, არამედ საზოგადოების ყველა წევრის შეგნების ამაღლება, მთელი საზოგადოების კულტურული სულიერი ცხოვრების შემდგომი განვითარება და, მაშასადამე, იდეოლოგიური მუშაობის, კადრების მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღების შმრომელთა კომუნისტური აღზრდის ახალ, მაღალ საფეხურზე აყვანა. ამტომ ყრილობამ იდეოლოგიურ დარგში დასახა შემდეგი მთავარი ამოცანა — პარტიის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერება, მშრომელთა, და უწინარეს ყოველისა—მოზარდი თაობის, კომუნისტური შეგნების ამაღლება, მათი აღზრდა შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევა, ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის მიერ შემუშავებულ საპროგრამო ღონისძიებებს „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარებისათვის", რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ახალგაზრდობის აქტიურ, უშუალოდ მონაწილეობას კომუნისტურ შშენებლობაში, მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისა და ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგისათვის კადრების მომზადების შემდგომ მკეთრ გაუმჯობესებას. ისტორიული სიტყვაში კომკავშირის III ყრილობაზე ვ. ი. ლენინი განმარტავდა, რომ მოზარდმა თაობამ კომუნიზმი უნდა ისწავლოს და თავისი სწავლის, აღზრდისა და განათლების თვითეული ნაბიჯი მშიდრად დაუკავშიროს მშრომელთა ბრძოლას ძველი, ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგ. ახალგაზრდობა არ უნდა ჩაიკეტოს სკოლაში, არამედ მთელი თავისი სწავლა და განათლება შეუერთოს მუშათა და გლეხთა შრომას „მხოლოდ შრომაში მუშებთან და გლეხებთან ერთად შეიძლება გახდეთ ნამდვილი კომუნისტები", — გვასწავლიდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

ახლა, როცა განუზომლად იზრდება ახალგაზრდობის კავშირის როლი ჩვენი ქვეყნის ზოგელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, როდესაც კომკავშირის წინაშე კიდევ უფრო საპასუხისმგებლო ამოცანები დასახული მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისა და ქვეყნის სამეფნრნეო, პოლიტიკური და კულტურული შშენებლობის საქმეში, ახლებურად აღიქმება ლენინის უკვდავი ანდერძი იმის შესახებ, რომ კომუნისტური აღზრდის ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება მაშინ, „... თუ დიეუფლებთ მთელ თანამედროვე ცოდნას, თუ უნარი გექნებათ — კომუნიზმი მზამზარეული და სწავლული ფორმულებიდან, რჩევა-დარიგებებიდან, რეცეპტებიდან, ბრძანებებიდან, პროგრამებიდან გადაიქცეთ იმ ცოცხალ რამედ, რაც ეერთიანებებს თქვენს უშუალო მუშაობას, გადაიქცეთ კომუნიზმი თქვენი პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ".

კომუნიზმის შშენებლობის მორიგი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის მშრომელთა ფართო მასებზე პარტიის იდეური და მორალური შემოქმედების განხორციელებისათვის მეტად სერიოზული მნიშვნელობა აქვს მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების კომუნისტური შშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირის დამყარებას. ვ. ი. ლენინმა ჩამოაყალიბა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების თეორიული საფუძვლები, შეიმუშავა და მისთვის ჩვენული სიღრმითა და დამაჯერებლობით დასახავთა ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის პრინციპი. ვ. ი. ლენინს ეკუთვნის საბჭოთა ლიტერატურის ერთ-ერთი ძირითადი კანონის, სოციალისტური რეალიზმის ქვაკუთხედის, მისი არსებითი ნიშნის განსაზღვრა, რომელიც „ფარისევლურად თავისუფალი, ნამდვილად კი ბურჟუაზიასთან დაკავშირებული ლიტერატურისაგან" განასხვავებს „ნამდვილად თავისუფალ პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებულ ლიტერატურას". ვ. ი. ლენინის ცნობილი ნაშრომი „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა", რომელშიც ჩამოყალიბებული და დასაბუთებული ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ხალელმძღვანელო პროგრამას

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოადგენს. საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურა ახლა მწერალთა მორიგი, მეცხრამეტე კავშირო ყრილობის ზღურბლზე დგას. იგი შეიკრიბება უკვე პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებთან და კომუნიზმის გაწლილი მშენებლობის დიდი პროგრამით შეიარაღებული და ამიტომ განსაკუთრებულ როლს შეასრულებს საბჭოთე ლიტერატურის შემდგომი წინსვლისა და განვითარების საქმეში. ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპებისადმი უერთგვი ერთგულებით ეგებება თანამედროვე ქართული საბჭოთა ლიტერატურა. საბჭოთა მწერლების მორიგ ყრილობას. სასიამოვნო და სასიხარულო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მთელ მანძილზე ჩვენს მწერლობაში თანამედროვეობის თემატიკას არასოდეს არ ჰქონია ისეთი უპირატესი ხვედრითი წონა, როგორიც ამ უკანასკნელი ოთხ-ხუთი წლის განმავლობაში. მაგრამ მხოლოდ თემატიკური აქტუალობა და მისი თანაეროოულობა არ სწყვეტს მხატვრული ნაწარმოების იდეურ-ესთეტიკური ღირებულების საკითხს და ამიტომ პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებიდან მხატვრული სიტყვის ოსტატებსა. განსაკუთრებით ჩვენსა ლიტერატურულმა ახალგაზრდობამ, მეტად სერიოზული მნიშვნელობის დასაკვნები უნდა გააკეთონ. ისინი უნდა დიეხარონ ქომუნიზმის მშენებელ ხალხს, ჩვენი ქვეყნის განვითარების მომდინარე ეტაპზე დასახული დიდი ამოცანების წარმატებით განხორციელებაში. ამასთან დაკავშირებით მაღალიდეიური მხატვრული ტალღების შექმნასთან ერთად ენუფომელად დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მწერლობის იმ კეთილშობილურ მისწრაფებას, რაც მათ ქალაქსა და სოფლის მშრომელი ახალგაზრდობის კულტურული დონის ამაღლებისათვის დახმარების გაწევაში გამოავლენენ. ეს, ამავე დროს, დიდი ეროვნული მნიშვნელობის დახმარება, ხელს შეუწყობს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელ მოსახლეობაში პარტიის იდეოლოგიური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლას, რასაც ახლა გადაწყვეტილ მნიშვნელობა აქვს. კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა კომუნისტური საზოგადოების აშენების პრაქტიკული საკითხები უშუალოდ ქარხნებსა და ფაბრიკებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ტრანსპორტსა და სამშენებლო უბნებზე წყდება, რაც უფრო მაღალი იქნება მასების შეგნება, მით უფრო წარმატებით შესრულდება კომუნისტური მშენებლობის გეგმები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ყრილობაზე მიღებულ სხრ კავშირის სახალხო მეურნეობის შვიდწლიან გეგმას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობაც აქვს. კაპიტალისტურ სამყაროსთან მშვიდობიან ეკონომიკურ შეჯიბრებაში გამარჯვებული სოციალისტური სისტემა გამოვა. ეს დრო არც ისე შორს არის. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველ ადგილზე იქნება როგორც წარმოების აბსოლუტური მოცულობის მხრივ, ისე ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ეს იქნება სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მშვიდობიან შეჯიბრებაში კაპიტალისტთან საერთაშორისო ასპარეზზე. ეს იქნება ლენინის დროშის საბოლოო და ბრწყინვალე გამარჯვების ნამდვილი ტრიუმფი. ამიტომ საერთაშორისო ორთიერთობის დარგში ჩვენი ამოცანა, როგორც ეს პარტიის XXI ყრილობის გადაწყვეტილებებშია გათვალისწინებული — თანმიმდევრული განხორციელება საგარეო პოლიტიკისა, რომლის მიზანია მშვიდობისა და ხალხთა უშიშრების შენარჩუნება და განმტკიცება სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის საფუძველზე, „ცივი ომის“ შეწყვეტისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, მსოფლიო სოციალისტური სისტემისა და მომძე ხალხთა მეგობრობის განმტკიცება.

„დღეს, — აღნიშნავდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — ლენინის იდეებით ცოცხლობს ყოველივე საუკეთესო, ყოველივე პატიოსანი და მოწინავე მსოფლიოში. ლენინიზმისადმი ერთგულება კომუნისტური შენებლობის მომავალ გამარჯვებათა საწინდარია“.

წელს შვიდწლიანის პირველი გაზაფხულია, პირველი მაისობა, რომელსაც საბჭოთა ახალგაზრდობა ეგებება დევიზით: ვიცხოვრით, ვიხარეთ და ვიშრომით კომუნისტურად. კომუნისტური შრომის დამკვრელები და ბრიგადის წევრები, ჩვენი ხვალინდელი დღის მახარობლები დროს წინ უსწრებენ და საბჭოთა ახალგაზრდას ლენინის უკვდავი იდეების, კომუნიზმის თავიანთ პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ გარდასახვის შესანიშნავ მაგალითს აძლევენ. ჩვენი ხალხის, კომუნიზმის შენებელი ხალხის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში ცოცხლობს ყოველივე საუკეთესო, პატიოსანი და მოწინავე. ის, რასაც ლენინიზმის იდეები ეწოდება, რამაც სამუდამო ძეგლი აუგო კაცობრობის უდიდეს შემოქმედს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს, რომლის უკვდავ დროშას წინ მიმყავს მსოფლიოს მშრომელთა მასები კომუნიზმის სრული გამარჯვებისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გივი გეგეჭკორი

დაიძრა

ცეცხლი მოეკიდა თითქმის ყველაფერს:
ფანჯრის ჩარჩოებს,
ლავგარდანებს
და კანდელაბრებს...
დანგრეულ მესერს,
შიშველ ტერფებს სმოლენსკის გზაზე,
მუნდირებს,
კასტურ სიამაყეს,
ბანალურ ფრაზებს...
ძველი რუსეთის მდუმარებას,
ხიდების არკებს,
ციხის გისოსებს,
ცხენებს,
ლანდებს,
გაბზარულ სარკეს...
დაკოჟრილ ხელებს,
ყრუ ტკივილებს,
გაუშლელ კვირტებს.
საკურთხეველთან ჯვარზე გაკრულ
იესო ქრისტეს...
ნაჭრის თოჯინებს,
ტვერის ბულვარს
და ლურჯ ბაგეებს,
ბავშვებს, რომლებსაც აციებდათ და
ძაგძაგებდნენ.
დაიძრა წყალი,
ლიანდაგი,
ფილაქანები,
ბარიკადები,
დანგრეული ეშაფოტები,
სინათლისაკენ ქარიშხლები
მიგვაქანებდნენ
და ჩვენს თავებზე გუგუნებდა ეჟენ
პოტიე!..
ხუთქიმიანი ვარსკვლავებით,
დაცხრილულ მკერდით,
წინ მივიწევდით
და სიკვდილსაც არ ვთაკილობდით,
და მეწამული გაზაფხული მოჰქონდა
ჩვენთვის,
დიდი ლენინის გაშუქებულ თვალთა
კოლობს!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ედიშერ ყიფიანი

ქალაქი, ჩემს სულ ბავშვ ის ყანახელ

მზე ამოიწვერა და ღამის შავ ტილოზე ლამაზი ქალაქი დახატა. გამოგორდა ქუჩაში პირველი ტრამვაი და პირველი მგზავრი ჩაისვა. რუსთაველის პროსპექტზე ჩაქრა ღამის ნათურები, აშრიალებულ ვერხვთა ფოთლებიდან აორთქლება იწყო ნამმა. ზღაპრულ გოლიათივით გადასძახა თბილისს ქარხნის საყვირმა. შეთბა ასფალტი, ცისკენ ატივტივდა საამო სიგრილე. გამოეღვიძა ქალაქს და ბატარა ბიჭივით ქუჩაში გამოტანტალდა. მხოლოდ რკინიგზის სადგურის მორიგე წავიდა შინ დასაძინებლად.

ვაგზლიდან მოშორებით ჩიხში დგას თბილისი-სოჩის მატარებელი. იგი წუხელ ჩამოვიდა ქალაქში, ჩამოიყვანა უამრავი მგზავრი, აახმაურა, ააწრიალა სადგური, დაიღალა, დაიქანცა და ჩიხში მილასლასდა დასაძინებლად. ახლა თვლემს, მიყუჩებულა, მაგრამ მალე მოაკივლებს ელმავალი, შეანჯღრევს უხეშად, ჩაავლებს ყურში ხელს და სადგურის წინ პირველ ლიანდაგზე ჩამოაყენებს. ისევ აივსება ვაგონები მგზავრებით, ისევ დაიყრება იატაკზე პაპიროსის ფერფლი და გაზეთის ნახევი, ბლის კურკები და ანეგდოტები. მაგრამ ჯერ კიდევ თვლემს მატარებელი, მხოლოდ მისი ჩრდილი გაცოცხლებულა და მოცოცავს ვაგონებისკენ.

ქალაქის სხვადასხვა უბანში, სხვადასხვა სახლსა და ოთახში კი უკვე ემზადებიან ამ მატარებლის მომავალი მგზავრები. ბარგს ჰკრავენ, სახელდახელოდ საუზმობენ და საგზალსაც თადარიგობენ.

მთაწმინდის ძირას, ორსართულიანი სახლის მოასფალტებულ ეზოში პატარა ბიჭუნა გამოვიდა, ონკანი გახსნა და სწრაფ, აქაფებულ წყლის ჭავლს მწვანე ბოთლის ყელი შეუშვირა. ბიჭუნას მოკლე შავი შარვალი და თეთრი პერანგი აცვია, თმები სველი და ახალი გადავარცხნილი აქვს.

დილაა.

სადგურის მხრიდან ისმის ელმავლის ბარიტონი. ბიჭუნა ქალაქისაკენ იყურება, თვალები მოუჭუტავს, თითქოს ელმავლის დანახვას ცდილობდეს, ჯერ ხომ დგას, ხომ არ დაიძრაო.

„მამა კი ისევ წევს, დაგვაგვიანდება“, გაიფიქრა მან.

ბოთლის ყელი ონკანის ტუჩს ასცილდა და მიწიდან არეკლილი წყლის წვე-

თებით ბავშვს წვივები მოეწნამა. როცა ხელმეორედ გაისმა ელმავლის საყვირის ხმა, ბიჭუნა შეშფოთდა, შემობრუნდა და სახლისკენ გაიქცა, მაგრამ მის სასიხარულოდ მამა ამდგარი დახვდა.

ლადო გატენილ ყავისფერ ჩემოდანს დასწოლოდა მთელი ტანით და ცდილობდა დაეხურა. დახურავდა და „ტკაც“, საკეტი ისევ ამოვარდებოდა.

— ქეთევან, ამოიღე რამე, თორემ არ იკეტება, — გადასძახა მან მეუღლეს და წამოდგა. სწორედ ამ დროს შეამჩნია თავისი ვაჟი, რომელიც ოთახში შემოსულიყო და მამას შესცქეროდა.

— სულზე მომისწარი, გია, ძალიან მწყურია.

— ეს სამგზავროდ გვინდა, — ბოთლი ზურგსუკან დამალა გიამ.

— არაუშავს, სადგურზე ავავსებთ, იქამდე სულერთია გათბება, — ლადო ბოთლს წაეტანა, დაისხა და შესვა.

მეორე ოთახიდან ქეთევანი გამოვიდა, თხელი, ვიწრო კაბა ჩაეცვა, მაღალქუსლებიან ტუფლებს მოაკაკუნებდა, გამაღლებულიყო და გალამაზებულიყო. ლადომ ღიმილით შეათვალიერა მეუღლე.

— მოგიტაცებენ ზღვაზე, — თქვა მან.

— ძალიან გინდა, რომ მომიტაცონ, მაგრამ არ მომიტაცებენ. — გაიხუმრა ქეთევანმა.

— სისულელეს თავი დაანებე, — წარბები შეკმუხნა ლადომ, მერე ისევ გაეღიმა, მოეხვია და აკოცა ქეთევანს.

ოცი წუთის შემდეგ ისინი უკვე ქუჩაში იდგნენ და ტაქსს ელოდებოდნენ.

— დავაგვიანებთ, — შიშობდა ქეთევანი და ხშირხშირად იხედებოდა საათზე, — შენი ბრალი იქნება, იცოდე.

— თუ დაგვიანებთ, ჩემი ბრალი იქნება, — მშვიდად თქვა ლადომ, — მაგრამ არ დაგვიანებთ.

— გვიან დაიძინე წუხელ?

— გვიან, ქეთევან! — ლადო გამოცოცხლდა.

— წერდი რამეს?.. გია ქუჩაში ნუ დგახარ, გამოდი აქეთ!

— არა, სტრიქონიც არ დამიწერია, მაგრამ ახალი მოთხრობა მოვიფიქრე, მე მგონი, კარგი უნდა გამოვიდეს...

— სოხუმში როდის ჩამოხვალ?

— ვეცდები მომავალ კვირას ჩამოვიდე, თუ არა და სულ ბოლოს ჩამოვალ, მეც დავრჩები ერთი-ორი დღით... ქეთევან, გინდა გიამბო...

— ვაი, თუ არ მომცეს ცალკე ოთახი, — თქვა ქეთევანმა.

— მოგცემენ, სანატორიუმის დირექტორს სთხოვე და მოგცემს, აბა, მარტო ხომ არ იცხოვრებს ბავშვი... იცი რა, ქეთევან...

— მეშინია გიასი, ძალიან უყვარს წყალი...

— მარტო არ გაუშვა არასოდეს... ქეთევან, იცი როგორი მოთხრობაა...

— მარტო მეც მეშინია ზღვაში შესვლა. შენს ჩამოსვლამდე, ალბათ, ნაპირს არც გავცილდები.

— კარგს იზამ, — გაიღიმა ლადომ.

— ტაქსი, ტაქსი, დედა, ტაქსი! — დაიყვირა უეცრად გიამ და მანქანას დაედევნა დაღმართზე.

ავტომობილის საბურავები ქვაფენილზე აჭრიალდნენ, მანქანა მოშორებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეჩერდა, შოფერმა თავი გამოსყო სარკმლიდან და უკანა სელით მგზავრებსაც ამოგორდა.

სამეგენი მანქანაში შეიმალნენ, მათი ჩრდილები კი მანქანის ჩრდილმა შეისრუტა თითქოს. ავტომობილი სადგურისკენ გაქანდა.

— ქეთევან, — ცოლისკენ შემობრუნდა ლადო და აჩურჩულდა, — იცი, რის შესახებ ვწერ მოთხრობას?

— რის შესახებ?

— თქვენზე ფიქრობდი წუხელ, შენზე და გიაზე...

— მერე? — დაინტერესდა ქეთევანი.

— წარმოვიდგინე როგორ იქნებით ზღვაზე უჩემოდ, წარმოვიდგინე ყველაფერი, თქვენი იქ ჩასვლა, პირველი დღე ზღვის პირას, გიას აღტაცება, მას ხომ ჯერ არ უნახავს ზღვა, — ლადოს რადაც მოაგონდა, — ერთ ინგლისელ თუ ფრანგ მწერალს აქვს: გოგონას, რომელსაც ზღვა არ ენახა, თვალახვეული მიიყვანენ ზღვის პირას და უეცრად აუხსნიან სახვევს. ზღვის უსაზღვროებით და სილამაზით აღტაცებულ გოგონას გული წაუვა...

— გიას არ წაუვა გული, — გაიღიმა ქეთევანმა.

— ჰო, გიას არ წაუვა, რადგან პატარაა და ვერ იგრძნობს, ვერ შეაფასებს. შენც ხომ პატარა იყავი, როცა პირველად ნახე ზღვა.

— პატარა ვიყავი, ყოველ ზაფხულს დავყავდით, — გაიხსენა ქეთევანმა, ქმარს ეშმაკურად შეანათა თვალები და ჰკითხა, — ჩემზე და გიაზე უნდა დასწერო მოთხრობა?

— არა, მე მინდა დავწერო იმ გოგონაზე, რომელსაც ზღვა არასოდეს უნახავს.

— არასოდეს? სულ არასოდეს? — გაიკვირვა ქეთევანმა. — თუ როცა მოხუცდა...

— არა, ქეთევან, იმ გოგონამ დაქალებაც ვერ მოასწრო, ისე გარდაიცვალა, რომ ზღვა ვერ ნახა.

ქეთევანმა ქმარს შეხედა. მისი სევდანარევი ხმა ეუცხოვა. უძილობისაგან შეშუპებული თვალები თითქოს აკრემლებოდა ლადოს, თითქოს ნათლად ხედავდა საკუთარი მოთხრობის უბედურ გმირს. „რა ბავშვია, — გაიფიქრა ქეთევანმა, — შეთხზული ამბავიც გულს უჩუყებს“.

— მაინც რატომ ჰკლავ იმ საწყალ გოგოს? — ჰკითხა ქმარს.

— მე არა, ქეთევან, ომი ჰკლავს!

— ომი?!

მცირეხნიერ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ქეთევან, — დაიწყო ლადომ, — მე მინდა აღვწერო ახალგაზრდა ქალ-ვაჟის სიყვარული, პირველი, ძლიერი, ანგარიშმიუცემელი სიყვარული. ისინი შემთხვევით გაიცნობენ ერთმანეთს, გაიცნობენ ზაფხულის ლამაზ საღამოს ხალხით სავსე თბილისის ქუჩაში. ვაჟი სტუდენტია, პირველი კურსის სტუდენტი, გოგონა — მოსწავლე... იმ საღამოსვე ქალ-ვაჟი პირველად დარჩებიან მარტო, — ლადო შეყოვნდა, — საერთოდ, სულ სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, სამჯერ შეხვდნენ მხოლოდ.

— რატომ სამჯერ, კიდევ შეახვედრე, — შენიშნა ქეთევანმა.

— კიდევ? — წარბი ასწია ლადომ, — შეიძლება, ვნახოთ. ჰოდა, მისეირნობენ თბილისის ქუჩაში ქალ-ვაჟი. საუბარი აქვთ მორცხვი, მორიდებული. სამა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიეროდ სულ სხვაგვარად ჟღერს მათი ხმები და ვერ ატყობენ ამას, სამაგიეროდ ისეთი გონებამახვილი, ისე გატაცებული არასოდეს ყოფილა ვაჟი. ისეთი ლაშქარი სიარული, ისეთი კოხტა მიმოსვრა თავისა და ხელებისა არასოდეს ჰქონია გოგონას. იმ წუთში არ იციან, ვერ გრძნობენ, რომ მათ განაგებს უხილავი ძალა, ყველაზე ძლიერი და ყველაფერზე ამაღლებული. გოგონას შავი, მოშვილდული წარბები და ცისფერი თვალები აქვს, წაბლისფერ თმას შუაზე ჰყოფს ბილიკივით კეფისკენ გადაკარგული თეთრი ზოლი. იგი თექვსმეტი წლისაა, მომხიბვლელი და მომჯადოებელი, მაგრამ ვერ გრძნობს ამას, არ იცის თავისი ფასი. იგი ჯერ ბავშვია, ჯერ მხოლოდ მუსიკა უყვარს, უყვარს როგორც სულიერი არსება. მუსიკალურ აფწლედში სწავლობს და ამხანაგებთან ერთად ესწრება სიმფონიური მუსიკის კონცერტებს. იგი ჯერ ბავშვია, ჯერ მხოლოდ მუსიკა უყვარს და არ იცის, თუ რატომ იზიდავს ასე ძლიერ მუსიკა. ჰოდა, აი იმ მუსიკასაკენ მიიზიდა იგი ეაქმა და ვერც ამ გრძნობის იდუმალებაში გაეჩქვა. გოგონა თითქოს უსმენდა ახალ მელოდიას, რომელიც ჟრუანტელს ჰგვრიდა, თავბრუს ახვევდა, და რომლის ზემოქმედების წყარო მისთვის ისევე შეუცნობელი იყო. როგორც მუსიკისა. იმ საღამოს, იმ პირველ საღამოს ისინი მალე დაშორდებიან ერთმანეთს. გოგონა ეტყვის...

— კინო, კინო, დედი, აქ ხომ კინოა? — დაიყვირა უეცრად გიამ და მანქანის სარკმლის შუშას საჩვენებელი თითი მიაღუნა.

— ჰო, კინოა, — უპასუხა ქეთევანმა.

— დედი, სოხუმში არის კინო?

— არის.

— ბოტანიკური ბაღი?

— ჩავალთ და გავიგებთ.

— ვაპ, სოხუმში იცი რამოდენა პალმებია! — ხმა ამოიღო შოფერმა და გიას შესცინა.

— მერე, ლადო, მერე? — ჩასჩურჩულა ქეთევანმა ქმარს, — რა უთხრა ვაჟს იმ გოგონამ?

— გოგონამ უთხრა, შინ უნდა წავიდე, თორემ გაკვეთილის დამზადებას ვეღარ მოვასწრებო. ბიჭმა უპასუხა: ხვალ ხომ კვირაა, ხვალ იმეცადინებო. არაო, უთხრა გოგონამ, მე სკოლის გაკვეთილზე კი არ ვეუბნებით, ვერმანული უნდა მოვამზადოო. გოგონას პატარაობიდანვე ასწავლიდნენ ოჯახში უცხო ენას და უკვე იმდენად გაწაფული იყო, რომ თავისუფლად კითხულობდა მოზრდილ წიგნებს...

— ლადო!

— გისმენ!

— ეგ საჭიროა მოთხრობისათვის?

— რა?

— აი, გოგონამ რომ უცხო ენა იცის.

ლადომ პასუხი დაადგიანა.

— ალბათ აქვს რაიმე მნიშვნელობა, ტყუილად ხომ არ შეთხზავდი, — თვითონ ქეთევანი წაეხმარა ლადოს.

— მართალი გითხრა, მაგ დეტალს არაფერი მნიშვნელობა აქვს მოთხრობისათვის, — თქვა ლადომ და გაწითლდა, — მოთხრობისათვის არა აქვს მნიშვნელობა, — რატომღაც გაიმეორა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰოდა, მაშინ რად გინდა, რად გინდა რომ ტვირთავ ნაწარმოებს,— ახლა ქეთევანი გაწითლდა, რადგან ასეთი მკაცრი და თამამი შენიშვნა იშვიათად მოუცია ქმრისათვის, — მაპატიე, რომ შეგაწყვეტინე, — თქვა მან ბოლოს.

— მე მინდა დაწვრილებით აღვწერო მათი პირველი შეხვედრა, — განაგრძო ლადომ, — რადგან სინამდვილეში აქ დაიწყო მათი გაცნობა და თითქმის აქვე დამთავრდა, არ დამთავრებულა მხოლოდ სიყვარული... ვაქმა ჰკითხა:

— ხვალ რა გაქვთ გაკვეთილად?

— „ვერტერს“ ვსწავლობ. ხვალისთვის 8 ნოემბრის დღიური მაქვს დასაზეპირებელი, — თქვა გოგონამ და ღაწვები შეუფაკლდა.

— რას არქმევ გოგონას? — მოულოდნელად ჰკითხა ქეთევანმა.

— რას ვარქმევ? რა ვიცი. დავარქმევ ლამაზ სახელს; ნანას... ან მანანას, მზიას... ან ხათუნას.

— ხათუნა ერქვას! — გადაწყვიტა ქეთევანმა, — ბიჭს კი, ბიჭს ერქვას.. ბიჭს სულერთია, რასაც დაარქმევ.

— იმ საღამოსვე ვაქმა პირველად გააცილა გოგონა სახლამდე, პირველად და უკანასკნელად. მიაბიჯებდა ეს ორი უცოდველი ბავშვი ქუჩაში და აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ ასე ხანმოკლე იქნებოდა მათი ბედნიერება. როდესაც უნივერსიტეტის შენობას გაუსწორდნენ, გოგონა უეცრად შედგა, თვინრი სახლი მთვარის შუქს გაენათებინა და ჩვეულებრივზე უფრო შორს მოჩანდა. ხათუნამ მლოცველივით შეაწება ერთმანეთს ხელისგულები და აღტაცებით წამოიძახა:

— უჰ, რა ლამაზი სახლია, თითქოს მღერის!

ვაქმა პირველად გაიგონა მისი ბავშვურად ათრთოლებული ხმა, ვაქს უყვარდა ყველაფერი ბავშვური და პირველყოფილი, გულუბრყვილო და უცოდველი, და მან ჩუმად გაიმეორა:

— თითქოს მღერის!

და ხათუნას თვალებში ჩახედა.

გოგონა თვითონ ჰგავდა სიმღერას, ბუნების მიერ შთაგონების წუთებში შექმნილს, ამ სიმღერაში ვერცერთ ბგერას ვერ შეცვლიდი, მან დაატყვევა, მიიზიდა ვაქი და ისიც სიმღერად აქცია... ხომ გესმის, ქეთევან, ისინი იყენენ ბავშვები, ბალღები, არაფერი ესმოდათ სიყვარულსა, მაგრამ უკვე უყვარდათ ერთმანეთი. მათი ამბავი შეემატა ლამაზი სიყვარულის ისტორიებს, ისევე, როგორც ცას ემატა ვარსკვლავი, მაგრამ იგი მხოლოდ მე აღმოვაჩინე და მინდა სხვასაც დავანახო...

— ვაქს უშანგი ერქვას! — თქვა მოულოდნელად ქეთევანმა.

— კეთილი, უშანგი ერქვას. იმ ღამით ვაქს დიდხანს არ დაეძინება, დიდხანს იტრიალებს საწოლში, დიდხანს იფიქრებს ხათუნაზე. ეცდება წარმოიდგინოს მისი სახე, მისი გამომეტყველება, მაგრამ მეხსიერება არ ემორჩილება. თითქოს ხანდახან გამოეცხადება ხათუნას თვალები, გული აუთრთოლდება. აღელდება, მაგრამ დაუსხლტება. გაქრება მოჩვენება და ისევ თავიდან უხმობს, უძახის, თავს ძალას ატანს რომ წარმოიდგინოს... უეცრად რაღაც წამოაგდებს ლოგინიდან, ფეხშიშველი, ფეხისწვერებზე მიიპარება უშანგი წიგნების კარადასთან, რომ შშობლები არ გააღვიძოს, მოსძებნის „ახალგაზრდა ვერტერის ვნებებს“, გადაშლის და წაიკითხავს 8 ნოემბრის დღიურს. იქ სწერია, რომ ვერტერი დიდხანს მჯდარა იმ ადგილზე, სადაც წინადღით ლოტამ გაიარა. და უხარია უშანგის, უხარია. ჩაძინებამდე იმეორებს წიგნში ჩმოკითხულ სტრიქონებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიამოვნებს ფიქრი, რომ იმ საღამოს ხათუნაც წარმოთქვამდა იგივე სტუმ-ქონებს, იმავე სიტყვებს და იქნებ უშანგვითი დაფიქრდებოდა...

— იცი რა, ლადო, — ვეღარ მოითმინა ქეთევანმა და თხრობა შეაწყვეტინა, — ამბავი საინტერესოა, შენს გმირებს ნამდვილად უყვართ ერთმანეთი, ყოველ შემთხვევაში, ვაჟს უყვარს, მაგრამ მე მგონი, „ვერტერის ვნებანი“ არ არის საჭირო, თითქოს ზედმეტია, არა ლადო? თუ მაინცდამაინც, მაშინ სხვა წიგნი იყოს რაიმე, სხვა, თორემ „ვერტერი“ უეცრად გახსენებელის შთაბეჭდილებას სტოვებს.

— უეცრად გახსენებულის? — თითქოს გაოცდა ლადო და გაჩუმდა.

ტაქსი სადგურის მოედანზე გასრიალდა, მოუხვია და ტროტუარს მიადგა, როგორც ნავი ნაპირს.

— მოვედით! — წამოიძახა გიამ და ხელები გაშალა.

პირველ ლიანდაგზე ჩამომდგარი მატარებელი შეკაზმულ ცხენივით ელოდებოდა წასვლას. ვაგონები მგზავრებით იყო სავსე, ზოგს უკვე საშინაო ხალათიც გადაეცვა, ვაგონის სარკმელზე გადმოხრილიყო როგორც საკუთარი სახლის ფანჯრიდან, და გამცილებელს ესაუბრებოდა.

გიამ, ქეთევანმა და ჩემოდნებით დატვირთულმა ლადომ ძლივს გაიკვლიეს გზა რბილი ვაგონის დერეფანში და კუპეში შევიდნენ. გია მაშინვე ჩიტივით მიაწყდა სარკმელს. ლადომ ბარგის დაბინავება დაიწყო. კუპეში სხვა მგზავრი არავინ ჩანდა. როცა ჩემოდნები მიალაგ-მოალაგა, ლადომ საათზე დაიხედა, ათი წუთიღა აკლდა მატარებლის გასვლას.

— ქეთევან! — თქვა ლადომ და შეყოვნდა.

— ჰო, ჰო, მართლა, დაამთავრე ბარემ, თორემ წავა მატარებელი, — გაუგო ქეთევანმა ქმარს.

და თითქოს ამ ნიშანს ელოდაო, სხაპასხუპით დაიწყო ლადომ, მას უნდოდა მოესწრო, მატარებლის წასვლამდე მოესწრო ყველაფრის თქმა, რომ ქეთევანს ბოლომდე გაეგო ამ ლამაზი სიყვარულის ისტორია და მერე, თბილისში დარჩენილ ლადოს, ყოველ ღამით თვალნათლად წარმოედგინა შორს მყოფი ქეთევანი, ამ ამბით დაინტერესებული და ჩაფიქრებული.

— მერე ომი დაიწყო, ქეთევან, დაიწყო ის საშინელი ომი, მაგრამ ხათუნასა და უშანგის ეს არ უგრძვნიათ, მათ არ იცოდნენ რა იყო ომი და ამიტომ არ ეშინოდათ მისი. უშანგი თბილისის ქუჩებში დაეძებდა ხათუნას, დაეძებდა მთელი წელიწადი, მან არ იცოდა ხათუნას გზა-კვალი და ბოლოს შემთხვევით გიგო, რომ გოგონა ავად გამხდარიაო, საშინელი სენით დაავადებულიყო, რომ მამა დაჭღუბეოდა ფრონტზე და ობლად დარჩენილიყო. ვაჟმა პირველად მაშინ გაიცინო ომი, გაიცინო, ასე ეთქვათ, შორიდან, მაშინ იგრძნო მისი სუსხი.

ხათუნა კი სენს დაეჯაბნა, იწვა საწყალი გოგონა და უკვირდა, რომ იწვა.

უშანგიმ მიაგნო მის სახლს, პატარა, აგურის სახლს. იგი გვიან ღამემდე იდგა ხოლმე ხათუნას ფანჯრების წინ, იდგა ყიუტად, იდგა როგორც ჯარისკაცი. და თუკი მთელი საღამოს განმავლობაში ოდნავ შეირხეოდა ფანჯრის ფარდა, ან ვიღაცის ლანდი გაიელვებდა მკრთალი შუქით განათებულ ოთახში, ვაჟისთვის ეს მთელი მოვლენა იყო, მეორე დილამდე ჰყოფნიდა საფიქრალად და საოცნებოდ. მას უფრო მეტად შეუყვარდა გოგონა, პატარა ბავშვივით ენატრებოდა იგი, და ფიქრობდა მის ბედნიერებაზე. მას ეჩვენებოდა, რომ ხათუნა სხვა პლანეტიდან ჩამოსული სტუმარი იყო დედამიწაზე, და ვაჟს უნდოდა, რომ გო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონას კარგი შთაბეჭდილება შექმნოდა, მოსწონებოდა და შეჰყვარებოდა ლადო. მიწა და მისი ბინადარნი.

ერთ დღეს ხათუნა ქუჩაში გამოვიდა, იგი თითქოს ვაჟის სიყვარულმა და ერთგულებამ წამოაყენა ფეხზე, მაგრამ ეს იყო მოჩვენებითი გამოჯანმრთელება, ეს იყო ხიდან მომწყდარი ფოთოლის სიცოცხლე და მოძრაობა. ხათუნა უკანასკნელად გამოვიდა გარეთ, რომ თითქოს დამშვიდობებოდა იმ ერთადერთ ქალაქს, რომლის გაცნობა მან მოასწრო თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე. და სანამ უშანგის ფრონტზე გაიწვევდნენ, ისინი კიდევ ორჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. მათი საუბარი უფრო მორცხი და უფრო მორიდებული იყო, ვიდრე პირველი შეხვედრისას.

ფრონტიდან ვაჟი წერილებს უგზავნიდა გოგონას, და შორი მანძილით გათამამებული სწერდა თავისი სიყვარულის შესახებ, სწერდა ბედნიერი მომავლის შესახებ და ზღაპრული ფერებით ხატავდა მათ ხელმეორედ შეხვედრას. ხათუნა, ჩვიდმეტი წლის ხათუნა, ისევ ლოგინად ჩაეგდო სენს, ფერმკრთალი თითებით ეალერსებოდა იგი უშანგის წერილებს და ცრემლად იღვრებოდა: „ჩემი ავადმყოფობის ამბავი რომ იცოდეს, დამივიწყებდა, მაშინვე ამომიგდებდა გულიდან“, ფიქრობდა საწყალი გოგონა.

— ლადო, — შეაწყვეტინა ქეთევანმა, — რად გინდა ფრონტი, რად გინდა ეგ ავადმყოფობა, შეახვედრე ისინი სამჯერ კი არა, ასჯერ, ათასჯერ, გაბედნიერე, შეაუღლე!

— შენ ასე ფიქრობ, ქეთევან?

— ჰო ასე. მაგრამ ჯერ მიამბე, როგორც გაქვს ჩაფიქრებული.

— ხათუნა დაიღუპა. ის ჰაერი, რომელსაც ხათუნა უნდა განეკურნა, ომმა შეისუნთქა. ის საკვები, რომელსაც ხათუნა უნდა მოერჩინა, ომმა შთანთქა. გაზაფხულის გვიანი თოვლივით ჰაერშივე გადნა გოგონა, მიწამდე დაშვება ვეღარ მოასწრო, ვეღარც ზღვა ნახა, ვეღარც სიყვარული. ვაჟის ბარათები კი ისევ მოდიოდა ფრონტიდან, ისევ სიყვარულს ეფიცებოდა გოგონას და ზღაპრული ფერებით ხატავდა მათ მომავალს.

ბოლოს ხათუნას ნათესავებმა ვეღარ გაუძლეს ამ ბარათების კითხვას და შეატყობინეს უშანგის სამწუხარო ამბავი. ომის დამთავრების შემდეგ უშანგი თბილისში დაბრუნდა, ქალაქი ზეიმობდა...

— მატარებელი ნომერი 63, თბილისი-სოჩი, ორი წუთის შემდეგ გავა პირველი ლიანდაგიდან, — მოულოდნელად გაისმა სადგურის რადიო-რეპროდუქტორიდან.

— ლადო, ჩქარა... ჩქარა, ლადო, არ დარჩე! — წამოიძახა შეშფოთებულმა ქეთევანმა და თვითონვე წამოხტა.

— არ დავრჩები, — თქვა ლადომ, — ეს ხმა ძალზე ჰგავდა იმ სევდიან კილოს, რომლითაც იგი თავის მოთხრობას ჰყვებოდა.

ლადო წამოდგა, სარკმელთან მიყუჟულ გიას მოეხვია, თავი გადმოუწია და შუბლზე აკოცა, მერე ქეთევანს შეხედა, გაუღიმა, მსუბუქად გაჰკრა ლოყაზე ხელი.

— აბა, წავედი, ჭკვიანად იყავით!

— ჩამოდი, იცოდე, გელოდებით! — თქვა ქეთევანმა, — გია, მამა მიდის, გესმის, გია, მამა მიდის!

— ჩვენ უკვე დავემშვიდობეთ ერთმანეთს, — თქვა ლადომ, ხელმეორედ მივიდა შვილთან და გადაკოცნა, — რომ ჩამოვალ, ცურვას გასწავლი, არავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეცოდინება შენნაირი ცურვა. — ჩაჩურჩულა გიას ყურში. გიამ თავი დაუქნია, თანახმა იყო.

— ჩქარა, ჩქარა ლადო, თორემ წავა მატარებელი!

— მივდივარ!

ქეთევანმა ვაგონის კარამდე მიაცილა ქმარი. მატარებელი აიძრა. ლადომ აკოცა ცოლს და ჩახტა. მერე ვაგონს აედევნა. გია ისევ სარკმელზე გადმოხრილიყო და ხელს უქნევდა მამას.

როდესაც უკანასკნელი ვაგონი თვალს მიეფარა, ლადო შემობრუნდა, თავი ჩაღუნა, თითქოს საკუთარ ნაბიჯებს ითვლისო და ქალაქში გასასველელ კიბეებისკენ გაემართა. როცა იმ ადგილს მიაღწია, სადაც მათი ტაქსი გაჩერდა, ლადოს თითქოს ჩაესმა ქეთევანის ხმა: „მერე, ლადო, მერე?“

„მერე? — ჰკითხა გულში თავის მეუღლეს, — მერე თბილისში დავბრუნდი, ახალი დამთავრებული იყო ომი, ქალაქი ზეიმობდა, გახარებული იყო დიდი და პატარა. იმაღე სალამოს მივედი მის სახლთან, დავდექი მისი ფანჯრების წინ... იმ გოგონას ზეინაბი ერქვა, ქეთევან, ჩვენ მართლაც სამჯერ შეეხვდით ერთმანეთს... დავდექი მისი ფანჯრების წინ და ვიტირე, რა დასამალია, რომ ვიტირე. მეცოდებოდა ზეინაბი. მან ხომ ვერ გაიგო, თუ რას ნიშნავს ქვეყნად გაჩენა და სიცოცხლე, ვერ გაიგო, თუ რისთვის დაიბადა. მაგრამ ომისთვის ეს სულერთი ყოფილა“.

ლადო ჩელუსკინელთა ქუჩას გამოჰყოლოდა. როდესაც მაღაზიის ვიტრინას ჩაუარა, უეცრად გაახსენდა ბოთლი, ცარიელი ბოთლი, რომელიც სადგურზე წყლით უნდა აევსო და გიასთვის გაეტანებინა სამგზავროდ, მაგრამ დააეწყდა. მკვეთრად შემობრუნდა და ორი-სამი სწრაფი ნაბიჯი გადადგა სადგურისკენ, თითქოს მატარებელს უნდა დაეწიოსო. მერე შეჩერდა, დამნაშავესავით თვალები მიწას მიაშტერა, ალბათ გია და ქეთევანი წარმოიდგინა ვაგონის კუპეში, რომლებიც უკვე ზღვაზე ლაპარაკობდნენ.

ალარ ახსოვს ლადოს, როგორ ჩაჯდა ტროლეიბუსში, როგორ აგრიალდა ვარაზისხევის ალმართზე და უნივერსიტეტის წინ შეჩერდა. ლადო ჩამოვიდა და ადგილზეკე გაშეშდა; მას მოაგონდა ის მთვარიანი საღამო, მოაგონდა გოგონას აღტაცებული შეძახილი: „უჰ, რა ლამაზი სახლია, თითქოს მღერის“, და როგორც მაშინ, ლადომ ჩუმად გაიმეორა: „თითქოს მღერის“.

თავი ჩაქინდრა და ფეხით გაჰყვა ფართე ტროტუარს. მალე იგი პატარა აგურის სახლთან შეჩერდა... შედგა ლადო ფანჯრების წინ, და როგორც ძველად, გულმა ძგერა დაეწყო, თითქოს ელოდებოდა ფანჯრის ფარდის შერხევას, ვიღაცის ლანდის გაელვებას ოთახის სიღრმეში. იდგა ლადო და ქეთევანის ხმა ელანდებოდა, გოაცებული და საყვედურის გამომხატველი? „დაუჯერებელია, ლადო, — ამბობდა ქეთევანი, — ეგ არ ვარგა მოთხრობისათვის, სხვა რამე უნდა მოიფიქრო, ამდენ ხანს არ ემახსოვრებოდა უშანგის ხათუნა, არ წავიდოდა მისი სახლის სანახავად, არ დადგებოდა მისი ფანჯრების წინ. სხვა რომ არა იყოს რა, მას ხომ უკვე ცოლ-შვილი ჰყავს. არა, ლადო, არ არის სწორი, ცხოვრებაში ეგრე არ ხდება, ასეთი სიყვარული ვისღა შეუძლია ახლა...“

იდგა ლადო, იდგა ამ გოგონას სახლის წინ, რომელსაც არასოდეს უნახავს ზღვა.

ნახატი დ. ერისთავისა

ეროვნული ბიბლიოთეკა



მელანო ერთი შეუხედავი გოგოა, თუ არ დაგელაპარაკა, არც გაიხედავ მისკენ. ისედაც იგრძნობ, რომ ვიღაც ულამაზოსა და უშნო ქალს ჩაუარე გვერდით. შეიძლება პირიქითაც მოხდეს — მიდიხარ ქუჩაში და ზურგსუკან გესმის გოგონების ლაპარაკი, ერთ მათგანს ისეთი ტკბილი ხმა აქვს, თითქოს მღეროდეს. მარტო ყურებს კი არა, გულსაც დაგიტკბობს ის ხმა და უსათუოდ მოგახედებს უკან. მოიხედავ და ხელში მელანო შეგრჩება, დაბალი, გრძელცხვირა თოჯინა. მელანო იქნება უთუოდ, რადგან მის გარდა თავისი ხმით არცერთ ქალიშვილს არ ძალუძს უკან მოგახედოს. აკი ხუმრობენ მუშები: ეგ ტელეფონით თუ შეაცდენს ვინმესო.

მელანო ოცდაერთი წლისაა. მან უკვე დიდიხანია ისწავლა ოცნება, და მისი ოცნებებიც რომ ხმამაღლა ისმოდეს, მაშინ იქნებ აიღელვებინა ვაჟები. ფიქრებში მას ხშირად ისეთ მომჯადოებელ ქალად წარმოუდგენია თავი, რომ თვითვე შეჰყვარებია, გული ასჩუყებია და აცრემლებულა.

ნამდვილად კი მელანოს არ მოსწონს არც თავისი თვალები, ქუთუთოებზე ჩამოვარდნილი წარბებით უფრო დაპატარავებული, არც სქელი ტუჩები, არც ხელები, და მოკლე, თითქმის თანაბარი სიგრძის თითები. ამიტომ მელანო გაურბის ვაჟებს, რაც უფრო ლამაზია ვაჟი, მით უფრო ერიდება მასთან ლაპარაკს, რცხვენია, თითქოს დანაშაულად მიაჩნია, რომ ასე ულამაზო გაჩენილა, ჩაღუნავს თავს და გაივლის, ისღა აკლია, რომ სახეზე ხელები აიფაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელანო თავს არ იკოხტავებს; არც თმების დახვევა უფიქრია ოდესმე, არც ტუჩებისა და ფრჩხილების შეღებვა, ყველაფერი ეს ამაო ცდად მიაჩნია. ეგონ-ნია, რომ ამის უფლება მხოლოდ ლამაზ ქალებს აქვთ.

მაგრამ მელანოს უყვარს თავისი ცხოვრება, ყოველი დღე, რადგან ყოველ დღე ხედავს ფაბრიკაში ვასოს, ყოველი საღამო კლუბშია. უყვარს წიგნები, თავდავიწყებით უყვარს, და უყვარს თავისი დაზგა, ხან გამშაგებით მომუშავე, ხან ბავშვივით მძინებული და დადუმებული, მაგრამ ყოველთვის დამჯერე, თვინიერი, თითქოს მხარის დამჭერი, თითქოს მისი ღირსების დამცველი, ის დაზგა, რომლის მეოხებითაც ვერავინ აბუზოდ ვერ აიგდებს მელანოს, ვერავინ გაბედავს შეურაცყოფის მიყენებას, რომელიც აცხოვრებს, ტანთ აცმევს, კინოსა და თეატრში დაპყავს და სახარჯო ფულსაც აძლევს. ამას წინათ მელანომ ტანისამოსის კარადა და ორი ხის საწოლი შეიძინა, თავისი ხელით შეჰკერა ლამაზი, მწვანეპირიანი საბები. აბა, რა ქნას, რამე ხომ უნდა იყიდოს? ის კი არა და, ჰმ... ვერც კი გაამხელს ამას მელანო... კაცის ელექტროსაპარსი დანა იყიდა, რა ჯანდაბად უნდოდა ნეტავ, მოეწონა და იყიდა? რა თქმა უნდა, მოეწონა, როგორც ნივთი, მხოლოდ როგორც ნივთი... ისეთი ლამაზია, ისე პრიალებს! ნეტავ უზმარებლად ხომ არ გაფუჭდება? ეს ვასო მონტიორი კი ისეთი უგერგილო ვინმეა! რამდენ ფულს იღებს და ერთი ხერხიანი კოსტუმი არა აქვს, სამუშაო ხალათით მოდის კლუბში, და სულ არყის სუნი ასდის... ცოლი მაინც ითხოვოს, ჭკუაზე მოიყვანს... აი, ნახე თუ არ მოიყვანოს ჭკუაზე...

იმ დღეს აბრეშუმის საქსოვ კომბინატში ოპერატორი მოვიდა კინოქრონიკიდან, თან ასისტენტი და ელექტროგამნათებლები ახლდნენ. შემოიტანეს საამქროში ცალფეზზე მდგარი დიდთვალა პროექტორები, დადგეს სამფეხა გადამები აპარატი და ვასომაც იშოვნა საბუზღუნო მიზეზი, განგებ გაანელა საქმე და ვითომ დიდის ვაი-ვაგლახით შეუერთა ფაბრიკის ელექტროქსელს შავი რეზინის მილში ჩამალული კინოპროექტორის მავთულები. უყვარდა ვასოს თავისი ხელობის დაფასება.

ულვაშა, გრძელკისერა ოპერატორმა ხელი ხელში გაუყარა საამქროს ცვლის უფროსს და კარგი კომისიასავით დაზგების წინ ჩაიარ-ამოიარა ნელი ნაბიჯით, თან მქსოველ ქალებს აკვირდებოდა და ცვლის უფროსს რაღაცას ებაასებოდა, მაგრამ ხმაურში არაფერი ისმოდა.

ბოლოს ისინი მელანოს დაზგის სიახლოვეს შეჩერდნენ. მელანოს თავი არ აუწევია, მაგრამ იგრძნო, რომ ცვლის უფროსმა მისკენ ანიშნა ოპერატორს, ალბათ იმიტომ, რომ მელანო კარგ მუშად ითვლებოდა. ოპერატორი წამოვიდა, მელანოს გული აუძგერდა, აღელდა, დაიბნა და არ იცოდა რა გაეკეთებინა, მობრუნებულიყო თუ განეგრძო მუშაობა, მაგრამ უეცრად ოპერატორმა, თითქოს დაუძახესო, ერთბაშად იბრუნა გვერდი და ცალას დაზგასთან შეჩერდა.

ცალა ქერა, ცისფერთვალება გოგონაა, თხელი და ჰაერივანი, ფაბრიკაში ყველას ჩუმზუმად უყვარს იგი, მგონი, ვასოსაც... და როცა მელანო თავისთავს წარმოიდგენს ხოლმე ოცნებაში, ის ოცნება ცალას ჰგავს ხშირად.

— აი, ეს უნდა გადავიღოთ! — მოესმა მელანოს ოპერატორის ხმა, შეიძლება არც მოესმა და მხოლოდ მიხვდა, თუ რა თქვა გრძელკისერამ.

ცვლის უფროსმა ისევ მელანოსკენ ანიშნა.

— უხერხულია, — უპასუხა ალბათ მან.

მელანომ ვეღარ მოითმინა და მოიხედა. ოპერატორი ცალას ებაასებოდა. ბედნიერი და აღელვებული ჩანდა ცალა, ლოყაზე მოწოლილ სიწითლეს მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი კანი მურაბის ქაფისფრად შეეღებნა და უფრო მეტად გაელამაზებინა. იგი ოდნავ შეშფოთებული იყო, რა თქმა უნდა, სასიხარულო აღელვებისგან და სხვა არაფრისაგან. ცვლის უფროსიც შეუერთდა მათ ლაპარაკს, მერე საიდანღაც ამოძვრა ვასო, ციალას გაუღიმა და მხარზე ხელი მოუთათუნა. მელანოს რაღაც ჩასწყდა გულში, დაზგისკენ შემობრუნდა და გაშეშდა, ისე გრძნობდა თავს, თითქოს სცემეს, ზედ სიცილიც დაეყარეს და აბუჩად აიგდეს.

ზანზარებდა მთელი საამქრო, და ეს გამაყრუებელი ხმაური თითქოს პირველად, თითქოს მხოლოდ ახლა მისწვდა მელანოს სმენას, შეუნგრია საფეთქლები და გაოგნა. მაქო შმაგივით გარბი-გამორბოდა აქეთ-იქით, გაჰქონდა და გამოჰქონდა თეთრი აბრეშუმის ძაფი,

დაგ-დუგ,

დაგ-დუგ,

იმეორებდა მაქო მელანოს გულისძგერას, ფიქრებივით აქსოვდა ერთმანეთში სიფრფიანა ძაფებს.

„ნუთუ მხოლოდ სილამაზე?.. — ფიქრობდა მელანო.

დაგ-დუგ,

დაგ-დუგ. — ყვიროდა დაზგა.

„...სხვა არაფერი ფასობს ქვეყნად?“

დაგ-დუგ,

დაგ-დუგ,

„...ჩემზე ხომ არ იყო დამოკიდებული...“

დაგ-დუგ,

დაგ-დუგ,

„... რომ ლამაზი და მშვენიერი გავჩენილიყავი ამ ქვეყნად?“

დაგ-დუგ,

დაგ-დუგ,

„ცუდს არაფერს ვაკეთებ და არავის არაფერს ვუშავებ... რაც შემიძლია, ვმუშაობ და ყველა მიყვარს, მიყვარს ყველა ადამიანი... მეტი რა ვქნა, რა გავაკეთო?“

მელანომ უეცრად თვალი მოჰკრა, თუ როგორ აიკლაკნა ჰაერში ძაფი და გაქრა, აბრეშუმის ქსოვილს შავი სხივივით დაეჩნდა ხარვეზი, რომელიც თანდათან გრძელდებოდა. მან ინსტინქტურად გამორთო დაზგა და გამწყდარი ძაფის ბოლოები მოძებნა. პატარა, ლამაზ არსებებივით ამოძრავდნენ მისი თითები, თვალხილულებივით მიესივნენ ძაფს, მომხიბვლელად აიზნიქნენ. დაიკლაკნენ და აცეკვდნენ. მელანომ ელვისუსწრაფესად გაკვანძა გამწყდარი ძაფი, გაუყარა დგიმში და სავარცხლის კბილანებს შორის გაატარა. ახლა მაქომ აიწყვიტა თავი, გაიტაცა გამრთელებული კვანძი და სამუდამოდ გადაჰკარგა მოშრიალე, თეთრად მოლივლივე აბრეშუმის მბზინავ ქსოვილში, რომელიც ზანტად ეხვეოდა ღერძზე და აგორებულ თოვლის გუნდასავით სქელდებოდა.

გამნათებლებს უკვე დაედგათ კინოპროექტორები და ოპერატორის ნიშანს ელოდნენ. სამფეხზე მდგარი აპარატი თავისი ცალი თვალით დაჭინებით უყურებდა ციალას. იგი უკმეხ ბიჭს ჰგავდა, გოგოს რომ თვალს შეაკლებს და აღარ მოაცილებს.

მელანოს კი ეგონა, რომ ეს „უკმეხი ბიჭი“ მაინც მიაქცევდა ყურადღებას, ჩაუკრავდა თვალს და ეტყოდა: „ყოჩაღ, გოგო, კარგად მუშაობ!“ და სამუდამოდ დაიმახსოვრებდა კინოფირზე მელანოს სახეს. მაგრამ აპარატი ციალასკენაა მიბრუნებული, შესაქერის მოჯადოებულივით და, ვასოსი არ იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი ვეღარ მოუცილებია. ისიც ვერ ამჩნევს მელანოს, ამ შუშისთვალიანს, იცის, ვის შეხედოს და ვის არა.

მზესავით ანნოო კინოპროექტორი, შეირხა, შემოტრიალდა და ააქროსფერა ციალას თმები, გააცისკროვნა მისი თვალები. თითქოს სიბნელეში მიიყუჟა მთელი საამქრო, მხოლოდ ციალას დაზგა დარჩა გაბრწყინებული და მხოლოდ ციალა დარჩა მთელ საამქროში.

გრძელკისერა ოპერატორმა აპარატი აამუშავა და ერთბაშად თვითონაც გამოცოცხლდა. ხან ზურგიდან მოუარა ციალას და გადაიღო, ხან წინიდან, შორიდან, ახლოდან. ბოლოს მხოლოდ სახე გადაიღო ციალასი, გააღიმა, გააცინა, ჩაფიქრა, მიახედ-მოახედა, და იღებდა, სულ იღებდა და აღარ ათავებდა.

მელანოს თვალები თითქოს უხილავი ძაფებით გადაბმულიყო მაქოზეო, აქეთ-იქით გარბი-გამორბოდა. ხმაშეწყობილად მუშაობდა დაზგა, მოილტვოდნენ, მოცოცავდნენ ძაფები, ერთმანეთს ეხლართებოდნენ, ერთმანეთს ამაგრებდნენ, ხელახლა იბადებოდნენ ერთ მთლიან ქსოვილად და მერე თითქოს თავიანთ თავს ივიწყებდნენ, როგორც წვიმის წვეთები მდინარეში.

ფიქრობდა მელანო, თუმცა იმ აკვიატებულ კითხვას, რომელზედაც პასუხი ვერაფერით ვერ გაეცა, ფიქრი არ დაერქმეოდა.

ეს იყო ტკივილი, სხეულის სიღრმეში მუგუზალივით ანთებული, რომელსაც ხელით ვერ მიწვდებოდა და ვერ ჩააქრობდა. ეს იყო ტკივილი ქალისა, რომელსაც ბუნებამ მხოლოდ სული მისცა ლამაზი, როგორც ეკლის ხეს — სურნელება...

მელანოს უეცრად თვალები დაუბრმავა კაშკაშა სინათლემ. კინო-პროექტორი მისკენ მოტრიალდა და ლოყა აუწვა. განათდა, აელვარდა მელანოს დაზგა. ანაბრწყალდნენ აბრეშუმის ძაფები.

ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო.

— ახლა თქვენ უნდა გადაგიღოთ! — ჩასძახა ყურში ოპერატორმა და თავისი აპარატი მელანოსკენ შემოატრიალა. ცალთვალა „უკმეხი ბიჭი“ ახლა მელანოს ჩააშტერდა დაჟინებით, მთელი საამქრო მელანოსკენ შემოტრიალდა, თითქოს გაილუსა ფაბრიკა, თითქოს პირი მოიკუმეს მანქანებმა, და მოვიდა ვასოც, გაუღიმა მელანოს და მხარზე ხელი მოუთათუნა. სიამოვნებისაგან გააჟრჟოლა გოგოს, წამოწოლილა, შერცხვა.

„რა სულელი ვყოფილვარ, — გაიფიქრა მელანომ, — რა შურიანი ვყოფილვარ!“

— მე შეგამჩნიეთ, რა სწრაფად და ლამაზად გაკვანძეთ გაწყვეტილი ძაფი, — ყვიროდა ოპერატორი, — თუ შეიძლება გაიმეორეთ.

— გავიმეორო? როგორ გავიმეორო? — დაიბნა მელანო.

— გასწყვიტე ძაფი, — ჩასძახა ცვლის უფროსმა, — და ისევ გაკვანძე, ეს საპეროა გადაღებისათვის.

ისევ ამუშავდა კინოაპარატი, ისევ გამოცოცხლდა ოპერატორი, ახლა მელანოს გარშემო დაიწყო ტრიალი. ჯერ ახლოდან იღებდა, მერე შორიდან, ბოლოს მხოლოდ ხელები გადაიღო მელანოსი, როდესაც იგი ძაფს კვანძავდა, გადაიღო რამდენჯერმე. იღებდა, სულ იღებდა და გათავებას აღარ აპირებდა.

„სულელი, შურიანი... ეჭვიანი... აი, ვინ ვყოფილვარ მე, სულელი... შურიანი... ეჭვიანი, აი, რა ვყოფილვარ თურმე. სულელი... შურიანი... სულელი... შურიანი...“

ფიქრობდა უზომოდ ბედნიერი მელანო და თვითონაც არ იცოდა ტუქსავდა თუ ეალერსებოდა საკუთარ თავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*
* *

— მელანო, შენ რომ მეუბნებოდი, კინოში გადამიღესო, მე ვნახე ის კინო-ჟურნალი და შენ არ ხარ! — ამ სიტყვებით შეხვდა ერთი კვირის შემდეგ მეზობელი ქალი, როდესაც მელანო სამუშაოდან შინ დაბრუნდა.

— არ ვარ? — წამოწითლდა მელანო.

— ჰო, გვარს კი ახსენებენ, მაგრამ შენ თვითონ არ ჩანხარ! — ჩაუგესლა ქალმა.

— სად ნახე? — ვითომ სხვათაშორის ჰკითხა მელანომ, რომ აღელვება დაეფარა.

იმ საღამოსვე წავიდა მელანო კინოში, წავიდა მარტო. იარუსის ბოლო რიგში აიღო ბილეთი, ავიდა და კუთხეში დაჯდა. კინოს დაწყებამდე ქურდულად იხედებოდა აქეთ-იქით, ეშინოდა ფაბრიკის ნაცნობ მუშებს არ დაენახათ, მაგრამ რატომ ერიდებოდა მათთან შეხვედრას, ეს ვერ აეხსნა.

დარბაზი მაყურებლებით გაივსო, კინოს დაწყებას წამებიღა აკლდა. მელანო ღელავდა; ნუთუ მართლა იცრუა ოპერატორმა? ნუთუ მხოლოდ საჩვენებლად მომართა თავისი აპარატი? დაამშვიდა ცვლის უფროსი, დააკმაყოფილა მისი სურვილი და ეკრანზე კი აღარ გაუშვა? მერედა, რა საჭირო იყო ეს თვალთმაქცობა, დააძალა ვინმემ, თუ რა...

სინათლე ჩაქრა, ეკრანზე გამოჩნდა თბილისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის შესასვლელი, ბაღი ფაბრიკის წინ. მოისმა რიტმული მუსიკა, ალაპარაკდა დიქტორი, მან ქებით მოიხსენია კომბინატის მუშები, მათი საქმენი და წარმატებანი. და უეცრად ახსენა ციალას გვარი...

იღიმება ეკრანიდან ციალა, ჩანს მხოლოდ დაზგის კუთხე და ციალას ზედატანი, მისი ხელები კი არ ჩანს, თუმცა ისედაც მიხვდება მაყურებელი, რომ ციალა მუშაობს. ახლა მისი პროფილი გამოჩნდა, მერე ციალას სახემ მთელი ეკრანი დაპფარა, დარბაზისკენ მოიხედა ციალამ, პირდაპირ მელანოს მიაპყრო დიდი, წყლიანი თვალები და გაუღიმა.

მელანოც უღიმის საყვარელ ამხანაგს, მაგრამ გულს რაღაც ნაღველი დასწოლია და აწუხებს...

უეცრად ეკრანზე მელანოს სახემ გაიელვა და თვალის დახამხამებაში გაქრა. მელანოს გული გადაუტრიალდა, სუნთქვა შეეკრა, რა იყო ეს? მოეჩვენა თუ მართლა დაინახა? ალბათ, არ მოსჩვენებია, რადგან დიქტორმა ახსენა მისი გვარი, შეუქო მუშაობა და ბოლოს თქვა, რომ მელანო ზედმიწევნითაა დაუფლებული თავის პროფესიას, რომ მისი თითები ზღაპრული სისწრაფით მოძრაობენ.

და ეკრანზე გამოჩნდა თითები, რომლებმაც ელვისუსწრაფესად გაკვანძეს გაწყვეტილი ძაფი. მერე ისევ თავიდან აჩვენეს, მხოლოდ ნელა, გაცილებით ზანტად ამოძრავდნენ თითები, ისევ მოძებნეს გაწყვეტილი ძაფის ბოლოები, გაკვანძეს. გაატარეს დგიმში, საკარცხლის კბილანებში... მიხვდა მელანო; განგებ აჩვენებდნენ შენელებულად, რომ მაყურებელს ნათლად დაენახა მთელი პროცესი.

პატარა, ლამაზ არსებებივით დაცოცავდნენ თითები, თვალხილულებივით პოულობდნენ ძაფის ბოლოებს, მომხიბვლელად იზნიქებოდნენ, იკლაკნებოდნენ და თითქოს ცეკვავდნენ მუსიკის რიტმზე.

ღმერთო, ნუთუ ეს ლამაზი თითები მელანოსია? ასეთი ნატიფი, ასეთი კოხტა თითები ნუთუ აქვს მელანოს? მერე როგორ ახსენებს დიქტორი! თვითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელანოსაც რომ უკვირს მათი საოცარი მოქნილობა? ღმერთო, ნუთუ მისი ხელი თითები? ჰო, მისია, მელანოსია, მაგრამ კინოში ალბათ წაგრძელეს და გადაუსვეს მაზეს.

მელანომ უნებურად დაიხედა ხელებზე, სიბნელეში გაარჩია ათი მკრთალი ზაზი, მისი ათი თითი, რომლებიც ახლა უმოძრაოდ მოსვენებულიყვნენ პატრონის მუხლებზე. რამდენი რამ შეუძლია ამ ხელებს! რამდენი საოცრების ჩადენა! მათ ხომ ალერსიც შეუძლიათ... და ვინ იცის, იქნებ ყველაზე მეტად სწორედ ალერსი ეხერხებათ, ვინ იცის, იქნებ ეხერხებათ...

გარინდებულიყვნენ კაბის კალთაზე მოსვენებული პატარა, ყოვლისშემძლე თითები. სამაგიეროდ ეკრანზე გაცოცხლებულიყვნენ, გადიდებულიყვნენ, თითქოს გამრავლებულიყვნენ კიდევაც და ჯამბაზებივით დახტოდნენ და დაფუსფუსებდნენ სხივებივით უწყვეტ ძაფების ნაკადში.

რა ხანმოკლედ აჩვენეს მელანოს სახე, ძლივს მოასწრო დანახვა. და რა ხანგრძლივად აჩვენებენ მის ხელებს, ისევე ხანგრძლივად, როგორც ციალას დიდი წყლიანი თვალები ჩანდა ეკრანზე.

და უეცრად მელანოს მოეჩვენა, რომ მისი ხელები, ეკრანზე მოფუსფუსე მისი თითები, ისევე ლამაზი და მომხიბვლელი იყო, როგორც... როგორც ციალას თვალები, ციალას ტუჩები და თმები.

მელანომ ოდნავ მაღლა ასწია ხელები, აიცილა კაბის კალთას და დააცქერდა. მერე საჩვენებელი თითი, ყველაზე მოქნილი და გამრჯე თითი, თვალთან ახლოს მიიტანა, თითქოს უნდოდა გაეგო, თუ რას წარმოადგენდა იგი, ასეთ საოცრებათა ჩამდენი. და უეცრად ამ თითმა დაჰფარა მთელი დარბაზი, ამ პატარა თითმა, წარმოგიდგენიათ? ამ ერთმა ციცქნა თითმა მთელი სამყარო დაჰფარა. მელანოს ბავშვივით გაეღიმა. ნელ-ნელა წინ გასწია თითი — გამოჩნდა დარბაზი, ისევ თვალთან მიიტანა — დაიფარა მთელი სამყარო.

თამაშობდა მელანო.

წვიმა მოსულიყო და რუსთაველის პროსპექტი სარკესავით ლაპლაპებდა ელექტროშუქზე. მელანომ ფეხით გასწია შინისაკენ. მიაკაკუნებდა ტროტუარზე ტუფლებს და გულში ოპერატორს ეგაასებოდა: „როგორ გეკადრებათ, — ეუბნებოდა მელანო, — მე სულაც არ მწყენია, რომ ხანმოკლედ გამომაჩინეთ, მე ჭესმის თქვენი, თუმცა არც ისე მახინჯი ვარ, რომ... ერთი სიტყვით, მე არაფერი მწყენია, პირიქით, მადლობელიც ვარ“. „რას ამბობ, სიმახინჯე რა შუაშია, თქვენ მშვენიერი სახე გაქვთ კინოსთვის, — თავს იმართლებდა ოპერატორი, — ჰაგრამ ხომ მოგეხსენებათ, კინოს თავისი კანონები აქვს, ერთის სახე უნდა ვაჩვენოთ, მეორის — მუშაობა...“ ოპერატორმა თავი დაუკრა მელანოს და გაქრა. ბის ადგილზე მეზობელი ქალი ამოტივტივდა: „რას ამბობ, — შეიცხადა მან, — მართლა ხარ? მე კი ვერ შეგამჩნიე, მე თვალდასაბრმავებელმა“. და მეზობელმა ქალმა უხერხულად იგრძნო თავი. მერე მელანო თავის სამყაროში აღმოჩნდა. გარს ეხვეოდნენ მუშები და ულოცავდნენ, ვასო ახალ კოსტუმში იყო გამოწყობილი, პირიც კი მოეპარსა. იგი ერთი პრანქუა-გრეხვით მიუახლოვდა მელანოს, განგებ ზედმეტად აღტაცებული სახე მიიღო, მელანოს ხელი მოწიწებით მიიტაცა ტუჩებთან და ზედ ეამბორა...

საკუთარმა ხმამაღალმა სიცილმა გამოაფხიზლა მელანო ამ ოცნებიდან, კისკისებდა და თავი ვერ შეეკავებინა; „ოჰ, ვასო... შენ მომიკვდი ბარემ, ოჰ, შენ გაქრი ბარემ...“ ებუტბუტებოდა ვასოს და არ დარდობდა, თუ რას იფიქრებდნენ მასზე გამვლელები. ერთმა ახალგაზრდა ყმაწვილმა მოიხედა მელანოსკენ. დაეინებით დაკვირდა, მერე შეშფოთებით შეათვალიერა საკუთარი თავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანისამოსი, სახეზე ცხვირსახოციც გადაისვა ყოველშემთხვევისათვის, რაკე ხომ არ მაცხია და ეს ბოგო ჩემზე ხომ არ იცინისო.

ჩემზე ხომ არ იცინისო?! მიხვდა ვაჟის შიშს მელანო და ახლა კი მართლა გაიცუდა სიცილით. ნაბიჯის გადადგმა ვეღარ შესძლო, შეჩერდა და სახეზე ხელმფარებულს, მხრები აუტოკდა. ცდილობდა დაეფარა თავისი ხმა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, მთელი მისი არსება მხიარულებად გადაქცეულიყო და ამოდიოდა, სიცილად იფრქვეოდა, როგორც ბოთლიდან განთავისუფლებული ზღაპრული სული.

ერთბაშად შეიკავა სიცილი, სერიოზული სახე მიიღო, მართლაც რამე არ ეგონოს ხალხსო, და განაგრძო გზა. თუმცა ღიმილი ასე უცბად ვერ დაევიწყებინა მის სახეს და თვალებაციმციმებული, ტუჩგახსნილი მიამბიჯებდა. ახლა შიგნით, სხეულის სიღრმეში ჩაბრუნებულიყო სიცილი და იქაც ერთ ამბავში იყო. წვიმას ჩამოყოლილი სიგრილე სულიერ არსებასავით ელამუნებოდა მელანოს გახუნებულ ლოყებს...

უნებურად მან ვიტრინის დიდ შუშაში გაიხედა და შეჩერდა. შუშის იქით, სარკეებიან ოთახის კედელთან, სურათივით მოჩანდა მშვენიერი ახალგაზრდა გოგონა, რომელიც პატარა მაგიდასთან იჯდა და თავისი გრძელი, ფოსფორივით მანათობელი თითები წინ გაეწვდინა. თეთრხალათიანი ქალი მკითხავივით დასცქეროდა მის ხელს და ფრჩხილებზე ვარდისფერ ლაქს უსვამდა.

მელანოს გული აუძგერა უეცრად დამადებულმა სურვილმა. უკვე მერამდენედ დაიხედა თავის ხელებზე, მოკლე, თითქმის თანაბარი სიგრძის თითებზე. კვლავ წარმოიდგინა ამ ხელებზე ტუჩდაკონებული ვასო და კვლავ აუტყდა ხმადაბალი სიცილი:„ოჰ, ვასო... ოჰ, შენ გაქრი ბარემ, ...შენ მოკვდი ბარემ“

კარს მიაწვა და ლაღად შესრიალდა იმ სარკეებიან ოთახში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ჩარკვიანი

ორვანი ყოლეტი

თეთრი სიჩუმე

მზემ უდიდესმა მიწას დაჰხურა,
ყვავილი ატმის, ყვავილი ნუშის,
ყველა ყველა და დღეს გაზაფხულმა
რაღა მარტო მე ჩამხედა სულში.
არის სიჩუმე ნაზი და თეთრი,
დაჰქრიან მინდვრად თეთრი ქარები.
მწვანე ტყეებს და ბალახებს ვერთვი
და გაზაფხულად დავიარები.
შორს სიზარმაცე მოაქვს ხარურემს,
მეურმე მინდვრის სიმღერას მღერის:
— რა უცნაურად ამახმაურე,
რა უსაშველოდ დამრიე ხელი.

სურათი

ბებლებს შეუკერავთ ფარჩა და სტავრა,
ეს რა საუცხოო ჰქონიათ ფრთები,
და გაზაფხული მოსული მტკბარად,
თითქო ცოტა არის და არა კმარა,
ისე უსაზღვროდ ვგოლიათდები.
იებს უხარიათ თვალები ღია.
მიწის სიმწვანე ასული ცათ არის,
ფერი ცის იწონებს მერცხლების
ფრთხიალს,
მთას გადმომდგარა დეკა და ღვია
და ნაკადულებს მიაქვთ ზამთარი.

სურვილი

ერთხელ სურვილით ვერ მოგეფერე,
— რაღაც შიში მაქვს შენებრ კარგების,
ვაი თუ წახვალ, წახვალ და მერე
ნაკადულივით დამეკარგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მგონია, არასდროს მოხვალ,
ვარ გამოწვდილი შენსკენ ხელები,
რა ვიცი, იქნებ ალუბლის რტო ხარ
და გაზაფხულზე მოგეფერები.

უშენოდ

შეეწყობიან წყარონი ხმებში,
მთებში დუმილი დაიქარგება.
მე წავალ ვიღი ტყეში და ღრეში,
წავალ, ვივლი და დავიკარგები.
მომეჩვენება სიცილი შენი,
მერე შენსავით გამეცინება.
რტოებს დახრიან შრიალა ხენი—
— შენ არ იქნები და მეწყინება.
უშენოდ ვივლი ტყეში და ღრეში,
ჩემი სიცოცხლის შენთვის მსურველი,
მერე გაზაფხულს ავიყვან ხელში,
რომ ვიგრძნო შენი თმების სურნელი.

შორეთს

მზე დასწვავს ალბათ ალუბლის მერქანს,
რა მოვუხერხო, როგორ ეუშველო,
ვინც უნდა ვიყო, რაც უნდა მერქვას,
დავიღუპები მაინც უშენოდ.
დავიღუპები და წავალ შორეთს;
შორეთს დამრჩები დასაფიცარი,
შენ ნუ აჰყვები დიაცთა ჭორებს,
ზურგს უკან ჩემი თვალი იცანი.
დღენი ნეტარნი წარვლიან როცა,
ცხოვრებას თვალი ვერ დაუმშვენო,
მოგენატრები და არ სთქვა ლოცვა,
დავიღუპები რადგან უშენოდ.

გაზაფხულზე თვალი

ეგ შენი კალთა, პატარა კალთა,
ერთხელ იებით მაინც ამევსო,
გაზაფხულია, ჰაერი დათბა
და შენ არ ჩანხარ ჩემო ალერსო.
...
ეჰა, შენ ჩემო ოქროს ლერწამო,
ამ სიმღერაზე მეტი არ მეთქმის,
ან გაზაფხულით უნდა ვეწამო
ან შენთა თვალთა სიყვარეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრი

ისე მივლია სიცოცხლის გზები—
არ გამტეხია თოვლში მარხილი,
სხივი ვყოფილვარ ლრუბელთა ზევით
და ყვითელ ფოთოლს დავუმარხივარ.
მე შემხვედრია იდუმალ წუთთა
წადილი დიდი და უნაზესი,
და ხშირად ახლდა ჩემს ყოველ
სუნთქვას --
ფიქრი უდაბნოს და ოაზისის.
და თუ ფიქრებში ღრენი მომაკლდა,
დღე ღიმილია და ამბორია,
მე ისე ვგავარ ყველა მომაკვდავს,
რომ ჩემი სუნთქვაც მისი მგონია.
მინათე ჩემი ბედის მნათობო,
რადგან ზღვასავით გაზრდა მწყურია,
სიცოცხლის გზებზე თუნდაც დათოვოს,
თოვლის ქვეშ მაინც გაზაფხულია.

ვაჟა

შატილით მოდიოდა—
დიდი მთებით,
მთვარეს შეხვდებოდა
ჟინვალთან,
მთვარის ოდენა ხინკალს
მიირთმევდა
ეს დიდი ბერმუხა და
მყინვარმთა.
ხელები ჰქონდა —
წყაროს ამოსცლიდა,
ქვეყნის მაჯისცემას
უგდებდა ყურს,
მერე დაპყვებოდა ბალახებს—
დაპკოცნიდა
და შეუკურთხებდა
ციმბირის წყლულს.
ის იყო დიდი და
ის იყო სხვა,
მისი მართალი სულის ცხონებამ.
მერე ცხოვრებას
მოუჭრა გზა
და შორს გაასწრო
თვითონ ცხოვრებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩეჩელაშვილი

საბჭოთა კავშირის გმირი

ფალავნის ფრთიანები

ალუგლის გაღი

— დღეს ვახშამი გვექნება — წუხანდელ გულიაშს დაგავიწყებთ!.. — ნოდარი თვალს მიკრავს და ვითომ სიამოვნებით ხელებს იფშვნეტს.

— რა შეიგულე ასეთი? — გაიოცა დავით ჩიქოვანმა.

— რა შევიგულე და კალმახი, შემწვარი კალმახი... იფჰ... რას იტყვი, დათა, შემოგვევლე?

მდინარის პირას მოფუსფუსე აშოტმა ახლოლა ცქვიტა ყურები და ქვეშ-ქვეშ გამოჰხედა ცუღლუტურად მომღიმარე ჩვენს ტექნიკოსს. დათამ ვერაფერი გიგო.

— რას პრუტუნობ, ბიჭო, სადაა ყუბანში კალმახი?

— სადაა და, თურმე, რაც სევანის ტბაში იშხანი იყო, ერთიანად აყრილა და ამ ჩვენს წყალში გადმობარგებულა.

აშოტს კინაღამ ხელიდან გაუვარდა ანკესი.

— აბა, აბა, მასხარა შენი თავი გააკეთე! — იწყინა მან და ერთმანეთზე გადაბმული ხშირი წარბები მოქუშა.

— ძმობას გეფიცები, არ გჯერა, თუ? მთელი მდინარე ავსებულია. ოღონდ ანკესით რას მოერევი, აშოტ ჩემო, ბადე გინდა, სასროლი ბადე.

— ფხუ-უ...

— ხა-ხა-ა-ა...

ეხლა აშოტსაც ეღიმება.

— ნახე, თუ გაჭამოთ... დამაცალ!.. — იმუქრება იგი. მერე ანკესზე ახალ ჭიაყელას აცვამს და მარჯვედ იქნევს შუა მდინარისაკენ.

— არ გვაჭმევ და აგიყოლდება, შვილო... მარილი მაინც გამოგერთმია პეტიასთვის... — არ ეშვება ნოდარი.

— კალმახი არ ვიცი და ამ ყველის სუნმა, უკაცრაო პასუხია, დამახრჩო კაცი.

ამას ბიჭიკო ლომიძე ამბობს, ჩვენი ეკიპაჟის შემაიარაღებელი.

აშოტი დადარაჯებული გაიტრუნა — კიდევ ხომ არ ამასხრებენ ნეტავი? კითხვა უნდა და ვერც გაუბედია. ისევ მდინარეზე გადააქვს იმედნეული მზე-

---

გაგრძელება. იხ. „ცისკარი“, № 1, 2, 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, ეჩვენება კიდეც — ნამდვილად თევზმა პირი მოიკიდაო, და ანკესი ამოტყორცნის წყლიდან. შენც არ მომიკვდე, სადაა თევზი! აგერ ერთი ცალი იქნება ასე უყარაულებს ამ ანკეს და ორიოდე ბიჭაინა ძლივს მოიგდო ხელში. არა და ამდენი დროც არაა, საცაა მისი ესკადრილია დაბრუნდება, მერე ალბათ ჩვენ მოგვიწევს გაფრენა. აშოტი კი ნაბრძოლ თვითმფრინავებს უნდა მიადგეს და, როგორც თვითონ იცის ხოლმე თქმა — „აპაჩინკოს“.

დრო გადის. აშოტს მოომინება ელევა. მალიმალ ამოსწევს ხოლმე წყლიდან ანკესს. ჭიაყელას მეტი ისეგ არაფერია.

გაღმა მხარეს კისკისი გაისმის. მდინარის პირას ჩამორბიან სოფლელი ქალიშვილები. ფუთით სარეცხი მოაქვთ. წყლის პირს ჩარიგდნენ, ჩაიჩოქეს და თავიანთ საქმეს შეუდგნენ. თან ხანდახან ჩვენსკენ გამოიხედავენ და კისკისებენ, კვდებიან სიცილით. ბიჭები იმმუშნებიან და მოღიღინებულ მკერდებს თვალს ვერ აშორებენ.

— ე, კაცო, ნუ მომკალი! იმ გოგოებს რო მიშტერებიხარ. გირჩევნია ფეხზე ჩაიცვა. დამახჩო ყველის სუნმა! გაგერეცხა მაინც ეგ ფეხსახვევი... — ვითომ გაგულისდა ბიჭიკო.

ახლოა მივხვდით, რა ყველის სუნზე ლაპარაკობდა ბიჭიკო. ყველანი ვხარხარებთ, ყველაზე მეტს — აშოტი. მხოლოდ დათამაც ვითომ იწყინა, შეურაცხყოფად მიიღო, მტვრიანი ფეხსახვევი ზედ ცხვირში მიაბერტყა ბიჭიკოს...

— ბაბუა გიცხონდა, პედიკური გაქვს გაკეთებული მაგ ტურტლიან ფეხებზე...

— ჰაიტ შე გაფუჭებულო, ვის უბედავ, თუ იცი?

ჩვენი შემაიარაღებელი ფიცხლად ზეწამოიჭრა და მოტორისტს ეძგერა. ბომბორა ჩაქოვანი დინჯად წამოიზლაზნა და ისე დატორა ლომიძე, გეგონე- ბოდათ აი, ახლავე, ლავაშივით მიწას გააკრავსო. მაგრამ ბიჭიკო რის ბიჭიკო იქნებოდა! თვალის დახამხამებაზე წელში შეუფარდა დათას, მარწუხივით შემოეჭდო და იმდენი ჰქნა, მისი თავი რომ მოწინააღმდეგის დაკუნთულ მკლავებში იყო მოქცეული, ტანით დათას ზურგსუკან აღმოჩნდა.

გახურდა ჭიდილი!

— აბა, შენ იცი, ბიჭიკო!.. შუაკაური!..

— მიდი, დათა, დატორე შენებურად!..

აშოტს თავისი ანკესი დაავიწყდა, თავი ჩვენსკენ აქვს მოღრეკილი.

მდინარის გაღმა ქალიშვილები უფრო ხალისიანად ატკარცალდნენ.

ბოლოს ისევ სხარტმა და ღვედივით მოქნილმა ბიჭიკომ იმარჯვა, მოგვერდით წამოიღო ეს მდევრივით კაცი, მის სიმძიმეს თვითონაც ვეღარ გაუძლო და ორივენი ერთად დაეცნენ; თუმცა ბიჭიკო ზემოდან იყო მოქცეული, მაგრამ გამარჯვებული მაინც ვერ გამოვლინდა — ბეჭები მიწას არ შეეხებია.

სიცილით, ლაღობით წამოდგენ და ის იყო ხელახლა უნდა შეეპბმოდენ ერთიმეორეს, რომ აშოტმა დაუძახა ბიჭიკოს:

— მოდი, მე გეჭიდავო!

ლომიძემ დათას თავი ანება და გაკვირვებული შებრუნდა მეთევზისაკენ:

— შენ რა, იცი ჭიდაობა?

— ეხლა ნახავ! — დაქანებით მიუგო აშოტმა, წამოდგომა დააპირა და ერთბაშად თითქმის არაადამიანური ხმით შეჰღრიალა: — ვა-ა-ა!

მის ანკესზე ორმტკავლიანი თევზი ფართხალებდა.

— ეს მოგებულსაა, — განაცხადა მეთევზემ და ნანადირევი ბიჭიკოს მიართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიუკომ ჩამოართვა. წამით დაბნეული დაჰყურებდა უმწეოდ პოლოსგა-ბულ თევზს, მერე კი მძლავრად მოიქნია და მდინარის გალმა მხარეს გასტყორცნა.

— ფეშქაშ, გოგოებო-ო! — გასძახა თან.

თევზი ნაპირთან ორ ნაბიჯზე ჩავარდა წყალში. ქალიშვილებს ერთი ჟრიამული შეექმნათ, სიცილ-კისკისით ააშხეფეს წყალი ერთიერთმანეთს უსწრებდნენ ნაჩუქარის პოვნაში.

სარეცხი ვიღას ახსოვდა! ფერად-ფერადი ნაჭრები ატივტივდა და დინებას ნელ-ნელ გაჰყვა. ეხლა ამ ნაჭრების დასაჭერად გაიქცნენ წყალწყალ ქალიშვილები.

— ქალო, შენი თეთრი კაბა

წყალს მიჰქონდა, მდინა-რე-სო...

ძალიან დროულად არაკრაკდა ბიუკოს პირველი. ნოდარმა მეორე მიაშველა, ნიკომ, დათამ და მე ბანი ვთქვით.

გალმა ჟრიამული მალე მიწყდა. ქალიშვილები სმენად იქცნენ. ამან სიმღერის ხალისი გაგვიორკეცა. ეს დალოცვილი მზე, გაზაფხულის მცხუნვარე მზეც თავისას შვრებოდა, სისხლი გვიჩქროლავდა და ნეტარებას გვგვრიდა.

— ნეტავი გამაგებინა —

ვინ გაკოცა მძინა-რე-სო...

აშოტიც მოჯადოებულივით მოგვჩერებია. ანკესი ისევ დაავიწყდა. მერე ხმადაბალ, სიმღერას რომ ხელი არ შეუშალოს, ყურში მეუბნება:

— ოთარ-ჯან, აი ეხლა ეგრევე ყველანი ერევანში, ჩემ ეზოში დაგვსვა... რა სტუმრები მეყოლებოდა!.. ომი რომ გთავდება... ე-ეჰ, ერთი მალე გთავდეს და...

ჯარისკაცმა მოირბინა. სასწრაფოდ გვიხმობენ. ერთი წამი და ფეხსახვევები მარჯვედ მოვირგეთ, ჩექმებიც წამოვიცვით, სირბილით გავეშურეთ შტაბის შენობისაკენ. რომელიც სოფლის კიდეზე ალუბლის აყვავებული ბაღის განაპირას იდგა.

— პირველი და მესამე ესკადრილიები სასწრაფოდ უნდა გაფრინდნენ მცირე ხმელეთისაკენ! — გვიბრძანა პოდპოლკოვნიკმა სმირნოვმა.

*

* *

დაუვიწყარი ამბავი მოხდა სამი თებერვლის ქარიშხლიან დამეს ნოვოროსიისკის მახლობლად, მტრის ზურგში, კლდოვან სანაპიროსთან. შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებმა ნაპირს კატარღები მიაყენეს, ბრძოლით გადავიდნენ ხმელეთზე და მცირე ფართობი დაიკავეს. მისი სიდიდე ოთხ კვადრატულ კილომეტრს არ აღემატებოდა, მაგრამ ეს ოთხი კილომეტრი შემდგომში ოცდაორად გადაიქცა.

ამ ადგილს „მცირე ხმელეთი“ შეარქვეს.

გერმანელთა ოთხი რჩეული დივიზია მიაწყდა „მცირე ხმელეთზე“ გამაგრებულ მამაცებს. იერიში იერიშს მისდევდა, შეტევა — შეტევას. გაზაფხულის სიცხეები ისე დადგა, ძვრა ვერ უყვეს საბჭოთა მებრძოლებს, მათი ზურგი ვერ დაინახეს და თავიანთვის საბედისწერო პლაცდარმი ვერ დაიბრუნეს. მაინც არ ცხრებოდნენ. დღეში რამდენჯერმე ეკვეთებოდნენ ჩვენს ჯარებს ხმელეთით, ზღვით და ჰაერით.

ნოვოროსიისკის განთავისუფლების ბედი ამ პლაცდარმზეც იყო დამოკიდებული.

დღეს იქ განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღებულა. საჭიროა მივეშველოთ ჩვენს დესანტს, თორემ ფაშისტების სატანკო კოლონამ ლამის გაარღვიოს ამდენი სისხლის ფასად შენარჩუნებული და გამაგრებული პოზიციები.

დიდხანს არ დაეყოვნებულვართ „მცირე ხმელეთის“ თავზე. ჩვენ თვითონაც არ მოველოდით, ისე მარჯვედ, ისე სწრაფად უკუვაგდეთ ნაღები „ვეფხები“.

ეროდრომზე დავბრუნდით თუ არა, აშოტი მოიკრა ჩვენთან.

— აბა, ჩქარა, ალუბლის ბაღში ყველანი!

— რა ამბავია?

— ნახავთ, თითონ ნახავთ! ნუ ოგვიანებთ.

ბაღის კიდესთან სატვირთო მანქანა დგას. აშკარად უცხოა. ვინ უნდა მოსულიყო? ბაღის სიღრმეში ბლომად ხალხი ჩანს. უმეტესობა ხასხასა მოლზე წამოკოტრიალებული. ჩვენებია, ჩვენი პოლკის მფრინავები. მაგრამ სხვებიც არიან, ვიღაც უცნობი პირები — ქალები, კაცები. მათ სამხედრო ფორმა არ აცვიათ. თვალსა გვჭრის თეთრი, წითელი, ჭრელი კაბები, ხალათები, მოსასხამები; სამოქალაქო ტანსაცმელი — ნანატრი, ლაზათიანი, ჰაეროვანი...

იქვე სახელდახელოდ ესტრადა გაუმართავთ. მასზე ორი უცნობი ადის. ერთი ბაიანს იმარჯვებს, მეორე რაღაცას აცხადებს. ჩვენი ბიჭები ტაშს უკრავენ...

— Ого. с корабля на бал! — როხროხებს გახალისებული ზოლოტუხინი.

— ს-ს-ს, ჩუმად! — შემობრუნდნენ უკმაყოფილო სახეები.

ესტრადაზე მდგომნი უკვე მღერიან.

— კულტმიმსახურების ბრიგადა! — საიდუმლო ხმით გვაცნობს აშოტი.

ა-ა-ა, თურმე ვინ ბგწვევია სტუმრად! ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთმა, ვენაცვალე, კარგი ხალხი ყოფილა, თორემ რა ოჯიდათ ამ ჯოჯოხეთში მოსასვლელად! კაცმა არ იცის — საიდან როდის რა გამოტყვრება, როდის აუფეთქდებათ ცხვირწინ ჭურვი ან სად აუყირავდებათ მანქანა გადათხრილ თემშარაზე! მაგრამ ესენი, ეტყობა, არც გაჭირვებას ერიდებიან, არც საფრთხე და რისკი აშინებთ. დადიან აერიდროომიდან ეროდრომამდე, სანგრიდან სანგრამდე და ადამიანურ ცხოვრებას მოწყურებულ ხალხს ცოტათი მაინც უმსუბუქებენ გასაჭირს, წუთით მაინც ავიწყებენ სადარდებელსა და სატკივარს...

ხასხასა ბალაჯზე ვსხედვართ, ირგვლივ ალუბლის ხეები თეთრად გადაპენტილა. თავზე კრიალა ლაჟვარდი დაგვნათის. ზოგჯერ ნაავი შემოფრინდება ამ საოცნებო ბაღში, ერთი-ორ ყვავილს ფურცელს აიფრიალებს და ნანაობით მიფარფატებს მაღლა-მაღლა.

ნახევარი საათის წინ კი ცეცხლსა და რკინის ნიაღვარი დუღდა ჩვენს ირგვლივ...

პირველი სიმღერა არც იყო დამთავრებული, ჩვენი ესკადრილიის მფრინავები ხელახლა გაგვიწვიეს და კვლავ „მცირე ხმელეთისაკენ“ გაგვისტუმრეს — გერმანელებს ეერიში განეახლებინათ...

ყველანი მშვიდობით დავბრუნდით.

ალუბლის ბაღში კონცერტი გრძელდებოდა. ესტრადაზე მაღალ-მაღალი, ზორბა ტანის ქალი იდგა და უსაშველოდ აწვალებდა კოლორატურულ სოპრანოს. ოპერის თეატრში ან ფილარმონიის სცენაზე მისი ხმა შემაძრწუნებლად იმოქმედებდა. აქ სხვა იყო. უხერხულობას არავინ გრძნობდა, მსახიობის ნაცვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად არავინ წითლდებოდა, მის მიმართ მხოლოდ მადლიერების გრძნობა ამოძრავებდა ალიმანს. თუ წვალობდა — ჩვენთვის წვალობდა, უანგარიშოდ ლა უანგარიშოდ.

კოლორატურული სოპრანო ბარიტონმა შეცვალა. ხმელ-ხმელმა, იაშასავით უზომოდ გრძელხელება მსახიობმა ომის გზებზე დამტვერილი ქერა თმის სწორებით აიარა კიბე.

შემდეგ მოცეკვავეთა ბუქნა გაჩაღდა.

— აბესალომისა და მურმანის დუეტი ფალიაშვილის ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“. ასრულებენ...

კონფერანსიეს შემდგომი სიტყვები ჩვენი ესკადრილიის ბიჭების ერთობლივმა ყიჟინამ დაფარა. ზოლოტუხინი, კოჩერგინი, კირსანოვი თუ სხვანი გახარებულნი აყვირდნენ, ტაში დასცხეს, თან ჩემსკენ და ნიკოსკენ იყურებოდნენ, იცინოდნენ.

ესტრადაზე ორნი გამოჩნდნენ — ორი ჩასუქებული, მოსული ჯაბუკი. ალუბლის ბაღი გატრუნულია.

— მურ-რმანო-ო!..

ყველაფერს ვიფიქრებდით იმ წუთას, მაგრამ თუ საყვარელი დუეტის მოსმენა არ დაგვცალდებოდა, ვერაფრით წარმოგვედგინა!

ფიცხელი ბრძანება. აეროდრომისკენ თავქუდმოგლეჯილი გაქცევა. თვითმფრინავების აგუგუნება... და აი, დღეს მესამედ მივეშურებით „მცირე ხმელეთისაკენ“.

ნიკო და მე სხვა ესკადრილიის მანქანით მივფრინავთ. ძნელად სამართავი თვითმფრინავია, მოუხეშავი და თითქმის უვარგისი, ბიჭები ხუმრობით საჰაერო უთოს უწოდებენ. რას იზამ, მეტი გზა არაა — წინა გაფრენაზე ჩვენი „საქართველო“ დაზიანდა და ეხლა ნოდარი მისი შეკეთებითაა გართული.

„მცირე ხმელეთის“ მიდამოებში წარმოუდგენელი რაღაც ხდება. აფეთქებანი, ცეცხლი, კვამლი, რიარია და არეულობა. იქ სადაც ერთი საათის წინ ჩვენი ჯარის თავზე გადავიქროლეთ, ეხლა უკვე მტრის ტანკები მიხოხავენ. ფაშისტები ახალ მძვინვარე იერიშზე გადასულან. ტანკებთან ერთად ჯავშნოსნებიც ჩანს, ქვეშეხებიც, მანქანებიცა და ფეხოსანთა ლაშქარიც.

იერიში!

საშინელი სისწრაფით დავაცხერით თავზე.

პანიკა. მტერი აირია. ჯარისკაცებმა მანქანები მიატოვეს, ერთბაშად დაიფანტენ სხვადასხვა მხარეს. ზემოდან ისე ჩანს, თითქოს ჭიანჭველების ვეება ბუდე დაგვერბიოს.

ავიმაღლეთრეთ. წამით უფრო შორს გავხედე მიდამოს. ხანძრებითა და ცეცხლით გადაწითლებულ მიწას დასავლეთით სისხლისფრად მორიალე ზეცა გადმოჰყურებს. მზე მალე ჩავა.

ახალი იერიში.

მიწასთან მიახლოებისას თვალში მომივიდა ბენზინის უზარმაზარი ცისტერნი, ჯავშნოსნებსა და ტანკებს შორის ჩამდგარი. სასხლეტს დავაწექი. იფეთქა და ზეცას უწია მოწითალო-მოცისფრო ალმა.

ახალ-ახალი ჭურვები მიფრინავს მიწისკენ. ჩვენს ირგვლივაც აუოცხელი ჭურვი სკდება. მტრის საზენიტოები გაცოფდნენ და გაშმაგდნენ. სულ უფრო გვიძნელდება მანვეორება ამ დამაბრმავებელ ცეცხლში გახვეულთ. თან საქმეს ართულებს ის ამბავი, რომ ძლიერი ქარი ჰქრის. თვითმფრინავის მართვაზე უფრო ძნელია ბომბებისა და ჭურვების ტრაექტორიის ზუსტად განსაზღვრა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარი მიმართულებას უცვლის მათ. ქარი ატორტმანებს ჩვენს „საჰაერო უთრეს“. ქარი აღვივებს მიწაზე გაჩენილ ხანძრებს. ქარი მიაგორებს ვეება ტალღებს ზღვაზე...

ჩვენი თვითმფრინავის ფრთასთან სულ ახლოს ზედიზედ გასკდა რამდენიმე ჭურვი. თვალისმომჭრელად იელვა ჩემს წინ, შეგვაქანა და მაღლა შეგვაგდო.

ხელსაწყოთა დაფა სადღაც ზემოთკენ გაცურდა. ძალუმად მოვწიე ჩემსკენ შტურვალი, მაგრამ მანქანა თითქმის აღარ მემორჩილება.

— ვიწვით, ოთარ? — მესმის ცირკიძის ხმა.

მწვავე ტკივილმა მთელ სხეულში დამირბინა. მარცხენა ხელიდან კომბინიზონში სისხლი მოწვეთავს.

კაბინაში ცეცხლის ალი შემოიჭრა. სწრაფად ჩამოვიფხატე შავი სათვალე.

ვცდილობ მანევრებს მივმართო, მაგრამ ეს „უთო“ აღარ მემორჩილება. ვერ იქნა, ცეცხლი ვერ მოვწყვიტე. ალი ძლიერდება. საცაა დაბლა დავექანებით მთელი სისწრაფით.

ნიკოს ფიცხელ ბრძანებას ვაძლევ: ამ წუთას უნდა გადახტეს და რაც შეიძლება სწრაფად გახსნას პარაშუტი — იმედი უნდა ვიქონიოთ, ქარი „მცირე ხმელეთისაკენ“ წაიღებს და მტერს არ ჩაუვარდება ხელში.

რამდენიმე წამსაც არ გაუვლია, თვალი მოვკარი, როგორ დაეკიდა ქვემოთ პარაშუტის თეთრი გუმბათი.

ეხლა ჩემი რიგია. მაგრამ ჯერ უკანასკნელი ვალი მაქვს მოსახდელი — თვითმფრინავს ისეთი მიმართულება უნდა მივცე, ფაშისტების სატანკო კოლონაში შეიჭრას მიწაზე დაცემისას. უკანასკნელი ვალი ჩვენმა „საჰაერო უთომაც“ მოიხადა — ზუსტი გეზი აიღო და თავბრუდამხვევი პიკირებით დაქანდა დაბლისკენ. დროა! დავიწყე გამოძრომა კაბინიდან. მოშხუილე ჰაერმა ისე დამკრა, კინაღამ წელში გადამტეხა. არადა წამითაც არ შეიძლება დაყოვნება — ცეცხლის ენები მლოკავენ და საცაა ჩემი ტანსაცმელიც აბრიალდება. არაადამიანური დაძაბვა დამჭირდა უკვე თითქმის ცეცხლში გახვეულს. ათას ხუთასი მეტრის სიმაღლიდან დაქანებულმა ათას მეტრზე ძლივს შევძელი თვითმფრინავს მოვწყვეტოდი.

კოშმარული იყო სამი თუ ოთხი წამი, ვიდრე რგოლს მოვწევდი და დავრწმუნდებოდი, რომ ჩემს პარაშუტს ცეცხლი არ შეეხებოდა. მაგრამ უფრო შემაძრავი რამ პარაშუტის გაწლის შემდეგ გამოირკვა: ქარი მიმაქროლებდა არა „მცირე ხმელეთისაკენ“, რომელიც აქვე, ორ ნაბიჯზე ჩანდა, არამედ ფაფარაყრილი, ბობოქარი ზღვისაკენ. მიმაქროლებდა საშინელი ძალით, დაუზოგავად, დაუნდობლად და გამწირველად...

დაბლოდან კიდევ ერთი გამაყრუებელი აფეთქების ხმამ მოაღწია — ჩემი მოიერიშე მტრის ჯავშნოსნებისა და ტანკების მწკრივში შეიჭრა...

ნაპირი უკვე ძალიან შორსაა. ჩემს ქვემოთ აზვირთებული სტიქიონი იგრაგნება და იშმუშნება.

ჩემი სავარდნი ხაზის გასწვრივ თვალი ვკიდე ტალღებზე მოფარფატე თეთრ ქოლგას — ვაგლახ, ნიკოც ზღვაში ჩავარდნილა!..

ჩამუქებული, მოზიმზიმე უფსკრული სწრაფად გამოექანა ჩემსკენ. მეტრები-ღა გვაშორებს. პარაშუტი თუ არ მოვიშორე, წყალში ჩავარდნისას თავზე კადმომემხობა — გამიელვა...

თასმებს ვიხსნი.

წამიც და პარაშუტს მოწყვეტილი ჩავინთქი ზღვაში...

... ამ სტრიქონებზე ჩემი ძონათხრობის მკითხველს ალბათ დამცინავი ღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძილი მოერევა: ეს რაღა უბედურებაა, იტყვის იგი, მეგონა მებრძოლი მეფრინველ-ვის თავგადასავალთან მქონდა საქმე და აკი ფანტასტიკური ლიტერატურის ჟანრს გადაეწყვდომივარო! ზემოთ მოთხრობილი მართლაც ძალიან ჰგავს ფანტასტიკური, ფაქტიურკებით აღსავსე მოარული ნაწარმოებების სქემას: ნაწარმოების გმირი პარაშუტით ჩაეშვება მღელვარე ზღვაში, ნაპირიდან ძალზე შორს. რამ უნდა დააღაჩრინოს იგი, თუ არა სასწაულმა, რომელიც, უეჭველია, მწერლის აღგზნებული ფანტაზიის ნაყოფი იქნება? მართალია, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, სასწაულის მაგვარი ამბები ერთი და ორი არ მომხდარა სამამულო ომის დროს. მაგრამ ამჯერად ისე გადავრჩი, სასწაულებრივი და განსაკუთრებული თავს არაფერი გადამხდია...

... სწრაფად ამოქმედდა მაშველი ჟილეტის მექანიზმი და რეზინის მცურავმა პიჯაკმა მსუბუქად ამატივტივა გადარეულ ტალღებზე.

აზრი მალე მოვიკრიბე. რაღა თქმა უნდა, სახარბიელო მდგომარეობაში არ ვიყავი. არც ნიკოს ჰქონდა სანაქებოდ საქმე — ისიც ჩემს დღეში იყო. მაგრამ იქნებ წეღან დანახული პარაშუტი ნიკოსი არც ყოფილა? მაშინ აღარ ვიცი — რა ბედი ეწია ჩემს მსროლელს, ბრძოლაში ფიცცერცხლნაჯამ მეგობარს. თუ ნიკოა, რა მოგველის ჩვენ ორს? „მცირე ხმელეთიდან“ თუ დაგვინახეს ნეტავი, როგორ ჩავარდით ზღვაში და თუ მოგვეშველებიან?..

მზე ჩავიდა. ქარი არ ცხრება. ვეება ტალღები ზათქითა და ღრიალით მოდიან, აქეთ-იქით მისვრიან. მაბურთაოებენ და მლაშე წყალს მაყლაპებენ. რომელმე ტალღა მაღლა რომ ამიტაცებს, თვალს ძლივს მოვატან ხოლმე შორეულ ნაპირს. და ისიც მტრის ნაპირია, ფაშისტების სადგომია და არა „მცირე ხმელეთი“.

სულ ახლოს გამოჩნდა მზის უკანასკნელ სხივზე მოლაპლაპე მოიერიშეები. ისინი სამხრეთიდან მიეშურებოდნენ ნაპირისაკენ. ზედ ჩემს თავს ზემოთ გადმოქროლეს და აშკარად გავარჩიე ჩვენი პოლკის თვითმფრინავთა გამოსაცნობი ნიშნები.

— მიშველე-ე-ეთ!.. ჰე-ე-ეი!.. მოგვეშველე-ე, ბიჭებო-ო! — ავყვირდი ჩემდა უნებურად და მხოლოდ მაშინ დავმუშე პირი, როცა სამი-ოთხი მოზრდილი ყლაპი გადამცდა.

თვითმფრინავები მალე თვალს მიეფარა. უფრო ადრე მათი გუგუნი ჩაახშო ტალღების ტლაშა-ტლუშმა. მაგრამ მიწყდა თუ არა გუგუნი, მომეჩვენა — ვიღაცის ხმა მესმოდა. ვიღაც თითქოს მეძახდა. მიეაყურადე, რამდენადაც შეძლებოდა მიყურადება ამ ორომტრიალში, და მალე მართლაც გარკვევით გავიგონე:

— ოთარ! ოთა-არ!..

— ე-ჰე-ჰე-ჰე-ე-ი! — გავძახე რაც ძალი და ღონე მქონდა.

—ხელი ასწიე ზევით, ხელი! სადა ხარ, ვერ ვხედავ!

რამდენიმე წუთში არაქთგამოლეული ნიკო ცურვით მომიახლოვდა დ. ერთმანეთი მაგრად გადავკოცნეთ. ხელი ხელს ჩავეჭიდეთ. ასე ვიმაგრებდით თავს წყალზე და მთელი წლის უნახავებივით მოვეუთხრობდით ერთიმეოროეს ჩვენ-ჩვენს თავგადასავალს.

— ეს რა არის, რა ამბავია!? — შეჰკივირა უცებ ნიკომ.

— რა ამბავია?

— სისხლი, ბიჭო, სისხლი!

მართლაც ჩვენს ირგვლივ წყალი წითლდებოდა. ეს იყო ჩემი დაჭრილი მარცხენიდან გამონადენი სისხლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკომ ერთბაშად მოისაზრა, ფინური დანა ამოიღო, ჩემი ხალათის სახელო შემოჭრა და იმით სასელდახელოდ შემოხვია იარა, რომელიც საშველად მეწვოდა მლაშე წყლისაგან.

უსაშველოდ გაგრძელდა დრო. ჩამობნელდა. დადამება ცალკერძ გვახარებს (იქნებ გერმანელებმა ვერ ამოგვაგონონ!) და ცალკერძ გვაშინებს (ვაი თუ ვერც ჩვენებმა მოგვაგნონ!).

თავგამეზრებულნი ვირწევით ტალღებზე. საუბრის თავიც აღარ გვაქვს. არადა დუმილი უფრო ძნელი ასატანია — დადუმდები თუ არა, მარტოობის შემზარავი გრძნობა გეუფლება.

— თუ მოსცლას აპირებენ, ბარემ მოვიდნენ, ჯანდაბას ამათი თავი! — ბურტყუნებს ნიკო.

— გერმანელები?

— ჰო. აბა ჩვენების იმედი საიდან უნდა მქონდეს? ფაშისტები ჩვენისთანა ნაფავლს ხელიდან გაუშვებენ?

— ფაშისტებს, რომ იცოდე, ჩვენთვის შეიძლება არც სცხელოდეთ ეხლა. წეღან ვერ დაინახე? ჩვენი პოლკის ორი ესკადრილია კიდევ დაცხრათ თავზე... ჩვენების ამბავი კი გეშლება, ჩემო ნიკო. მე სამ წელიწადს ვიყავი საზღვაო ავიაციაში და კარგად ვიცი მეზღვაურთა ტრადიციები და კანონები — ცოცხალი იქნება თუ მკვდარი, ადამიანს არაფრის დიდებით ზღვას არ შეატოვებენ...

— ნეტამც... ნეტამც... ისე, ცოცხლებს რომ მოგვისწრებდნენ. უკეთესი იქნება...

ბოლოს თავგამეზრებულებმა გადაეწყვიტეთ იქითკენ გაგვეცურა, საითაც „მცირე ხმელეთი“ გვეგულებოდა. ძნელი იყო ტალღებთან ბრძოლა, ხელ-ფეხის ხმარება, მაგრამ მოძრაობამ ცოტათი მაინც გაგვათბო და ჩვენც თავს აღარ ვზოგავდით.

უკანასკნელი ძალა რომ შემოგველია, ისევ ხელიხელჩაკიდებულნი აქანავდით ტალღებზე. ოღონდ ეს იყო — შევამჩნიეთ, ღელვა თითქოს კლებულობდა. მაგრამ ეს ამბავი ბევრს ვერაფერს გვშველდა. ყინულივით ცივ წყალში კბილს კბილზე ვაცემინებდით და მთელი სხეული გვიშშვდებოდა.

ნიკოს ხელში ისევ იელვა ფინურმა დანამ.

— რას შვრები, ნიკო, მკლა-ავ? — ვცადე გახუმრება აცახცახებულმა.

— ძარღვი... ძარღვში ვიჩხვლიტე... გამეწასკვა...

— მეც მიჩხვლიტე!..

და ერთბაშად ვიგრძენი, რომ უცნაური, მანამდე განუცდელი გრძნობა დამეუფლა: სიკვდილის შიშმა მომიცვა. რა სატრაბახოა — სიკვდილის პირას ბევრჯერ ვყოფილიყავი მანამდე, წარბი კი არ შემეხარა, არც გული ამტოკებდა სიკვდილის შიშით. მაგრამ აქ სხვა იყო, სულ სხვა: ამ შავბნელ სტიქიონში უნდა ჩავყინულიყავი და მლაშე წყლის ყლაპვით წავსულიყავი სადღაც ჯურღმულში, ფსკერისაკენ.

...არ ვიცი რამდენმა ხანმა გაიარა. ღელვა სულ მიწყნარდა, მაგრამ ცნობა-მიხდილნი ძლივსღა ვლასლასებდით წყლის ზედაპირზე. მოტორის თუნთუნი შემოგვესმა. ჯერ ყრუდ, სადღაც შორიდან, შემდეგ უფრო გარკვევით, უფრო ახლოს და ახლოს.

ერთბაშად იფეთქა პროჟექტორის შუქმა და რამდენჯერმე გადასერა წყლის ზედაპირი. აშკარა იყო — ჩვენ გვეძებდნენ. მაგრამ ვინ არიან? ჩვენები თუ ფაშისტები? თუ გერმანელებმა მოგვაკითხეს. ნიკოს დანა კიდევ გავიწევეს სამსახურს საიმისოდ, რომ ორივენი ფსკერისკენ გაგვისტუმროს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მფრინავებო, სადა ხართ, მფრინავებო! — გაისმა რუპორის მძლავრი ხმა.

თურმე კიდევ შეგვრჩენოდა საამისო ძალა, რომ მხარულით გავჩქარებულიყავით პატარა გემისაკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ ნიკომ ხელი ჩაავლო გემბანიდან ჩამოშვებულ ბაგირს და ასვლა სცადა, მაგრამ უკანვე ჩამოვარდა. მაშინ მეზღვაურებმა, ჩვენი უილჯობა რომ დაინახეს, მცირე ნავი ჩამოუშვეს და ისე აგვიყვანეს მაღლა.

როდესაც ნამკურნალებნი, სპირტით დახელილნი, გამთბარნი, დანაყრებულნი და გონს მოსულნი ბატალიონის უფროსს ვეახელითო, მან, ჰაერიდან გაწეული დახმარებისთვის მადლობის გადახდის შემდეგ, საათზე დაიხედა და გვითხრა:

— თქვენი პარაშუტები ზღვაში რომ ჩაეშვა, დრო დავინიშნე. ხუთნახევარ საათს მოგიხდათ მარილიან წყალში ბანაობა, ჩემო შვილებო!

ხოლო ცოტათი მოგვიანებით, დასაძინებლად რომ მოვეწყეთ, ბუარაში წასულ ნიკოსგან ასეთი რამ გავიგონე თავადაც ნახევრად მძინარემ:

— ნეტავი რა გვარები იყვნენ ის ქართველი მსახიობები, დუეტი რომ ამღერეს ალუბლის ბაღში?..

მეორე გასტელო

შემოდგომის თბილი, მზიანი დილა დგას, ჰაერი დაყურსულია და მოალერსე. ხანდახან ცელქი ნიავი გველამუნება სახეზე. ჩვენ ხუთნი მოლზე ვართ წამოწოლილნი, დროდადრო ჩანტად შევეესტყვებით ერთიმეორეს, თითქოს იმის ცდაში ვიყოთ, რომ არ დაირღვეს ეს უჩვეულო, ნანატრი მყუდროება.

— ახლა იქაც ასეთი ამინდი დგას, — ამოიღო ხმა ნოდარმა, რომელიც აქამდე უჩუმრად იწვა გულღმა და გამჭირვალე ცის კაბადონისთვის გაეშტერებინა თვალი. — იქაც ასეთივე სიმყუდროვეა, მხოლოდ შორიდან, ვენახებიდან ყურძნის მკრეფავთა ჟრიამული ისმის. ორღობეებში ურმები მოჭრიალებს, მარნებში ყურძენს წურავენ... ბიჭებო, ტკბილი თუ დაგილევიათ პირდაპირ საწნახლიდან?.. ზედ შემწვარი ჭყინტი სიმინდი და ნედლი ნიგოზი... რას იტყვით, ჰა?

ნოდარ გიორგაძე კარგი ვაჟკაცია, სანიმუშო ჯარისკაცი, მხოლოდ ერთი სისუსტე სჭირს, ერთადერთი სისუსტე: როგორც კი შესვენების წუთები დაგვიდგება, ბიჭები ერთად შევიყრებით და გავაბოლებთ, აუცილებლად თავის სოფელზე უნდა ჩამოაგდოს სიტყვა. ახლაც ყველამ უთქმელად გავიგეთ, თუ რას ნიშნავდა მისი „იქაც ასეთი ამინდია“. ეს „იქ“ მისი სოფელია, მწვანე გორაკებში ჩამჯდარი იმერული სოფელი თავისი ბაღ-ვენახებით, მინდვრებით, ყანებით და მხიარული ხალხით. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ნაკვერცხლებზე შემწვარი ჭყინტი სიმინდის, მაჭრისა და მისთანების გახსენება ბიჭებს აღიზიანებს. კაცმა რომ თქვას, მეც ვერ ვისმენ გულგრილად ასეთ რამეებს.

— კარგი, ახლა, გეყოფა, ნუ გადაგვაყოლებ... — აწყვეტინებს ნიკო. იგი როგორც სხვებზე მეტად გაღიზიანებულია. — შენ გირჩევნია ის გამოიცნო, დღეს საათ მოგვიწევს გაფრენა?

ნიკო ნოდარზე ნაკლებად კარგი და საყვარელი ბიჭი როდია. მაგრამ ნაკლებ სენტიმენტალურია, თანაც ამ ამბებზე თავისი შეხედულება აქვს: რა საჭიროა წამდაუწუმ მშობლიური სოფლის თუ ქალაქის გახსენებაო, გვეტყვის ხოლმე, ტუტულად ნერვები უნდა აიშალო, ამით ვერც შენ დარჩენილ შენიანებს არგებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვეღარც საკუთარ თავს. აი, გადავრეკოთ ეს ურჯულოები, ერთი მივუგზავნოთ ოთ ის ბოროტების საბუდარი, მერე გამარჯვებულნი რომ დავრბუნდებით, რაც გვინდა ვინატროთ და რამდენიც გვინდა ვიოცნებოთო.

ქვეშეცნიულად ყველანი ვგრძნობთ, რომ ნიკო მართალია. ჩვენ ხუთივეს ომმა დაგვატოვებინა სახლ-კარი, შინაურები, სწავლა თუ მშვიდობიანი შრომა, აქ, ფრონტზე შეგვყარა, ბრძოლებში დაგვაძმობილა, გამოგვაწრთო, დაგვაჯაჯაცა და ფოლადივით აგვავსო ერთადერთი სურვილით — რაც შეიძლება მალე გავიმარჯვოთ საძულველ მტერზე. რომ გავიმარჯვებთ, ამაში ეჭვი არასდროს შეგვპარვია, ახლა კი მით უმეტეს აღარავის შეეპარება — ორმოცდასამი წელი იწურება. არნახული მასშტაბის ომის ორი წლის მანძილზე საბჭოთა მეომრებმა მოწინააღმდეგე ძალზე დავასუსტეთ, დარტყმა დარტყმაზე ვაგვემეთ, დასავლეთიდან მოსული ურდოები დასავლეთისკენვე გავიოცეთ, და აბა ასეთ დროს რა დროს გულის აჩუყება და მოგონებებში წასვლაა!

— ნიკო მართალს ამბობს, რას იტყვი, ნოდარ, საით მოგვიწევს გაფრენა? — ჩავურთე მეც სიტყვა.

ნოდარმა ერთი შეიბერტყა, ტკბილი მოგონებანი თავიდან გამოაძევა, წამოჯდა, ფეხი მოიოხთა, ერთხანს იფიქრა და ბოლოს წინასწარმეტყველის კილოზე გვითხრა:

— დღეს თქვენ სევასტოპოლზე მიიტანთ იერიშს...

მას ჯერ სიტყვა არც დაემთავრებინა, რომ ჩვენთან ჯარისკაცი მოიკრა: სასწრაფოდ გვიბარებდა პოდპოლკოვნიკი სმირნოვი...

სმირნოვის ოთახიდან გამოსულს იმის დრო აღარ მქონდა, გაკვირვება გამომეთქვა — მართლა წინასწარმეტყველი ხომ არ იყო ნოდარ გიორგაძე, ასე ზუსტად რომ განსაზღვრა-მეთქი ჩვენი დღევანდელი დავალება: თვრამეტი თვითმფრინავისაგან შემდგარ სამ ესკადრილიას ევალებოდა იერიში მიეტანა გერმანელთა ხელში მყოფ სევასტოპოლის ნავთსადგურზე.

შემოდგომის მუუდრო დილა, რომელმაც ნოდარს იმერული შემოდგომა მოაგონა, უეცრად სადღაც გაჰქრა: არემარე აზაზზარდა და აკრიალდა, ირგვლივ ხალი აფუსფუსდა. გასაფრენად გამზადებული მანქანები ძაგძაგებდა...

და აი, ჩვენ უკვე ჰაერში ვართ. ირგვლივ ლაჟვარდი კრიალებს, დაბლიდან კი რუხად შემოგვაქერის ყუბანის მიწა. ეს ნაფრონტალი ადგილებია, უკუქცეული მტრის დამსხვრეულ-დალეწილი ტექნიკითა და გერმანელ ბედუკუღმართ ჯარისკაცთა ძვლებით მოფენილი. ვინ იცის, რამდენი გერმანელის დედა ატირებულა და კვლავაც ატირდება, რამდენი შეიმოსება ძაძით. რას იზამ — ომი ომია და დამრტყმელს სამმაგად უნდა დასცხო — ისე ჭკუას ვერ ისწავლის.

ფიქრებს მაწყვეტინებს ცირეკიძის ხმა, ყურებზე დამაგრებულ მცირე რადიოდან რომ მოდის:

— კაცმა რომ თქვას, ნოდარს რთველი ტყუილად არ მოჰგონებია: რაღაც ისეთ გუნებაზე ვარ, დიდი მოსავალი უნდა მოვიწიოთ დღეს...

ძნელი არაა იმის მიხვედრა, რა მოსავალზე ლაპარაკობს ნიკო. მაგრამ ახლა ხუმრობის გუნებაზე აღარ ვარ: ფრონტის ხაზი ახლოვდება და საჭიროა სიფაქიზე — მტრის საზენიტო არტილერიას, რაღა თქმა უნდა, არ სძინავს...

საოცარი ამბავია: როგორ მოულოდნელად წამოიჭრება ხოლმე ხსოვნაში დიდი ხნის წინანდელი ასოციაციები. ბავშვობაში თავდავიწყებული ფეხბურთელი გახლდით, ჩვენი ქუჩის გუნდში კარგი თავდამსხმელის სახელი მქონდა ოადგებული. ტექნიკისა რა მოგახსენოთ, რა საფეხბურთო ტექნიკა უნდა მქონოდა თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭს, მაგრამ სისწრაფით და აზარტით კი მგონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრს ვჩაგრავდი. და აი, თვალწინ დამიდგა სურათი: ბურთი გავიტანეთ მოვლილი ბრძოლის საჯარიმო მოედნისაკენ. ჩემს დასახვედრად რამდენიმე მცველი გამოქანდა. მე მეუფლება რაღაც უცნაური გრძნობა: ჯერ ერთი შეჭვავე სპორტული ენინ იმისა, რომ მოწინააღმდეგეს აჯობო ორთაბრძოლაში, დაჩაგრო, დაკანონო, უკან მოიტოვო და გამარჯვებული წინ გაიქცე. ამას ზედ ერთვის ცხოველი ცნობისწადილი, ინტერესი, რომელიც თვით მოწინააღმდეგის მიმართ აღიძვრის — რას წარმოადგენს იგი, რისი უნარი აქვს, რით დაგიპირისპირდება? და არის კიდევ ერთი გრძნობა, ბულს რომ გვითრთოლებს, ხელიერთპირად შეგკრავს, შეგკუმშავს, ყურადღებას და ნერვებს გაგიმახვილებს. ამას იქნება მომავალი ბრძოლის, მოსახდენი ამბის წინასწარი მოლოდინის გრძნობა დავარქვაო...

მაგონდება ეს ყოველივე და უეცარი ჩემთვის ნათელი ხდება, რომ მტრის პოზიციებთან მიახლოებისას მუდამ იმ ბიჭუნასთვის — ქუჩის ნორჩი ფეხბურთელისათვის ნაცნობი გრძნობა მეუფლება ხოლმე. აქაც იგივე საბრძოლო ენინ, თავისებური ინტერესი მოწინააღმდეგის მიმართ და განცდა მოსალოდნელი ამბებისა. განსხვავება მხოლოდ ერთია: ყოველივე ამას აქ ზედ ერთვის და ყოველივეზე ბატონობს უმძაფრესი გრძნობა — ეს არის მოწინააღმდეგის სიძულვილი, გაოფთრება, წყურვილი შურისძიებისა, „სისხლი სისხლისა წილ“...

და ვაი მას, ვაი ჩვენს მოწინააღმდეგეებს! ქუთაისელ ნორჩ ფეხბურთელებსაკი როდი გადაკოცნით ბრძოლის დამთავრების შემდეგ მე და ჩემი შეგობრები, აგე, ისინი — წინ მიმავალი ესკადრილიის მეთაური მაიორი კორნეი ეფრემოვი და მომდევნო ექვსეულის თავში მდგომი ბორის ზოლოტუხინი.

ვიცნობ რა ბიჭებიც არიან, არაერთ ბრძოლაში გვიჭამია ფიცეკერტსლი. მათს ლექსიკონში არსად წერია „შემეშინდა“ ან „მტერს ზურგი ვუჩვენე“.

ფრონტის ხაზი. ჩვენთვის მისი გადალახვა უკვე გადაქცეულია ჩვეულ და ილ საქმედ, უბრალო წინაღობის თავზე გადავლებად, აი ისეთი წინაღობისა, სპირინტერები რომ გადაივლებიან ხოლმე მოკლე დისტანციაზე ასპარეზობის დროს. მაგრამ სამივე ჩვენგანის ესკადრილიებში საკმაოდ მოიძებნებიან შედარებით გამოუცდელი, ახალბედა მფრინავები თუ მსროლელები. ფრონტული გარემო მათ ჯერ ძალრბილში არ გასჯდომიათ. ამიტომ იქნება ცოტათი აღელდენ კიდეც, ცოტა ინერვიულონ. იჩქარონ საზენიტო ქვემეხების აგრიალებისას. არა უშავს, მთავარი ისაა, რომ დარწმუნებული ვარ — არც ერთი მათგანი ლაჩრად არ გადაიქცევა, არ უღალატებს თავის წმიდათაწმიდა საქმეს.

და მართლაც, ყოჩაღ, ბიჭებო! ქვემოდან ძმაფრი ცეცხლი გააჩაღეს. მე მიხდება მკვეთრი მანევრირება. რათა რომელიმე დამთხვეულმა გერმანელმა არტილერისტმა მიზანში არ ამომიღოს და, როგორც ხუმრობით იტყვის ხოლმე ნოდარ გიორგაძე, კვახივით არ გამხეთქოს. ამასობაში ჩვენი ახალგაზრდების მოძრაობასაც თვალს ვადევნებ და აღტაცებული ვრჩები; სად მოასწრეს ამოდენა გამოცდილების შეძენა, როგორ ახერხებენ ასე მარჯვედ განერიდონ ხოლმე მტრის ჭურვებს, ციალით რომ ამოიტრებიან სივრცეში და ჩვენს ირგვლივ გრიალით სკდებიან?

ჰა, რამ შეგაფიქრიანა. ამხანაგო გვარდიის უფროსო ლეიტენანტო ოთარ ჩიჩელაშვილო? იქნება გეგონა — ჭეშმარიტი სამხედრო ხელოვნების დაუფლება მხოლოდ რჩეულთა ხვედრიაო? ან იქნება სინდისის ქენჯნას გრძნობ იმის გამო, რომ ამ ცოტა ხნის წინათ, როდესაც აგერ იმ პირტიტელა სმოლენსკელ ევგენი ევსეენკოს გიგზავნიდნენ, რომელიც ახლა მართლაც კარგი შევარდნივით დანავარდობს ჰაერში, ან იმ ურალელ იგორ კოქევნიკოვს, რომელიც ევსეენკოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფრით ჩამოუვარდება, ან კიდევ ბაქოელ ხალილ ჯავადლის, რომელმაც ... მისაა გაოცებისაგან პირი დაგაღებინოს, — ჰო, როდესაც ამ თურმე კარგ ვაჟკაცებს და სხვებსაც მათ ტოლებს გიგზავნიდნენ ესკადრილიების ცალში. გახსოვს, მაშინ შენ და ზოლოტუხინმა ქვა ააგდეთ და თავი შეუშვირეთ: რაო, რას ბრძანებთო? ამ გახურებული შეტევის დღეებში ეგ პირზე რძეშეუშშრალი ლაწირაკები, რა, აკვნით ვატაროთ თუ სავარჯიშო თვითმფრინავებზე მოყვარულებად დავსხათო? ახლა რაღას ეტყვი პოდპოლკოვნიკ სმირნოვს, ჰა?

ამასობაში კი „ლაწირაკები“ თავიანთ საქმეს აკეთებენ. ისე გავცდით საზენიტო ცეცლის ზონას, რომ ჩვენი ესკადრილიების არც ერთი თვითმფრინავი არ დაზიანებულა.

— გენაცვალეტ, ბიჩებო! — ეს ბორის ზოლოტუხინის ხმა ისმის რადიოში. მეცინება. როდესაც ბორისს სურს თავისი განსაკუთრებული აღტაცება გამოზიაროს, აუცილებლად ჩემგან ნასწავლ რამდენიმე ქართულ სიტყვას ჩაუჩიქორთულებს ხოლმე.

მიგიხვდი, ბორის, გულის ნადებს: ეს ორი სიტყვა შენ ჩემს გასაგონად წარმოთქვი. შენც ჩემთან ერთად გქენჯნის ახლა სინდისი ამ ქორ-შევარდნების „ლაწირაკებად“ და „ცხვირმოუხოცლებად“ მონათვლისათვის.

მაგრამ რა დროს სინდისის ქენჯნაა! ორივე ჩვენგანის გული დიდი სიხარულისა და სიამაყის გრძნობამ აავსო: რისა უნდა ეშინოდეს ქვეყანას, რომელსაც ასეთი ვაჟკაცები მილიონობით ეზრდებიან, და, თუ ერთი დაეცა ბრძოლაში, მის ადგილს უმალ მეორე თავდადებული მამულიშვილი იჭერს!..

მაინც ჩვენს სიხარულს ღრუბელი გადაეფარა. ამას ხატოვან სიტყვად როდი ვამბობ: ჩვენი აეროდრომის თავზე ნავიანივი მზე რომ აცხუნებდა, დასავლეთი თურმე მძიმე საშემოდგომო ღრუბლით ყოფილა დაბურული. ოუხი, ტუვინისფერი, თითქმის მიწას გართხმული ღრუბლები ჯერ მძიმედ მოიზლახნებოდნენ ჩვენსკენ, შემდეგ აჩქარდნენ, გამოქანდნენ, ალყა შემოგვარტყეს და არემდგომი ჩამოაბნელეს.

— მოდი ახლა ეძებე ნავთსადგური ამ ჩამოკუპრულში. თუ აიმაღლაურე— ქვევით ვეღარაფერს დაინახავ და ალაბეჯდზე უნდა აყარო ზღვას და მეწყერს ტყვია, თუ ღრუბლებზე დაბლა დაეშვი — წყალში უნდა ტუცო თავი, თუ რა ჯანდაბა უნდა ქნა? ფუჰ, თქვენი... — ბუზღუნებს, იფურთხება და იგინება ცირეკიძე.

მიუხედავად იმისა, რომ მეც გუნება გამიფუჭა ამინდის ასე უეცრად შეცვლამ, ჩემი მსროლელის „რამდენიშვილთრთულიანმა“ ღიმილი მომგვარა. მოდი და აუკრძალე ჯარისკაცს, თუნდაც ხელქვეითს, უცენზურო სიტყვების ხმარება, როდესაც ძალნი ბუნებისანი ასე ვერაგულად გვექცევიან და მას გაბრაზებულზე სურს სიტყვით მაინც მოიოხოს გული! რას იზამ, რა დროს ეთიკის ნორმების დაცვა! ღრუბლის ნაცვლად წინ მტრის ავიაცია ან არტილერია რომ გადაგვლობებოდა, ჩვენ ვიცოდით, რა დღესაც დავაყრიდით! მაგრამ ღრუბელი ღრუბელია — ვერც „კატიუშას“ ცეცხლით გაჰფანტავ და ვერც ტყვიამფრქვევით დაცხრილავ. ისიც დაგვრჩენია, შევეგუოთ შექმნილ მდგომარეობას და მარჯვედ მოვიხმაროთ, რაც კი სამხედრო ოსტატობა გაგვაჩნია, რათა უკან სირცხვილნაჭამი არ გავბრუნდეთ.

... იმის წყალობით, რომ ვზაში რამდენჯერმე გაწზრახ შევიცვალეთ მიმართულება, რათა ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებულ მტერს ჩვენი გაფრენის საბოლოო მიზანი ვერ გამოეცნო, სევასტოპოლის ყურესთან თვრამეტი საბჭოთა მოიერიშის გამოჩენა საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, სე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასტოპოლის სამხედრო ბაზა ისე ძლიერად იყო გამაგრებული, რომ გერმანელებმა ჩვენი მიანლოგებისთანავე გრიგალისებური ცეცხლი გაგვიხსნეს. სანაპირო, ბორცვები, სახლები, მოგრძო ზოლებად ჩამწკრივებული გემები — ყოველივე ცეცხლს გვაფრქვევდა, გრიალებდა, ბანზარებდა. მიწა იძვროდა, ცას ცეცხლი ეკიდებოდა. მიწას დამხობილი, აბებედითად მომზირალი, ჩამოქუხულ-ჩამობნელებული ზეცა იგრაგნებოდა და საშიშრად ელავდა ათასი და ათიათასი ჭურვის ფერადოვანი გასკდომისას. ასორმოცდათექვსმეტი საზენიტო ბატარია გვაფრქვევდა ცეცხლს, მაგრამ მაღლიდან კაცს ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ ეს ერთი რაღაც ზღაპრული ასთავიანი ურჩხული გამძვინვარებული და თავისი ასი ხახიდან ას-ას ცეცხლოვან გრგვინვას ცას უგზავნისო...

მაგრამ ყველაზე უკეთ აქ გამოჩნდა, თუ რას ნიშნავს გამძაფრება და უტეხნება იმ ხალხისა, ვისაც თავს მოახვიეს ისტორიაში მანამდე არნახული და გაუგონარი ომი, დაემუქრენ სამშობლოს წართმევითა და განადგურებით, ბარბაროს დამპყრობელთა მონად გადაქცევის საფრთხით. ჩვენი სამი ესკადრილია თითქოს ერთ არსებად, ერთ მოაზროვნე პიროვნებად იქცა. იშვიათი სიზუსტე მეთაურის ყოველი ბრძანების შესრულებისას, შეუდრეკლობა, წარმოუდგენელი სიმამაცე, რაც ერწყმოდა სიმარჯვეესა და საზრიანობას — მხოლოდ ასე შემიძლია დავახასიათო ყოველი ჩვენი მებრძოლის მოქმედება იმდღევანდელ ბრძოლაში.

და შედეგმაც არ დააყოვნა. თითზე ჩამოსათვლელი წამები გავიდა მას შემდეგ, რაც მტერმა საზენიტო არტილერია აამოქმედა, რომ ჩვენ უკვე სამხედრო ხომალდებს თავს დავტრიალებდით, იერიში იერიშზე მიგვქონდა და უმოწყალოდ ვმუსრავდით გერმანელთა საბრძოლო ტექნიკას. ზღვას თითქოს ვუოკანური ლავა გადაეფრქვია — იქ ყოველივე ადუღდა, აგრიალდა და ატორტმანდა...

როდესაც მოიერიშე მფრინავი მტერთან შესაკინებლად ემზადება, მან იცის, რომ შესაძლოა ეს მისი უკანასკნელი გაფრენა იყოს, შესაძლოა ვეღარაფერს ვიზამ, ბრუნდეს თავის აეროდრომზე, შესაძლოა დაეცეს თავისი საბრძოლო დავალების შესრულებისას, როგორც ოფიციალურად ითქმის ხოლმე. მან იცის, რომ შესაძლოა ასეთი რამ მის რომელსამე თანამებრძოლსაც შეემთხვას, შესაძლოა დაეღუპოს მრავალ ჯოჯოხეთურ ბრძოლაში უვნებლად გადარჩენილი მამაცი მეგობარი...

ეს ყოველმა ჩვენგანმა იცოდა იმ დაუვიწყარ დღესაც. მართალია, ამაზე არავინ ფიქრობდა, რადგან სიკვდილზე ფიქრი ლაჩართა წესია — ასე გვწამდა ჩვენ. არავინ ფიქრობდა-მეთქი, მაგრამ შინაგანად ყველანი შეგუებულნი ვიყავით აზრს, რომ იქნებ სწორედ იმ ბრძოლაში გამხდარიყო საჭირო სამშობლოსათვის მსხვერპლად შეგვწირა ჩვენი სიცოცხლე...

და მაინც არავინ მოელოდა იმ ამბავს, რაც მოხდა.

„უშიშარი, ვითარცა უხოცელ“ — თურმე ასე იცნობდნენ თანამედროვენი სახელოვან გიორგი პირველს, მოგვითხრობს მწერალი კონსტანტინე გამსახურდია. თუ შეიძლება ამ ძველისძველი გამონათქვამის ვინმეს შესახებ გამეორება, ერთ-ერთი პირველთაგანნი მათ შორის კორნეი ეფრემოვი იქნებოდა. „მამაცთა ესკადრილია“ — ასე უწოდებდნენ ფრონტელები თვითმფრინავთა იმ ექვსეულს, რომელსაც ამ სახელის მოპოვებაში დაუვიწყარი ამაგი დასდო მისმა მეთაურმა ეფრემოვმა. და უნდა გვახსოვდეს, რომ ფრონტზე „მამაცის“ სახელის მოხვეჭა ოოლი საქმე როდია!..

მრავალ ბრძოლაში გამოიჩინა თავი გმირმა მფრინავმა, სამაპულო ომის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ქარიშხლიანი წელი თავზე გადაივლო და საოცარი ის იყო, რომ მთელ ამ ხნის მანძილზე იგი ერთხელაც არ გაკაწრულა. ამტომ გვეგონა ყველას, რომ კორნეი ეფრემოვი ყოველი ბრძოლიდან უვნებელი გამოვიდოდა, მის სიცოცხლით სავსე, კუნთმაგარ სხეულს სიკვდილი ვერას დააკლებდა. გვეგონა, რომ...

მაგრამ მწარე, ძნელადგადასატანი გამოდგა სინამდვილე, ხოლო ჩემი ხსოვნიდან ვერ ამოვშალე და ალბათ ვერც ვერასდროს ამოვშლი კორნეის გმირულად დაღუპვის სურათს.

როდესაც ყველანი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით ვიყავით გართულნი, მტრის ერთერთმა საზენიტო ქვემეხმა პირდაპირი დამიზნებით მთავედრა ჭურვი მაიორ ეფრემოვის თვითმფრინავს. მაწქანა შეტორტმანდა, გადაიზნიქა და ცეცხლში გაეხვია.

და აი, მოწმენი გავხდით დაუვიწყარი ამბისა.

კორნეიმ თვითმფრინავი მკვეთრად შემოაბრუნა, დაბლა დააქანა და გეზი იქითკენ აიღებინა, სადაც ჯგუფ-ჯგუფად იდგა გერმანელთა ხომალდები.

— მშვიდობით, ძმებო, სამშობლოსათვის, სტალინისათვის! — მოგვესმა რადიოში ჩვენი უძვირფასესი მეგობრის უკანსაკნელი სიტყვები და თვითმფრინავი ტანკერში შეიჭრა. იერგვინა გამაყრუებელმა აფეთქებამ.

მე მგონი, იმ საშინელსა და დიად წამს არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ჩვენმა დაუძინებელმა მტრებმაც — ნავთსადგურში მყოფმა ფაშისტებმა, ერთად გავიფიქრეთ: საბჭოთა ხალხს მხოლოდ ერთი გასტელო არა ჰყოლია, თუ საჭირო შეიქნა, ეს ხალხი ისსა და ათას გასტელოს წარმოშობს და ამიტომ არ არსებობს ძალა დედამიწის პირზე, რომელსაც შეეძლოს ამ ხალხის დამარცხებაო!

თუმცა ამ უკანასკნელ ამბავში, მე მგონი, გერმანელები იმ დროისათვის უკვე ისედაც დარწმუნებულნი იყვნენ...

... უკან დაბრუნებულებმა გზაში ახალი უსიამოვნო ამბავი შევიტყეთ: ბრძოლის დროს ჭურვი ზოლოტუხინის თვითმფრინავსაც მოხვედროდა.

— ზეთის გამტარი დამიზიანეს, ოთარ, წნევა ნოლზე დავიდა, პროპელერი აღარ მუშაობს... „მუცელზე“ დაშვება მომიხდება, — მომესმა მოულოდნელად ზოლოტუხინის ხმა რადიოში.

ცხადზე ცხადია: რაკი თვითმფრინავი ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ჩვენს აეროდრომამდე მიღწევაზე ან თუნდაც ფრონტის ხაზის გადაკვეთაზე ფიქრიც არ შეიძლება. ბორისი და მისი მსროლელი პარაშუტითაც ვერ გადმოხტებიან — ძალიან დაბალ სიმაღლეზე მივფრინავთ. მაშ ბორისს მართლაც მეტი აღარაფერი დარჩენია, რომ შეეცადოს როგორმე „მუცლით“ დაეჯინოს თვითმფრინავი მტრის ტერიტორიაზე. კარგი, ვთქვათ მოახერხა უვნებლად დაშვება, მერე? სულ ერთია, გერმანელები უმალ მიაგნებენ, ალყას შემოარტყამენ და... ბორისის ხასიათი რომ ვიცი, ცოცხლად მტერს არ დანებდება...

ესე იგი...

— დაიღუპა კაცი, ოთარ!... — მიდასტურებს ჩემს გამოუთქმელ აზრს ცირეკიძე.

როგორ თუ დაიღუპა? როგორ გაბედა ნიკომ ასეთი რამის თქმა? არა, არ შეიძლება, წარმოუდგენელია! ახლავე რაღაც უნდა მოვიმოქმედოთ... მაგრამ რა. რა შემიძლია გავაკეთო?.. ამასობაში ვხედავ, რომ ბორისის თვითმფრინავმა ორიოდე წრე გააკეთა და უვნებლად დაეშვა მიწაზე... საჭიროა სწრაფად რაიმეს მოფიქრება. და უეცრად აზრი გამინათა კაღნიერმა გადაწყვეტილებამ.

— შებრუნდით მარცხნივ! ყველანი ჩემს თვითმფრინავს გამოყევით! —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიძლევი საერთო ბრძანებას, რადგან სამივე ესკადრილიის მეთაურობა ეპყრა მეკისრება.

თვითმფრინავებმა წრე შეპკრეს და ჩემს უკან დამწკრივდნენ.

— რას ამბობ, ოთარ? — მეკითხება გაოცებული ცირეკიძე. მან ჯერ არაფერი იცის ჩემი გადაწყვეტილებისა.

— მშვიდობით, ძმებო, ცოცხალი არავის დაენებდები!... — მოგვწვდა დაბლიდან ბორისის ხმაც.

სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ზოლოტუხინის თვითმფრინავს გერმანელებით სავსე ორი ჯავშნოსანი მანქანა უახლოვდება. უკან ამ მანქანებს კიდევ მოსდევენ ჯარისკაცები.

— დაეშვით სამხრეთ-დასავლეთით, ჯავშნოსნებსა და ჯარისკაცებს ცეცხლი გაუხსენით... ფხიზლად იყავით, ზოლოტუხინის მანქანამდე ვერც ერთმა სულიერმა ვერ უნდა მიაღწიოს, — გაისმის ჩემი ბრძანება.

წუთის შემდეგ ჩვენები უკვე მტრის ნაწილების პიკირებას ახდენენ, მე კი ზოლოტუხინის მანქანის თავზე იიროს ვაკეთებ, დასაჯდომ ადგილს ვეძებ თვალით.

ცირეკიძე უკვე მიმიხვდა ჩანაფიქრს და აღტაცებული რაღაცას ჩამძახის, მაგრამ მე მისი სიტყვები აღარ მესმის, მთელი ყურადღება მიწისკენ მაქვს მიქცეული. აი, დადავუფრინეთ თავზე ჩვენებს. ბორისი და მისი მსროლელი თვითმფრინავის ფრთაზე დგანან, მუზარადებს მიქნევენ და აღმოსავლეთისაკენ მანიშნებენ — ეითომ „შინისაკენ“ გაფრინდითო.

ცირეკიძეს ვუბრძანე — რამდენიმე ბმული რაკეტა გაესროლა, ხოლო თვითმფრინავი პიკირებით წავიყვანე. ამით დაბლა მყოფთ ვანიშნე — უნდა დავეშვა-მეთქი. წრე რომ მოვხაზე და კვლავ ჩამოგდებული თვითმფრინავისაკენ გამოვბრუნდი, დავინახე: ზოლოტუხინი და მისი მსროლელი თავიანთი მანქანიდან ჩამომხტარიყვნენ და აღმოსავლეთისაკენ გარბოდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისინი მიწაზე გაწვნენ ისე, რომ თავიანთი სხეულებით გამოსახეს ნიშანი „T“.

აჰა, ეს ხომ თვითმფრინავის მიწაზე დაშვების ადგილის ნიშანია! მაშასადამე, ბიუები აზრს მიმიხვდნენ და შესაფერისი ადგილიც შემირჩიეს.

— ჯავშნოსნები იწვის, ოთარ, ჰაერშიც მშვიდობაა, მტერი არ ჩანს. დამშვიდებით იმოქმედე. მე შემიძლია ჩემს კაბინაში ჩავისვა ბორისი და მისი მსროლელი, — მამხნევებს ცირეკიძის ხმა.

დამშვიდებით კი ვმოქმედობ, დასაშვები ადგილიც შესაფერისად შერჩეულია, მაგრამ ეს „შესაფერისი“ ძალიან ცოტა რამეს ნიშნავს. თვითმფრინავის დასაჯენ ნამდვილად შესაფერის ადგილს სად იპოვნი ამ გადათხრილ ტრამალზე? ერთი მცირე ორმო ან თხრილიც რომ ვერ შევნიშნო და დროზე გვერდი ვერ ავუარო, მანქანა თავდაყირა დადგება.

აი, ჩვენს ქვეშ უკვე სწრაფად გარბის მიწა, აი, შეეეხეთ კიდეც მას. მანქანა საშინლად ინჯღრევა, აქეთ-იქით აწყდება — ნიადაგი ფხვიერი გამოდგა. ერთიანად შეეერწყე საჭეს, უკანასკნელ ძალას ვიკრებ, ვცდილობ, მიმართულება არ დავკარგო...

როგორც იქნა მოხერხდა დამუხრუჭება. მანქანა შემოვაბრუნე, სამაგრი ღვედები ავიხსენი, ხუფი ავსადე და წამოვდექი. ჩვენს თავზე ღრიალით მიმოჰქრიან ჩვენი თვითმფრინავები, წინ, მინდორზე კი ორი კაცი გამორბის საშინელი სისწრაფით. ჩვენ მაინც თავს ვერ ვიკავებთ და ვუყვირით:

— ჩქარა!.. ჩქარა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

... დიდი გაჭირვებით მოვახერხე უსწორმასწორო, ფხვიერი, გაჯიუტებული მიწისთვის ამეწყვიტა „საქართველო“. თავს გადავუფრინეთ გერმანელთა ცეცხლწაკიდებულ ჯავშნოსნებს.

— ზალატუხინ... ზოლოტო... ზალატოი... — ამტვრევს რუსულს ცირეკიძე.

მის კაბინაში ალბათ სამივენი ერთმანეთს ეხვევიან და სისარულს ვეღარ ფარავენ ბრძოლაში აუღელვებელი ვაჟკაცები.

„საქართველოს“ უკან გამწკრივდა სამი ესკადრილია. მე შემოვბრუნდი და ვეზი აღმოსავლეთისაკენ ავიღე.

ბორის ზოლოტუხინს თურმე მართლაც აღარ შეუძლია თავისი გრძნობების დაფარვა:

— ოტარ, მადლობტ, გენაცვალე!..

ეუდამ განსაკუთრებულ სიამოვნებას მგვრიდა მის მიერ რუსული აქცენტით ნათქვამი „გენაცვალეს“ მოსმენა...

მით უმეტეს ახლა...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

ჩემი შუამთა

იქ ნასაყდრალი...
იქ ნაციხარი...
პაპის პაპათა გამძლე ფუძენი.
იმ ნასაყდრალთან გაძოვე ხარი,
იმ ნაციხართან ვკრიფე ყურძენი.

ნასერელაში წყალი დავნაჭე,
ბადე გავშალე ყუმურშიც მერე.
რომ არ შევზრდოდი ამ პატარა წყლებს,
ვერ გავუძლებდი ახლა მტკვრის ჩქერებს.

ალვის ხეებო, წამომიჩრდილეთ,
ბიძისეულო ალვის ხეებო.
ჩემი ბავშვობა გამომიჩინეთ,
თქვენთან რომ დამრჩა, მოსახლეებო.

მე შორი გზებიც ვეღარა დამღლის
ამ ბილიკებზე ნარბენს ყრმობისას.
შევგვიანდები?
არცერთი ძაღლიც
არ შემომყეფავს მე ამ სოფლისა.

ბელტი მიფშვნია თოხის ყუათი
მეც თქვენთან ერთად სახლიკაცებო,
სადაც არა ვარ,
ჩემი შუამთის
მზით და ჰაერით ვარ და ვარსებობ.

თვითმფრინავი

თეთრი ღრუბლების მთებზე შეფრინდა...
თვალს აყოლებენ შარა-გზებიდან.
ჩრდილი დაეცა ღაღანა ყანებს,
გული დაუკრთთ და ფოთლებს მწვანეს
ამოეფარენ უცებ ჩიტები.

ლეონიძეები
ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვითმფრინავიდან მგზავრები ალბათ
იხედებიან მიწისკენ ხარბად.
ძლივს თუ ამჩნევენ სახლებს და შარებს,
ციდან დასცქერენ მშობლიურ მხარეს
და ესმით მიწის მღელვარე სუნთქვა.

ფეხსაცმელებზე აყოლილ ტალახს,
ვით მიწის ნაწილს იგრძნობენ ცაში.
ვინმე შარავალზე შერჩენილ ბალახს
მოკიდებს ხელს და ველ-მინდვრებს გაშლილს
იმ ერთი ღერი ბალახით იგრძნობს.

ავაჩერდები მიწაზე მდგარი,
ვხარობ, რომ მზეა და კარგი დარი,
რომ ზეცა ასე მაღალი არი...
და თვითმფრინავის ფრთებისა ქარი
მეხება, როგორც მშობელ ცის სუნთქვა.

ბილიკი

განა ეს არის ჩვენი ბილიკი,
აგრე ძლიერად კვლავ რომ მიზიდავს?
გავეცალარავდი, აქ სირბილი კი
მსურს მაშინდელი სიხალისითა.

განა ის არის ვორი მაყვალთა,
შენ რომ დაკარგე ერთ დღეს ბოჩოლა,
სადაც ჩვენ ერთხელ შემოგვაღამდა,
მერე ვიღაცამ რაღაც მოჭორა.

მაშინაც ასე გადადიოდნენ,
გზას იმოკლებდნენ იქით-აქეთა.
იქ მაღლა სახლი დგას ათიოდე,
ეჰ, მეთერთმეტე ნეტავ დაგვედგა!

განა ეს არის ჩვენი ბილიკი,
აგრე ძლიერად კვლავ რომ მიზიდავს?!
რა დრო გასულა!..
აქ სირბილი კი
მსურს მაშინდელი სიხალისითა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩაჩავა

მე გევრი არ მსურს

პატარა უნდა ადამიანს რომ უხაროდეს,
ძალზე მცირედი ამოდენა ცისა და მიწის,
არ უფიქრია, არ აურწყავს არვის, აროდეს,
რამდენი არის ეს მცირედი არავინ იცის.
რამდენი არის თვალმიუწვდენ სივრცეში, დროში,
ადამიანის საოცნებო წმიდათა-წმიდა.
მე ბევრი არ მსურს, ბევრს არ ვითხოვ ამ საწუთროში,
უღრუბლო ცა და სულ პატარა სიცოცხლე მინდა.

ღაღადი ადამიანის ფიქრზე

ადამიანო შენს სიმაღლემდე,
რომელი მთა და რა მოვა მითხარ!
რა ყინვა მივა, რა ქარი მივა,
ადამიანის უძლეველ ფიქრთან.
ერთ წუთში თუნდა შემოგატარებს,
თვალმიუწვდენ და უსაზღვრო სივრცეს,
გოლიათებათ გახდის პატარებს,
გადიდკაცებულთ თაკარას მისცემს.
ერთ წუთში თუნდა დაამსხვრევს კლდეებს,
წამში აღადგენს გარდასულ დღეებს,
ხელთუქმნელ კოშკებს ააგებს ცამდე,
რომ სახვალიოც ამ კოშკში ჩანდეს.
ადამიანო, შენს სიმაღლემდე,
რომელი მთა და რა მოვა მითხარ.
რა ყინვა მივა, რა ქარი მივა,
ადამიანის უძლეველ ფიქრთან.

ტყეში გავლით

ტყეში სიჩუმე მომყვება გვერდით
და მიწის სურნელს მოაფრქვევს უხვად.
ხეებო, ნუთუ თქვენც დამიბერდით,
გარინდებული ასე რომ სწუხართ.

ლეჟანდი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუთუ თქვენც ისე მოხრილხართ წელში,
რომ ვეღარ უმზერთ ცის სიდიადეს.
არა, ნუ მეტყვით, მომწვდება ყელში
შორით სავალ გზას გამიზვიადებს.
ამ სიჩუმეში უფრო ზვიადნი,
უფრო დიადნი მოსჩანხართ ახლაც.
თქვენით შევიგრძნე მე განთიადი
და ბინდის გრძნობაც თქვენივე მახლავს.
ამ სიჩუმეში თქვენი ჩრდილებიც,
უფრო გაზრდილი მოსჩანან თითქო.
რად უნდა იყოთ თავდახრილები,
ან თქვენზე ცუდი ვით გავიფიქრო.
ადამიანზე ზრუნვას, ამაგსაც,
თქვენი შტოების სუნთქვაც ატყვია.
თქვენით ვიმოკლებ მზისკენ სავალ გზას
და ვუერთდები ცას და განთიადს.
ტყეში სიჩუმე მომყვება გვერდით
და მიწის სურნელს მოაფრქვევს უხვად.
ხეებო არა, არ დამიბერდით.
რამ დაგადუმათ, რაღაზედ სწუხართ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრიგოლ ცეცხლაძე

თბილისის დიდება

უნდა ვუმღეროთ თბილისს დიდება,
ხმას სიმღერისა ყღერდეს ნარნარად!
რარიგ დამშვენდა, რარიგ იზრდება
ხნიერი, მაგრამ ჭაბუკი მარად.
ძველ დედა-ქალაქს, დღეს განაახლებს,
შევყურებთ გართულს ზრუნვაში,
ცდაში.
მის ახალ უბნებს, მის ახალ სახლებს,
გააქვთ კაშკაში.
მზიურ მომავლის ვარდად გაშლილა
ახლის იმედი დაუკნობელი,
გულში გვიხუტებს ნათელი დილა,
გვეალერსება, როგორც მშობელი.
მაგრამ ჩვენ გვახსოვს ბნელი დრო-
ჟამიც,
ბევრის მომსწრეა ქართული მიწა.
აქ ბევრ ურჩხულის დაღვრილა შხამი,
თბილისი ბევრჯერ ნანგრევად იქცა.
აქ ყოველი ქვა არის ძვირფასი,
სახსოვარია წინაპრებისა, —
გასულა წელი ათასსუთასი,
გადარჩენილან რისხვას მტრებისა.
მეტეხია თუ ანჩისხატია,
ნარიყალა თუ სიონი ძველი, —
ქართველი კაცის გულს ახატია,
როგორც წარსული დიდების მცველი.
უნდა ვუმღეროთ თბილისს დიდება,
ხმა სიმღერისა ყღერდეს ნარნარად!
რარიგ დამშვენდა, რარიგ იზრდება
ხნიერი, მაგრამ ჭაბუკი მარად!

ტელეგრაფისტი

(სილუეტი ე. ნინოშვილის ცხოვრებიდან)

სუსხი მთით გადმოატარა,
დეკემბრის ქარი სისინებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფსის სადგური პატარა
იძინებს და არც იძინებს.
აქ მოწყენაა სტუმარი,
დარი არის თუ ავდარი.
ზის აპარატთან მდუმარი
ტელეგრაფისტი გამხდარი.
ღამის ფიქრებში გართული
თუმც ჩასთვლემს, ის არ იძინებს.
მოდის დეპეშა მავთულით
და აპარატი ჭიჭინებს.
მორზეს ჭიჭინი გრძელდება...
ეგნატე თავს გრძნობს ტუსაღად.
მიზნის მიღწევა ძნელდება,
სიყრმიდან რომ დაუსახავს.
ცხოვრება განა ეს არი —
როგორმე თავი ირჩინოს?
მას ხალხი უხმობს მკვნესარი,
რომ თავი გამოიჩინოს.
იყოს ბორიტის მგმობელი,
სიმუხთლეს ფარდა ახადოს;
რომ ჭირ-ვარამი მშრომელის
მართალი კალმით დახატოს...
ერთი პატარა მოხელე,
მივიწყებული სადგურის,
მომავლის მშენებლობაზე
ცდილობს მიტანას აგურის.
ღამე არის და ზამთარი,
ქარი უმატებს გუგუნსა.
ტელეგრაფისტი მზად არი,
ებრძოლოს ძილს და უკუნსა.

სოფელში

მე სტუმარი ვარ იმ არემარის,
სად ამომეპრა პირველი კბილი,
სადაც პირველი ვნახე სიზმარი,
მიალერსებდა ოცნება ტკბილი.
სად ვარე-ყვავილთა ცვარის პკურება
მზრდიდა მეხოტბედ მშობელ ბუნების,
სად იტაცებდა ნორჩ გულს ცდუნება
მზეთუნახავთან გამოჯნურების...
ის აპრილები დღეს შორს არიან,
დღეს შორს არიან ის მაისები;
წელთა გრიგალნი მიიჩქარიან,
მიაქვთ ეარდები და ნარგიზები.
ხანდაზმულობა ვნებებს აწყნარებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცს გულდაწყვეტით უკან ახედებს —
მე მსურს ვეტრფოდე ახალ ბაღნარებს,
მწვანეკაბიან მინდვრებს და ქედებს.
მაღალჯუმათის ნიავი ცივი
გადმოიქროლებს, შეარხევს ხეებს.
დღეს აქ დავდივარ უცხო კაცივით
და გზაში ვხვდები ახალ სახეებს.
სხვები დადიან თავმოწონებით,
შუქურვარსკვლავიც მათთვის
ციმციმებს,
სხვა ვაკეები და სხვა გოგონები
მართავენ ახალ ჩონგურის სიმებს...
მაგრამ ჩემს გულში შურია განა? —
სიყვარულია, სიხარულია!
მეც მაუბაუკებს ახალი ხანა,
ხანდაზმულობას არ ვგრძნობ სრულიად.
და სიმთა ქოვრამ მეც ამამღერა,
მე სიხარული ერთი მახარებს:
საითაც უნდა მივაპყრო მზერა,
უკეთესდება მშობელი მხარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ ლაკერბაია

[illegible]

ვისაც მთებში უცხოვრია, კარგად იცის იქაური ღამის ამბავი: ჩავა თუ არა მზე, მაღალ კლდეთა შორის ჩაწოლილ ხეობებში, განსაკუთრებით იქ, სადაც ხშირი ტყეა, მაშინვე ბნელდება და შავზე უშავესი ღამე ისადგურებს.

უადხარას მთიან ხეობაში სწორედ ამგვარი ღამე ჩამოწვა. როგორც იტყვიან, ისეთი კუნაპეტი სიბნელე დადგა, კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა; თუ ფრთხილად არ ივლიდა, სადმე კისერსაც მოიტეხავდა.

ოცი წლის გუნი ალიასი ტყიდან ფეხაკრეფით გამოვიდა და გედლაჩის კარმიდამოსთან ჩუმად მიიპარა. იგი ისე მარჯვედ გადაცოცდა ღობეზე, რომ ვერავითარმა სულდგმულმა ვერ შეამჩნია. ასევე გადაიარა ეზო, ხელის ფათურით მიაგნო ფაცხის უკანა, მიყრუებულ კედელს და იქვე, ანწლის ტევრში ჩაიმალა.

ყოველივე ბედკეთილად მოეწყო და ალიასმა შვებით ამოისუნთქა: როგორც იქნა, ეწია სანატრელს. დადგა გედლაჩთან ანგარიშის გასწორების ჟამი. მას შემდეგ, რაც კაპშ გედლაჩმა მოუკლა ღვიძლი ძმა — გუდისი, ორჯერ ამოვიდა და ჩავიდა მზე, ორჯერ შეცვალა ღამემ დღე. მოჰკლა და აქამდე ცოცხალი დაიარება, ალიასმა ვერ მოახერხა სისხლი აეღო, შური ეძია. ისეთი ვაჟკაც-ჯიგიტისათვის, როგორიც ალიასია, საამისოდ ორი დღე ერთთან დიდი დროა. მართალია, ძმის კუბო ჯერ საფლავში არ ჩაუშვიათ, არც ქალთა ცად გამყინავი წივილ-კივილი და გოდება შეწყვეტილა, მაგრამ მაინც...

რაც შეიძლება მალე უნდა მოკლას გედლაჩი, ვიდრე ძმის ცხედარს მიწის ქვეშ ამოდებენ, თორემ თავისანებებთან რა პირით გამოჩნდეს?

შურისმაძიებელმა თვალები დახუჭა და ნათლად წარმოიდგინა: ხელმოცარული რომ დაბრუნდეს, ნათესავ-მოყვრები საყვედურით აავსებენ, მრისხანე მზერით გულს დაუფლეთენ, ლაჩრად ჩათვლიან.

აი, აიცელმა არგუნ სეიდმა უმალვე გაითქვა სახელი, მასზე ახლა ლექსებსაც კი თხზავენ და მღერიან. ღირსიც არის. არგუნს ძმა ღამით მოუკლეს და მაშინვე ეძია შური: ვიდრე მზე ამოვიდოდა, მკვლელს სიცოცხლე დაუღამა, წუთისოფელს გამოასალმა. აი, ის მართლაც მარჯვედ მოიქცა. ალალია მისთვის ლექსიც და სიმღერაც.

ალიასზე კი კარგ ლექსს ვინ შეთხზავს! უკვე ორი დღე და ღამეა გედლაჩს დასდევს, მაგრამ ეს კაცი თითქოს მიწამ ჩაყლაპა, ვერსად დალანდა: არც სახლში ჩანს, არც სოფელში და არც ტყეში. უჰ, წყეული! როგორ მოხერხებულად იმალება! იცის, რომ კარგი დღე არ დაადგება, თუ სადმე გამოჩნდა.

მალე, მალე უნდა დაამოლოვოს ეს საქმე, თორემ, ღმერთმანი, აიცელი ქალიშვილები მასზე საქილიკო მაირებს შეთხზავენ და საქვეყნოდ ლაფს დაასხამენ თავზე.

ᲐᲛᲐᲜᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲐᲛ ᲤᲘᲪᲠᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲚᲘᲐᲡᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲣᲪᲔᲑ ᲤᲐᲪᲮᲐᲨᲘ ᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲓᲔᲜᲔ. ᲧᲣᲠᲐᲠ ᲛᲘᲪᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐ ᲣᲩᲘᲕᲔᲣᲚᲘᲡᲐᲓ ᲐᲦᲤᲠᲗᲝᲕᲐᲜᲓᲐ: ᲘᲪᲜᲝ ᲒᲔᲓᲚᲐᲩᲘᲡ ᲮᲛᲐ. ᲒᲔᲓᲚᲐᲩᲘ ᲨᲔᲜ ᲧᲝᲤᲘᲚᲚᲐ, ᲨᲔᲜ!

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲧᲣᲝᲗ ᲒᲐᲠᲔᲛ? ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲒᲘ ᲤᲐᲪᲮᲐᲨᲘᲐ, ᲔᲐᲠ ᲔᲡᲐᲠᲘᲡ. ᲐᲡᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲒᲔᲓᲚᲐᲩᲘᲡ ᲪᲝᲚ-ᲨᲔᲘᲚᲘᲪᲔ ᲘᲛᲘᲡᲮᲔᲠᲐᲚᲝᲚᲘ, ᲓᲐᲡᲯᲠᲐᲡ ᲐᲜ ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲔᲗ ᲓᲐᲮᲝᲪᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲔᲡ ᲙᲘ ᲮᲐᲮᲚᲔᲚᲘ ᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝᲚᲓ ᲨᲔᲠᲩᲣᲒᲕᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲭᲠᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲕᲐᲘ, ᲨᲔᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲕᲘ!..

ᲐᲚᲘᲐᲡᲘᲛᲐ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ ᲒᲐᲡᲬᲘᲐ ᲘᲡ ᲬᲔᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲘᲗᲐᲪ ᲤᲐᲪᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲬᲧᲣᲚ-ᲜᲐᲨᲘᲜᲔᲑᲘ, ᲭᲣᲭᲠᲣᲢᲐᲜᲐ ᲒᲐᲐᲙᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲭᲣᲢᲣᲚ-ᲓᲐᲬᲙᲣᲠᲣᲚᲛᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲪᲥᲔᲠᲐ: ᲗᲣᲗᲐᲚᲔᲑᲘᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲫᲐᲑᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲩᲘᲗ.

ᲤᲐᲪᲮᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲑᲠᲫᲛᲝᲓᲐ ᲨᲣᲥᲘ ᲓᲐ ᲑᲘᲜᲓᲘ. ᲑᲣᲮᲠᲘᲡ ᲡᲘᲪᲮᲠᲛᲘᲓᲐᲜ ᲡᲣᲡᲢᲘ ᲡᲘᲜᲗᲔᲚᲣ ᲒᲐᲛᲝᲙᲠᲘᲗᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲐ ᲐᲗᲘᲡᲜᲐᲗᲘ ᲫᲚᲝᲕᲘ ᲐᲩᲘᲜᲔᲓᲐ, ᲠᲐᲪ ᲥᲝᲮᲨᲘ ᲔᲬᲧᲝ ᲐᲜ ᲘᲓᲒᲐ.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲗᲐᲜᲓᲐᲗᲐᲜ ᲛᲘᲬᲧᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲛᲐᲚᲐ. ᲐᲚᲐᲗᲐᲗ ᲔᲐᲮᲨᲐᲛᲘᲠᲗᲛᲔᲣᲚᲘ ᲯᲐᲚᲐᲑᲘ ᲢᲐᲮᲢᲖᲔ ᲛᲘᲬᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲫᲘᲜᲔᲑᲓᲐ ᲣᲙᲔ.

ᲐᲚᲘᲐᲡᲘᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲬᲧᲕᲘᲢᲐ ᲓᲘᲚᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲕᲔᲚᲔᲠᲓᲔᲑᲘᲝᲛ.

ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲛᲐᲑᲔᲖᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲦᲐᲛᲔ ᲒᲣᲚᲘ ᲣᲤᲝᲠᲘᲐᲥᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡ ᲣᲙᲐᲠ�გᲐᲕᲓᲐ.

ᲗᲕᲐᲚᲘ ᲬᲐᲛᲝᲗᲛᲘᲪ ᲐᲠ ᲛᲘᲝᲣᲚᲔᲚᲐᲕᲓ. ᲘᲒᲘ ᲧᲣᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡᲔᲚᲘ ᲣᲡᲛᲔᲜᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲘᲛᲐᲡ, ᲗᲣ ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲤᲐᲪᲮᲐᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲯ ᲑᲜᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲮᲔᲕᲔᲣᲚ ᲨᲔᲛᲝᲒᲐᲠᲔᲑᲚᲐᲡ. ᲪᲓᲝᲚᲛᲝᲓᲐ ᲝᲠᲓᲘᲜᲐᲕᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲒᲘᲐᲩᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ, ᲒᲐᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲙᲘᲠᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲛᲣᲚᲘ ᲣᲛᲔᲠᲨᲘᲕᲔᲚᲘᲡ ᲜᲐᲑᲘᲯᲗᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐ ᲛᲝᲣᲚᲝᲚᲓᲔᲚᲘᲡ ᲤᲐᲩᲣᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲣᲙᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲐᲑᲛᲣᲚᲘ ᲫᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲘᲪᲔᲓᲐ ᲓᲐᲜᲘᲫᲘᲗᲔᲑᲘᲜᲐ.

ᲨᲣᲐᲦᲐᲛᲓ ᲠᲝᲛ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ, ᲐᲚᲘᲐᲡᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲙᲣᲜᲐᲞᲔᲢᲘ ᲦᲐᲛᲔ ᲣᲪᲔᲑ ᲬᲕᲠᲘᲚᲘᲛᲐ ᲡᲘᲜᲗᲚᲔᲗᲘ ᲒᲐᲭᲘᲜᲐ, ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲥᲝᲮᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲓᲐ ᲡᲘᲑᲜᲔᲚᲔᲑᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲘᲡᲐᲠᲘ ᲔᲡᲠᲝᲚᲐᲝ, ᲓᲐ ᲓᲐᲓᲐᲠᲐᲯᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲝᲮᲘᲓᲐᲜ ᲮᲛᲐᲣᲠᲘ ᲛᲝᲔᲡᲛᲐ.

ᲐᲚᲘᲐᲡᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲭᲣᲭᲠᲣᲢᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲫᲕᲐᲕᲓᲐ: ᲡᲐᲪᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲐᲠᲐ ᲬᲐᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲤᲐᲪᲘᲡ ᲡᲮᲔᲚᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲤᲐᲩᲣᲜᲝᲑᲓᲐ, ᲮᲔᲚᲨᲘ ᲐᲜᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲗᲐᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲔᲩᲘᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲝᲓᲐᲪᲐᲡ ᲔᲫᲘᲔᲑᲓᲐ. ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲔᲢᲧᲣᲝᲑᲐ, ᲐᲮᲐᲒ, ᲠᲐᲪ ᲡᲣᲠᲓᲐ, ᲙᲔᲠᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲘᲓᲒᲛᲣᲚ ᲡᲙᲐᲛᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲐ, ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲑᲣᲮᲠᲘᲡ ᲠᲘᲛᲘᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲒᲐᲠᲐ, ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲛᲑᲐᲭᲘᲡ ᲭᲠᲐᲚ ᲛᲘᲰᲧᲝ ᲮᲔᲚᲘ; ᲐᲚᲘᲐᲡᲘ ᲛᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲜᲐᲗᲚᲐᲓ ᲣᲩᲔᲠᲔᲓᲐ.

„ᲑᲔᲓᲘ ᲛᲬᲧᲐᲚᲛᲘᲡ: ᲖᲦᲐᲠᲐᲯᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲛᲘᲪᲐ“, — ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲐᲚᲘᲐᲡᲘᲛ.

ᲛᲐᲜ ᲗᲝᲗᲒᲘᲡ ᲚᲣᲠᲔᲡ ᲩᲣᲛᲐᲓ ᲒᲐᲰᲧᲝ ᲤᲐᲪᲘᲡ ᲭᲣᲭᲠᲣᲢᲐᲜᲐᲨᲘ, ᲩᲐᲰᲛᲐᲰᲘᲡ ᲤᲔᲮᲜᲐᲖᲔ ᲨᲔᲐᲧᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲣᲨᲘᲨᲜᲐ...

— ᲰᲔᲘ, ᲣᲒᲜᲣᲠᲝ, ᲠᲐᲡ ᲨᲔᲕᲔᲑ!? — ᲬᲐᲛᲝᲘᲫᲐᲰᲐ ᲓᲐᲛᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲮᲛᲘᲗ ᲒᲠᲫᲔᲚᲘᲩᲘᲡ ᲪᲝᲚᲐ, ᲠᲛᲔᲚᲗᲚᲐᲪ ᲘᲡ-ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲘᲪᲔᲓᲐ. — ᲩᲭᲐᲠᲐ ᲩᲐᲥᲠᲐ ᲡᲜᲐᲜᲗᲔᲚᲘ!

— ᲘᲧᲣᲤᲘ, ᲓᲐᲘᲫᲘᲜᲔ, ᲜᲣ ᲒᲔᲨᲘᲜᲐ! — ᲛᲘᲣᲒᲠ ᲥᲛᲐᲠᲛᲐ. — ᲐᲥ ᲡᲐᲐᲛᲘᲡᲝ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ!

„ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲛᲝᲛ ᲛᲔᲢᲚ ᲘᲪᲝᲪᲚᲔᲑᲘ ᲗᲣ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ, ᲠᲐ ᲑᲔᲓᲔᲜᲐᲐ!“ — ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲐᲚᲘᲐᲡᲘᲛ, ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲬᲘᲜᲓᲘᲚᲛᲐ ᲡᲚᲔᲚᲐ ᲓᲐ ᲧᲣᲠᲘ ᲛᲘᲣᲒᲓᲛ, ᲠᲐᲗᲐ ᲒᲐᲘᲒᲛ, ᲤᲐᲪᲮᲐᲨᲘ ᲠᲐᲡ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲛᲝᲑᲓᲜᲔᲑᲓᲐ.

— ᲩᲭᲐᲠᲐ ᲩᲐᲐᲥᲠᲐ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ! — ᲐᲩᲭᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲪᲝᲚᲐ. — ᲛᲐᲘᲜᲪᲐᲓᲐᲛᲐᲘᲜᲪᲐ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲝᲒᲘᲜᲓᲐ ᲗᲛᲑᲐᲭᲘᲡ ᲓᲐᲭᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘᲡ ᲐᲜᲗᲔᲑᲐ? ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲐᲥᲔᲓ, ᲛᲐᲮᲚᲝᲛᲑᲚᲐᲓ, ᲡᲐᲓᲛᲘ ᲐᲚᲘᲐᲡᲘᲡ ᲓᲐᲔᲮᲔᲢᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲝᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲕᲔᲜᲘ ᲣᲯᲯᲓᲘᲗ ᲗᲝᲗᲒᲘᲡ ᲙᲝᲠᲐᲠᲗᲐ, ᲨᲣᲐᲠᲐ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲐᲠᲔᲚᲘ ᲓᲠᲝᲡᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐᲗᲕᲘᲡ.

— ᲡᲘᲪᲔᲓᲔ! — ᲗᲐᲕᲘ ᲒᲐᲘᲫᲘᲜᲐ ᲒᲔᲓᲚᲐᲩᲘᲡ. — ᲔᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲡᲬᲘᲗᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲐᲠᲔᲚᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რატომ? განა არ იცი, რომ ალიასი ახლა დღე და ღამე დაგდევს ძმის სისხლის ასაღებად?! რას ფიქრობ, რას!

— ვიცი, ვიცი, რომ დამდევს, მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ალიასი ნამდვილი ვაჟკაცი-ჯიგიტია, გულუშიშარი და მამაცი...

— ამას დამიხედეთ, რას ამბობს, რას! — გაიწყვეტინა სიტყვა ცოლმა.

— ნუ შფოთავ, ქალო! ყური დამიგდე ბოლომდე! — მშვიდად განაგრძო კედლაჩმა და თან ჭუჭრუტანისკენ გამოიხედა. — ალიასი განთქმულია, როგორც ჭეშმარიტი ახაცა, დიდსულოვანი გმირი, ასეთი ადამიანი კი ისეთ კაცს თოფს არ ესვრის, რომელიც ეს-ესაა საცვლების ამარა საწოლიდან წამოდგა და უიარაღოდ ზის. ასე რომ ახლა სანთლის ანთება ჩემთვის სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საფრთხე მელის, ვინმე წუთისოფელს გამიშავებს და ასეთი სანთელი მალე კუბოსთან ამენთება. — და კედლაჩმა მშვიდად განაგრძო თამბაქოს ჭრა.

ალიასმა თოფის ლულა უმალვე მოაშორა ჭუჭრუტანას, ჩახმახი ნელ-ნელა, უხმოდ დაუშვა, ერთი გულშივე ჩაიგმინა, ამ გმინვაში ბოლმა ჩაიმარხა და ისევე ფრთხილად გაშორდა ფაცხას, როგორც მოვიდა.

თარგმნა აკაკი გეწაძემ



ნელ-ნელა ადამური

თავადი ელიზბარ მხეიძე უკვე აფხაზეთის მკვიდრ მოსახლედ ითვლებოდა. მდიდრად ცხოვრობდა თავადი. კარგი ნათესაობაც ჰყავდა. ერთხელ თბილისიდან მის ოჯახს ძმისწული ლეილა ესტუმრა. მისმა შოლტვით ტანმა და ცეცხლოვანმა შავმა თვალებმა ორიოდე დღეში გაიტაცა აფხაზი ვაჟკაცები. აფხაზი ახალგაზრდების ბუნებრივმა სიდარბაისლემ, გონებრიობამ და ვაჟკაცურმა ქცევამ მოხიბლა ლეილა, გულის სატრფო კი მაინც ვერ ამოირჩია. დრო გავიდა და ბუნებამ თავისი მოიტანა. მხეიძის ქალწულმაც შეიყვარა აფხაზი ყმაწვილი.

თავადი ელიზბარი ლეილას დაბადების დღეს იხდიდა. სტუმრებს შორის ჭაბუკი ადამური იყო. ნახვისთანავე შეუყვარდა გული ქალიშვილს იმ ყმაწვილზე. ყოველ ქალწულს თავისი სანუკვარი გმირი ჰყავს ხოლმე სიზმარლანდად. ლეილას საოცნებო ვაჟიც ადამურს ჰგავდა. ამ ჭაბუკის სახე ჩაუჯდა სიზმარ-ცხადში და მის გარდა ამქვეყნად ვერავის ამჩნევდა. ვით მზის სხივები მაგნოლიის ყვავილს, ისე იტაცებდა ადამური მისკენ ქალწულს. ვაჟი კი ცივი ჩანდა. თითქოს ლეილასაკენ არ ილტვოდა, მისი თვალების ანდამატს არ ემორჩილებოდა. ეს უფრო ცეცხლს უკიდებდა ამაყ თავადის ქალწულს.

სხვა ვინმე თუ უყვარს, ნეტავ ვინ არის ჩემი მეტოქეო, ფიქრობდა ლეილა და უფრო იწვედა ყმაწვილკაცისაკენ.

იმ საღამოს მოტრფიალეთა გუნდი შემოსეოდა გარშემო. იგი ყურადღებას არავის აქცევდა, სულ ადამურზე ფიქრობდა და მასთან დალაპარაკების სურვილი სწვავდა.

ამ სურვილის შესრულების დროც შეარჩია თავადის ქალმა, — ერთმა ახალგაზრდამ, მის ბედზე, ადამური გაიჩერა და უთხრა:

— გაიგე, ადამურ, ამჩი ხადკარატს თავისი ბედაური დკარა ტაიბ შარმატისთვის უჩუქნია.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

— დეკარა?! — გაიოცა ადამურმა. — დაუჯერებელია. ამჩი მის ლურჯ ფასუდებელ ცხენად სთვლიდა. ნეტავი როგორ მოხდა ეს?!

— სულ უბრალოდ: ტაიბს დეკარა-ბედაური მარულაზე უნახავს. ძალიან მოსწონებია და თავისი სურვილი ხმამაღლა გამოუთქვამს. ხადეკარატიც იძულებული გამხდარა ძღვნად მიერთმია ტაიბისათვის თავისი საყვარელი ცხენი.

— ჰე, მე უფრო მეტი ვიცი, — თქვა მეორე ყმაწვილმა ნურომ. — აი, ალხასაჩბამ თავის სტუმარს, რუს მხატვარს, ბრწყინვალე ავარაკი აჩუქა გუდაუთში. მერე და რა მამულია! ზედ შავი ზღვის ნაპირს! რუს მხატვარს არ სცოდნია აფხაზური წესი და მერე უარის თქმა გვიან იყო.

ამ საუბრის გამგონე ლეილას გახარებია, ადამურთან დალაპარაკების მიზეზი მისცემია.

— ადამურ, მითხარი, როგორ უნდა აკუსნათ აფხაზთა ასეთი გულუხვობა?! — შეეკითხა ვაჟს ქალი.

ადამურმა თავი ასწია. ვარსკვლავებივით ციმციმებდნენ ქალის თვალები. თითქოს ვერც ლეილას აპილპილებულ სახეს ამჩნევდა ყმაწვილი, ისე უპასუხა:

— ჩვენში დასაბამიდან ასე იციან, ქალბატონო, სტუმარს თუ კი რაიმეზე გული შეუყვარდა და მოეწონა, მასპინძელმა უსათუოდ უნდა ძღვნად მიართვას. ხანდახან სტუმარი უნებურად აიძულებს მასპინძელს ძვირფასი საჩუქარი მისცეს მას. თუ სტუმარი რაიმეს შეაქებს, ის ძღვნად უნდა მიიღოს კიდეც, უარის თქმა მასპინძლის დიდი შეურაცხყოფაა.

— კი, მაგრამ... თუ სასურველი ისე მოგეწონა, რომ ძალღონე არ გეყო გულისთქმის დასაფარავად, მაშინ რა უნდა იღონო?!

— საღონებელი რა არის, ქალბატონო, უნდა ძღვენი მიიღოთ და ის იქნება.

ორივეს გაეცინა.

— აი, ჩვეს ამბავს გეტყვით. დაუფიქრებლად შევაქე გუშინ ეს ქუდი და ხომ ხედავთ, ახლა თავზე მახურავს. პატრონმა იმ წუთშივე დამასაჩუქრა.

თავადის ქალმა კარგა ხანია შეამჩნია ადამურის ქუდი. მისი ვერცხლისფერი ხუჭუჭა ბეწვი საოცრად უხდებოდა ვაჟის ლურჯ ფართო თვალებს და ამოხატულ დიდ წარბ-წამწამებს.

ქალწულს გული უფრო სიჩქარით აუთამაშდა. სახე და თვალები კიდევ უფრო გაუცხელდა და აუვარვარდა. ადამურიც როდი იყო ბრმა. ის ხედავდა, როგორ მოხიბლული შესცქეროდა ქალი.

ლეილამ თავს ძალა დაატანა და მორცხვობა დასძლია.

— აფხაზები მეტად გულუხვნი არიან, ადამურ, — წყნარად და ეშმაკური ღიმილით თქვა ქალმა. — მარტო შენ ყოფილხარ ძუნწი.

ვაჟი გაოცდა. ქალს დაეკვირდა, ცოტა ხანს ხმა არ ამოუღია.

— ძუნწი რად ვიქნები! — წამოიძახა მან. — ცილს რატომ მწამებთ, განა რაიმე ისურვეთ და მე არ მოგიძღვენითო?!

— არა, არ მიმიღია ეს საჩუქარი.

— მაინც რა არის ასეთი?!

ლეილამ თვალები ძირს დახარა.

— ნუთუ ისეთი რამ გსურთ, რაც მე მეკუთვნის? — განაგრძო ვაჟმა.

— დიაღ, — ჩაიჩურჩულა ქალმა.

— რა მოგისურვებია, ლეილავ! — ათრთოლებით წარმოსთქვა ვაჟმა.

— შენი სიყვარული, ადამურ! — ჩურჩულით, მორცხვად შეაგება ეს სიტყვები ქალმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქრო-ხახუტი

ტრაპეზუნდის ერთ ყავახანაში იქაური ვალაიეთის ორი ჩინოვნიკი მუსაიფობდა. ერთს შუქრი ერქვა, მეორეს — ოსმანა.

— დააკვირდი, რა სიყვარულითა და მოკრძალებით ესაუბრებოდა ჩვენი ვეზირი იმ მაწანწალას? — ეუბნებოდა ოსმანა შუქრის.

— ვისა, ნური-მახაჯირს?! მართალი ხართ, ბატონო ჩემო, ეს ყოფილი შიკრიკი და ახალგამომცხვარი შერიფი მეტად ეშმაკი, გამჭრიახი და მოქნილი ვინმეა. იცოდეთ, თქვენ ორივეს ყურადღება უნდა მიაქციოთ, ხალხში ხმა დადის, თითქოს ვეზირი ნური-მახაჯირს თქვენს ადგილზე უპირებდეს დასმას.

— ვიცი, ეს ამბავი მეც მითხრეს. დიდი ხანია ჩემს ადგილს უმიზნებს. მაგრამ ისე ვერ მოესწრება ამას, როგორც თავისი ყურების ხილვას.

— ვეზირმა ძალზე დაიახლოვა ეს გაიძვერა. ყველაფერში ენდობა. ნეტავი რითი მოხიბლა ჩვენი ვეზირი?

— თავისი საკუთარი დით. განა არ გაგიგია, ამ დღეებში ვეზირი იმისი დის შერთვას აპირებს.

— ჰოო, ჰოო, ჰოო! ალაჰ, ეს თუ გამართლდა, ნური-მახაჯირი მთელ ვალაიეთში გამეფდება. ჩვენ ის ადამიანად არ გვთვლის, ყველას უჭკუოსა და შტერს ვვეძახის. ყველას გაგვყრის აქედან და მახაჯირებს მოიყვანს. ის მაწანწალა, ჯგრო-ჯგრო დასდევენ უკან.

— დიაღ, ეს საქმე უსათუოდ უნდა ჩავუშალოთ ნური-მახაჯირს.

— ნეტავი სად ნახა დიდმა ვეზირმა ნურის და? ამბობენ, ჯერ კიდევ გოგონაა, ფეხშიშველა დარბის ტყე-ველად და ქალაქში არც კი ყოფილაო.

— ჰეი... ეს ნურის ოინებია. ერთხელ თურმე, ვეზირთან ყოფნის დროს, თითქოს უცაბედად ჯიბიდან ამოვარდნია გოგონას სურათი. ვეზირს დაუხედია თუ არა, მაშინვე შეყვარებია.

— შენ სწორად განქვრიტე, ნური-მახაჯირს ხელი უნდა შევუშალოთ.

— მე უკვე მოვიფიქრე, — თქვა შუქრიმ და გარშემო მიიხედ-მოიხედა; რაკი ახლო საეჭვო ვერავინ დაიგულა, მოსაუბრისკენ დაიხარა: — მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს ამ უბედურების ასაცილებლად. ნურის ცილი დავწაამოთ, ვეზირს ჩავაგონოთ, რომ ესმა გარყვნილი და ნათრევი ქალია. დავუმტკიცოთ, რომ ნურის ვეზირის გამიაბრუება უნდა ფადიშაჰთან, ვეზირობიდან გადმოვდება და მისი ადგილის დაკავება აქვს განზრახული.

— ჩინებულია, ჩინებული, ბრძნულად მოგიფიქრებია, — წარმოსთქვა ოსმანმა. — ჭკვიანი თავის პატრონი ხარ, მხოლოდ ვინ გააბამს ამ ქსელს, ვინ გაუბედავს ამის თქმას?!

— მე თვითონ ვიკისრებ ამ საქმეს, — ჩუმად განაგრძო შუქრიმ. — ჩემს მეტი ვინ იცნობს ვეზირის ფიქრსა და გონებას, სხვას ვის შეუძლია მისი ბებერი და ყეყეჩი თავიდან ბოროტი ზრახვების ამოქაჩვა ან უკანვე ჩაბერვა.

— თვითონ იკისრებ?! ეს კარგია, მაშინ უსათუოდ გაიმარჯვებ, უსათუოდ საქმეს ბოლომდე მიიყვან. არ დაიშურო ძალ-ღონე, ეფენდი, იცოდე, არც ჩვენ დაგრჩებით ვალში.

— ამ საღამოსვე მოვეთათბირები ვეზირს.

— ალაჰმა შეგისრულოს კეთილი ჩანაფიქრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დღეს უფროსმა შერიფმა შუქრიმ ვეზირს მიღება სთხოვა.

— თქვენი ქორწინების თაობაზე ხალხში ცუდი ხმები დადის, ვეზირო, — დანდობით თქვა შერიფმა.

— ხალხში?! — გაიოცა და გააქილიკავა ვეზირმა ეს სიტყვა. — რა ხელი აქვს ხალხს ჩემთან, ან მე მათთან რა მესაქმება? მაინც რა უნდა ილაყბონ, ერთი თქვი, გეთაყვა.

— ლაყბობენ, რომ ქალწული ესმა, ნური-მახაჯირის და, თურმე ქუჩის ნათრეველა და თავის სხეულით მოვაჭრე ქალი ყოფილა.

— რაო, — დაიბღავლა ვეზირმა, იგი მივარდა შერიფს, მხრებში ხელი ჩაავლო და ნჯღრევა დაუწყო. — როგორ გაბედე ამ ლაყბობის გამეორება, ხვადაგო, შენ ხომ ამით შხამს ანთხევ წმინდა ქალის მიმართ. ნური-მახაჯირმა თქვა, ესმა ნორჩი, უმწიკვლო და მზედაუნახავი ქალიაო. ის ხომ ჩემი მომავალი მეუღლეა. იგი წმინდა და მტრედივით წყნარია. შენ კი ყოველგვარ სიგლახეს ლაყბობ.

— დიდო ვეზირო, მე რაც თვითონ ვიცი, იმას გეუბნებით, — მტკიცედ და მშვიდად უპასუხა შუქრიმ.

— მაშინ ნათლად მითხარ, ყველაფერი კარგად გამაგებინე.

— ჩემთვის უხერხული კი არის ამის თქმა, დიდო ვეზირო, — ცბიერად თქვა შერიფმა, — მაგრამ ალაჰმა უწყის, თქვენი პირადი პატივისცემა და სიყვარული მაიძულებს გულწრფელად ვიღიარო ყველაფერი.

— აბა, აბა, გადმოყაქე, რაც იცი ყველაფერი გადმოალაგე.

— იმ ქალთან მე თვითონ ვცხოვრობდი.

— შენ თვითონ ცხოვრობდი?! — დაიყვირა ვეზირმა.

— დიახ, მე თვითონ. დამსაჯეთ მე ცოდვილი, ამის ღირსი ვარ. დიდად მაცთური და ლამაზია ის აფხაზი ქალიშვილი. ეშმაკი შემიძვრა ფეხებში და გზას ამაცდინა. მეც ვერ გავუძელ მაცდურობას. სანაპირო სასტუმროს ოთახი ვიქირავე და იქ მყავდა საყვარლად სრული ერთი თვე ესმა-მახაჯირი. ალაჰმა მიხსნა და ორივენი დამიბრუნა, თორემ დავიღუპებოდი. მერმე მივხედი ჩემს შერცხვენას და გამოვფიხლდი. ესმა ყოველად უსირცხვილო, ავხორცი და გარყვნილი ქალია, — დაასრულა მან.

— კმარა, მეტის თქმა საჭირო აღარ არის, — დაიბღავლა ვეზირმა და უღონოდ ჩაიკეცა საკარძელში. დიდხანს იჯდა ჩაფიქრებული, ბოლოს თავი მაღლა აიღო და დაბნევით იკითხა: — მითხარი, შუქრი-შერიფ, ერთი მაინც გამაგებინე, რისთვის დასჭირდა ნური-მახაჯირს ასეთი უსირცხვილო ტყუილი?!

— რისთვის დასჭირდა?! — ახლა უფრო დამაჯერებლად დაიწყო შერიფმა. — მთელმა ხალხმა იცის, თუ რისთვის დასჭირდა ასეთი ღორობა. მხოლოდ თქვენი პატიოსანი, კეთილშობილი და უმწიკვლო გული მიენდო მას მეტისმეტად.

— გარკვევით თქვი, შუქრი-შერიფ, გარკვევით!

— ნუთუ დღემდე ვერ მიხვდით, რომ ნური-მახაჯარი ვერაგი და ხელი-სუფლების მოყვარულია?!

— ვთქვათ ეგ მართალია, მერე?! შემდეგ რა?!

— როგორ თუ რა, — ისევ ცბიერად გაიკვირვა შერიფმა. — მას, როგორც ჩანს, ეცოტავა რაც პატივი მიაგეთ, არ იკმარა შიკრიკობიდან შერ-იფის თანამდებობის მიღება და ახლა თქვენს ადგილს ეპოტინება.

— რა თქვი? ჩემს ადგილს? — უფრო და უფრო დაუმძიმდა გონება ვეზირს ამ ახალი აღმოჩენებით.

— ჩემმა საიდუმლო მაცნეებმა გამოარკვიეს, — ვაინაგრძობდა შუქრი-

შერიფი, — რომ ნური-მახაჯირს ხშირად დაუტრაბახნია თავისიანებში: „ბალღი როგორც შევეკეთ-შერიფს ვუქენი, ისე ჩამოვაგდებ დიდ ვეზირს და მე ვ[illegible] მის ტახტსო, მთელი ტრაპეზუნის სავალაიეთო ზემს ხელში იქნებაო. ამ საქმეში მას შეთქმულიც ჰყოლია—სულთან ხამიდის ახალი ცოლი, ჩერქეზის ქალი ანა. ისიც მხარს უჭერს თურმე, მე შევამოწმე ეს ცნობები და მართალი აღმოჩნდა ყველაფერი.

— საოცარია! — მწარედ წარმოსთქვა დაჯერებულმა ვეზირმა.

შუქრი-შერიფი ზეიმობდა. ვეზირს მისი სჯეროდა, იგი ახლა მისი მონა-მორჩილი გახდა.

— ახლა რა ვიღონოთ, რას იტყვი! — წყნარად ჰკითხა ვეზირმა.

— თავიდან მოიშორეთ ნური-მახაჯირი, ვეზირო, სანამ ვვიან არ არის.

— დიაღ, ახლა ჩემთვის ბევრი რამ გახდა ნათელი. დიდ მადლობას გიძღვნი, შერიფო-შუქრი. შენ ჩემი ნამდვილი თავადდებული ქვეშევრდომი ხარ. ესოდენ გულწრფელი სამსახურისთვის შესაფერ ჯილდოსაც მიიღებ. ახლა კი აასრულე ჩემი ბრძანება, დაუყოვნებლივ დაიპატიმრეთ ნური-მახაჯირი, შეკარით და ხაროში ჩაგდეთ. პარასკევს ნამაზის შემდეგ მოედანზე უნდა დანიშნო მისი სიკვდილით დასჯა.

— ქორწინების მაგივრ კარგი ჯილდოა, — ჩაიქირქილა შუქრი-შერიფმა.

— დიაღ, ასე ეკუთვნის მოღალატეს, — უპასუხა ვეზირმა.

ნური-მახაჯირის დატყვევებისა და სიკვდილით დასჯის ხმები მთელ ტრაპეზუნს მოედო. აფხაზი-მახაჯირები მაშინ ქალაქიდან შორს, ველებზე ესახლნენ. მათ ყურამდეც მიაღწია ნურის უბედურების ამბავმა. მთელ მოსახლეობას ძალიან უყვარდა ნური, რომელიც ვალაიეთში სამსახურის დროს ძალზე ეხმარებოდა თავის დაჩაგრულ თანამემამულეებს. პატარა ესმას გაგიჟებით უყვარდა თავისი ძმა. მათმა მშობლებმა ვერ აიტანეს სამშობლოს მოშორება და დაიხოცნენ. მხლოდ ნურიღა შერჩა ესმას.

ასი კილომეტრი გამოიარა ერთ დღე-ღამეში ესმამ, თან ღარიბი ბიცოლა წამოიყვანა. პარასკევ დილით დაქანცული გოგონა ქალაქში შევიდა. იღბალზე ერთი აფხაზი-მახაჯირი ქალი შეხვდა. ამ ქალმა, რომლის ნათესავები ვეზირის ჰარემში იყვნენ ტყვექმნილნი, ყველაფერი იცოდა.

— როცა აქეთ მოვდიოდი, ჩემი თვალით დავინახე, ვეზირთან ერთად მეჩეთში როგორ შევიდა ნურის დამბეზღებელიც.

— მართლა?! — ჩიტივით აფთქრიალდა ესმა. მის აკიანთებულ თვალებში აშკარად ჩანდა, რაღაც ბედნიერი ახალი ფიქრი გაუჩნდა. — ჰოი, ჩემო მხსნელო, — შეევედრა იგი აფხაზ ქალს, — თუ ღმერთი გწამს, მეჩეთის გზა მაჩვენე, დამანახვე, რომელია ვეზირი და რომელია შუქრი-შერიფი.

მეჩეთთან ქალები მაშინ მივიდნენ, როცა ვეზირმა და მისმა მხლებლებმა ნამაზი შეასრულეს და უკან ბრუნდებოდნენ.

— წინ რომ მაღალი კაცი მოაბიჯებს, თვითონ ვეზირია, მის ხელმარჯვნივ, უკან რომ მიქსუტუნობს, დაბალი და ჩამრგვალებული კაცი, შუქრი-შერიფია, — დაანახვა ესმას იმ ქალმა.

ესმამ ყურადღებით შეათვალიერა ყველანი, სახეზე ჩადრი ჩამოიფარა და ვეზირს ფეხებში ჩაუვარდა.

— ჰოი, შემიბრალეთ უბედური ობოლი, ჩვენო დიდო ვეზირო, — აღმოხდა ქალს გულიდან.

— ვინა ხარ, ქალო, ან რას მთხოვ?

— მომისმინე, დიდსულოვანო და სამართლიანო ვეზირო. თქვენი თანაშემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წე შუქრი-შერიფი — აი, აგერ რომ თან გახლავთ, ერთი თვე ცხოვრობდა ბაბუ-ტუმროში ჩემთან, შემდეგ ქუჩაში გამაგდო და საფასური არ გადამიხადა. ორასი ლირა უნდა მოეცა, ახლა ეგ უარს ამბობს, მე კი შიმშილით ვკვდები.

— ეს რა მესმის?! — მიუბრუნდა ვეზირი შუქრი-შერიფს. — რას უპასუ-ხებ ამ ქალს?!

— ეტყობა ალაჰს გონება შეურყევია მისთვის, — მშვიდად თქვა შერიფ-მა. — ცილს მწამებს, ანდა რაღაც ქსელში მაბამს.

— არა და არა, ეგ თქვენც ისე გატყუელებთ, დიდო ვეზირო, როგორც მე მომატყუელა. ყურანით ხელში დაიფიცოს ალაჰი, რომ ნამდვილად არ მიცნობს, რომ თავის დღეში თვალით არ ვუნახივარ და ჩემი ორასი ლირა არ მართებს.

ვეზირმა მრისხანედ შეხედა შუქრის.

— ახლა რაღას იტყვი, შუქრი-ვეზირო, ნუთუ ეს ქალი მართლა ჭკუაზე შეშლილია თუ მართალს ამბობს?!

— თქვენი იჭვი რომ გავფანტო, სიამოვნებით დავიფიცებ ყურანზე, დიდო ვეზირო, უბრძანეთ ახლავე მოიტანონ წმინდა წიგნი.

— წმინდაო მოლავ, — მიმართა ვეზირმა მოლას, — მოიტანეთ ყურანი და ფიცი მიიღეთ შუქრი-შერიფისაგან.

მოლამ იმ წუთშივე შეასრულა ვეზირის განკარგულება. ვეზირმა წმიდა ყურანი რომ დაინახა, ესმას უბრძანა:

— ადექი, ქალო, და სახე აჩვენე შუქრი-შერიფს. დე, თავისი თვალით ნა-ხოს და დაიფიცოს, რომ არასდროს უნახივხარ და ნამდვილად არ გიცნობს.

გოგონა მერცხალივით შეფრთხიალდა, ჩადრი მოიძრო და სახე გამოაჩინა. ხალხში ჩურჩული გაისმა. მისმა სილამაზემ ყველანი გააოცა.

ვეზირი ძალიანაც ეცადა, მაგრამ თვალი მაინც ვერ მოაშორა ესმას.

— აბა დაიფიცე, შერიფო! მე გისმენ, — თქვა ვეზირმა. გული შურით აევ-სო, რომ ეს მიწიერი ულამაზესი ქმნილება თურმე მთელი თვე ამ ჯარგვალა კაცის ხელში ყოფილიყო.

შუქრიმ ორივე ხელი აღაპყრო, მერმე ყურანს მიუახლოვდა და ზეიმით წარმოსთქვა:

— დიდ ალაჰს ვფიცავ, რომ ამ გოგონას ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხე-დავ, არასდროს მასთან არავითარი ურთიერთობა არ მქონია და მისი არაფერი მმართებს.

— ახლა რას იტყვი, გოგონავ? — მიმართა ესმას ვეზირმა.

— დიდო ვეზირო, მაპატიე ჩემი უდიერობა. მე საცოდავი იძულებული ვიყავი ასე მოვქცეულიყავ. ღმერთმა იცოდეს, სხვაგვარად არ შემეძლო შუქრი-შერიფის საზიზღარი ვერაგობისათვის ნიღაბი ჩამომეგლიჯა. მე ნური-მახაჯი-რის ღვიძლი და ესმა ვარ. ამ საძაგელ ადამიანს შეშურდა ჩემი ძმის ჭკუა და საზრიანობა და ცილი დაგვწამა ორივეს. თქვენც თვალები აგიბათ და დაგაჯე-რათ. ახლა თქვენ ხედავთ, რომ მე იგი არასდროს მინახავს და რომ უმწიკვლო ქალიშვილი ვარ. თუ თქვენ უსამართლოდ დასჯით ჩემს ძმას, ღმერთი არ გაპა-ტიებთ. გამითავისუფლეთ ჩემი მართალი ძმა.

ვეზირმა მაშინვე ბრძანა ნურის გათავისუფლება და მისი უფროს შერიფად დანიშვნა. შუქრი კი ხაროში ჩააგდებინა.

ქალწული ესმა დიდ ვეზირს გაჰყვა ცოლად და ესმა-ხანუმად იწოდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული ნაკლული

წკვარამი ღამე იყო. ფაცხის კედლებს გარედან განუწყვეტლივ ასხამდა წვიმა. ასეთ თავსხმაში სტუმარს იშვიათად ელის კაცი. უცებ ეზოში ძაღლების ყეფა გაისმა და თან მამაკაცის ძლიერი ხმაც მოჰყვა:

— ეი, მასპინძელო!

ეშ ჯარნაზმა მოსულ სტუმარს გაეგება. იცნო თუ არა სტუმარი, სიხარულით გული აუჩქროლდა. მის წინ ძმაკაცი, მისი ტოლი ყუჩიტა იდგა.

— შენა ხარ, ყუჩიტა?! აი, შენი მოსვლით კი გამახარე, ჩემო ძმაო, მობრძანდი. დიდი ხანია გელი. მეგონა დამივიწყე, გმადლობთ, რომ გამიხსენე.

ჯარნაზმა შინ შეიყვანა სტუმარი და თავის ახალმოყვანილი ცოლი გააცნო.

— სტუმარი მობრძანდა, — სიყვარულით უთხრა ჯარნაზმა ცოლს. — იცოდე, ჩემი სიყრმის მეგობარია. ჩვენ ერთად გაგვზარდა ჩვენმა დარბაისელმა და ჭკვიანმა მასწავლებელმა არღუნ სეიდიყმა.

ყმაწვილი ქალი ვახშმის კეთებას შეუდგა. ტკბილია ძველი ამბების მოგონება და ძმაკაცებმაც თავისი სიყრმე და სეიდიყ-მასწავლებელთან გატარებული დრო მოიგონეს.

— როგორ ცხოვრობს ჩვენი სეიდიყი? — იკითხა ყუჩიტამ. — დიდი ხანია არ მინახავს. რვა წელი იქნება, რაც დავშორდით.

— ვერ არის კარგად. სულ შენს ამბავს კითხულობს, შენზე ფიქრობს. ძალიან სწყინს, რომ ვერ ნახულობ. მე კი ხშირად დავდივარ.

— შენ მასთან ახლოს ცხოვრობ. მე ძალიან შორსა ვარ, თორემ ჩემს საყვარელ მასწავლებელს არ ვინახულებ?! აქეთ იშვიათად მიხდება გამოვლა, ახლაც მეტად დიდი საქმე მაქვს, თორემ...

— რაო? — გაიოცა ჯარნაზმა. — ეს „დიდი საქმე“ თუ არა, ალბათ მე არც კი გამიხსენებდი, ჰაი, ჰაი, ასე როდი ვარგა, ძმაკაცო, — უსაყვედურა ყუჩიტას მეგობარმა. — მართლა, როგორ არის შენი საცოლე ნაზირე? ჯერ არ შეგირთავს?

— ეჰ, — ამოიხვნეშა ყუჩიტამ, — როგორც იქნა, მშობლები დავიყოლიე, მაგრამ ახლა ნაზირე გადაირია, გაჯინიანდა.

— რა დაემართა, გადაფიქრა თუ?

— არა, არ გადაიფიქრა, მაგრამ ისეთ რამეს მთხოვს, მისი ასრულება თითქმის შეუძლებელია.

— მაინც?

— ჯარნაზ, ხომ გინახავს არიშ ხაბუგას ყორანივით შავი ცხენი?

— რასაკვირველია, მინახავს. მთელს ჩვენს მხარეში მისი სადარი ბედაური არ არის.

— სწორედ ასეა. ერთი ნათესავის აღაპის დროს მარულაზე უნახავს ნაზირას ის ბედაური. მისი ქებით ყურები გამოუჭედიათ. ახლა დაიჟინა: სანამ ის ცხენი ჩემი არ გახდება, მანამ ჩემ ცოლობაზე ხელი აიღო.

— კარგი კი იქნება იმ ცხენის ხელში ჩაგდება, — თანაგრძნობით უთხრა ჯარნაზმა. — მეც გამახარებდა იმ ბედაურზე შენი თამაშ-თამაში. მაგრამ არიშ ხაბუგი თავცოცხალი არ დათმობს მას.

— ვიცი, რა არ შევაძლიე, ყველაფერზე უარი თქვა: არაფერი ამქვეყნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ მინდაო, — შემომითვალა. — ხომ იცი, იმ ცხენით თავი მოაქვს არიშა ხაბუგის.

— თავმოსაწონებელიცაა! შურიანი კაცი არა ვარ, მაგრამ ხაბუგას ცხენს მეც შურით ვუყურებ. ჰაი, რა ბედაურია! ლაპარაკიც მიძნელდება. რა გადასწყვიტე? — იკითხა ბოლოს ჯარანაზმა.

— ცხენის მოპარვა გადავწყვიტე.

— ხაბუგი ჭკუაზე გადავა, — უთხრა ჯარანაზმა. — ქვეყანას მოივლის და სანამ ცხენს არ მონახავს, არ მოისვენებს.

— თუ წავიყვანე, მერე მის კვალს ეშმაკიც ვერ ნახავს. ერთი ჩავუქროლებ ნაზირას და შემდეგ ისე გადავასხვაფერებ, დედაც ვერ იცნობს. ფაფარს შევკრეჭ, ბალანს შევუფლებავ.

— მართალი რომ თქვას კაცმა, ეგ შეიძლება, — დაეთანხმა ჯარანაზი. — საქმე ცხენის ხელში ჩაგდებაა, მერმე კი ყველაფერი ადვილად მოხერხდება.

— სწორედ ამისთვის მოველი შენთან, — უთხრა ყუჩიტამ და უფრო ახლო მიუჩოჩდა ჯარანაზს. — შენ მისი მეზობელი ხარ, — შეთქმულივით დაიწყო მან. — ალბათ, კარგად იცი მისი ეზოს ბილიკი და გარემო. მიმიყვანე, გზა მასწავლე. რასაც მეტყვი, აგისრულებ. იმ ცხენისთვის სიცოცხლეს არ დავშურავ.

დიდხანს იყო ჩუმად ჯარანაზი. იგი ღრმად ჩაუფიქრდა ამ ძნელ საქმეს.

— არა, შენი წასვლა არ შეიძლება, მე თვითონ წავალ უშენოდ. ამ საქმეში ორი კაცი არ ივარგებს. ხაბუგის სახლ-კარი ძალიან დაცულია. ნაგაზი ძაღლები ჰყავს. ეშმაკიც ვერ ჩაიპარება ეზოში. ისევე მე ვცდი.

— შენ იცი ჯარანაზ, რასაც მირჩევ, დაგიჯერებ.

ამასობაში დიასახლისმა ვახშამი გაამზადა. მეგობრებმა ბევრი ღვინო შესვეს. ადღვერძელეს ჯარანაზის ახალგაზრდა მეუღლე ასია, ჯიუტი ნაზირა და სიდარბაისლით განთქმული მასწავლებელი სეიდიყი. ვახშამი რომ დამთავრდა, ჯარანაზმა ცოლს მიმართა:

— ასია, სტუმარს ლოგინი დაუგე, კარგად მოასვენე. მე ამაღამ სხვაგან მივდივარ. ვეცდები დილისთვის აქ ვიყო. შენ კი, ჩემო ძმაო, დაწექი და მოისვენე.

ჯარანაზი მაგრად გაეხვია ნაბადში და ფაცხიდან გამოსვლისთანავე ღამეში გაუჩინარდა.

ადვილი როდი იყო არიშ ხაბუგის ცხენის მოპარვა. ჩვენ აქ არ მოვყვებით, რა მოხერხებით გაუძვრა ჯარანაზი ნაგაზებს, როგორ დასძლია ეს წკვარამი და თავსხმიანი ღამე, რა ჯადოქრობით შეძვრა ხაბუგის თავლაში. ვიტყვი მხოლოდ, რომ ჯარანაზი განთქმული მხედარი იყო ამ მხარეში. იგი ერთხელ ჩაფიქრებულ საქმეს ბოლომდე უსათუოდ მიიყვანდა. იღბლიანი კაციც იყო. ყველაფერი გამოუდიოდა ხელიდან.

თენდებოდა, როცა შინ დაბრუნდა. ფაცხის კარები შეაღო თუ არა, საოცარი სურათი იხილა: ლოგინზე გართხმული ყუჩიტა ხვრინავდა, კუთხეში კი, სარკმელთან, თმებგაწეწილი ასია მიყუჟულიყო. ტანსაცმელი შემოხეული ჰქონდა, შიშველი ყელკისერი უჩანდა, ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა, ტიტველი ბეჭები უკანკალებდა და უთრთოდა.

ვაჟკაცს ელდა ეცა. იგი ყველაფერს მიხვდა. ჯარანაზმა იგრძნო, თუ რა მომხდარიყო ამ გრძელსა და უბედურ ღამეს. სიტყვა მაინც არ დასძრა. იგი მიუახლოვდა საწოლზე გაშოტილ ყუჩიტას და ხელი ჰკრა.

ყუჩიტამ თვალები გააღო და, შიშით ელდანაკრავი, მასპინძელს შეაშტერდა.

— ადექი, — მოესმა ჯარანაზის გაბზარული ხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყუჩიტა ზეზე წამოვარდა და კანკალით ჩაცმა დაიწყო. სამი ადამიანი იყო ფაცხაში ახლა და თითოეულ მათგანს რამდენი რამის თქმა შეეძლო. არც ერთს სიტყვა არ წამოცდენია. სამივენი სდუმდნენ.

ჯარნაზმა მხოლოდ მათრახი გაუწოდა სტუმარს.

— აიღე! — ცივად უთხრა მან. — ხაბუგას უნაგირიანი ცხენი ლაფაროში არის მიბმული, შენი ცხენიც იქ არის.

სირცხვილისაგან გატანჯული ყუჩიტა დაბნეული გამოვარდა ფაცხიდან, როცა ჭიშკარი გააღო, ისევ მოესმა ჯარნაზის ხმა.

— ყუჩიტა, მოითმინე! — მასპინძელი ახლოს მივიდა მასთან და ჩაუჩურჩულა: — მე შენ ვერაფერს გიზამ, ჩემი სტუმარი ხარ, სტუმარს კი ძაღლიც არ კბენს. ერთ რამეს კი გავალებ: წადი, ჩვენი მასწავლებელი სეიდიყი ინახულე და ყველაფერი შენი პირით უამბე. გიიგონე? ყველაფერი უამბე. მეტს არაფერს გთხოვ, მხოლოდ ეს შემისრულე.

— შევასრულებ! — ყრუდ წაილაპარაკა ყუჩიტამ.

სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს დაშორდნენ.

შინ დაბრუნებულმა ყუჩიტამ ხაბუგის ბედაური საიმედო ადგილს დამალა და ისევ უკან გამობრუნდა. იგი უყოყმანოდ წავიდა სეიდიყის სოფლისაკენ.

მასწავლებელმა დიდი ყურადღებით მოისმინა თავისი ნამოწაფარის ნაამბობი.

კარგა ხანია ყალიონი ჩაუქრა სეიდიყს. ის ისმენდა და ფიქრობდა.

— ღირსეულად მოქცეულა ჯარნაზი, — თქვა წყნარად მოხუცმა. — კარგი უქნია, რომ ჩემთან გამოუგზავნიხარ. შენი საზიზღარი დანაშაული მარტო შენი უბედურება როდია, იგი ჩემი დანაშაულიც არის. მე ვერ გაგზარდე კაცურკაცად.

ყუჩიტა თავჩაქინდრული იდგა და ისე ისმენდა აღმზრდელის სიტყვებს.

— დიაღ, სწორად მოიქცა ჯარნაზი, რომ ჩემთან გამოგგზავნა, — გაიმეორა მან. მოხუცის ხმა, წინათ სუსტად რომ ისმოდა, ახლა უფრო ომახიანი და მკექარე გახდა. — მე, მე ვარ დამნაშავე და მევე უნდა ვაგო პასუხი შენი გარყვნილებისთვის.

მან მარდად იძრო დამბაჩა და საფეთქელზე მიიდო. ყუჩიტა სწრაფად მიეარდა მასწავლებელს, მაგრამ გვიანღა იყო.

თარგმნა **მამია ასათიანმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქს ციმერინგი

მე ვნახე ლენინი

მე უთვალავჯერ ვნახე ლენინი,
ბრძენი ბელადი მზედ მოვლენილი,
განა მოსკოვში, სადაც ისვენებს,
ქუჩაში ვნახე ცოცხლად ისევე.

დაზგასთან ვნახე როგორც მშრომელი,
საქმით გართული დაუცხრომელი,
მე მაღაროში ვნახე მუშებთან,
პიტალო კლდეებს წერაქვს უშენდა,

მინდორში ვნახე გლეხებთან მდგარი,
იმათი შემწე და ამაგდარი,
პიონერებთან ვნახე ლენინი,
სახენათელი და მოლხენილი,

ვით მეზღვაური ვნახე მე იგი,
მთელ დედამიწას უვლიდა ირგვლივ,
ვნახე მაისის პარადზე დილით,
დასთამაშებდა სახეზე ღიმი,

წინ მიუძღოდა მჩეფარე მასებს,
სიხარულით და ხალისით სავსე,
მე იგი ვნახე როგორც მკვლევარი,
როგორც დამპყრობი მრავალ
მწვერვალის,

ვით მებადური ვნახე მე იგი,
ზღვა მორჩილებდა ლურჯჯი და მშვიდი,
მე ვნახე იგი ზედ ფრონტის ხაზზე,
თოფში რომ მშვიდად აწყობდა ვაზნებს,

პარტიზანებთან ვნახე ლენინი,
მტერზე მახვილად ამოწვდენილი,
მე სტალინგრადთან ვნახე ლენინი,
გმირი ქალაქის ხსნად მოვლენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნახე შველოდა დაჩაგრულ მონებს,
ანთებდა რწმენით, მატებდა ღონეს,
ებრალებოდა ჩაგრული ყველა,
თავს ევლებოდა ვით ცისარტყელა.
სადაც ტანჯული ხალხი დგებოდა
და სისხლის ძაფის იქსოვებოდა
თავისუფლების დროშა ფერადი,
იქ იყო მუდამ დიდი ბელადი.
ხალხს ასწავლიდა ის ბრძოლას მედგარს,
მტკიცე იმედად მათ მხარში ედგა.
მე უთვალავჯერ ვნახე ლენინი,
ბრძენი ბელადი მზედ მოვლენილი,
განა მოსკოვში, სადაც ისვენებს,
იგი ცოცხალი ვნახე ისევე. —
უდიადესი ლენინის ნახვა
გვმატებს მხნეობას და ძალას ახალს.

გერმანულიდან თარგმნა **შოთა ამირანაშვილმა.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ ჭეიშვილი

ნახატი დ. ერისთავისა

აღარ მახსოვს რამდენი წლის ვიყავი, როდესაც იქ მიმიყვანეს. სკოლა პევრი მჭონდა ნანახი. გაკვირვებით ადვილად არაფერი გამაკვირვებდა, მაგრამ დირექტორად ასეთი ქალი მაინც ვიუცხოვე. სკოლის ნომერი და ეს ამბავი ცუდად მენიშნა. ისე, რაც მართალია, მითხრეს, გულკეთილი ქალიაო, მაგრამ რაც იქ ვიყავი, ამისმაგვარი არაფერი შემინიშნავს.

მან უკმაყოფილოდ ჩაათვალიერა შვიდ სკოლაში მოვლილი ჩემი საბუთები; ხოლო საქმეთა მმართველმა, რომელიც იქვე, მელნით დასვრილ პატარა მაგიდასთან იჯდა, ჯერ მარცხნივ და შემდეგ წინ თავი ისე გააქნია, რომ მოტიტვლებულ კეფაზე დამჯდარი ბუზი არ აფრენილა.

— ეს მეზობლობის ხათრით გამიკეთებია, — უთხრა დირექტორმა დედაჩემს.

— მეზობელი რომ ხართ, ბატონო, და ახლობელი, მიტომ მოვიყვანე თქვენთან, — ტკბილად უპასუხა დედამ და გაშლილი ხელი თავზე დამადო.

იმ დღეს პირველად იქ გაირკვა, რომ ერთმანეთის მეზობლები ვიყავით, ნაწილობრივ ასეც იყო. დირექტორის სახლი კარგად მოშორებული იყო ჩვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

�an, ასე რომ სამეზობლოდ ცოტა რამ შეიძლებოდა მოგვენახა, მაგრამ ეს ამას გულისხმობდნენ, რომ ქალაქის ერთ გარეუბანში ვცხოვრობდით.

ახალმა სასწავლებელმა ვერაფერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. რიონის პირზე მდგარი, წინიდან ორი, ხოლო უკანა მხრიდან სამსართულიანი ქვის შენობა აშკარად არ მომეწონა. სკოლის უკან, თავმონგრეული ყორის იქით, სადაც ჭუჭყიანი ტელეგრაფის ბოძები ჩანდა, ნაგავს ყრიდნენ, უფრო ქვევით კი ტიტლიკანა ბიჭები სილაში გორაობდნენ.

შენობის გვერდით მაღალი ეკლესია იდგა. ასეთი ეკლესიები ბევრია აქეთ, მხოლოდ სკოლის ეზოებში არ დგას. როცა მე მივედი, იგი უკვე კლუბად იყო გადაკეთებული, სადაც ყოველ შაბათს არტელ „წინსვლის“ თვითმოქმედი კოლექტივი პიესა „პოლკის შვილობილს“ დგამდა.

ჯვრის ჩამოგდება კარგად მახსოვს. შეიძლება იმიტომაც, რომ იმ დროს ეკლესიის გუმბათებიდან ჯვრებს აღარ ყრიდნენ.

შუა გაკვეთილი იყო. ვიღაც უქუდო კაცი ფეხშიშველი აფოფხდა გუმბათზე და რკინის ჯვარს ხერხავ დაუწყო. ჩვენ ფანჯრებიდან ვიყურებოდით და ვკითხულობდით, გადმოვარდებოდა თუ არა „ის კაცი“. იგი არ გადმოვარდნილა.

პატარა ხნის შემდეგ სკოლაც მომეწონა და ამხანაგებიც. დირექტორის მუდამ გაუცინარ სახესა და მწყარალ გამოხედვას კი ვერაფრით ვერ შევეჩვიე. მისვლის დღიდანვე არ მომივიდა თვალში და მისი ყოველთვის მეშინოდა, თუმცა დირექტორი არავისაგან არ განსხვავდებოდა და როგორც მახსოვს, არც ბევრი ჩემისთანა „მეზობელი“ ჰყოლია. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, მთავარი წინ იყო.

დირექტორის ბავშვი, ათიოდე წლის გოგო, ჩვენ სკოლაში სწავლობდა. დილით ხელიხელჩაკიდებული დედაშვილი სკოლაში ერთად მოდიოდნენ. პატარას ადრე უმთავრდებოდა გაკვეთილები, მაგრამ შინ მარტო ვერ მდიოდა, ამიტომ, სანამ დედა სამუშაოს დაამთავრებდა, იგი ან ეკლესიას უსაქმურად უვლიდა გარშემო, ანდა გაკვეთილებს ამზადებდა დირექტორის კაბინეტში. ცნობისმოყვარე ბავშვს ბოლოს ყველაფერი სწყინდებოდა და შინ წასვლას ითხოვდა. დედამისიც წუხდა, და მალე არც თუ ისე სახარბიელო გამოსავალი ნახა. რუსიკო გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, როგორც მეზობელს, მე უნდა მიმეყვანა შინ და ბებიამისისათვის ჩამებარებინა. ეს თანამდებობა პირველად არაფრად მეპიტნავა, თუმცა არც ისე უჩვეულო მეჩვენა, როგორც შემდეგში აღმოჩნდა. უარი, რასაკვირველია, არ მიიღვამს.

ამის შემდეგ, სახლისაკენ მიმავალს მუდმივი მგზავრი გამიჩნდა. რუსიკო ნელა მომყვებოდა, ყველაფერს აკვირდებოდა, ყველგან ჩერდებოდა. ხან წინ გამისწრებდა და ხან უკან ჩამომრჩებოდა. როდის მერე მივადგებოდით ტყეშლის ხეებში ფუტკრის სკასავით ჩამალულ მის პატარა სახლს. ბებია ჩაიბარებდა შვილშვილს და მეც კმაყოფილი გამოვრბოდი უკან. პირველად მგონი, მიხაროდა კიდეც. აღარ მახსოვს... ორი კვირის შემდეგ მივხვდი, თუ რა მახეში ვავები.

გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ეკლესიის გვერდზე, ლოდზე ობლად ჩამომჯდარი, ეუცდიდი დედა-შვილს. გადაღმა ეზოდან ვიღაც ბიჭები ნაწმირის ნატეხს მესროდნენ. ამხანაგები ხმამაღალი ლაპარაკითა და ჩანთების ქნევით მიდიოდნენ შინისკენ. დირექტორი თავისი შვილით ბუფეტში სადილობდა. პატარა სასაუზმე იქვე იყო, კიბის ქვეშ. რუსიკო და დედამისი საათობით იღებებოდნენ. შემდეგ წიგნში წავიკითხე, რომ ასეთი ჭამა უფრო მეტად სასარგებლო ყოფილა ჯანმრთელობისათვის.

ბოლოს დირექტორმა სკოლის სიმღერის გუნდში ჩამწერა, ალბათ მიხედა, რომ მშიერს გარეთ ცდა არც თუ ისე მომწონდა. სიმღერის მასწავლებელი, პატარა თავთითრა კაცმა, რომლის წარმოდგენაც ახლა მხოლოდ მისი უსაშველო სქელი ვარსკვლავიანი ქამრით შემიძლია, ვერაფრით ვერ გაარკვია, რა ხმა მჭონდა. შემდეგ შეწუხებული სახით უკანა მერხზე გადამსვა და მირჩია — თუ სულაც არ ამოიღებ ხმას, უკეთესი იქნებაო.

ბავშვი კარგი იყო. დიდი მაყვალისფერი თვალები და თეთრი სახე ჰქონდა. ლურჯ ფრიალა კაბას ბროწეულის ყვავილისფერი ყელსახვევი უმშვენებდა.

უსაქმური ქალები და მოსიყვარულე გულის დედაკაცები, რომლებიც გზაში გვხვდებოდნენ, აჩერებდნენ და ეალერსებოდნენ. ისედაც გაბრაზებულს, რომ გზაზე ვყოვნდებოდი, მოომინება მეკარგებოდა. რუსიკო ლამაზი კი არა, მახინჯი მეჩვენებოდა. ჩვენი უბნის დასაწყისიდან ბავშვს მარტოც შეეძლო სახლამდე მისვლა, მაგრამ ჯიშკარს ვერ აღებდა. ამასთან ბებიამისი პისტი ყრუც იყო და შვილიშვილის ძახილი არ ესმოდა.

მართალია, გაკვეთილების სწავლით ადრეც არ ვიკლავდი თავს, მაგრამ დარჩენილ დროს ყოველთვის ჩემი სიამოვნებისათვის ვიყენებდი. მშიერ კუჭზე ქუჩაში გამყოლად სიარული კი მოსაწყენი იყო და ერთფეროვანი.

წაბლისფერთმიანი ბავშვი დასანახავად შემძულდა. მიკვირდა, როგორ იბადებოდა ჩემი დირექტორივით ბოროტი ადამიანი.

მალე სწავლაც მომბეზრდა და სკოლაში სიარულიც. სკოლის დერეფნებს ხარაზების უბანი მერჩია. თუ მივდიოდი, ბოლო გაკვეთილს ვაცდენდი და ეკლესიის უკან ვიმალებოდი.

დირექტორი პირველად განცვიფრდა ჩემი საქციელით, მაგრამ ბოლოს მიხვდა, რომ ამ საქმისათვის ადარ გამოვდგებოდი და ეს მოვალეობა გადაებარა ერთ ჩემს ამხანაგს, რომელსაც ორ ბატს არ ანდობდა კაცი.

ახლაც არ ვიცი, როგორ დაემართათ, მაგრამ მესამე დღესვე ჩემი ამხანაგიცა და რუსიკოც ერთაცხენიანი სპბარგულის ქვეშ მოყვნენ. პატარას თავი გაეტეხა და სისხლში მოსვრილიყო, ხოლო მის გამყოლს მარჯვენა ფეხის ძვალი გადასტეხოდა.

იმ დღეებში ფერდაკარგულ დირექტორს ვერ ვენახვებოდი. თქმით არაფერი უთქვამს, თუმცა ერთი ორჯერ ისე გადმომხედა, ჯობდა თავში ჩაერტყა. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ამითვალწუნა, მაგრამ მე მალე სოფელში გადამიყვანეს სასწავლებლად და ეს ამბავიც დავიწყებას მიეცა.

როცა წამოვიზარდე, ჩემი საქციელის ძალიან მრცხვენოდა. შემდეგ ისე ჩავთვალე, თითქოს სწორად მოვიქეცი. ერთი წლის შერე მომეჩვენა, რომ სიგლახე ჩავიდინე, ბოლოს ისევ გავიმართლე თავი და ასე პერიოდულად გაგრძელდა. არ ვიცი, ემართება თუ არა ასეთი რამ სხვებსაც. მაგრამ მე რომ ამ შემთხვევან აქამდე შემაწუხა, ცხადია.

ეს დიდი ხნის წინათ მომხდარი ამბავია. ახლა გახსენებადაც არ ღირდა.

თბილისიდან სახლში ვბრუნდებოდი. ვაგონში ახალგაზრდა ქალიშვილი დაგვემგზავრა. ჩვენს კუპემდე ვიღაც ქერათმიანმა ვაჟმა მოაცილა, რომელიც სანამ მატარებელი არ დაიძრა, ძირს არ ჩავიდა. ახალი მგზავრი თვითონ გამოგველაპარაკა. თავი თამამად ეჭირა და აქმუტავდა. ჩემ თავს ზემოთ, გრძელ სარკეში მოურიდებლად იყურებოდა და საფეთქლებზე ჩამოშლილ თმებს ისწორებდა; მამაკაცთა წრეში არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა. მალე ჩვენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება მთლიანად დაიპყრო, განსაკუთრებით ჩემი ამხანაგებისა, რომლებიც ჩემთან ერთად მგზავრობდნენ.

მე მისი ყურადღების მიქცევას არ ვცდილობდი. ასეთ საქმეში ინიციატივის გამოჩენა ნაკლებად მეხერხება და მეორეც, იგი ისეთი ლამაზი იყო, რომ მასთან დაახლოების ყოველგვარ ცდას ამაოდ ვთვლიდი. გვერდზე ვიყურებოდი და ხანდახან თვალებს მისკენ ელამვივით გავაპარებდი ხოლმე.

ვაგონის ფანჯრებიდან მოჩანდა, თუ როგორ მიქროდა დასველებული გორაკები მატარებლის საწინააღმდეგო მიმართულებით. წვიმის წვეთები ძაფებივით გრძელდებოდა ფანჯრის მინაზე. მაგრამ მოხურულ, დანესტილ კარებიდან მატარებლის გრუხუნი ყრუდ შემოდიოდა. ირგვლივ მყუდროება იყო და მგზავრები, რომელთაც სასაუბრო შემოლეოდათ, თვლემდნენ. ჩვენს კუპეში ყველაზე მეტს ლამაზი ქალიშვილი ლაპარაკობდა. ამხანაგები უცინოდნენ და ჰოგონილი ყურადღებით უსმენდნენ. მე არ ვიღიმებოდი და არც რაიმეს ვამბობდი, მხოლოდ ვფიქრობდი, თუ რატომ მეჩვენებოდა, თითქოს ქალიშვილს ყველაზე მეტად ჩემთან სურდა საუბრის გაბმა. ერთი-ორჯერ, მართლაც, ყველას შესამჩნევად, მომაშტერა შავი თვალები.

— თქვენ მე მეცნობით!.. ვუთხარი როგორც იქნა ქალიშვილს, უფრო იმ მიზნით, რომ უხერხული სიჩუმე, რომელიც იმ წუთში ჩამოვარდა, დამერღვია. ვუთხარი და გავიფიქრე, რომ კი არ მეცნობოდა — ვიცნობდი.

— მე კარგად გიცნობთ! — უბრალოდ მითხრა მან.

— ? ? ?

— გახსოვთ მეცამეტე სკოლა? — არ მაცალა დაფიქრება.

მეცამეტე სკოლა... გახუნებული ქვის შენობა. ეკლესიის გუმბათზე აფოფ-

ხებული კაცი... ჭუჭყიანი ტელეგრაფის ბოძები და რიონის შლამიანი ნაპირები. ჩემს წინ უკვე ჩემი დირექტორი იჯდა, ოღონდ გაცილებით უფრო ახალგაზრდა, ვიდრე მე მახსოვდა. ახლა მას თვალის უჯეების გასწვრივ აღარ აჩნდა ნაოჭები. იგი ჩემსკენ იყო გადმოხრილი და ოდნავ მოჭუტული თვალებით პირდაპირ მომჩერებოდა, იღიმებოდა და თეთრი კბილები მოუჩანდა.

გარეთ ტელეგრაფის შებოლილ ბოძებზე გაჭიმულ მავთულებზე გაწუწული ბეღურები ისხდნენ და მატარებელს უყურებდნენ.

— გახსოვთ, მე რომ დამყვებოდით?.. — ისევ შემეკითხა რუსიკო. შემდეგ წელში გაიმართა, თავითა და ბეჭებით საზურგეს მიეყრდნო; გაიღიმა და შემომხედა ისე, როგორც შეხედავენ იმ ადამიანს, რომელსაც ბავშვობაში მხრებზე შესმული უტარებიხარ...

აკვრიალდი.. თითქოს რამდენიმე წლის წინათ ჩადენილ დანაშაულზე წამასწრეს. მაგრამ გუნება მალე გამომიკეთდა. მე და რუსიკომ ისეთი საქმიანი ლაპარაკი გავაბით, რომ დანარჩენები პაპიროსის მოსაწევად ბაქანზე გავიდნენ. ერთმა მათგანმა კი ჩვენს წინ აკეცილი დასაწოლი ჩამოშალა და ზევით აფოფხდა.

პირველად ჩემი ყოფილი დირექტორი მოვიკითხე.

— ერთი თვეა პენსიაში გავიდა; მთელი ჯანმრთელობა ჩემ გამოზრდასა და სკოლას შეალია. ბავშვების პატრონობა ძნელია... ახლა რომ ნახო, ვეღარ იცნობ, ისე მოტყდა. თუმცა... მაინც სკოლა და ბავშვები ენატრება... საკვირველია...

მე მჯეროდა... ადრე დაქვრივებულ ქალს, რომელმაც თავისი ახალგაზრდობა სკოლაში გაატარა. არ შეეძლო არ მონატრებოდა ბავშვები. ახლა გამახსენდა, თუ როგორ მიყრიდა იგი ხშირად კომფეტებს ჯიბეში და როგორ მნახა სახლში ორჯერ, როდესაც ავად ვიყავი.

მე და რუსიკო ვიცინოდით; ვიგონებდით ძველ ამბებს, რომლებიც მას ჩემზე დაწვრილებით ახსოვდა, მხოლოდ ის არ ჩარჩენოდა გულში, რომ მე ერთ დროს მისი სკოლიდან სახლამდე მიცილება ჭირის დღესავით მეჯავრებოდა.

შეუმჩნევლად ჩავედით ადგილზე.

— რა ვქნა, თუ არავინ დამხვდა?! — შეწუხდა რუსიკო.

— მე მიგაცილებთ სახლამდე.

— თქვენგან ისეც დავალებული ვარ.

სადგურზე დედა და ვიღაც საოვალიანი მოხუცი ელოდა. მისი პატარა ჩემოდანი ჩავიტანე და იქვე გავჩერდი. რუსიკომ დედამისი გამაცნო. დირექტორმა ვერ მიცნო. მართლაც, ძალიან შეცვლილიყო. თმები მთლად გათეთრებოდა. დატანჯული სახე და კეთილი თვალები ჰქონდა. ძველი ფერდაკარგული პალტო ეცვა. ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია. არც მე მჭონია სურვილი შემეხსენებინა ჩემი ვინაობა. ისედაც არ მესიამოვნა მათი დანახვა, რადგან მეგონა, მე და რუსიკო ერთად ვიელიდით მის სახლამდე. ხელიხელჩაკიდებულებს, რაც შეიძლებოდა ნელი, ბავშვური ნაბიჯებით შეგვეძლო შევყოლოდით ჩვენი უბნის შეღამრთს. გრძელი გზა შეუმჩნევლად გათავდებოდა. მისი გულუბრყვილო შეკითხვები, ადამიანების დაკინებული მზერა და ჩურჩული იმის შესახებ, რომ იგი ძალიან ლამაზი იყო, — აღარ გამაბრაზებდა.

თითქოს ველოდი, როდის ჩამაბარებდა დედამისი რუსიკოს და დამარიგებდა, თუ როგორ გადავსულიყავით გადასასვლელზე, სადაც რკინიგზის ლიანდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი და სამანქანო გზა კვეთავდა ერთმანეთს. მაგრამ დირექტორმა ერთხელაც არ მოიხედა ჩემკენ, იგი შვილს ეხვეოდა და საყელოს უსწორებდა.

უცებ მოვიწყინე. თავი ზედმეტად ვიგრძენი. სწრაფად დავეშვიდობე ყველას და წამოვედი.

ახალი დაღამებული იყო. შეუმჩნევლად წვიმდა. ციოდა. ლიანდაგებშუა დამდგარ წყლის გუბეებში მაზუთის ლაქები ცურავდა. დაბლა ჩემი ქალაქი მოჩანდა, რომელსაც მომწვანო ფერი ედო.

მე იგი კიდევ უფრო პატარა მეჩვენა.

ქალაქი პატარაა, მაგრამ სახლი, რომელიც სასურსათო მაღაზიის წინ დგას, არც თუ ისე ცნობილია. ახლო-მახლო მცხოვრებლებს იგი ძალიან მოსწონთ. რუხი ქვისაგან ნაშენი ძველი პატარა შენობა ნამდვილად ლამაზია. აუჩქარებლად მიმავალი მგზავრი, ანდა მაღაზიაში უსაქმურად მდგომი მოქალაქე ყურადღებას აუცილებლად მიაქცევს.

სახლს ორი მხრიდან ქუჩა უვლის. ფანჯრების წინ გამავალი ქუჩა შედარებით ფართოა, მაგრამ მოძრაობა ნაკლებია. ეზოში, სადაც ბაღია გაშენებული, ზოგიერთი მცენარე ზამთრობითაც ყვავილობს. ირგვლივ ყოველთვის მყუდროებაა. ბავშვები ზედ შუა შარაზე თამაშობენ ბურთს.

გაზაფხულდება თუ არა, აცივებამდე, სახლის წინ, რა დროსაც არ უნდა ჩაიაროთ, ყოველთვის დაინახავთ ფანჯარაში გადმომდგარ მოხუცებულ ქალს. მოხუცის სახის კანი ისევე, როგორც თმები, მაგნოლიის ყვავილივით თეთრია და სუფთა. ერთი შეხედვით ძნელი სათქმელიცაა, რა ხნის იქნება დაახლოებით იგი — ცხოვრებისაგან ადრე მოტეხილი, თუ ღრმად მოხუცია და თავშენახული; პირადად მე, ამ ქუჩაზე ვარ გაზრდილი, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი; მას შემდეგ, რაც ჩემი მახსოვრობა იწყება და მას შემდეგ, რაც მისი სახლის წინ ფეხშიშველი გავლა პირველად შემრცხვა, იგი სულ ასეთი თეთრთმიანი და სახე გაცრეცილი მახსოვს და მხოლოდ ფანჯარაში გადმომდგარი თუ დამინახავს.

შემოდგომის დასაწყისში ჭირაქაძის სახლის ფანჯარა იშვიათად იღებო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და მოხუცის თეთრი თავი აღარა ჩანდა. ალბათ გარდაიცვალა-მეთქი ვფიქრობდი.

მიდიოდა ზამთარი, ბავშვობა... დგებოდა გაზაფხული და მოხუცის, თავი ენძელასავით კვლავ ამოდიოდა ფანჯარასთან. მიხაროდა, რომ კიდევ ცოცხალი იყო.

მისი სახელი არ ვიცი. არ ვიცოდი ადრეც, თუ შემდეგ გადამავიწყდა, ვერ ვიტყვი. ქმარის — კბილის ექიმის, აპოლონ ჭირაქაძის გარდაცვალება კი ბუნდოვნად მახსოვს.

ჭირაქაძის ქვრივი ბოლოხანებში ვეღარავის სცნობდა. მისი სახლის წინ მიმავალი მეზობლები გულმოდგინედ ესალმებოდნენ, თუმცა მოხუცი იშვიათად პასუხობდა. მაღაზიის გამგე იქნებოდა იგი თუ მწონავი, როგორც კი მოიცლდა, რბილ თეთრ პუოს აწონდა და ქვრივს მიუტბენინებდა. იგი წინასწარ გამზადებულ ფულს გადმოაწოდებდა, მადლობას იხდიდა და ყველას პეტიას ეძახდა. პეტია ადრე ამ მაღაზიაში მუშაობდა, ხუთი წლის წინ რაღაც საქმეზე მოხსნეს.

მოხუცი, ისევე როგორც მისი ქმარი აპოლონი, პროფესიით კბილის ექიმი ყოფილა. ერთადერთი ქალიშვილი, რომელიც კბილის ექიმს ჰყავდა ცოლად, კბილის ექიმი იყო. ხოლო მათი შვილი ალფეზა კბილის საექიმოზე სწავლობდა თბილისში.

სიძე ოჯახით ქალაქის შუაგულში სახლობდა. ალფეზას ადრევე ვიცნობდი. შვიდი თვე რვაწლიან სასწავლებელში ერთად ვსწავლობდით. პატარაობიდანვე სათვალეებით დადიოდა. სკოლაში მუდამდღე გამოხრული კბილისაგან უბა ჰქონდა გასიებული. სანამ თბილისში წავიდოდა, ხშირად დაიარებოდა ბებიამისთან; შეიძლება იმიტომაც, თუმცა ამას ხალხი ამბობდა დამე ბევრი არაფერი ვიცი, რომ სახლი მის სახელზე იყო დამტკიცებული.

ქალიშვილი, როგორც ჩანდა, შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა დედას: ამას თვით მეზობლებიც არ უარყოფდნენ. ცალკე რატომ აცხოვრებსო, — ამბობდნენ, მაგრამ მე ვიცოდი, მოხუცი მამაპაპეულ სახლს ვერ ელეოდა.

ალფეზას მამა მაღალი კაცი იყო. დიდ ჯიბეებიან და ცალ ღილზე შეკრულ პიჯაკს იცვამდა. თავზე მუდამ ოდნავ გვერდზე ჩამოწეული ეკეი ეხურა, ისეთი როგორსაც ახლა ახალგაზრდა კაცები ატარებენ. იგი გაღიმებულ არასოდეს მინახავს. ექიმი ყოველ პარასკევს სადგურის პატარა საპარიკმახეროში იპარსავდა წვერს. მე მაშინ იქ შეგირდად ვმუშაობდი. მოხუცის სიძე ყოველთვის ერთსა და იმავე დროს შემოვიდოდა. ოსტატს ხშირად ბევრი ელოდებოდა, მაგრამ პირველ რიგში ოსტატი მას დასვამდა. იგი ფეხს ფეხზე შემოიდებდა, პაპიროსს მოუკიდებდა, ბენზინის ასანთსა და „ყაზბეგის“ კოლოფს წინ დაიდებდა და გაპარსვამდე არც სახეს შეიცლიდა და არც ხმას ამოიღებდა. მე სარკეში ვუყურებდი მის გრძელ სახესა და ბრტყელ თავს. თმები საფეთქლებს ზემოთ გვარიანად ჰქონდა შეთხელებული, ხოლო შუაში ჯერ კიდევ შერჩენილ ღერებს კეფისაკენ გულმოდგინედ ივარცხნიდა.

როდესაც პაპიროსის ბოლს ბოლქვებად უშვებდა და სქელ ტუჩებს ზევით სწევდა, ქვედა ყბის ნახევარზე სიგრძივ ჩამწკრივებული გრძელი ოქროს კბილები უჩანდა. მარჯვენა ხელის თითზე დიდი უცნაური ბეჭედი ეკეთა. მე ვერაფერით ვერ ვუძლებდი მის შემოხედვას და მგონი ოსტატსაც ეშინოდა მისი.

როცა ფულს გადიხდიდა და წავიდოდა, პარიკმახერები მეათასედ ყვებოდნენ, თუ როგორ ელოდა იგი სიდედრის სიკვდილს, რომ სახლი გაეყი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და როგორ მიყიდა კიდევაც სარდაფი ქრისტეფორე ჭყონიას, რომელიც შეგ ღვინის სავაჭრო გახსნა.

თვალებდაწოლებული ქრისტეფორე საქმის კაცი იყო. ამბობდნენ, რაც ეს სავაჭრო გახსნა, მას შემდეგ გასუქდაო. თუმცა მე იგი სულ მსუქანი მახსოვს, ისეთი, რომლის მსგავსსაც ახლა მეღვინეებშიც ვეღარ ნახავთ. მაგრამ თუ კი ქრისტეფორეს ოდნავ ვაფასებდი და პატივს ვცემდი, ეს მხოლოდ და მხოლოდ მისი თავის წყალობით. ისეთ მსუქან კაცს, ასე თუ ისე, კიდევ შეხედები სადმე, მაგრამ იმოდენა თავი მე არც მანამდე და არც მას შემდეგ არსად მინახავს. ერთი შეხედვით, არც ისეთი დიდი ჩანდა, როგორც სინამდვილეში, მაგრამ საკმარისი იყო საგანგებოდ დაკვირვებოდით მექუდის თვალით, რომ მისი თავის სიდიდით აღტაცებაში მოსულიყავით. მე საათობით მიყურებია მისი თავისთვის, როდესაც ქრისტეფორე მეზობლის ეზოში ხალიჩაზე წამოწოლილი ნარდს თამაშობდა.

ქრისტეფორეს თავზე წარმოდგენა მას შემდეგ უფრო მეზრდებოდა, როცა უფროსებისაგან მესმოდა: „დიდი თავი აქვს“, „კარგი თავია“, „დიდი თავის პატრონიაო“ და სხვა. მეგონა, ადამიანს წელთა სვლასთან ერთად თავიც დაუსრულებლად ეზრდებოდა. ამიტომ ჭყონიაზე უფროსი არავინ მეგონა, მაგრამ როგორ გამიკვირდა, როდესაც სოფლიდან ქრისტეფორეს მამა მარკოზა ჩამოვიდა და მისი ქუდი თავისი გრძელი კოზიროკიანად ჩავიდა მისი შვილის ბოხოხში. (ეს დაკვირვება პირადად მე ჩავატარე). მაშინ ერთი გაფიქრება გავიფიქრე კიდეც — ქრისტეფორე მამამისზე უფროსი ხომ არ არის-მეთქი.

ერთი სიტყვით, ქრისტეფორე მიყვარდა და დიდი თავის გამო დიდ პატივსაც ვცემდი, მაგრამ ის კი არ ვიცოდი, თუ თეთრთმიანი მოხუცის სიკვდილს ყველაზე მეტი მოუთმენლობით იგი ელოდა.

სახლის საყიდელი ფული ჭყონიას ადრევე ჰქონია დაგროვილი. იგი ქალაქში სამუდამოდ დამკვიდრებასა და სოფლიდან ცოლ-შვილის ჩამოყვანას ფიქრობდა. მოხუცის სიძეს კი ფული დაუბლომბავი კბილებივით ესაჭიროებოდა. ამიტომ მეღვინემ და ექიმმა გულახდილად მოილაპარაკეს. სახლი გაზომეს, აწონეს და მყიდველმა გამყიდველს სახლის ღირებულების ნახევარი ჩაბარა, ხოლო ნახევარს იმ დღესვე დაუწყობდა, რა წუთშიაც მოხუცი გარდაიცვლებოდა.

ამის შემდეგ ქრისტეფორეს თავი ქუდში ჰქონდა. სახლს მარკოზას ჩამოტანილი ყავარივით უყურებდა. ერთხელ უკანა ოთახიც შეათვთრა, ბაღი ვადაბარა და ეზოში მდგარი საპირფარეშო ყვარით დახურა.

— ვეხმარები საწყალ მოხუცს. აბა, სიცოცხლეში მეტს რაში გამოვადგები. ისე, მუშებს სიძე ისტუმრებს თორემ, ჩვენში დარჩეს და, მე რა ძალა მადგია.

მეზობლებმა იცოდნენ, რა ძალაც ადგა და ორაზროვნად იღიმებოდნენ, ანდა მუშში ახვევლებდნენ.

რამდენიმეჯერ დაზამთრდა ამ ამბის შემდეგ და რამდენიმეჯერ გაზაფხულდა. ფანჯარასთან მიდგმული სავარძელში მოკალთებული მოხუცი ისევ იშვიათად იყურებოდა ქუჩაში. ხოლო ერთხელ, როცა ისევ გაზაფხული დადგა, მოხუცის სიძე გარდაიცვალა.

კბილის ექიმი დიდი პატივით დაასაფლავეს. გულშემატკივრებმა დაწერილი სიტყვები წაიკითხეს სამარესთან და სათანადოდ შეაფასეს გულისხმიერი მეგობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისა და პატიოსანი მოქალაქის საზოგადოებრივი დამსახურება. იმ დღეს ...ეფერი იყო და სასაფლაოზე გრილი ნიავი უბერავდა.

სიდედრს, როგორც მისი სახლის გაყიდვისა, ისე სიძის სიკვდილისა არაფერი გაუგია. ქალიშვილმა დაუმალა. მწუხარებას ვერ გადაიტანსო, რაც ძალიან საეჭვო იყო.

ექიმის სიკვდილმა ყველაზე მეტად ქრისტეფორე შეაშფოთა. ეს ამბავი იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მეღვინე საგონებელში ჩავარდა.

მოხუცი ისევ მშვენივრად გრძნობდა თავს და ფანჯრიდან გულგრილად იყურებოდა. მას არც სხვისი წუხილი ესმოდა, არც თვითონ წუხდა, არც არაფერზე ჩიოდა, არც არაფერზე წუწუნებდა. ქუჩაში გამოსულ ქრისტეფორეს ისე უყურებდა, თითქოს იგი ჩვეულებრივი გამვლელი იყო, რომლისთვისაც სულერთია მოხუცი დედაკაცი მოკვდებოდა, თუ ფანჯარასთან გახმებოდა ხესავით.

მისი გაყინული და უმოძრაო თვალები შიშს გვრიდა ქრისტეფორეს.

იმ ღამეს სიზმარში ქრისტეფორემ ჭირაქაძის ქვრივი ნახა. ფანჯარაზე მისი შიშველი თავისქალა იდო.

როცა ოფლად გაღვრილ ჭყონიას გაეღვიძა, მზე კარგად ამოსული იყო. იგი საცვლების ამარა ადგა, ხელით შუბლი მოიჩრდილა და ფანჯარაში გაიხედა. ჭირაქაძის სახლის დარაბები ღია იყო: მოხუცი გულზე ხელებდაკრეფილი იჯდა სავარძელში.

— და... — თქვა ქრისტეფორემ და ისევ დაწვა. შემდეგ ეგონა, ესეც სიზმარში ვნახეო.

* *
*

ახალი დადამებული იყო. სამსართულიანი სახლის კიბე ძლივს ამოათავა ქრისტეფორემ და ხელმარცხნივ კარებს შეაღო თვალი. ოდნავ გვერდზე და ქვევით, იქ, სადაც ზარის დასარეკი ღილი იყო, მოგრძო თუნუქის შავ ნაჭერზე თეთრი ასოებით ეწერა: პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ისიდორე დვალი.

კარები ისიდორეს ცოლმა გააღო. ქალს შავები ეცვა. მან ოდნავ გაიღიმა და ქრისტეფორეს შინ შეიპატიჟა. მოსულმა შუშაბანდში რაღაცას წამოჰკრა ფეხი და ბოდიში მოიხადა. შავებიანმა პირიქით მოიხადა ბოდიში, ძირს დაიხარა, დაგდებული ნივთი გვერდზე მისწია და სტუმარს ოთახში შეუძღვა. ქრისტეფორემ ბოხოხი ხელში დაიჭირა და ისე შევიდა, თითქოს ეშინოდა, საგარეო ტანსაცმელით ღვინის კასრებს არ წამოსდებოდა; შემდეგ, იმით დარცხვენილმა, რომ უფრო ადრე ვერ მოახერხა, თანაგრძნობა გამოუცხადა ქალს ქმრის გარდაცვალების გამო და ცხვირსახოცი თვალებში ამოისვა. მასპინძელმა სავარძელი მიუჩოჩა მოსულს, თვითონ დივანზე ჩამოჯდა, სტუმარმა ფრთხილად მოიკალათა და ოთახი შეათვალიერა. შავაბაჟურჩამოფარებული ნაოთა მკრთალად ანათებდა; ოთახში აუტანელი სიწყნარე იდგა. დივანს იქით, კედელზე ჩამოკიდებული ხალიჩა იატაკს სწვდებოდა. შუა ადგილზე ისიდორეს გადიდებული სურათი ეკიდა. ქრისტეფორემ პატარა ხანს უყურა და დაასკვნა, რომ ნამდვილად კბილის ექიმს გავდა. კუთხეში საწერ მაგიდასთან ალფეზა გაუნძრევლად იჯდა: იდაყვი სქელყდიან წიგნზე დაებჯინა და ნიკაპი ხელისგულზე დაედო. ცალი თითი პირში ჰქონდა შეყოფილი, მოგრძო ცხვირი და სათვალის მინები შემოსულისკენ მიებრუნებინა. შემოსვლისას ქრისტეფორეს იგი არ შეუმჩნევია, თუმცა მაგი-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

დაზე შავ საგანს კი მოჰკრა თვალი, რომელიც ჯერ პატეფონი ეგონა, ხოლო შემდეგ ისიდორეს ტყავის პალტო. ახლა მიხვდა, რომ ალფეზა იყო ზევით წამოწოლა და თავის დაკვრით მიესალმა. ალფეზა არც განძრეულა, სათვალე ირეკლავდა და ჭყონია ვერ ატყობდა, ამჩნევდა თუ არა იგი მას საერთოდ.

— სად ეშმაკებში იყურება, — გაიფიქრა მეღვინემ და დაჯდა. შემდეგ პირდაპირ საქმეზე დაიწყო ლაპარაკი. ჯერ თქვა, რომ ადამიანი არარაობაა, — დღეს ვართ, ბატონო და ხვალ აღარ ვიქნებით. ასეა... ახლა... წნევამ მეც ამიწია და... გული ხო მაწუხებდა ყოველთვის და ის იყო. ისე, ღვინომ კი დამლუპა, ბატონო. რო შემხედოს კაცმა, ქე ვარ ვითომ მომჯობინებული... მარა, რად გინდა... დედათქვენს რომ უყურებთ... თქვენ ხართ ჩემი ბატონი, თვითონ... იმის ხნოვანებამდე თქვენ მიგაწვეიოთ და მე... ჯერ კიდევ კარგად არის, კარგად ამყოფოს ღმერთმა, თქვენიანად და ჩემიანად... მარა სიკვდილი ისეთია, ბატონო, რომ შეიძლება ჯერ მე დავაობლო შვილები.

ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— ახლა, კაცმა რომ თქვას, არც მე ვარ პატარა ხნის...

— რამდენის ბრძანდებით? — შეეკითხა ქალი მხოლოდ იმიტომ, რომ რაიმე ეთქვა.

— თქვენი შეტყობილებით რამდენის ვიქნები.

— ორმოცის!... — განვებ დაუკლო ქვრივმა. ქრისტეფორეს გაუხარდა.

— თქვენი კარგად ყოფნით, კაი ორმოცდაათს გადავცილდი.

ჭყონია გაჩერდა. რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ მხოლოდ ნერწყვი გადაყლაპა და დაატანა — ეხ!...

ქალმა იცოდა, რისთვისაც იყო იგი მოსული და მოთმინებით უცდიდა. სანამ იმას იტყოდა, რისი თქმაც უნდოდა. ბოლოს ქრისტეფორემ აუხსნა, რომ ქალაქში ცხოვრებას აღარ აპირებდა და სახლის ფული მოითხოვა.

მსპინძელი ზრდილობიანად დაეთანხმა, რომ მან იცოდა იმ გარიგების შესახებ, რაც ისიდორესა და მას შორის მოხდა, მაგრამ ფულზე ბოდიში მოიხადა, რადგან იგი არ ჰქონდა, არც მოელოდა, რომ როდესმე ექნებოდა. აჯობებდა, ისევ მოხუცის სიკვდილს დალოდებოდნენ.

იმ ღამეს ქრისტეფორე ძლივს მივიდა სახლამდე. ოთახი იქვე დუქანთან ჰქონდა დაქირავებული. კრაველის ქუდის დახვეჭება მოასწრო ძირს და საწოლში ჩექმებიანად გადაგორდა. სახლის პატრონმა დროზე გაიგო მისი წაქცევა. იგი გაიქცა და მეზობელი ექიმი გააღვიძა.

— რაღაც მღელვარების ნიადაგზე წნევას აუწევიაო. — თქვა ექიმმა, ავადმყოფს სისხლი გამოუღო, სიმშვიდე ურჩია და წავიდა.

მეორე დღესვე ჩამოვიდა ჭყონიას სახლობა. ქრისტეფორე იწვა და უაზროდ იყურებოდა. ოჯახის წევრები ფეხის ცერებზე დადიოდნენ. ავადმყოფმა მხოლოდ საღამოზე ამოიღო ხმა და უფროსი შვილი ფედია საწოლთან მოიხმო. თვალებზე ქუდჩამოფხატული ფედია ჯიბეგირვით შემოვიდა ოთახში. მამამ ისიდორესთან დადებული სახლის სყიდვის ხელშეკრულება სასოებით ჩაუბარა და გულმოდგინედ მიაჩერდა. სურდა შეეტყო, რამდენად გაახარებდა ეს მოულოდნელი ამბავი. ფედიას არც დაუხედავს ქაღალდისათვის, ისე ჩაჭმუჭნა ხავერდის ხალათის ზედა ჯიბეში. ქრისტეფორე სახეზე წამოწოთლდა, შვილს შარავარში მოქაჩა და ხელი გაუწია, ქაღალდი მომეციო. ფედიამ ხელისგულზე გასაწორა ქაღალდი და მამას გადასცა. ავადმყოფმა იგი სასთუმალქვეშ ამოიდო და ხელების მოძრაობითა და უცნაური ბურდღუნით შვილს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანიშნა, წადი, მომშორდიო... თუ მოვკვდი, ქაღალდი აქ იქნება, არმიაგზავნეთ ყველაფერი. ფეტიმ კიდევ უფრო ჩამოიწია ქუდი ქვევით, ხელები ბარკლის ჯიბეებში ჩაიწყო და ნელა გავიდა გარეთ.

შეღამებულს ქრისტეფორეს ამხანაგები მოვიდნენ. ოთხიენი სიმაღლის მიხედვით დამწაზავებებივით შემოვიდნენ ოთახში. პირველი ჩასუქებული მეღვინე შემოვიდა, მეორე — პენსნეიანი გამხდარი კაცი, რომელსაც მოკაუჭებულ ფეხებზე გაპრიალებული ჩექმები ეცვა. იგი ამ ქალაქის პატარა იპოდრომის დირექტორი იყო. ერთი შეხედვით, პირველზე მაღალი ჩანდა, ალბათ მისი სიგამხდრის გამო, მაგრამ პირიქით, მეღვინე იყო ოდნავ მაღალი. გამხდარს ხარაზი შემოჰყვა, რომელიც ცალი ფეხით კოჭლობდა. მას ნაყვავილარი სახე და ფართო ყბის ძვლები ჰქონდა, ხელის თითები მსხვილი და დაბაღდებული — ისე, რომ გამოცდილი კაცი არც იკითხავდა, თუ რა ხელობას ეწეოდა. ყველაზე ბოლოს პეტრემ შემოჰყო თავი. პეტრეს ამ ქალაქში ყველა იცნობდა. პატარა კაცი სხვებისაგან აღვილი გასარჩევი იყო. გაცრეცილი თხელი კოსტუმი იმდენად სრულად ადგა ტანზე, რომ იგი კიდევ უფრო დაჩიავებული მოჩანდა. პეტრე არსად მუშაობდა და არც ხელობა ჰქონდა რაიმე, უმეტესად ცოლ-შვილის ხარჯზე იყო, ან დროდადრო რომელიღაც სიმღერის გუნდში ეწერებოდა. ყველას უკვირდა, რა პირიდან ამოსდიოდა ამ პატარა კაცს იმოდენა ხმა.

სამი მათგანი ქრისტეფორეს საწოლის წინ ტახტზე ჩამოჯდა, ხარაზი — დაბალ სკამზე.

ავადმყოფმა მეარღნე ერისტოს გვერდით დასაფლავება მოითხოვა.

— განსაკუთრებით ამას გთხოვთ სუყველას... როცა მოვკვდები (შეჩერდა და თვალი გადაავლო მსმენელებს), როცა მოვკვდები, მანქანაზე არ შემესვათ და ისე არ წამიყვანოთ. — (არ წამიღოთო. უნდოდა ეთქვა, მაგრამ თავი შეიკავა). მანქანით მიცვალებულის გასვენება ახალი შემოსული იყო ამ ქალაქში. ქრისტეფორეს ყოველთვის ერუანტელს გვრიდა, როცა ხედავდა, როგორი თავის ყანყალით მიარბენინებდა სატვირთო მანქანა მკვდარს. — მართალია, სასაფლაომდე ორი ვერსია, მაგრამ თავს გაუჭირვეთ, შემიდექით ოთხიენი და ჩემი თავი არავის დაანებოთ. ქრისტეფორემ შეიცადა, სანამ ყველა თავის კანტურით თანხმობას განაცხადებდა და გვერდზე გადაბრუნდა.

ამხანაგები აცრემლდნენ. შემდეგ ოთხივემ ერთმანეთს გადახედა. ყველას გულზე მოხვდა სიკვდილზე ქრისტეფორეს უცნაური ლაპარაკი, რომელიც, არც თუ ისე, სიმართლეს მოკლებულად მიიჩნიეს, მაგრამ მთავარი ის იყო მხოლოდ, მათ როგორ უნდა აეტანათ ასოცი კილოგრამი წონის მიცვალებული სასაფლაომდე. ამას ქრისტეფორეც კარგად მიხვდა და ეამა კიდეც — ახია მაგათზეო.

ამ ამბის შემდეგ, როდესაც მე უკვე რუსეთში ვიმყოფებოდი, სახლიდან მიღებულ ხუთ გვერდიან წერილს ბოლოში წვრილი ასოებით ჰქონდა მიწერილი:

P. S. მართლა, ქრისტეფორე ჭყონიას ამბავი თუ გაინტერესებს — სიკვდილს გადარჩა. ახლა ფეხზე დადის, ხანდახან სამუშაოდაც გამოდის. მოკლედ, არა უშავს რა.

ზაფხულის პირველი რიცხვები იყო. ჩემს ქალაქში ღამით ჩამოვედი. დილით ადრე ავდექი და დაბლა ჩავიარე. ახლომახლო არაფერი იყო შეცვლილი. ჭირაქაძის პატარა სახლი ისევ იმ ადგილზე იდგა. მეგონა, მხოლოდ გუშინ მივატოვე აქაურობა და არა რამდენიმე წლის წინ-მეთქი. მოხუცის სახლის დარაბები მოხურული იყო და არავინ ჩანდა. მაღაზიაში პაპიროსის საყიდლად

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეედი. ყველანი უცნობები დამხვდნენ. ესენი ჩემსობასაც ყოველ წელიწადს იცვლებოდნენ. ვიღაცას გამოველაპარაკე და პატარა ხანი შევჩერდი. ახალგაზრდა გამყიდველმა, რომელსაც სახე ფერისმჭამელებით ჰქონდა დაფარული, რბილი, თეთრი პური აწონა და გამგეს უთხრა:

— ვინ გადაიტანს ახლა ამ პურს, მე არ მცალია.

გამგეს თავი დახლქვეშ ჰქონდა შერგული. მე მიეხვდი, რაზეც ლაპარაკობდნენ და ისე გამიხარდა, რომ არ მოველოდი.

— მე გადავუტან! — ვუთხარი გამყიდველს და პური ავიღე. მწონავმა ხალათის სახელო ცხვირზე გაისვა და გაკვირვებით შემომხედა.

გარეთ გამოვედი. ახლად ამოწვერილი მზის სხივები ჭირაქაძის სახლს ალმაცერად ანათებდა. ფანჯრები დაღებული იყო. ერთ-ერთ მათგანში მოხუცი მოჩანდა. იგი ისევე მშვიდად იყურებოდა, როგორც მაშინ, როცა მე ამ ქუჩაზე ფეხშიშველი დავრბოდი.

დაბლა, ქრისტეფორეს სარდაფს დიდი ბოქლომი ედო, რომელზედაც ობობას ქსელი ჩოხის სახელოსავით იყო გადმოდებული. კარებზე ვინ იცის, როდინდელი გაკრული გაყვითლებული ქაღალდი შემორჩენოდა. ქაღალდზე კიდევ შეიძლებოდა სიტყვების გარჩევა; „ქრისტეფორე!!! ჩვენ ვიყავით და... (შემდეგ არაფერი ჩანდა) გამოგვლით აუცილებლად... რაკდენა და სერგო“.

ქუჩაში პატარა ბავშვები ბურთს თამაშობდნენ.

მე პური მივაწოდე მოხუცს.

მან ძლივს გასაგონი ხმით ჩამომძახა:

— გაიზარდე, პეტია!

გამეცინა, პეტია, ვიცოდი, გაზრდილი იყო და შეიძლება გარდაცვლილიც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲓᲘᲠ ᲘᲕᲐᲠᲓᲔᲕᲐ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲚᲔᲜᲘᲜᲡ

მსურს ტალღას ჰგავდეს,
ჩანჩქერს ჰგავდეს ყოველი სიტყვა
მასზე, —
ვინც ხალხი ააშორა წყვდიადს და სეტყვას,
ვინც გაზაფხულად,
სიხარულად ხალხს მოევლინა,
ვინც იწოდება სამუდამოდ ხალხის ლენინად!

მაგრამ ძნელია სალენინო სიტყვა ფხიანი,
ადიდო იგი უდიდესი ადამიანი.
და ვიტყვი მხოლოდ,
რაც ათასებს ათასჯერ უთქვამთ:
— ლენინი ჩვენთვის არის
თვით მზეც,
ღიმილიც,
სუნთქვაც!

ᲖᲦᲕᲐᲡ

მე შენს დიდებულ სტიქიას ვეტრფი,
შენს დუმილს...
ბორგვას,
ტალღათა მტვრევას,
დედამიწაზე შემდგარო ტერფით, —
მე მარად შენი ქუხილის ტყვე ვარ!

გულში ვერ იკლავ პატარა სევდას
და სიხარულსაც ვერ მალავ, ვერა! —
შენ ათასწლობით ამბოხი გდევს და...
ის არც დაგტოვებს არასდროს მჯერა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულივით

მდინარე ძარღვში
აღარ ეტევა;
გაზაფხულია...
გატყდა ყინული,
არის
მძლე ქარის
კლდესთან შეტევა;
არის სიმღერა;
ყვავილთ — ზვინული...

გაზაფხულია...
ჩანჩქერთა ხმებში,
ჩემივე გულის
ვისმენ სიმღერას,
ძალა ვიგრძენი
ორმაგი მხრებში, —
ძარღვებში სისხლი
ტალღად მიღელავს.

მსურს შევახალო
თავი ცის თავანს
და მზის სხივები
ვატარო მხრებით;
უძლეველია
მარად და მარად,
ჩემი თაობის
სწრაფვა და ფრთები;

ეს გაზაფხული,
ფერების ღელვა,
სიცოცხლე
ჩემი,
  შენი
  და
მისი,
გაზაფხულივით
  მიყვარს
  და
  მჯერა
რომ არს ქების დ•
დიდების ღირსი.

ფიქრები ტყეზე

თითქოს აქ იყო დიდი მხატვარი,
რომ შეუხამა ფერები ფერებს, —
დახატა ყალმით ირგვლივ რაც არი
და, რომ დახატა წავიდა მერე!..

...ხეზე ჰკიდია ნისლის თავშალი,
ვერცხლისფერია პატარა ღელე, —
თითქოს აქ იყო ვიღაც მხატვარი,
დახატა ტყე და წავიდა მერე!

მ ა მ ა

იქნებ
აწვიმს შენს ულშინდეს ალაგს,
იქნებ
თოვლიც დაგეხვავა მკერდზე
და შენ დუმილს შეეთვისე მარადს,
რომ შვილების ალერსს ვეღარ შესძლებ.

იქნებ,
როცა გაზაფხული ფეთქავს,
ბაღში ვარდი ღიმილს როს ვერ მალავს,

იქნებ
მაშინ მწვანე ატმის ხეთა
ყვავილებად გაბრწყინდები, მამავ!

ნუთუ ერთურთს არ ვიცნობდეთ, არა!
ქვეყნად ტრფობის,
უკვდავ ტრფობის ღირსნი?! —
სად დაეცი,
ვისი მიწა გფარავს,
სად ჩაგიდგა თვალში მრუმე ნისლი?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ორი წლის გეხსომები, ალბათ,
თუ მახსენე სიკვდილის წინ
თრთოლვით,
სამარეშიც თუ ის ჩაგყვა დარდად,
ვით გამდნარი გაზაფხულის თოვლი.

მძიმე არის უმამობა მწველი,
მძიმე არის უდედობაც, მჯერა,
მაგრამ,
მამავ, არ ჩამქრალა ცეცხლი,
კვლავ თბილია ჩვენი ტკბილ-კერა.
არც ჩაქრება!
შენ კი ალბათ გათოვს,
არყიანში ცივი მიწა გფარავს,
მე ვამაყობ,
განა ვწუხვარ?!
ვდარდობ?! —
მამულისთვის დაცემულო, მამავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ გოგრონიძე

ნახატი დ. ერისთავისა

თეა

მრავლად ცხოვრობენ სამხრეთ საქართველოში ბერძნები. ისინი ქრისტიანებიც არიან და მაჰმადიანებიც.

ქრისტიანი ბერძნები ბერძნულად ლაპარაკობენ, მაჰმადიანები—თათრულად.

ჯარაიორი ქრისტიანი ბერძნების სოფელია. იგი მთაზეა გაშენებული. სოფელი ჩვეულებრივია, ხალხი—თავისებური. ეს თავისებურება განსაკუთრებით მათ გარეგნობაში იგრძნობა.

ბერძნებისათვის დამახასიათებელი იერი და მათი კლასიკური სახის ნაკვთები ამ ადგილებში მოხვედრილ ყველა უცხოს აგრძნობინებენ, რომ ისინი ელადის მკვიდრთა შთამომავალნი არიან.

ერთ ზაფხულს აქ...

გეოლოგების მანქანა სოფლის მოედანზე შეჩერდა. მანქანას ხალხი შემოესია.

— ბინა გვინდა, — ეუბნება მათ მედეა. იგი შოფრის გვერდით ზის კაბინაში.

— სოფლის ბოლოს დიდი სახლია. იოაკიმი იკითხეთ. თქვენ ეზოლოდ იმისი სახლი თუ დაგიტევთ, — პასუხობს ბერძნის შავთმიანი ბიჭი, თან მანქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზე მსხდომ ბიჭებს ათვალიერებს. მედეა მადლობას უხდის. ბიჭი იღიმეგს და თეთრი კბილები მოუჩანს...

ეზოს კარებთან თავად იოაკიმი დგას. მხნე მოხუცი ჩანს. არწივისებური ცხვირი აქვს, მოკლე და ძლიერ ხვეული ჭაღარა თმები.

მედეა კაბინიდან გადმოდის.

იოაკიმი ახალმოსულებს ათვალიერებს...

სახლი მართლაც დიდია, ორსართულიანი, ფართოაივნიანი. ეზოში სისუფთავეა, მზრუნველი ხელი ეტყობა.

სახლთან ახლოს თორნენა. ახლა იქ დედაკაცი საქმიანობს, პურს აკრავს. იქვე დიდი ბებერი ნაგაზი წამოწოლილა და თვლემს. ეზოს ერთ კუთხეში ჭა ამოუშენებიათ. ჭასთან ორი პატარა ბავშვი თამაშობს, მოკლე პერანგები აცვიათ, ჯიპამდე ძლივს სწვდებათ.

იოაკიმი ყალიონს აბოლებს.

მანქანაზე დაღლილი ბიჭები ყვინთავენ...

მედეა იოაკიმთან მიდის, რაღაცას ელაპარაკება.

— პო... ო, გეოლოგები ხართ? — აგრძელებს იოაკიმი. — მობრძანდით. ჩემი სახლი კარგი ხალხისთვის ღიაა.

ეზოს კარებთან დასობილ პალოს აძრობს. ჭიშკარს ფართოდ აღებს.

მანქანა ეზოში შედის. ბიჭებს მანქანიდან გადმოაქვთ საველე საწოლები, მაგიდები, სკამები, საძილე ტომრები.

— ათინა! აქ მოდი,—გასძახის იოაკიმი თორნესთან მოფუსფუსე დედაკაცს.

ათინა წინსაფრით ოფლს იწმენდს სახეზე და გაღიმებული სტუმრებისაკენ მოაბიჯებს.

— ჩემი მეუღლე გახლავთ,—აცნობს იოაკიმი.

— აბა, ათინა, ჩვენებურად დავუხვდეთ სტუმრებს. შენ ქალს მიხედე. სუფრაზე შენ უკეთ გაუგებ.

მედეა ათინას მიჰყვება...

იოაკიმი ბიჭებს ბარგის ატანაში ეხმარება. ბიჭები არ ანებებენ, იოაკიმი თავისას არ იშლის და დატვირთულ კიბეებზე ადის...

მეორე სართულზე დიდი დარბაზი და რამდენიმე მომცრო ოთახია.

— ისე მოთავსდით, როგორც თქვენს სახლში,—ამბობს იოაკიმი.

დაღლილ ბიჭებს გულღია მასპინძლის კარგი დახვედრა ამხიარულებთ.

გია პაპიროსს აწოდებს.

— მოსწიეთ. კარგი თამბაქოა!..

— გმადლობთ, არ მინდა, — უარობს იოაკიმი, — მე მხოლოდ ყალიონს ვაბოლებ.

ბიჭები საწოლებს შლიან. ზოგი აივანზე წვება, ზოგი ოთახში.

იოაკიმი თავზე დასტრიალებს. მოწყობაში ეხმარება...

უცებ იღუშება. ეტყობა რაღაც არ მოსწონს. აივანზე გადის:

— თეა! — გასძახის დაბლა.

ახალგაზრდა ქალი ეზოს სპრის და კიბეებზე ამორბის. იოაკიმი რაღაცას ეუბნება ბერძნულად.

კედელზე ახალგაზრდა კაცის სურათია ჩამოკიდებული...

თეა სურათთან მიდის და ჩვრით წმენდს. იოაკიმმა მტვერი შეამჩნია ალბათ...

გია თვალს არ აცილებს ქალს.

თეა ახალგაზრდაა. თავზე თავსაფარი აქვს წაკრული, მაჯის სიმსხო ორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწნავი წელს ქვემოთ სცემს, თმის კულული თავსაფარს გამოქცევია და შუბლზე ეთამაშება. უბრალო ჩითის კაბა ვერ ჩრდილავს მისი ტანის სიწმენდეს. სახის კანი თეთრი აქვს, მხოლოდ ლოყებს შეჰპარვია ოდნავ შესამჩნევი სიწითლე. ოდნავ სქელი, მუქი შინდისფერი ტუჩები აქვს...

მედეა ამოდის. საველე ტანსაცმელი აღარ აცვია. ბიჭებს ეხამუშებათ, კაბაში გამოწყობილს რომ უყურებენ.

— როგორ მოეწყვეთ?—მზრუნველად კითხულობს იგი.

ბიჭები კმაყოფილები არიან.

— თუ რამე დაგჭირდეთ, არ მოგერიდოთ,—ამბობს იოაკიმი და დაბლა მიდის. თეა უკან მიჰყვება, გია მიმავალ ქალს თვალს არ აშორებს. მედეას არაფერი ეპარება, მაგრამ არას ამბობს, ჩუმად იღიმება მხოლოდ.

შემდეგ ბიჭები მის გარშემო გროვდებიან და იგი მათ მომავალი მუშაობის გეგმას აცნობს.

მარშრუტიდან გია საკაცით მოიყვანეს ბიჭებმა.

— კლდეზე ფეხი დაუცდა, ხევში ჩავარდა, ფეხი აქვს ნატკენი,—ამბობს ძაშისაგან გაფითრებული მედეა.

აივანზე აწევენენ. ათინა ნატკენზე ხელს უსვამს. გულდასმით უსინჯავს. ოდნავ ახრევინებს. გია ტკივილებისაგან იგრიხება.

— ძვალი არა აქვს დაზიანებული, — ამბობს ათინა.

შორიახლო თეა დგას. დაეინებით უცქერის გაშიშვლებულ და დაკუნთულ ფეხს. ოდნავ შესამჩნევი სიწითლე. წელან რომ ჰქონდა, ეხლა მთელ სახეს მოსდებია.

— წყალი დამიდგი, — ასაქმებს ათინა. თეა დაბლა ეშვება, თავად კი სხვენზე ადის.

მედეა გიას სასთუმალთან უზის, ცხვირსახოცით შუბლზე გამოჟონილ ოფლს უმშრალებს.

— ხვალ თბილისში გაგიშვებ, იმკურნალებ.

გია უარის ნიშნად ჯიუტად აქნევს თავს.

— არაფერია, თავად გაივლის.

დამშეული ბიჭები მადიანად ილუკმეპიან. ახლად გამომცხვარი ბერძნული პური მადის აღმძვრელ სურნელებას აფრქვევს.

სხვენიდან ათინას გამმპარი ბალახის კონა ჩამოაქვს და დაბლა ჩადის...

ცოტა ხნის შემდეგ ათინას შინაურულად მომზადებული წამალი ამოაქვს. უკან თეა მოჰყვება.

ათინა ნატკენზე თბილ წამალს უსვამს. თეას გიას ფეხი უჭირავს.

გიას ტკივილებს უყუჩებს თეას ხელის სითბო. ქრუანტელს ჰგვრის. სახეში შესცქერის. თეა თვალს უსწორებს. ოდნავ შესამჩნევად იღიმება. გია ღიმილს აჭერს. მასში რაღაც იმალება, მაგრამ რა?

— თბილად შეუხვიე,—ათინა დგება. ისევ ქვემოთ მიდის. თეა თავსაფარს აძრობს, ფრთხილად უხვევს. თავადხრილს ნაწნავი ეშლება, დაბლა უვარდება, გიას სახეზე ხვდება და საამოდ ელამუნება.

გია ხელს უჭერს. ტუჩებთან მიაქვს და ჰკოცნის.

— გამიშვი, — ეევედრება თეა. ხელს ფრთხილად ართმევს და კიბეებზე სწრაფად ჩარბის.

გია თვალებს ხუჭავს...

ბიჭები და მედეა მარშრუტზე არიან.

გია აივანზე წევს, წიგნს კითხულობს. ეზოში იოაკიმი საქმიანობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიბეებზე თეა ამოდის, საუზმე მოაქვს. ლოგინთან ახლოს სკამს უდგამს ფეხ-ზედ ხელსახოცს აფარებს და საუზმეს ალაგებს.

—დალიე,—ჭიქაში რძეს უსხამს.

გია თვალებში შესცქერის თეას. თეა დღეს კიდევ უფრო ლამაზია, თმები ლამაზად აქვს დავარცხნილი, კაბაც ახალი აცვია.

— ნამცხვარი გასინჯე, შენთვის გამოვაცხე. — თეა სასთუმალთან იხოვ-ბა, ნამცხვრის ნაჭერს იღებს და გიას პირთან მიაქვს.

გია ხელს ავლებს წელზე და ლოგინზე სვამს.

— თეა... — ჩურჩულებს იგი. კალთაში თავს უდებს და ხელებს უკოცნის.

თეა გიას თმებში უცურებს თითებს...

კიბეზე ვიღაც ამოდის...

თეა სასთუმალს შორდება.

აივანზე იოაკიმის ლანდი ეცემა. იგი ეტვის თვალით უყურებს ორივეს.

— დაბალა ჩადი! — მკაცრად ეუბნება თეას. თეა უხმოდ მიდის. იოაკიმი ახლა გიას შესცქერის. გია მოხუცის მზერას ვერ უძლებს. თვალს არიდებს. იოაკიმი ოთახში შედის. იქიდან მალე გამოდის. ხელში ხის ჩარჩოში ჩასმული სურათი უჭირავს.

— ეს ვაჟი ჩემი შვილია. თეას ქმარი. იგი ომში დაიღუპა,—მოხუცს ხმა უკანკალებს.

გია თავს ხრის. გული გამალებით უცემს.

იოაკიმს სურათი ისევ ოთახში შეაქვს და ეზოში ჩადის.

მეორე დილით ათინას ამოაქვს საუზმე.

თეას ახლა ეზოშიაც ვეღარ ხედავს გია.

გიას გული არ უდგება სახლში.

ეზოში არავინ არ ჩანს. ირგვლივ სიწყნარეა. ეტყობა ქვედა სართულზეც არავინაა, ალბათ ყანებში საქმიანობენ.

ბებერ ნაგაზს სარჩდილობელი მოუნახავს და თვლემს...

გია დგება. ეზოში კოჭლობით ჩადის, ეზოს კარებს აღებს, გარეთ გამოდის და თავდაღმართს ფრთხილად მიუყვება.

გზაზე დიდი კაკლის ხეა. ხის ძირში წყარო ამოდის. მზრუნველ ხელს ღარი გაუკეთებია. წყალი საამო ხმაურით იღვრება და ღელეს აჩენს.

გია წყაროსთან იჩოქებს. ნატკივნ ფეხს ერიდება. ხარბად ეწაფება ყინულივით წყალს. ხელებს ისველებს, სახეს იგრილებს.

ქვემოთ მდინარე ხმაურობს. გია ახლა იქითკენ მიაბიჯებს...

ერთ ადგილას წყალი მდორედ მოედინება, აქ სოფლელებს საბანაო მოუწყვიათ, თუმცა ახლა ერთი სულიერის მეტი იქ არავინ ჩანს.

გია მობანავეს გზიდანვე ამჩნევს. უახლოვდება და ამჩნევს...

ქალია.

მდინარის ნაპირი ქვიშიანია. ქვიშაზე ქალის ტანისამოსი ალაგია. ქვიშა თავდება და ანწლისა და გვიმრის ბუჩქები იწყება.

ანწლები ირგვლივ დამახასიათებელ სუნს აყენებენ.

გია ანწლებთან ჩერდება და მობანავე ქალს ათვალიერებს.

განმარტოებული ქალი ნებივრობს. ნაკლებად ღრმა ადგილი ამოურჩევია. ნაპირთან ახლოს და დამჯდარა. წყალი ნიკაპთან ეთამაშება... ქალს სურს წყალი დალიოს. ხან ფეხებს უშინს გამეტებით და წყალს აქაფებს, დრო და დრო ხელებითაც ებრძვის, მაშინ ჩნდება მისი შიშველი მკერდი...

გია მონუსხულივით დგას. ვერ გადაუწყვეტია რა ჰქნას. უკან წასვლა უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, ვერ ახერხებს... მზერა უნდა მოაშოროს, ვერც ამას ახერხებს. ქალი ... ცელქობით არ იღლება. ახალ-ახალ გასართობებს დაეძებს. წაღმა-უკუღმა ... ტრიალებს. შემდეგ თითქოს გიასკენ მოემართება. გია პირს აღებს, წამოყვირება უნდა, მაგრამ დროზე იკავებს თავს.

— თეა,—ჩურჩულებს იგი და ხარბად შესცქერის. თეა ვერ ღლის წყალს. ნაპირზე ამოდის. მისი ტანის სითეთრე თავბრუს ახვევს გიას.

თეა იღებს ნაპირზე დაგდებულ კაბას და იცვამს. თავზე შემოგრაგნილი თმა ეშლება. სველი ქსოვილი სხეულს ეკრობა. ჯდება. ნაწნავს იშლის და ხელახლა იწნავს.

გია ანწლის ბუჩქებს გვერდს უვლის და ქვიშაზე მიაბიჯებს.

თეას წინ ადამიანის ჩრდილი წვება. კრთება და შეშინებული იხედება. გია ადგილზე რჩება.

— უჰ, როგორ შემეშინდა,—ამბობს თეა. გულზე ხელს იდებს. გია ახლოს მიდის. გვერდით უჯდება.

თეა შესცქერის ვაჟს და თვალები საოცრად უბრწყინავს, თითქოს თვალები კი არა, მართლა გიშრის თვლები იყოს ჩასმული თვალების ჭრილში.

გია მზერას ვერ უძლებს. რაღაცის თქმა უნდა, ვერ ახერხებს, მღელვარებისაგან სიტყვა უწყდება.

თეას ცხვირის ნესტოები უთრთის, მკერდი გამალებით აუდ-ჩაუდის. ირგვლივ სიჩუმეს მდინარის ხმაური და მათი გულის ცემა არღვევს. გია ნხრებზე ხელს ხვევს ქალს.

— რა კარგი ხარ თეა!..—ჩურჩულებს იგი და ქალს მკერდზე იკრავს. თეა არ ეწინააღმდეგება. მათი გულები საბუდრიდან ამოვარდნას ლამობენ.

გია ქალის ტუჩებს ეწაფება...

დრო სწრაფად გადის.

თეას გული ძალუმად აღარ უცემს. ახლა იგი ნეტარების სითბოთია სავსე. ორთავენი ლოყებით ქვიშას ეალერსებიან, ერთმანეთის სუნთქვა გახურებულ სახეს უგრილებთ.

მზე იხრება....

თეა დგება. ჩამოშლილ თმებს ისწორებს, თავზე იგრაგნის.

სასახლისკენ მიმავალ გზას უხმოდ მიჰყვებიან.

ეზოს კარებთან გია ჩერდება:

— რომ დაღამდება და ყველაფერი მიწყნარდება, სახლის უკან გამოდი.

თეა თავს უქნევს.

მედეა და ბიუები შებინდებისას დაბრუნდნენ. ბიუები აქა-იქ უწესრიგოდ ეყრებიან. მხოლოდ მედეა გრძნობს თავს მხნედ. მის გამძლეობას ბიუები აღტაცებაში მოჰყავს.

დარბაზში ათინა სუფრას შლის.

მედეა წიგნს კითხულობს.

გია მედეას უახლოვდება.

ნატკენი ფეხი აწუხებს. თბილისში წავალ სამკურნალოდ. მედეა ეუბვის თვალით უყურებს გიას. „რატომ გადასწყვიტე უცებ წასვლა“—ეკითხებიან მისი თვალები. გია თვალს არიდებს—„წადი“—ეთანხმება მედეა და კითხვას განაგრძობს.

გია ვერ ისვენებს.

ათინა სუფრასთან უხმობს მოსულებს. ბიჭები ზლაზვნით დგებიან. ... ლისოდ უჯდებიან მაგიდას. დაღლილებს ჭამის თავი აღარ აქვთ.

გია აივანზე ზის. იდაყვებით მოაჯირს დაჰყრდნობია და ეზოში იცქირება. შარაზე ურემი მდის. გაუსაპნავი ღერძი გულისწამღებად ჭრიალებს.

დაღლილ ბიჭებს ღრმად სძინავთ.

გია ფიზზლობს.

გარშემო სიწყნარეა.

გია დგება. ფრთხილად იცვამს. ფეხაკრეფით ჩადის კიბეზე და სახლს ეფარება.

უმთვარო ღამეა.

გიას დიდი ხნით ლოდინი არა სჭირდება. იგი სიბნელეში მალე ამჩნევს თეას. ისინი ეკვრიან ერთმანეთს. ეალერსებიან.

— თეა, ჩემთან უნდა წამოხვიდე. თბილისში მივდივარ.

თეა თავს უქნევს.

ეზოში ვიღაც ახველებს.

— მამამთილი, — ჩურჩულებს შეშინებული თეა.

გია ეზოს ზვერავს.

შუა ეზოში იოაკიმი დგას. ცალხელში თოფი უჭირავს, მეორეში—ანთებული ჭრაქი.

— რა იყო, ძია იოაკიმ?—ეკითხება გია.

— მგელი შემომეჩვია. კრავი უნდა მომტაცოს,—პასუხობს იოაკიმი.

თეა თრთის.

— ნუ გეშინია, წავიდეთ, — გია ხელს ჰკიდებს ქალს და ეზოში გამოდიან.

იოაკიმი მათკენ მოეშურება. ჭრაქს ანათებს.

— თეა! — ბუხუნებს მოხუცი. თეა სდუმს. თვალებში ცრემლი უბრწყინავს.

— თეა, შედი სახლში!—ურბილებს ხმას იოაკიმი.

თეა უფრო ძლიერ ეკვრის გიას. გია მხრებზე ხელს ხვევს ქალს.

იოაკიმი ტყდება და მხრებში იხრება:

— მიდიხარ, თეა?

თეა თავს უქნევს:

გია და თეა ეზოს ჭრიან, კარებს აღებენ და გარეთ გადიან.

იოაკიმი თავს ხრის. თოფიან ხელს დაბლა უშვებს, მეორე კი ჰაერში რჩება, ამ ხელში მას ანთებული ჭრაქი უჭირავს, ჭრაქის შუქი სიბნელეში მიმავალთ გზას უნათებს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ფაღიშვილი

ნახატები დ. ერისთავისა

მწვანე ნათურა

მე ათი წლით ვარ ჩემს ცოლზე უფროსი. ლილი ოცდასამი წლისაა. ამ ოთხი თვის წინათ ვიქორწინეთ. მართალი გითხრათ, არავინ ფიქრობდა, თუ მე ცოლს შევირთავდი, მაგრამ მართლაც რომ: სიყვარულო, ძალსა შენსა... ახლა ოჯახი მაქვს, ნამდვილი ოჯახი, ჩემი ბუხრის ბოლი ზეცას წვდება!

სამსახურიდან რომ ვბრუნდები, ლილი უკვე დაღლილი მხვდება, თავწაკრული, წინსაფრიანი მთელი დღე საქმიანობს. მიკვირს, პატარა ოჯახსაც ბევრი საქმე ჰქონია.

საღამოთი უთოს ჩართავს. არ ბუზღუნებს, მე კი მინდა ხანდახან იბუზღუნოს, განგებ ბალღივით ჩამოვისვრი ხოლმე გულისპირს, ვითომ შემთხვევით — ღვინის ჭიქა წამექცევა სუფრაზე... ამაზე კი გული მოსდის. კარგია, სწორედ ასე მქონდა წარმოდგენილი ცოლი, ოჯახური იდილია.

როცა ლილი რამეს ჩაჰკირკიტებს, მეც იქვე უნდა ვიყო. მინდა თუ არა, რამე უნდა ვუკითხო. ჩვენ ყოველთვის ერთსა და იმავე წიგნს ვკითხულობთ, ხან ის, ხან მე. თუ დღისით დრო მოიხელთა და რამდენიმე გვერდით წინ გამისწორო, საღამოთი ხვეწნას დამიწყებს, გიამბობ, რაც წავიკითხე, კითხვა კი იქიდან გაგაგრძე, საიდაც მე გავჩერდიო. მე უარზე ვარ, მაგრამ მალე დამიყოლიებს.

ასე გვეპარება დღეები. დილით ადრე ადგომა ორივეს გვეზარება. მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლილი მაინც ჩემზე ადრე დგება. ერთად ვსაუზმობთ. მაჩვევს, წინათ დალევა არ ვსაუზმობდი.

სამსახურიდან სახლში შურდულივით მივქრივარ. წუთებიც კი მაქვს გამოთვლილი 15, 18, 20... მეტს არასოდეს ვიგვიანებ. ლილის ყურები აქვს დაცქვეტილი, ფეხის ხმას უგდებს ყურს. თუ ბიჭებმა სადმე „გადავუხვიეთ“, მეზობელთან ვრეკავ. დღეს სწორედ ასე მოხდა. „თითო შუშა“ დავცალოთო, ამბობდნენ თენგიზი და ვახტანგი. ჩვენ სკოლის ამხანაგები ვართ, მე და თენგიზი ფრონტზეც ერთად ვიყავით.

„ყაზბეგში“ ჩავედით, თითო ბოთლი კახური შემოვიდგით მაგიდაზე, დამლოცეს: რადგან ნავსი გატეხე, ეგებ ჩვენც გადაგვესახას შენი წყალიო. დაოჯახებას ნატრობდნენ სალთად დარჩენილები. იმდენი ილაპარაკეს, იმდენი მისურვეს და „ყოჩაღ, ბიჭო“ მიძახეს, რომ შინისაკენ გამიწია გულმა. უჩვეულოდ მომენატრა ლილი. ისე მომინდა მისი ნახვა, ისე მომინდა, გეგონებოდათ ქვეყნის ბოლოს მყავდა სადმე დაგულებული. ეს ლილის გაუმარჯოს-მეთქი, გავიფიქრე და ჩუმად მოვსვი ღვინო.

„სულ არ მოვალ მე ამ ქვეყნად,
შენ რომ არ მეგულებოდეს...“

ჩაიღიღინა ვახტანგმა და სალოკი თითი ჰაერში შეატრიალა. მიყვარს ეს სიმღერა. რა ლაღად, რა გულიანად იცის ჩვენმა ხალხმა სიმღერა სიყვარულზე. მომინდა შინ წასვლა, მაგრამ თქმა ვერ გავბედე. უცოლოებში ამის თქმა სამარცხვინოდ ითვლება რატომღაც!

თითო ბოთლიცო, აიჩემა თენგიზმა, ვიუარე, ვახტანგიც დავიყოლიე და ჩემი გავიტანე.

ქუჩაში გამოვედით. იქვე ტაქსი — და ხუთ წუთში ჩემი საკუთარი ოჯახის ზღურბლთან ვიყავი. შემომესმა ცოლის ფეხის ხმა. რატომღაც უფრო დიდად, უფრო ღონიერად ვიგრძენი თავი. ლილის კარი მაგრად ჰქონდა ჩაკეტილი. მშიშარაა.

— მეგონა, ზომას გადასცდებოდიო! — უხაროდა ლილის. თმებში ხელი წავავლე, წვალება დავუწყე. დიდხანს ვეთამაშე. ბოლოს, როგორც იქნა, მომიცილა. დაფწეკი. ლილიმ საწოლთან ტუმბოზე პატარა მწვანე ნათურა აანთო. ჩვენ გვიყვარს ეს მწვანე ნათურა, სიმყუდროვეს ჰმატებს ჩვენს ოთახს.

— მეიწი, — მითხრა ლილიმ გაბმით, ჯირვეულად. ეს უფრო იმას ნიშნავდა, რატომ ყურადღებას არ მაქცევო, ვიდრე დგდილის თხოვნას. წელზე ხელი მოვხვიე. მკლავზე მომადო თავი, სახე ჩამალა, გაინაბა. მიეხვდი, მიეხვდი, რომ რაღაც მოხდა! ჩემი პერანგის ღილს აწვალებდა უაზროდ. გულზე დამადო ხელი, მიხვდა, რომ ვუსმენ, რომ ველი.

„რა მოხდა?“ — კითხულობდა ვიღაც ჩემს შიგნით, მაგრამ ბგერად ვერა და ვერ ვაქციე ეს „რა მოხდა!“

— ნოდარ, გიხარია?!

— რა... რა? — ვკითხულობ, მაგრამ ეს მას არ ესმის, ეს ჩემი გულის ხმაა.

ვიცი... უკვე ვიცი... გულმა მიაზრა.

— შვილი გვეყოლება!

ვერაფერი ვთქვი. მერე გამეცინა, სულელივით გამეცინა. თავი ავუწიე, იძალა, არ ასწია, თავზე ვაკოცე, ხაზზე, სწორედ იქ, სადაც შავი თმა შუაზე აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაყოფილი. ახლა მე ვიძალე, თავი მაინც გადავუწიე, დავიხარე, დავიხარე და ნელა, ფაქიზად ცხვირზე ვაკოცე.

უეცრად სირენის შემზარავი წუილი გაისმა.

ლილი გველნაკბენივით წამოიჭრა.

— რა იყო, რამ შეგაშინა, სასწავლო განგაშია, დღეს გაზეთი არ წაგიკითხავს? — ხელი მოვკიდე, გვერდით მივიწვინე, ხელები კისერზე მომხვია, ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს საღღაც არ მიშვებს!

ქალაქი გამორთეს, ჩვენი მწვანე ნათურაც ჩაქრა. ბნელა, სირენა კვლავ წუის...

ლილის შიშმა გაუარა, კიდევ კარგი. ხელებს მაინც არ მიშვებს.

ცუდი ფიქრები ამეშალა...



თითქოს თვითმფრინავის ხმაც მომეჩვენა. შემდეგ ბომბების წუილი და ფეთქება. ვხედავ, როგორ გავრბივართ მე და ლილი თავშესაფრისაკენ. ომი... ომი... ისმის ყველგან. ღიმილი გაქრა. მე ჯარში მივდივარ. „წეროები მიფრინავენ“ მომაგონდა რატომღაც, ეშელონები, ჩაბნელებული სადგური. ლილი, რა თქმა უნდა, იცრემლება. ვინღა დარჩება ქალაქში? ქალები და ორიოდ ხეიბარი. აი, ის კოჭლი მეწაღე, ჩვენი სახლის წინ რომ ზის. იქ იჯდა იმ ომის დროსაც. ქვეყანა შეზანზარდა. რუკაზე სახელმწიფოები შემცირდა და გაიზარდა. ის კი ისევ იქ ზის და უკაკუნებს ჩაქუჩს, შემართულ ცერს რომ უგავს ზედა მხარე.

ლილის არ განუცდია სამკუთხა წერილის მოლოდინი... ვინ იცის, ვინ აეკიდება?.. მე მჯერა ლილისი.

საოცარია, „თანამგზავრამდე“ მივიდა ადამიანის გონება. ომი კი ისევ არსებობს. ადამიანები ერთმანეთს კლავენ, ესვრიან ბომბებს, წამლავენ. გვაშორებენ მე და ლილის. ხომ შეიძლება მომკლან, ლილი კი, ასეთი მშშშარა, ქარტო რჩება. თენგიზიც წავა, ვახტანგიც... როგორ დავიღალეთ!

შეწყდა განგაში. ქალაქი კვლავ გაჩაღდა, აინთო ჩვენი მწვანე ნათურაც. რა კარგია სინათლე! ლილიც ფიქრობს რაღაცას, რახანია დამშეიდდა. — ღმერთმა დაგვიფაროსო, როგორ გაბედავენო, — ფილოსოფოსობს. ომის ხსენებაც კი ვერ გაბედა.

— მოიცა ერთი, რა დროს ომია!

ჩემს შვილს ლევანს დავარქმევ — მამაჩემის სახელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახატი დ. ერისთავისა

კუპეში ვიყავით ოთხნი. მე, მფრინავი ოფიცერი მეუღლითურთ და ის, ასე ოცდახუთი წლის ახალგაზრდა. ცოლ-ქმარი დილით სამტრედიაში ჩავიდა. დავრჩით ორნი. ჩემი თანამგზავრი ჩუმად იყო, ჩუმად ვიყავი მეც. მომშივდა. რესტორანში შევირბინე, საჩქაროდ ვიყიდე ცოტა რამ და კვლავ ვაგონში დავბრუნდი. ჩემი თანამგზავრი ჩუმად ეწეოდა პაპიროსს.

მაგიდას გაზეთი გადავაფარე, სახელდახელო პურმარილის გაშლას შევუდექი.

მოვიწვიე, უხერხულად შეიშმუშნა, სუფრისაკენ მოიწია. მატარებელი დაიძრა, არავინ შემოგვიხიზნეს. ჩუმად ვჭამთ... თვალი მაგიდაზე გადაფარებულ გაზეთისაკენ გამექცა.

— ჯერაც არ წაუგიათ!

შევშფოთდი. მეოთხე გვერდზე მოკლე ინფორმაცია იყო დაბეჭდილი ჩვენს ფეხბურთელებს მოსკოველებთან წაუგიათ.

— ცირკში დადიხართ? — მოულოდნელად შემეკითხა იგი. შეკითხვამ კინაღამ დამაბნია, მაგრამ მალე მივხვდი: იქვე განცხადებებში ცირკის რეკლამაც იყო დაბეჭდილი.

—ახ, ოლეგ პოპოვი? არა, არ მინახავს, ვნახავ კი აუცილებლად!

— ვიცი, ინტელიგენცია გაურბის ცირკს. Не серезное искусство! — ასე ამბობს მამაჩემი. რატომღაც ბევრი ფიქრობს ასე, მე კი არა. ცირკი ვაჟკაცების ასპარეზია, რომლის მიჯნაზე მუდამ ხიფათია და შეიძლება სიკვდილიც. ცირკის მსახიობებს ილუზიონისტები არ უყვართ, თვალთმაქცები არიან და იმიტომ. ნამდვილი ცირკის მსახიობი ძალითა და გონებით უნდა გადიოდეს ფონს... მე მგონი გადავაჭარბე, არა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაპარაკობდა ჩქარა, გაბმულ ღრტვინვად ისმოდა მისი ხმა:

— ჩემი მეგობარი ცირკში მუშაობს ელექტროტექნიკოსად. ხშირად დავდიოდი მასთან. ერთხელ ასპარეზზე უზარმაზარი გამქვირავლე კოთხო დამსხდა. ამ კოთხოს ძირი ველოტრეკის სარბენი ბილიკის მსგავსი ფერდით მთავრდებოდა. დავინტერესდი.

— იგორ ანდრეევის რეპეტიციის დროა! — მითხრა ნოდარმა. — ჯერ ველოსიპედით დადის ამ კედლებზე, მერე მოტოციკლეტით, ამ კოთხოს კედლებიდან იმ თაღში გადავა. მერე კედლები ეცლება და ჰაერში რჩება.

წარმოვიდგინე, ჰაერში მოტოციკლეტზე ზის კაცი, შემეშინდა! სხვა რომ არა, ხომ შეიძლება მანქანამ უმტყუნოს?

ასპარეზზე დადგვედი, ჯერ მოტოციკლი დავათვალიერე, მერე ველოსიპედი. მშვენიერი, მსუბუქი მანქანა იყო. მე სპორტსმენი ვარ — ველოსიპედისტი. გულმა აღარ მომითმინა და ველოსიპედზე დავჯექი. დავიწყე აღმა-დაღმა სიარული, სახუმარო ილეთების კეთება, კედელზე ასვლა ვცადე. გული რომ ვიჯერე, ჩამოსვლა დავაპირე, შევამჩნიე, ასე შუახნის კაცი წარბებშეკრული მიცქეროდა. შევატყვე, დაყვირებას მიპირებდა. დავასწარი:

— ვიცოდი, მიყურებდით, თავს ვაწონებდით... მიმიღეთ მოწაფედ!

სიტყვა პირზე შეაშრა. არაფერი მითხრა. დაჯექეო, მანიშნა. თვითონ დაიწყო ვარჯიში, გადამეტებით სერიოზული მეჩვენა!

მეორე დღისთვის დამიბარა. გარეთ რომ გამოვედით, ბევრი ვიცინეთ: ძალიან არ მოიფიქრეო, ხითხითებდა ნოდარი. რა თქმა უნდა, მისელას არ ვაპირებდი!

იმ ღამეს ჩემდა უნებლიეთ ნახევარსფეროში მოტოციკლეტით მოსიარულე კაცზე ვფიქრობდი. რა გული უნდა! ხომ შეიძლება მანქანამ უმტყუნოს?

მეორე დღეს, დანიშნულ დროზე, ცირკში გავჩნდი. ვარჯიში დავიწყეთ.

— ხვალ მოხვალ? — კვლავ მითხრა მან.

— ხვალ მოხვალ... ხვალ მოხვალ. — ასე გადაება დღეები ერთმანეთს. საქმე კარგად მიდიოდა. მე იგორის მოტოციკლეტს ველოსიპედით უნდა ავდევნებოდი.

საწვრთნელ შეკრებაზე მივდივარ-მეთქი, დავუბარე სახლში და საგასტროლოდ იგორთან ერთად სოჭაში ამოვყავი თავი. აქ მივიღე პირველი ნათლობა, აქ პირველად გამოვედი ასპარეზზე.

— ველოსიპედით მკვდარი მარყუჟი უნდა გააკეთო, — მოულოდნელად მითხრა ერთხელ იგორმა. — ეს იქნება მსოფლიოში პირველი მარყუჟი!

გაჩნდა ახალი ოცნება. თბილისში დაბრუნებაზე არც კი მიფიქრია.

მას მარყუჟის გაკეთების გეგმა, ნახაზი და რამდენიმე მაკეტიც ჰქონდა.

ასპარეზზე ზამბარის მსგავსად დახვეული უზარმაზარი ბილიკი იდგმეოდა. მყარსაკიანი ველოსიპედით მაღლიდან დიდი სიჩქარით უნდა შევსულიყავი წრეში.

ყველაფერი გავიანგარიშეთ, საჭირო იყო ზენიტში სიჩქარის დაკარგვა — არა და დამტვრევა ნაღდია! რა ვქნათ? — ამაზე ვფიქრობდით დღეცა და ღამეც.

სოჭიდან მოსკოვში გავემგზავრეთ. შინ წერილი მოვიწერე, მოვიწერე ყველაფერი. ეწერდი მამას, მამაკაცი ხარ, უნდა გაიგო-მეთქი, მაგრამ...

მოსკოვში საპასუხო წერილები დამხვდა, მწერდნენ: დედა, მამა, ძმა, რძალი და ჩემი მეგობარი ნოდარი. რძლისა და ძმის წერილები წვეთებივით ჰგავდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთს. ნოდარის წერილს ეტყობოდა, ძალით დააწერინეს ჩვენებმა. ბავშვი მის წერილი მოკლე იყო და სუსხიანი.

„თუ შენ შენი ოჯახის სამარცხვინოდ გადაწყვიტე ცირკის მასხარა გახდე, გვარი გამოიცვალე. არ იფიქრო, ოდესმე შეგირიგდე. თუ ჩემი სიკვდილი შეიტყო, არ ჩამოხვიდე. მე მხოლოდ ერთი შვილი მყავს“.

დედის წერილმა თავზარი დამცა.

„რატომ მკლავ, შვილო, რას მემართლები, როგორ უნდა ეძინოს დედაშენს, შენ რომ ყოველ ღამე ცირკის თაღზე ეგულები. ჩემი თვალის სინათლეავ, ნუ უმოკლებ დღეს ბედგამწარებულ დედაშენს, რა დამიშავებია? მამაშენი ლოგინად ჩავარდა, გუშინ სამსახურში გული შესწუხება, სახლში სტუდენტებმა მოიყვანეს. შვილო, ორიოდ დღის სიცოცხლე დაგვრჩენია და სამარეში ჩასვლა გვაცდე, მერე გზა ია-ვარდით გფენია“.

მეგონა, ქვეყანა ზურგზე ტვირთად მომკიდეს-მეთქი.

ყოველდღე ვიღებდი წერილებს. ტელეგრამაც მივიღე: მამას ცოცხალს ჩამოუსწარიო.

უნდათ ჩამიტყუონ თუ... ჩავვარდი საგონებელში.

იგორი მიხვდა, რომ ჩემ თავზე რაღაც უბედურება იყო.

— კარგი, წადი, აუხსენი, გააგებინე. კულტურული ხალხია ბოლოს და ბოლოს.

„უბედურებაც ეგ არი!“ — გავიფიქრე, მაგრამ არაფერი მითქვამს.

ბილეთი ამიღო.

— ორ კვირაში გელი. იცოდე, მარყუჟი შენია! — მიცინოდა, სახე დამანჭული ჰქონდა, ალბათ გრიმისაგან.

ჩამოვედი, ჩამოვედი და შეიქნა ერთი ორომტრიალი. მომსვლელები, როგორც პანაშვიდზე, ისე მოდიოდნენ.

— შენს ოჯახს ეს ეკადრება? სად ნახულა! — მესმოდა ყველდღე, ყოველ წუთს.

ჩვენს სახლს ზედა სართული ერთმა ლუდის გამყიდველმა დააშენა. იმანაც კი შეიწუხა თავი:

— ცირკაჩი?! აფსუს მამიშენის შვილი!

თავის ქნევა და ტუჩების წრუპუნი ატეხა.

მამა მართლაც ავად იყო, დედაჩემი ტიროდა. როგორც დამნაშავეს, ისე მიყურებდნენ. ინსტიტუტში, რა თქმა უნდა, ყველაფერი გაიგეს. მაპატიეს. მალე ყველაფერი ისევ ძველებურად დაიწყო. მოცემულობები, არსენალი, ლექციები. იმდენი ქნა მამაჩემმა, გეოლოგიურიდან სააღმშენებლოზე გადამიყვანა.

გეოლოგები სულ გზაში არიან, მაგის ოჯახიდან მოცილება კი არ შეიძლებაო.

ცირკის გუმბათს და მარყუჟზე ოცნებას ძალაუნებურად გამოვეთხოვე. ამიტომ, მართალი გითხრათ, ჩემთვის სულ ერთი იყო — გეოლოგი ვიქნებოდი, მშენებელი თუ სტომატოლოგი. წელს დავამთავრე ინსტიტუტი. მოვეწყობი ალბათ სადმე. სულ ერთია — სად, ალბათ თბილისში მომაწყობენ ჩვენები. ამ ბოლო დროს დაიჩემეს: ცოლი უნდა შეირთოო. მართლაც შევირთე ცოლი. ჩემთან სწავლობდა ერთი წყნარი გოგონა. ეს ორი კვირაა დედასთან არის ბათუმში. ჩვენები ამიტყდნენ, უხერხულია, ჩააკითხეო. ვგონებ, მართლაც უხერხულია, და აი, მივდივარ კიდეც!



ეროვნული ბიბლიოთეკა

იოჰანეს ბეხერი

დუქნები

რახან ისურვეთ ქალაქის ნახვა,
თქვენ უსათუოდ ჩაუვლით დუქნებს,
ყველა მათგანი ვერ იცნოთ იქნებ,
რაც გუშინ იყო, სადღაა ახლა.

თუ ახლანდელი წარსულს არა ჰგავს,
დუქნები როგორ გადურჩნენ წარსულს?
და გამოჩენა საქონელს არ სურს,
მინა ჩამტყდარა მრავალ ალაგას.

თუ ბერდებიან ნეტავ დუქნები,
თუ შესვლიათ მტერი ნეტავი?
და ხშირად ცარცის ერთი მოქნევით
ნიშნად ბლოვისა, დუქნებს კეტავენ.

დამბლა დაეცა ზოგიერთს თითქოს,
ზოგი დუქანი თითქოს გახევდა.
ის მოწყალებას დარცხვენით ითხოვს
და გაუღია კარი ნახევრად.

ზოგი დუქანი ჭრელად ანათებს,
მაგრამ სინათლე უფრო გაწუხებს
და სანამ შეხვალ, ალბათ მანამდე,
ნახავ წინდებს და ნახავ ჰალსტუხებს.

ბევრი ბრუნდება, ვიცი, უკანვე,
განა უფულოდ გარეგებს ყურება.
და გაკოტრდება მალე დუქანი
და ალბათ მალე დაიხურება.

კვდება ადამიანი

ადამიანი, ახლობელი, კვდება მახლობლად,
ოგი, რომელიც შენს მახლობლად უზის მაგიდას,
ამ კაცის მადას თვით სიკვდილიც ხელს ვერ ახლებდ.
რადგან დამშეულს ვერ წაიყვანს ამ კაცს აქედან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვის ამოთქმა თუ მოუნდა, სუნთქვამილეულს,
ხმა აღარ ყოფნის და სიცოცხლეს მისი არ ესმის.
იქნებ ბავშვია და იპარავს იქნებ ტკბილეულს,
იქნებ დედაშენს დაემსგავსა იგი ალერსით.

ემშვიდობები ადამიანს, კვდება რომელიც,
უკანასკნელად მისი ხელი ხელზე გედება,
რათა ქუჩაზე მიატოვო, მარტოდ მდგომელი
და რათა ქუჩა მიუჩინო სახლის კედლებად.

გერმანულიდან თარგმნა **ბესიკ ადეიშვილმა**

სერგი ჭილაია

ეგნატე ნინოშვილი

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ეგნატე ნინოშვილის დაბადების ასი წელი შესრულდა. საქართველოში რევოლუციური მუშათა კლასის სახელთან დაკავშირებული მებრძოლი მწერლობის თავფურცელი ე. ნინოშვილის შემოქმედებით იწყება. ლიტერატურის ისტორიამ მის სახელს დაუკავშირა ახალი დასის, მესამე დასის გამოჩენა ისტორიის ასპარეზზე. ე. ნინოშვილი ამ მებრძოლი მესამე დასის პირველი მეთაური იყო. ეს ისეთი დიდი დამსახურებაა ქართული მწერლობისა და ქართული აზროვნების ისტორიის წინაშე, რომელიც მას მუდამ საპატიო ადგილს მიანიჭებს.

ე. ნინოშვილი 90-იანი წლების სოფლად ნახევრად გაპროლეტარებული გლეხობის მხატვარია. გაპროლეტარებული გლეხობის ეს ნაწილი ფეზიკურ გადარჩენას ეძებდა ბურუჟაზიულ ქალაქში. ყოველი მათგანი სამუშაოს დაეძებდა რკინიგზის სახელოსნოებში, ბათუმის ნავსადგურში, ქიათურის მარგანეცში... ამ გლეხობასთან ერთად ე. ნინოშვილი, როგორც მათი ბედით მომმე, ერთი პირველთაგანი შეადგენს ნობელის, როტშილდის, მანთაშევის ქარხნების კარებს. აქაც გიზიარა ე. ნინოშვილმა ამ კლასის ფეზიკური და სულიერი ტკივილები, როგორც პირადი თავგადასავლები, ისევე მისწრაფებათაც და მხატვრული სიტყვითაც. ე. ნინოშვილი რევოლუციურად განწყობილი 90-იანი წლების პროლეტარიატის ღვიძლი შვილი იყო. ამ გარემოებამ და ატმოსფერომ მიიყვანა იგი რევოლუციური მუშათა კლასის პირველ იდეურ მეთაურებთან, მესამედასელებთან, მარქსიზმის პირველ წარმომადგენლებთან საქართველოში.

ე. ნინოშვილი, როგორც მხატვარი, ერთი მხრივ ამთავრებს მე-19 საუკუნის დიდი ქართული კლასიკური პროზის გზას, და მეორე მხრით, იწყებს, საფუძველს უყრის 90-იანი წლების დემოკრატიულ მწერლობას, ახალი იდეებითა და ხალხური მოტივებით მდიდარსმან საინტერესო იდეური შემოქმედებითი ცხოვრების გზა გაიარა. ე. ნინოშვილის ახალი ტიპის მგზნებარე დემოკრატიული მებრძოლი შეხედულებების, მძაფრი პუბლიცისტური საბრძოლო განწყობილება სათავეს მარქსიზმში პოულობდა. როგორც ცნობილია, პირველი მარქსისტული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში მესამე დასი იყო, ე. ნინოშვილი ამ დასის ერთ-ერთი ორგანიზატორი პირველი ქართველი მწერალია. იმდენად თვალსაჩინო იყო მისი როლი და იმდენად საინტერესო მისი გზა, რომ ნინოშვილის ეს დამსახურება მაშინათვე იქნა აღნიშნული ქართულ პრესაში. „კვალი“ 1897 წლის თვის მოწინავე სტატიაში წერდა: „1890 წლიდან დაბერა კვლავ ახალმა პროგრესულმა სათმ. ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდა არაჩვეულებრივი მიმართულების თითო-ოროლა ახალგაზრდა, რომელმაც თავი იჩინა „კვალში“ 1893 წ. თავისებური პროგრამით. ესენი არიან ეკონომიური მატერიალიზმის თეორიის მიმდევარნი. ამ დასის მეთაურად სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში უნდა ჩაითვალოს ნინოშვილი“. ეს სიტყვები ეკუთვნის ცნობილ ქართველ მწერალს გ. წერეთელს, რომელიც ყველაზე კარგად იცნობდა ამ დასის მოღვაწეობას, კერძოდ ნინოშვილის მოღვაწეობას, დიდად აფასებდა ამ ჯგუფის პროგრესულ შეხედულებებს; თუმცა თავად იგი მარქსიზმის მესამე დასის იდეურ პოზიციებს როდი იზიარებდა.

მართლაც და უცნაურია ზოგი მწერლის ბედი. ე. ნინოშვილს ბავშვობიდანვე დაჰყვა აკვედეთობა. მასთან წელი ეკი დაიდო ვერც დედის აღერსმა, ვერც ცხოვრების სიხარულმა. უკუღმართმა ბედმა მას არგუნა დიდი ფეზიკური და სულიერი ტკივილები, გაჭირვებასა და სიღატაკეში აღმოზდა მას სული. სულ ბრძოლა იყო მისი ცხოვრება, გუთავებული ბრძოლა ლუკმა პურისთვის, ბრძოლა უთანაწყრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქველი ცხოვრების შავი ძალები ყველან სდევნიდნენ მას, სკოლიდანაც, სამშობლოდანაც და ბოლოს მწერლობიდანაც, რომელსაც შესწორა მან თავისი ჭეშმარიტი რაინდული სული: ქველი ინტელიგენციის ერთმა ნაწილმა მას წილი მწერლობაშიაც არ დაუდო და ს

ამ უკანასკნელ დროს მისგან არც არაგინ მოელოდა უკეთესს".

„ივერიისა" და „მოამბის" წინააღმდეგ ბრძოლაში მესამე დასელების პირველი მეთაურთთაგანი ნინოწმიელი იყო და ამას ის თავისი ღრმა რწმენით, თავისი შეხედულებებისა და პროგრესული იდეების პოზიციების დასაცავად ჩაღიოდა. მას ღრმად სწამდა, რომ ამ წლებში „ივერია" და „მოამბე" ახალი რევოლუციური ეპოქის მიერ დაყენებული კითხვებს ვეღარ პასუხობდა და ჩამორჩებოდა. ამ გარემოებას იგი კვლავ ხაზს უსვამს გ. წერეთლისადმი მიწერილ წერილში 1894 წელს:

„რაც შეეხება საზოგადოდ ჩემს ნაწერებს, მე ყოველთვის მსურველი ვიქნები, რომ „კვალში" დაიბეჭდოს, თუნდაც კიდევ მიმართულებაში ვერ მოვეწყვეთ და ჩემი პუბლიცისტერიკრიტიკული სტატიების ბეჭდვაც აღარ ინებოს „კვალმა", ბელეტრისტულ ნაწარმოებებს მაინც მივაწოდებ, სანამ ეს გაზეთი ისურვებს ჩემი მოთხრობების ბეჭდვას. მაგრამ ამიტომ კი არა რომ „კვალი" ახალგაზრდობის ორგანოა, შეიძლება ბევრ ახალგაზრდობასთან მე საერთო არა მქონდეს რა, მე მხოლოდ პატივს ვცემ „კვალს" მეთაურთ, მე თქვენგან დევალებული ვარ არა მარტო ფულთან, ზნეობრივადაც, და მეც ჩემის მხრივ ვცდილობ სამაგიერო რითიმე გადაიგმოვსო. ამას გარდა, „კვალი" დღეს არსებულ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ყველაზე პროგრესულია. ან ამიტომ მომაჩნია ჩემს ზნეობრივ მოვალეობად „კვალს" თანამშრომლობა".

ზემოთმოყვანილი ეს ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ ე. ნინოწმიელი ახალი, უფრო პროგრესული იდეების დამცველი და მქადაგებელი იყო, იმ ახალი დასის მეთაური, რომელიც „ქ. მარქსის პოლიტიკური ეკონომის საფუძველს ეყრდნობოდა", მარქსიზმის პოზიციას იზიარებდა და აქედან იკვლევდა გზას ქართულ მწერლობაში ახალი მიმართულებისთვის, ახალი იდეებისთვის ბრძოლაში. ამიტომ, რასაკვირველია, არ არიან ისინი მართალნი, ვინც ამტკიცებენ, რომ ნინოწმიელი „ივერიის" სკოლის მწერლად დარჩაო, ხოლო რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ე. ნინოწმიელი ბოლომდე იყო დიდი თაყვანისმცემელი ი. ჭავჭავაძის, როგორც მწერლისა, „კაკო ყაჩაღის", „გლახის ნაამბობის", „კაცია ადამიანის" ავტორისა და მისი ნაწარმოებებიდან მოყვადა ციტატები — ეს სავსებით გასაგებია, სავსებით ბუნებრივი და არც შეიძლებოდა სხვანაირად ყოფილიყო.

ვინც დააკვირდება 900-იანი წლების ქართული მწერლობის განვითარების გზას, ის ადვილად შეამჩნევს, რომ ეს ახალი დასი, მისი მეთაურები: ე. ნინოწმიელი, ი. ეკდოშელი, ჭ. ლომთათიძე და სხვები და სხვები არა „ლეგალურ" ანვითარებენ ი. ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის პროგრესულ შეხედულებებს, არამედ ისინი მიაჩნიათ თავიანთ სახელოვან წინაპრად, ქართული მწერლობის მამად და უხვად იყენებენ მათ პროგრესულ რევოლუციურ შეხედულებებს. ი. ეკდოშელის პირველი ლექსები „კაკო ყაჩაღის" სიტყვებით იწყება, ჭ. ლომთათიძე ცრუ პატრიოტების ილიასა და აკაკის სიტყვებითვე ებრძვის... და სხვანაირად არც შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენ ქართული მწერლობის განვითარება. მესამე დასის მწერლები სახელოვნად აგრძელებენენ და ანვითარებენენ და ამდენადვე ეყრდნობოდნენ მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის საუკეთესო მონაპოვარს, დემოკრატიზმის, ჰუმანიზმის, თავისუფლების დიდ იდეალებს, ანვითარებენენ და ამავე დროს აპყავდათ იგი ახალ საფეხურზე, უფარდებდნენ მას 90-იანი წლების რევოლუციური მუშათა კლასის ეპოქას და ამ გზით ქმნიდნენ ახალ საფეხურს, ახალ პერიოდს ქართული მწერლობის განვითარებისა. ესაა და ეს მათი დამსახურება. ნინოწმიელის მიერ ახალი მესამე დასის მწერლობის დაწყება კი არ უნდა გავიგოთ როგორც უარყოფა ი. ჭავჭავაძის პროგრესული აზრების და შეხედულებებისა, — არამედ მისი განვითარება; სხვა მხრივ შეცდომები ყოველთვის მოსალოდნელია. ასე დაემართა ეს კერძოდ თვით „მესამე დასის უმრავლესობასაც".

როგორც ცნობილია, მესამე დასის უმრავლესობის წარმომდგენელები ებრძოდნენ ი. ჭავჭავაძესა და მის თაობას, სახელს უტეხდნენ და ამცირებდნენ მის ღვაწლს, — უპირდაპირებდნენ რა მარქსიზმის იდეებს 60-იანელთა იდეალსა და შეხედულებებს. ეს იყო დიდი შეცდომა, ამ შეცდომამ თავი იჩინა, სამწუხაროდ, საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობაშიაც 20-იან წლებში. ჩვენშიაც გამოჩნდნენ ადამიანები, რომელიც თითქოს საბჭოთა მწერლობას იცავდნენ და ი. ჭავჭავაძეს აცსაგდებენენ რეაქციონერად, ხოლო საბჭოთა მწერლობის წინაპრად — ე. ნინოწმელს. ეს ისევე შეცდომა იყო, როგორც შეცდომა, არ დაინახო მესამე დასის, ე. ნინოწმელის ახალი შეხედულებები და იდეები 90-იან წლებში, მისი პროგრესული მნიშვნელობა, დიდი შეცდომაა, არ დაინახო ის ღვაწლი და ამაგი, რომელიც ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის, როგორც დემოკრატიზმის, ჰუმანიზმის დიდ მქადაგებელსა და მხატვარს. ი. ჭავჭავაძე ამ მხრივ იყო და რჩება წინამორბედად, მამად მთელი შემდგომი დროის ქართული მწერლობისა. ეს უეცილობლად ასეა, მაგრამ აქედან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ ი. ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ გზა გაუკაფეს ქართული

მწერლობის შემდგომ განვითარების და განვითარების ამ გზაზე პირველი მწერალი, რომელიც 19 საუკუნისა და მე-20 საუკუნის მიჯნაზე დადგა, ეგნატე ნინოშვილია.

90-იანი წლებიდან, როგორც რუსეთში, ისე ჩვენში, იწყება ახალი ეპოქა, ახალი ხანა, სამრეწველო კაპიტალიზმის აღმავლობის ეპოქა. სამრეწველო კაპიტალიზმს მოჰყვა ძველი ფეოდალური საქართველოს რღვევა. პატრიარქალური საქართველოს ფონზე წარმოიშვა სამრეწველო კაპიტალიზმის თვალსაჩინო ცენტრები, რომელსაც მოჰყვა სამრეწველო პროლეტარიატის ჩამოყალიბება და განვითარება. სწრაფად ისტორიის ასპარეზზე გამოვიდა ყველაზე უფრო რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი. იგი თანდათან იზრდებოდა რიცხობრივად, იწრთობოდა პოლიტიკურად, ირაზმებოდა; მზადდებოდა რევოლუციის ეპოქა. ამ გარემოებამ სახე უცვალა საქართველოს. ყველაზე უფრო ღარიბი და ღატაკი გლეხი ტოვებდა სოფლის და ქალაქისაკენ მიეშურებოდა. აქ ეწყობოდა ის ფაბრიკა-ქარხნებში და მის ხარჯზე იზრდებოდა რიცხვი ქართველი პროლეტარიატისა, ამის მიხედვით იცვლებოდა საქართველოს ეკონომიური ქარტაც, მისი ცხოვრების ყიდიც. თვითონ ე. ნინოშვილმა ეს პროცესი კარგად შენიშნა: „ეხლა სხვა დრო დადგა. დრო ვეჭრობამრეწველობისა, ყველა ხალი და ერი დღეს ვეჭრობა-მრეწველობის ასპარეზზე ცდილობს გიმარჯვოს. თოფ-იარაღის მაგიერ ეხლა პირკა მოქმედობს“.

ე. ნინოშვილი მომსწრე და მონაწილე იყო მთელი ამ დიდი ისტორიული პროცესისა. ბატონყმობის გადავარდნის შემდეგდროინდელი სოფლის ცხოვრებას, სოფლად მოქმედ ახალ სოციალურ ძალებს, მშრომელი გლეხკაცობის ძმიმე სოციალურ ყოფას ნინოშვილი ზედმიწევნით კარგად იცნობდა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გლეხკაცობის თემატიკის ფარგლებშიაც ნინოშვილი მკვეთრად გამოჩნდა, როგორც ახალი ტიპის რევოლუციური დემოკრატიული მწერლის და მსოფლმხედველობის ნიშვენი მხატვარი. ეს თავის დროზედ ყველაზე უფრო კარგად შენიშნა ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის დიდმა თანამებრძოლმა ი. გოგებაშვილმა. 1905 წლის რევოლუციის მქუხარე დღეებში ი. გოგებაშვილი იგონებდა რა დ. ჯონქაძისა და ე. ნინოშვილის დიდ ღვაწლს, მათ სოციალური ბედსა და ბიოგრაფიას, ის განსაკუთრებული თანაგრძნობით ხატავდა ე. ნინოშვილის სახეს. ი. გოგებაშვილი წერდა: „ნინოშვილი ბუნებით დაჯილდოვებული იყო ნამდვილი ხელოვნური მხატვრობითი ნიჭით და ამ ნიჭის ბუქედი სადად აზის ყველა მის მოთხრობას. ამავე დროს ყველა ეს მოთხრობები სავსენი არიან ნამდვილი სიბრალულით, თანაგრძნობით, სიყვარულით, გაღიღნილნი არიან ნამდვილი დემოკრატიზმით. იგი მარტო ერთს მოთხრობაში კი არ აცხადებს პროტესტს ხალხის დაჩაგვრის წინააღმდეგ, რაც შეიძლება მიაწეროთ ბედნიერ შემთხვევას, არამედ ხატავს ამ პროტესტს ყველა თავის მოთხრობაში, ყოველ სტრიქონებში, ყოველ გვერდზე, იგი ნამდვილი მწერალია, ნამდვილი ბელეტრისტი, მოწოდებით მოშუშავე სალიტერატურო ყანაში“.

ე. ნინოშვილი ანვითარებდა რა მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის მოწინავე ტრადიციებს, მან მხატვრული ნამუშევრების ცენტრში კლასთა ბრძოლის თემა დააყენა. კლასობრივი ბრძოლის პრინციპი არის ამოსავალი მხატვრული პრინციპი ნინოშვილისათვის. ამ პოზიციებიდან ხატავს ის სოფლის ხალხის ცხოვრებას, სოფლის ადამიანებს, მათ მდგომარეობას, მათ მისწრაფებასა და ფიქრს. და ყველაფერი ეს გამოხატულია მძაფრი საბრძოლო სულისკვეთებით. მისი ნაწერებისთვის დამახასიათებელია შეუპოვარი, მებრძოლი სტილი. ყოველი მისი ნაწარმოები, ყოველი მისი ფრაზა და სიტყვა ცხოვრების უსამართლოსა, ადამიანის დამჩაგვერელ ძალებს ებრძვის, ებრძვის დაუოკებელი ენერგიით, მთელის შეუპოვრობით. ნინოშვილის ნაწარმოებთა ერთიგვარი პუბლიცისტური ხასიათიც აქედან წარმოსდგება და ეს არ არის შემთხვევითი: ე. ნინოშვილის რევოლუციურ მებრძოლ ბუნებას ყველაზე უფრო სწორედ ეს საბრძოლო განწყობილება და თვისება შეეფარდებოდა. ე. ნინოშვილი, როგორც მხატვარი, თვითონაც გრძნობდა მისი წერითი მანერის ამ თვისებას და ამ გარემოებაზე მიუთითებდა იგი ანსატასია წერეთლისადმი გაგზავნილ ერთ ბარათში. იგი წერდა: „ძლიერ მესიამოვნა, რომ ჩემი სტატია დაიბეჭდება, ჩემი მოთხრობების დაბეჭდვისათვის მე არასოდეს არ აეგჩარეკვლარ, სტატიების დაბეჭდვა კი ყოველთვის მეჩარკვება, ყოველთვის ბავშვივით მიძგერს გული, მინამ ჩემს სტატიას დაბეჭდილს დავინახავდე. როცა მოთხრობებს ვწერ, სრულიად დამშვიდებული ვარ, სტატიის წერის დროს კი ჩემი გული ღელავს, თითქოს ვიღაცას პირადად ებრძოდე, ვეჩხუბებოდე. მოთხრობებში მე ვეცდილობ შეძლების და ვვარად დავბაკო ჩვენი ხალხის ბნელი მხარე და წულუტები, სტატიებით კი ვებრძვი იმათ, ვინც თავიანთი ცრუ აზრებით ხელს უშლიან ყველას, ვინც კი ზრუნავს ხალხის წულუტის განკურნვაზე. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, რომ ეს უკანასკნელნი, სტატიები უფრო საყურადღებოა ჩემთვის“. აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ნინოშვილი თავის მოღვაწეობის უმთავრეს პრინციპად ხალხის წყლულების განკურნებას სახავს. ხალხის ბნელი მხარე და წყლულები გულს უკლავს მწერალს და როგორც მხატვარი იგი ძველი ცხოვრების ამ სიბნელეს ებრძვი. და ამავე დროს ებრძვი, დაუზოგავად ებრძვი ყველა ამათ, ვინც ხელს უშლის ამ მოწინავე ადამიანების ზრნევას „ხალხის წყლულის განკურნეაზე". აქ ზედმეწევნით კარგად ჩანს ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი მწერლის სახე.

ე. ნინოშვილი რეალისტი მხატვარი იყო, რეალისტი, რომელიც მწერლობას უდიდეს როლს აკისრებდა, როგორც ცხოვრების გარდაქმნის, ადამიანების აღზრდის, კლასობრივი წინააღმდეგ იბრძოლის. ამ ბრძოლაში ნინოშვილის რეალიზმი ამ მხრივ ერთგვარად ტენდენციური იყო, ტენდენციური ამ სიტყვის კარგი გაგებით. ნინოშვილის აზრით, მწერლობის ამოცანაა არა „უბრალოდ ემსახურის ცხოვრებას", არამედ ამ უკარგისი ცხოვრების წინააღმდეგ იბრძოლო. ამ ბრძოლაში ნინოშვილი ყველგან გამოდიოდა როგორც ქომაგი მშრომელი ხალხისა, დაჩაგრული ხალხის ინტერესების მეთაური. „მწერლობა უნდა ასახავდეს, — წერს ე. ნინოშვილი — ცხოვრების სინამდვილეს, მწერლობა მიზნად უნდა ისახავდეს მშრომელი მასის დაეჩაგვებული მდგომარეობის სინამდვილის აღწერას". აქ ნინოშვილს საგანგებოდ აქვს ხაზგასმული მშრომელთა ინტერესების დაცვის აუცილებლობა, ნინოშვილს აქცენტი მშრომელზე, დაეჩაგვებულზე გადაატანს; არა ზოგადად ხალხის ცხოვრება, არამედ კერძოდ დაეჩაგვებული ხალხის ინტერესების დაცვა, მისი სამსახური, აი მწერლობის ამოცანა ნინოშვილის აზრით. აქ ნათლად ჩანს ე. ნინოშვილის ტენდენცია, ტენდენციური კლასობრივი პრინციპი, რომელიც რეალიზმის საფუძველად არის აღიარებული მწერლის მიერ. ამტკიცებდა ნინოშვილ არ აკმაყოფილებდა ის. „რაც უკვე მიღწეული და მოპოვებული იყო" პროგრესის გზაზე. და მას ნამდვილად სწამდა, რომ საჭირო იყო გამოღვიძება ხალხისა, მეღვარი, საბრძოლო ყიჟინა, ბრძოლის დაწყება.

„ერთი სტტყვით, ჩვენს ქვეყანაში აზროვნებას სძინავს და მხოლოდ ხანდახან ბოდვასავით ნაბერ ნაწყვეტად წამოიძახებს იმას, რაც უკვე ნახევარი საუკუნეა სააზროვნო არქივში არის გადაგდებული, — წერდა იგი ინსტანსი წარეთელს, — ამიტომ საჭიროა რომელიმე სამწერალო ორგანომ ვალად ჩასთვალოს ჩვენს ქვეყანაში აზროვნების გამოღვიძება. შარშან ეტყოფობდა, რომ „ქვალი" არ გაურბოდა შორს ასეთ მოგალეობას; ის არ უშინდებოდა ქვაზიპატრიოტების საყვედურებს, წრეულსაც [illegible] და „ქვალი" არ უშეუხოლნა ამ თავის [illegible] ადრე თუ გვიან ეს შეშარიტებას უკვე ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება, მანამ დღეს ჩვენს ქვეყანაში მოწონებული სოფიზმებს და დამყაყებულ აზრებს". ე. ნინოშვილს მიაჩნდა, რომ მწერლობის მოვალეობაა, კაცობრიობის ამ მოწინავეკი იდეალებისთვის ბრძოლა და ამას მაშინ აღწევს მწერლობა, ნინოშვილის აზრით, როდესაც ის ყველაზე უფრო დამსახსოვრებელ მხარეს, ყველაზე უფრო ტკბილს, საზოგადოებრივს აიღებს მწერლობის საგნად და ამით ხალხს დაანახვებს, გზას გაუნათებს., ცხოვრების ნამდვილ გზას დაუსახავს. „ჩემის ფიქრით, — წერდა ნინოშვილი, — მოთხრობის მწერალმა შემთხვევითი ფაქტი არასოფის არ უნდა აიღოს თავისი მოთხრობის დედაზრად, ყოველთვის საზოგადოებრივი პრინციპი უნდა ისახავდეს მოთხრობებში".

ე. ნინოშვილი თანმიმდევრულად იცავდა, როგორც მხატვარი, თავის შემოქმედებაში ამ „საზოგადოებრივ პრინციპს" და ამ გზით გახდა იგი მეთაური ამ სამოქალაქო საზოგადოებრივი პათოსის მწერლობისა, რომელიც 90-იანი წლების რეგოლუციურ ეპოქამთან არის დაკავშირებული. ე. ნინოშვილი მუდამ მშრომელ ხალხში ტრიალებდა, იცნობდა მათ წყლულსა და ტკივილებს, მათ ოცნებასა და მისწრაფებას, ის ყოველდღიურად ხედავდა ამ ქმრებს და ადამიანებს, რომელიც მან შემდეგ ასე ძლიერი საბრძოლო სულისკვეთებითა და განწყობილებით გამოხატა თავის მოთხრობებში. სწორედ ამით იხსნება ის ფაქტი, რომ ნინოშვილის მოთხრობების სიუჟეტი, როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში, აღებულია არსებული სინამდვილიდან; სალიუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ „მოსე მწერალი". როგორც ცნობილია, ნინოშვილმა ამ მოთხრობის თემად არსებული, ცხოვრებაში მომხდარი ფაქტი აიჩრია. თვითონ მოსე მწერალს ნინოშვილი არაერთხელ შეხვედრია. პროფ. ს. ხუნდაძის გამოკვლევითა და მის მიერ დაგროვილი ფაქტიური მასალის მიხედვით დადგენილია მოსე მწერალის პროტოტიპიც. მოთხრობაში გადმოცემული ფაქტი, გურიის რეალურ სინამდვილიდან აღებული, ნაცნობი იყო ნინოშვილის თანამედროვეთათვის და იმდენად ნაცნობი, რომ მსგავსი ფაქტის გამო აღძრული საქმის გარჩევის დროს გაზ. „იეტიის" კორესპონდენტის დამოწმებით ე. ნინოშვილის მოთხრობა „მოსე მწერალს", ამ პროტოტიპის უტყუარ დოკუმენტს, სასამართლოს წევრები და თვითონ დამსწრე ხალხი ეცნობოდა, კითხულობდა, ხოლო „ექვემა ეს

თხზულება ბრალდებულების სიმართლის საბუთად წარადგინა თუმცა“. აქედან სავსებით გასაგებია, თუ რამდენად ახლო იდგა ნინოშვილის „მოსე მწერალის“ შინაარსი სინამდვილესთან. კონკრეტული ფაქტები აქ ისე განზოგადოებული იყო, რომ ჩინებულად შეიძლებოდა ის გამოეყენებინა „სიმართლე საბუთად“, ყველა მეფის მოხელეებსა „ყალბის მქნელებსან“ მიერ დაჩაგრული ადამიანის გასასამართლებლად.

მოსე მწერალი დახატულია მწერლის მიერ როგორც მეფის რუსეთის ყალბისმქნელი, მექრთამე მოხელის ტიპიური სახე. მასში თვალსაჩინოდ არის განსახიერებული მეფის ბპარატის გაიძვერა, ცბიერი, ეერაგი მოხელის ბუნება. მოსე გულფუჭობის გაიძეერობის მსხვერპლი გახდა ღარიბი გლეხის უნათლოშვილების ოჯახი. ნინოშვილმა ამ სახეთა შესაქმნელად ნაცნობი ადამიანები, პროტოტიპები გამოიყენა, მაგრამ ისე ამაღლებულად გამოხატა ყველაფერი ეს, რომ მან გაუხსენებლად შეუნახა შთამომავლობას ამ გაიძეერა მოხელეების ბოროტებათა მთელი ნაკვალეი და ამ სახით ნინოშვილმა ამბილა მეფის სახელმწიფო მოხელეთა ბნელი საქმიანობა და დამფუძველი გავლენა ხალხს ცხოვრებაზე. გ. წერეთელი წერდა: „მოსე მწერალი“ შესანიშნავი ხელოვნებით ნაწარმოებია, ცხოვრების სინამდვილე ზედმიწევნით არის შიგ აღმოხატული. თვით მოსე მწერალი ახალი ტიპია ჩვენს სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში, სრული რეალური ოვისებით გამოყვანილი“. ე. ნინოშვილისათვის დამახასიათებელია რეალური ფაქტების პროტოტიპების ასეთი განზოგადოება. ამავე გარემოებით ახსნება ის, რომ ზშირად ნინოშვილის პუბლიცისტური წერილების, კორესპონდენციებისა და მოთხრობების სიუჟეტები, ამბავი ერთიდაიგივეა. უკეთ რომ ვთქვათ, კორესპონდენციებში აღწერილი ამბავი ნინოშვილს შემდეგ გამოყენებული აქვს მოთხრობების სიუჟეტად, ან პირიქითაც, ამ მხრივ საკმარისია დავსახელოთ ნინოშვილის კორესპონდენცია „საბაასო“ და მოთხრობები „სიმონა“ და „განკაცებული ოჯახი“. ნინოშვილის მიზანი ორივე შემთხვევაში ერთი იყო. ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, მშრომელი ხალხის ცხოვრების შეშაფერხებელი მოვლენების წინააღმდეგ, ხალხის წყლულის განკურნება, ამ მიზნით იყენებდა იგი კორესპონდენციებსაც, პუბლიცისტურ წერილებსაც და ბელეტრისტიკასაც, მაგრამ ყველაფერი ეს იმას ადასტურებს, რომ ნინოშვილი იყო უტყუარი მხატვარი, ცხოვრების სიმართლის ჭეშმარიტი მხატვარი.

ე. ნინოშვილი ცხოვრების სიმართლეს ანიჭებდა ხელოვნებაში გადამწყვეტ როლს. ნინოშვილი ერი და დაკვირვებული მხატვარი ყოველდღიურ ცხოვრებიდან კრეფდა ფაქტებს და მოვლენებს და შემდეგ ამდენად მის განზოგადებას და ტიპიზაციას. და აქ ნინოშვილი რიდი იყო ამ ფაქტებისა და მოვლენების უბრალო აღრიცხველი, მათი ფოტოგრაფიული მომთხრობელი-ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა და ლიტერატურათმცოდნემ ს. ხუნდაძემ შესანიშნავად დაადგინა და გამოარკვია ე. ნინოშვილის პროტოტიპები, აუთრბელი ფაქტიური მასალა დაადგოა და კიდეც გამოაქვეყნა ამ ადამიანების შესახებ ნინოშვილის ნაწერების მესამე ტომში. ვინც ამ მასალას დაკვირდება და მას შეადარებს ნინოშვილის ნაწერებთან და მის მიერ დახატულ ხასიათებთან, იგი ადვილად დარწმუნდება, თუ რა საოცარი განსხვავებაა პროტოტიპებსა დ ტიპებს შორის. ნინოშვილს ისე გადაუსახავს ეს ცნობილი ფაქტები და მოვლენები, ეს ნაცნობი და ახლობელი ადამიანები, რომ მათ პირველწყაროსთან პირდაპირი ანალოგიის ძებნა ამაოა. ესენი განზოგადოებული, ამაღლებული, ზოგადი ლიტერატურული სახეები, ხასიათები და ტიპებია. ამ წესით არიან დახატული „ქრისტინეს“, „ჩვენი ქეეყნის რაინდისა“, „მოსე მწერლისა“ და ნინოშვილის სხვა მოთხრობების გმირები. ერთ შემთხვევაში აეტორს პროტოტიპად აუღია ცხოვრებაში მომზდარი ფაქტი, არსებული ადამიანები, მეორე შემთხვევაში კი საკუთარი თავგადასავალი („ჩვენი ქეეყნის რაინდი“). ერთ შემთხვევაშიაც და მეორე შემთხვევაშიაც ისეა გარდასახული ეს ნეღელი მასალა ლიტერატურულ გმირებად, რომ აქ საქმე გვაქვს ახალ ლიტერატურულ ცხოვრებასთან, რომელსაც ბევრი საერთო ძაფი აქვს პირველ დედანთან, პროტოტიპებთან, ცხოვრებასთან, ამისდა მიუხედავად ეს სხვა ცხოვრებაა, სხვა ადამიანები, ახალი ლიტერატურული სამყარო. მწერლის ფანტაზიის, ფიქრის, ნიჭიერების ნაყოფი. და ნინოშვილის ბელეტრისტული ნიჭიერებანი სწორედ ამაში გამოვლინდა. ამიტომაც ჩვენ ე. ნინოშვილის დამდაბლებად მოგვანია, როდესაც ზოგიერთი გადაკბრბებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ პროტოტიპებს, ყველა ამ პროტოტიპების ზვალთა და ზვალთა ზვალების ჩანაწერებს. ეს ზშრად ხელს გვიშლის ნინოშვილის, როგორც სინამდვილის სწორუპოვარი მხატვარი, მისი წერის მანერა, მისი სტილი ფუძა ღრმად, უფრო არსებითად ზვეისწავლოთ ადამიანის ხასიათების გამოხატვის და თხრობის ნიჭიერებანი ვაქციოთ დაკვირვების ობიექტად და არა ამ პროტოტიპების გაუთავებელი ჩანაწერების მოგროვება. ნინოშვილი იყო, უპირველესად ყოვლისა, დიდი ბელეტრისტი, ცხო-

რების დაკვირვებული მხატვარი, ახალი ტიპის **მხატვარი,** რომელიც მოთხრობის თუ რომანის ცენტრში კლასობრივად დაყოფილი საზოგადოება და მათი ურთიერთობის გაგება დასახა მთავარ ამოცანად.

ე. ნინოშვილი მძაფრად და მახვილად სვამდა კლასთა საკითხს. ვინ ატყვია, რომ ჩვენს მწერლობაში ეს კითხვა მანამდის არ ყოფილიყო დაყენებული. მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ ნინოშვილის წინაპრებმა და წინამორბედებმა სოციალური მოთხრობების მდიდარი ტრადიცია შექმნეს. ე. ნინოშვილი ამ ტრადიციიდან გამოდას, ოღონდ ნინოშვილის სიახლე აქ იმაში გამოიხატი, რომ მან კლასობრივი საზოგადოების გამოკვლევა, როგორც მხატვრმა კლასთა შორის ურთიერთობის, მათი გამწვავებული დამოკიდებულების ფონზე გამოსახა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწესრიგება ამ კლასთა **ბრძოლის ლოღიკაში დაიანახა.** უფრო მეტიც. ნინოშვილის შემოქმედების მთელ ატმოსფერის, მის სამწერლო პოზიციის კლასობრივი თვალსაზრისი **განსაზღვრავდა. სწორედ** ეს **კლასობრივი** გამწვავება სოციალური საკითხისა იყო ის ახალი, რაც თავისებურ ძალას აძლევდა ნინოშვილის ნაწერებს. თუმცა აქაც არ შეიძლება გადაჭარბებულად შეეფასოთ ნინოშვილის **დამსახურება, როგორც** ეს, სამწუხაროდ, ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ასრულებთან ხდება ხოლმე. სამე ეს იმას შეეხება, რომ ე. ნინოშვილმა კლასობრივი ბრძოლის ის პრინციპი, რომელიც მარქსიზმმა წამოაყენა, მხატვრულ მწერლობაში ვერ მიიყვანა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ვერ მოახწრო მიეყვანა პროლეტარიატის, როგორც ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების მეთაური ალიარებამდის. ეს დაახლოებით იგივე განმეორდა, რაც სხვა ვითარებაში ჩერნიშევსკის მიმართ.

„ჩერნიშევსკის, — წერდა ლენინი,—ვერ შესძლო, უკეთ რომ ვთქვათ, მან რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო არ შეიძლო მარქსის, ენგელსის დიალექტიური მატერიალიზმის სამალღეზე ასულიყო. „მართალია, ე. ნინოშვილი ჩერნიშევსკის მომდევნო თაობას წარმოადგენდა, მაგრამ ეერც ე. ნინოშვილმა, თავისი ხანმოკლე სიცოცხლის გამო, მესამე დასის იდეების ამ პირველმა მეერობამ, ვერ მოახერხა მხატვრულ ლიტერატურაში მტკიცედ დიმკვიდრებინა სოციალისტური რეალიზმის ის პრინციპები, რომლის მეთაური ნინოშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მ. გორკი გახდა; მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ჩვენს ლიტერატურაში ამ იდეების ძლიერი ქროლვა სწორედ ნინოშვილის მოთხრობებშია მოცემული. ნინოშვილმა ისეთი მამხილებელის ძალით დახატა 90-იანი წლების სოფლის ცხოვრების მავნებელი სურათები, ისე მებრძოლი კლასობრივი ინტერესებით გამოხატა ეს ატმოსფერი, რომ ამ უთანასწორო კლასობრივ ბრძოლაში დამარცხებულ ძნს მებრძოლ გმირებს უაღრესად გამაკვეულოცეირებელი ძალა ჰქონდა მინიშვეული. ეს იყო ნინოშვილის მოთხრობების უაღრესად დიდი მნიშვნელობა, როგორც ახალი ტიპის მხატვრისა.

ე. ნინოშვილის მსოფლმხედველობის გამოსარკვევად უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ პერიოდში, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, დაწერილ პუბლიცისტურ წერილს: „ძველი დავა ახალ ქერქში“, „უებარი საშუალება საქართველოს გამდიდრებისათვის“ და დაკარგულ სტატიას „ძველი **თუ** ახალი“, რომლის შინაარსი დაახლოებით გადმოცემული აქვს გ. წერეთლისადმი მიწერილ პირად ბარათში. პირველ სტატიაში „ძველი დავა ახალ ქერქში“ ე. ნინოშვილი ანალიზს უკეთებს მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიას, ჩერდება **90-იანი** წლების თაობათა შორის უთანხმოების ძირითადი მიზეზების გამოარკვევაზე. ნინოშვილის აზრით, „ძველსა და ახალ თაობას შორის დავას იწვევს ძველი თაობის **ჩამორჩენილობა, ისე მოხდა** ეს **60-იან** წლებში, ანუ განმეორდა 90-იან წლებშიაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უკანასკნელი დროის 60-იანი წლების ახალი თაობა ძველ თაობათა როლში მოგვევლინაო“. იგი ეკამათება გზნ. „ივერიის“ პუბლიცისტებს ნიკო ხიზანიშვილს, (ალვს) და დ. მიქელაძეს (მეველეს). კამათის საგანი უმთავრესად საქართველოს აწინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გზა და ამასთან დაკავშირებული ახალთაობის, ინტელიგენციის მოვალეობა.

ე. ნინოშვილი ახასიათებს რა 90-იანი წლების საზოგადოებრივი განვითარების გზას, ამ პერიოდის მთავარ მოვლენად კაპიტალიზმსა და მრეწველობას მიიჩნევს. როგორც ცნობილია, მესამე დასეულებისა და 60-იანი წლების თაობათა უთანხმოების მთავარი საგანი საკითხთა ის წრე იყო, რომელიც საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზას შეეხებოდა: კლასთა ბრძოლის საკითხი, ეროვნული საკითხი, კაპიტალიზმის ისტორიული ფუნდამენტალობის საკითხი და სხვა. აზრთა უთანხმების საგანი იყო ამ თაობათა ბრძოლის მთავარი საგანიც. ნინოშვილიც ყურადღებას ამ საკითხზე ამახვილებს. ნინოშვილის აზრით, კაცობრიობის ცხოვრება ისე არ გაუმჯობესდება

და აგრეთვე საქართველოს ცხოვრება, თუ ორსებულ პოლიტიკურსა და სოციალ-ეკონომიურ ყოფაში ძირითადი ცვლილება არ მოხდა. ეს ცვლილებები 90-იან წლებში კაპიტალიზმის გზით მიდიოდა. ამიტომ ნინოშვილის აზრით, კაპიტალიზმი ისეთი ისტორიული მდინარეობაა, რომლის უარყოფა დონკიხოტობა იქნებოდა, რადგან ის ჩვენ ცხოვრებაში უკვე ფაქტი და ასევე ისტორიულად აუცილებელი, მაგრამ კაპიტალიზმს, ნინოშვილის აზრით, დიდ პროგრესთან ერთად დიდი უბედურებაც მოაქვს.

— „საუკეთესო პოლიტიკონომებმა მეცნიერულად ისტორიული ფაქტებით დაამტკიცეს, რომ იქ, სადაც კაპიტალიზმი და მრეწველობა ეხლანდელი ეკონომიური და სოციალური წყობილებით ფეხს გადგამს, ერის ერთი ნაწილი ლატაკდება და ვარდება მეორე ნაწილის ხელში ეკონომიურ მონადო",—წერს ე. ნინოშვილი და იქვე უმატებს, — „მერე რაში გამოადგება ერთი ნაწილის სიმდიდრე მეორე ნაწილს. პოლეტარეებს, რომლებიც აქა-იქ სიმშილით იხოცებიან იმ დროს, როცა რომელთმე მდიდარი ლორდი ან ბურჟუა დღიურად თუმნობით ხარჯავს თვისი ძალლის სარჩენად". ე. ნინოშვილი ინგლისის მაგალითზე ხაზს უსვამს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ მძარცველურ ბუნებას. მიუხედავად ამისა, ნინოშვილს მიაჩნია, რომ იგი აუცილებელი საფეხურია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის. „კაპიტალიზმი და მრეწველობა ისეთი მდინარეა, რომ თუნდაც კიდეე ძლიერ მოინდომონ მისი შეფერხება, ვერ შეაყენებ და უნდა მოგახსენონ, არც სასურველია მისი შეყენება, არა თუ საქართველოსათვის, არც ერთ ქვეყნისათვის". ეინც ნინოშვილის ამ სტატიას დააკვირდება, იგი ადვილად მიხვდება, თუ რა დიდი განსხვავებაა ნინოშვილის ამ შეხედულებასა და ხალხოსნების და, კერძოდ „ივერიის" პუბლიცისტების შორის. ამ სტატიაში ნათლად ჩანს, რომ ნინოშვილი მარქსიზმის მომარჯვეებით ზუსტად არკვევს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონს, სწორ ალღოს იჩენს როგორც პუბლიცისტი და მესაზე დასის ერთერთი მეთაური. ნინოშვილი იბრძვის, როგორც ამ პერიოდის მოწინავე ინტელიგენტი, ბოლო პოეტის კლასებად დაყოფილ საზოგადოებას, მათ შორის თვით კაპიტალისტურ საზოგადოებასაც და ამ ბრძოლაში თვისი დიდი როლი უნდა შეასრულოს მოწინავე ინტელიგენტთან. „ამ იმას მოგახსენებთ, — წერს ნინოშვილი, — რომ ყოველი განათლებული კაცი, ყოველი ინტელიგენტი, რომელსაც მართლაც გული შესტკივა თავის ქვეყნის აეკარგიანობაზე და ბედიღბალზე, ამთავითვე უნდა ცდილობდეს, რომ სიმდიდრეში და [illegible] ბაში წილი ეღოს არა ერთ რომელსაც [illegible] ერისასა, არამედ მთელს ერს, გამოუკლებლად და თანასწორად, უამისოდ ერის წარმატება ან ეთქმის". რასაკვირველია, ამ სტატიაში ბევრი რამ არის ჯერ კიდევ ბუნდოვანი მარქსიზმის თეალსაზრისით, მაგრამ აქ უმთავრესი ის არის, რომ ნინოშვილი, ამ ახალი დასის მეთაური, უკვე გარკვეული მოჩანს ამ სტატიაში. როგორც ირკვევა, უფრო ნათლად მან თავისი შეხედულებანი მეორე სტატიაში ჩამოაყალიბა, რომელსაც ქვია „ძველი და ახალი". თვითონ ნინოშვილი აღნიშნავს: ეს სტატია ჩემის ფიქრით, ყველაზე აქამდელ ჩემს სტატიის სჯობია. ამიტომ გთხოვთ, თუ შესაძლებელია, შეუმოწმლელად დაბეჭდოსო. შემდეგ იგი მიუთითებს, აქ მოყვანილი ფრანგული და რუსული ციტატები ამოღებულია „სოციმენნიკიდან" და ფრანგულ სოციალ-დემოკრატიულ გაზეთებიდან და სთხოვს გ. წერეთელს, რომ როგორმე ცენზორი უნდა გადაცეროთო. ვინაიდანაა სტატია თქვენ თქვენობით არ მოგეწონოსთ (მე კი არ ვფიქრობ, რომ თქვენ ამ სტატიის წინააღმდეგ შეიქნეთ), იმ შემთხვევაში შემინახეთ და გადაეცით შესანახად მიხა ცხეკაიას". უფრო გვიან 1894 წლის ინვარში ე. ნინოშვილი კვლავ მიმართავს წერეთელს — მეორე ჩემი სტატიის ძველი თუ ახალის დაბეჭდვას გთხოვთ, მაგრამ როგორც ირკვევა იმდენად მებრძოლი იყო ეს სტატია, რომ „ცვალმა" ვერ გაბედა მისი დაბეჭდვა. სამწუხაროდ, ეს სტატია დაიკარგა.

ნინოშვილის ამ სტატიებმა ფრიად დადებითი რული შესარულეს ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების საქმეში, მარქსიზმის იდეების პროპაგანდის საქმეში. ე. ნინოშვილი, როგორც პუბლიცისტი, პირველი მარქსისტი პროპაგანდისტი იყო საქართველოში. რასაკვირველია, ამ იდეებმა თავისი ბაღნაურობა ალბოვეს ბრძოლაში შემოქმედებაში. ნინოშვილს მტკიცედ ჰქონდა შეგნებული მოვალეობა ახალი ტიპის მწერალსა, ემსახუროს ხალხის იდეურ გათვითცნობიერებას, ემსახუროს მასების დიდ ბრძოლაში თავისუფლებისა და რევოლუციის გზაზე. ბოლო წლებში იგი ფიქრობდა, რომ ამ საქმეში უფრო გამოადგებოდა იგი ხალხს როგორც პუბლიცისტი. ამიტომ ანაქვეშდა იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას პუბლიცისტურ წერილებს, როგორც მესამე დასის იდეების მედროშე საქართველოში.

•

ეინც ე. ნინოშვილის ბიოგრაფიულ მასალას გაეცნობა, ეინც მის პირად ბარათებსა და წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რილებს წაიკითხავს, იგი აღვილად დაგვეთანხმება, რომ ნინოშვილის მთელი ცხოვრება, მისი ბიოგრაფია ძველი უკუღმართი ცხოვრებისაგან გამწარებული და დატანჯული ადამიანის ტიპიური ისტორიაა. თითქოს მისმა სიმშილიერად თავმოყრილია ყველა ის ტკივილები, ტანჯვა და მწუხარება, რაც ძველ უკუღმართ ცხოვრებას რიგითი ადამიანისათვის მიეყენებია. ამიტომ იყო, რომ ე. ნინოშვილი ასე მაყრად განიცდიდა და გრძნობდა თავისი თანამოძმეების, თავის საყვარელ მგრძოა შეურაცხყოფას და უუფლებობას, ძველი უკუღმართი ცხოვრებისაგან დაწიხლულ ადამიანთა ბედს. ამიტომ უყვარდა მას მთელის გულით უკუღმართი ცხოვრებისაგან გამწარებულ ადამიანთა ეს არმია, ამიტომ აღელვებდა ასე მაყრად მათი ბედი. მწერალი პირად ცხოვრებაში ისევე უბედური და გამწარებული იყო, როგორც მისი საყვარელი გმირები. ამ ღაჩაგრულთა და შევიწროვებულთა ბედზე ფიქრმა აიღებინა ნინოშვილს კალამი ხელში. ალაშფოთა იგი ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ. სულ სხვაა გარეშე მაყურებლის თვალით დანახული ქვეყანა, და სულ სხვაა — უშეალოდ განცდილისა და ნაგრძნობის გადმოცემა და აღწერა. დიდი ღირსება ნინოშვილისა, როგორც მწერლისა, ისიც არის, რომ მისი ნაწარმოებები უშეალოდ გადმოსცემენ იმას, რაც ბავშვობიდანვე გულმა უგრძნო, თვალმა ნახა და საკუთარ თავზე განიცადა. ნინოშვილი უმთავრესად თავისი დადებითი გმირების ბედის მონაწილეა, მათი ცხოვრების თანამოზიარეა. იგი არ ფარავდა ამას. როცა ერთერთმა ახლო მეგობარმა ე. ნინოშვილს პირად ბარათში სპარდილ მცირიშვილს შესახებ მისწერა, რომ ჩვენი ქვეყნის რაინდის გმირის სპარდილ მცირიშვილის ბედი მის ავტორს მაგონებსო, მან უპასუხა: „მართალია, მაგრამ მხოლოდ გარეგნულობით, ისე კი მცირიშვილი უფრო ყოჩაღია ავტორზეო“. თუ აქ ანგარიშს ვიგულვეთ ავტორისეულ მოკრძალებას, მაშინ უდავოა, რომ ნინოშვილი სავსებით ადასტურებს მეგობრის აზრს და ჩვენ უფლება არა გვაქვს ავტორს არ დავუჯერთ.

ჩვენ ზევითაც ვთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ნინოშვილის მიერ დახატული ადამიანები, მისი საყვარელი დადებითი გმირები ცხოვრებიდან აღებული ნამდვილი ადამიანები იყვნენ, რომლებსაც შეხვედრია მწერალი, რომელთანაც საუბარი ჰქონია, რომელთაგანი ბევრი გაუმხნევებია და მომავლის რწმენით აღუნთია. მაგრამ, როგორც ჩვენ ვთქვით, ნინოშვილისათვის ეს მხოლოდ მასალა იყო; ცხოვრებაზე ადამიანებთან ნაცნობობა, ფიქტობრივი მასალა თავისთავად „ნედლად“ წარმოდგენილი არაფერს ნიშნავს, მთავარია ნიჭიერებანი მწერლისა, ძალა მხატვრისა, რომელიც სულს ჩაუდგამს, ხორცს შეასხამს მწერლობის ეშხე, ამიტაყვლევს ამ ადამიანებს, ამ ფიქტებს, ამ მოეტხენებს. ნინოშვილი სწორედ ამ ბეletრისტული ნიჭიერებით ბრწყინავდა, ცხოვრების გამოხატვის ძალით გვაჯადოებდა, დანახული პროტოტიპების განზოგადოებას აღწევდა და ასე ქმნიდა უკეთეს ლიტერატურულ ტიპებს, ზოგადს და დამახასიათებელს, რომელთაგან ბევრი ზოგად სახელებად იქცნენ. და ამაშია საძიებელი ნინოშვილის ბელეტრისტული ნიჭიერების საიდუმლოებანი.

ე. ნინოშვილის პირველი ნაწარმოება „სახუმარო ფელეტონი“ გაზ. „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1887 წ., ავკოტოს ნომერში. მის უკანასკნელ ნაწარმოებს 1894 წლის თარი-ი აზის. ამგვარად ნინოშვილის სამწერლო მოღვაწეობის ხანგრძლივობა რაღაც შვიდიოდე წლით განისაზღვრება. ეს ფრიად ხანმოკლე დროა, მით უმეტეს პროზაიკოსისათვის, მაგრამ თუ ამას იმასაც დავამატებთ, რომ ნინოშვილს უხდებოდა სამწერლო მოღვაწეობის გაწევა ჯოჯოხეთურ პირობებში, მაშინ უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის მართლაც ის რაინდული სული და ნებისყოფა, მისი დიდი ნიჭიერებანი და შემოქმედებითი ძალა, რომლის შედეგია ის მეტკვიდრეობა, რაც მან ჩვენს მწერლობას დაუტოვა.

ე. ნინოშვილი იყო პროლეტარული ლეტკაცობის მხატვარი, მისი იდეალების უკეთესი მომპაელისათვის მებრძოლი, მაგრამ ამავე დროს ფხიზელი და დაკვირვებული მხატვარი. იგი არ იყო დამრმავებული სოფლის საკეთილ. ის კარგად ხედავდა, რომ სოფელში ლეტკაცობის წრესთან დაკავშირებული არა მარტო სიკეთე, დოვლათი ქვეყანისა, პატიოსნება და სინდისი ხალხისა, არამედ ამავე ლეტკაცობის წრეში იბადება ბაგრატ ქერაძესაით („მოსე მწერალი“) ბულეკვარძლიანი ადამიანიც. ამ წრიდან გამოდის ბევრი ეგოიტები, ზნეობრივად მახინჯი და მიეღებელი ინსტინქტებით, ამ წრიდან წარმოიშვა დავით ფრიდაქე და მოსე ბულეფუშაძე. ამიტომ ე. ნინოშვილი არ ეუბეა ზოგადად იდეალიზაციას ლეტხობისა, როგორც ამას ხალხისები ჩადიოდნენ. მან იცის ლეტკაცობის კარგიც და აეიც. ერთისაც და მეორესაც სოფლის სოციალური მდგომარეობა ბადებს.

ე. ნინოშვილს აქაც კლასობრივი პრინციპი აქეს მომარჯვებული. მისი წარმოდგენით სოფელი სოციალურად და კლასობრივად დიფერენცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებულ, ერთმანეთთან დაპირისპირებულ ორ საწინააღმდეგო ბანაკს წარმოადგენს. ერთი მხრით არიან დროძმეები, უქმაძეები, ავსენიძეები პოლიციის მოხელეთთა და ეკლესიის მსახურებით, მეორე მხრით — პატიოსნები შშრომელები, ღარიბ-ღატაკი გლეხები, ძალაძეები, უიშვილები, ბუნჯაძეები, სხვები და სხვები.

ნინოშვილმა ძმაფრ დაპირისპირებულ კლასობრივ ვითარებაში წარმოადგინა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ყოფა ამ პერიოდისა. მათი მორიგება, აეტერის აზრით, არავითარ მორალურ და ეთიკურ კატეგორიებს არ შეუძლია. ისინი მტრულად გადაკიდებულნი, დაპირისპირებულნი, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან ერთმანეთს, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებასაც ამ კლასთა დაპირისპირება და ბრძოლა განსაზღვრავს. მათ ერთ სახლში არ დაედგომებათ, ისინი ერთ ჭერქვეშ ვერ მორიგდებიან. შემთხვევით როდი ათქვევინა მწერალმა დავით დროიძეს სიმონ ძალაძის მიმართ: „აბა შენ და აბა მეო“, — „აბა შენ და აბა მე“ — ეი ამ ლოზუნგით, ამ ინსტინქტებით მოქმედებენ და ებრძვიან ერთმანეთს ამ ორი სხვადასხვა კლასობრივი ინსტინქტების წარმომადგენლები და გამიმტყუელნი სოფლად. ნინოშვილს, როგორც ახალი ტიპის, მწერლობის ახალი თაობის მეთაურის სიახლეც ამაში გამოჩნდა.

ქრონოლოგიურად ნინოშვილის პირველი მოთხრობა, რომელშიაც მთელი სიმძაფრით გამოჩნდა უუფლენი, დამცირებული და დაჩაგრული რევოლუციის წინადროინდელი გლეხის ტიპიური სახე, „გოგია უიშვილი“ იყო. ამ მოთხრობაში დიდის უშფალითით, ღრმა თანაგრძნობით გამოხატულია ბატონყმობის გადავარდნის შემდგომდროინდელი გლეხის ზოგადი და ამავე დროს უაღრესად კონკრეტული, დამახასიათებელი თავგადასავალი. ამ მოთხრობაში კარგად ჩანს, თუ როგორის ზედმიწევენით იცნობს ნინოშვილი გლეხის მდგომარეობას, მის ეკონომიურ და სულიერ ცხოვრებას, მის ზრახვებს და ფიქრებს, მის განცდებს და ინსტინქტებს. ყველფერი ეს გადმოცემულია მარტივად, სადად, და ამავე დროს გულისჩამფშვნელად. გულის გლეხკაცობის ეს ძმიმე სოციალური ვაება ზედმიწევნით სიზუსტით, ცხოვრებისეული სიმარცლით არის გამოხატული „გოგია უიშვილში“. აქ ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა, ყოველი ეპიზოდი, ყოველი სიტუაცია, ცხოვრებისეული სიმარცლით ბრწყინავს. ძმაფრი და მუქი ფერებით დახატული ეს სინამდვილე გულს დამაღონებელი და დამფიქრებელია. აქ აღწერილი ამმავი ისევე მარტივია, როგორც აქ მოყვანილი პერსონაჟის ფსიქოლოგია, მაგრამ იმდენად გულისჩამფშვნლია, რომ შეუძლებელია კაცმა ის აღელვების გარეშე წაიკითხოს.

„გოგია უიშვილში“ ე. ნინოშვილმა მუქად დახატული თავგადასავალი გლეხის ცხოვრებისა. ტრაგიკული ფინალით დაამთავრა და ამით უალრესად გაამძაფრა, გამოშშეგვი ხასიათი მისცა სოფლად შექმნილ ვითარებას გლეხის ცხოვრებისას. მეკთხეული არა მარტო ინსტალეკა ღრმა თანაგრძნობით დაჩაგრული გლეხის გოგიას მიმართ, არამედ მასში იწვეგს იმ დროს არსებული საზოგადოებრივი უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტის, აღშფოთების გრძნობას.

გლეხკაცის ცხოვრების ანალოგიური სურათი წარმოადგინა ე. ნინოშვილმა „განკარგულებასა“ და „პალიასტომის ტბაში“. საკმარისია თქვენ შეადაროთ „განკარგულება“ და „გოგია უიშვილი“, რომ მათში აღმოაჩინოთ გლეხკაცის ცხოვრების, მისი უკუღმართი ბედის დამახასიათებელი მსგავსი სურათები და ეპიზოდები. ამ მოთხრობებში წარმოდგენილი საერთო ატმოსფერო ისეთია, რომ ერთი სოციალური მგდომარეობისა და ერთ ბედში მყოფი გლეხების განცდა და კონტაქტი ცხოვრებასთან იმდენად ანალოგიურია, რომ ეს მსგავსება, ეს ნათესაობა ბედით თუ სულიერი ცხოვრებით გამოწვეული ერთბაშად თვალსაჩინო ხდება.

კაცია ბუნჯაძეკ, გოგია უიშვილმა და ივანმიაც კარგად იციან, თუ ვინ არის მათი მჩაგვრელი, მაგრამ ამ მჩაგვრელობის წინააღმდეგ პროტესტის, წინააღმდეგობის ბუნეგის სახლობა ერის ამოძალნებული ამ ეგრეთის ხასიათში. კაცია ბუნჯაძეში თითქოს ჩაწინულია პროტესტის ეს გრძნობა, ის საკუთარ თავსაც ძლივს უმხელს ამ სპროტესტო ხმას ეულისას. გოგია უიშვილი თითქოს მაღლა დგას ამ მხრივ მასზე. მას საჯაროდ გამოაქვს გლეხის უკმაყოფილებისა და პროტესტის საბრძოლო განწყობილება, მაგრამ აქაც განსაზღვრულია მთელი მისი მოქმედების არე და ადგილი. ამ ეგრეთზე მაღლა დგას თითქოს „პალიასტომის ტბის“ მთავარი გმირი ივანე. ივანეგ იცის, რომ ღალატი და ორპირობა გლეხკაცობის მტერია და რომ მოხეირბდეგბოდეს გლეხკაცობის ერთი პირად, ერთ ფიქრად, ერთ აზრად შეკვრა და შეერთება. მაშინ შეიძლებოდა მათი მდგომარეობის ეაუმჯობესებეა. ამ ინსტინქტებით შეიარაღებული ივანე საყვედურით მიმართავს თავის თანამებრძოლებს: „ყაზაბმა რომ ერთი პირობა იცოდეს და ერთმანეთის მხარის მიცემა, მაშინ...“ მაშინ დასკვნა ნათელია, რომ გლეხკაცის დაჩაგვრა

ღა აბუჩად აგდება ადვილად არავის შეეძლება. ასე გამოთქვა ე. ნინოშვილმა კაცური უფლებებისა და ცხოვრებისათვის ბრძოლის უტილებლობა. ამ მოთხრობის მთელი პათოსი იმაშია გამოხატული, რომ გლეხობას, რომელიც საზოგადოების უმრავლესობას წარმოადგენს, ერთი პირი და ერთობა არა აქვთ. ერთობის უქონლობა იწვევს მათ დამარცხებას ხეტყის გარშემო თავად-აზნაურობასა და გლეხობას შორის ატეხილ დავაში. ივანეს შეგნებული აქვს, რომ ღალატნი და უპირობამ გამოიწვია მათი დამარცხება.

გლეხკაცის უფრო მებრძოლი, უფრო პროტესტანტი გლეხის სახეა დახატული მოთხრობა „სიმონაში“. „სიმონაში“ ავტორი ცდილობს წარსული მაგალითებითა და საბრძოლო ტრადიციებით მეტი მნიშვნელობა და ძალა მიანიჭოს გლეხკაცის ბრძოლას უსამართლობის წინააღმდეგ. ამ მოთხრობის დასაწყისშივე ავტორი აწყობენ ამ ტრადიციებს შესახებ ჩამოადგეს საუბარს. მოთხრობაში ვეცნობით სიმონას პაპას, ყმა მებრძოლ გლეხს ბაბილე ძალაქს. „ბატონი ან მისი მურავი, როცა გბრძოლ სხვა შინაყმებივით დაჩაგრას მოუწდომებდა, გბრძოლი თოფით უხდებოდა წინა: „გიჯობს შენს ტყაფნი დიეტო! გეყოფა ოვიც, რომ შენ ბატონი ხარ და მე ყმაი, ეკირაში ოთხ დღეს შენთვის ვმუშაობ და ორს ჩემთვის, მთელდ შესაპმელად ნუ მომინდომე, თუ არა, ერთი თუ თავზე ხელი ვეიღე, შავ დღეს დგაყენებე, ოხრად მოგიქცევ ინ საწყალ ყაზახების ოფლით აგებულ სასაზღესო!“ ამ მოთხრობას, როგორც ძირითადი ლეიტმოტივი თან გასდევს ის, რომ კაცს თუ თავზე ხელი აიღებენე, მერე იგი საშიშია. სიმონა ძალაქს კი ნამდვილად თავზე ხელი აიღებინეს, პატიოსან შრომას და კერას მოწყვეტეს, აიოვალისწუნეს, უდანაშაულო დამნაშავედ გამოაცხადეს, ბოლოს ოჯახს ნამუსი ახადეს. სიმონა ძალაქმ ამ უსამართლობისა და ბოროტების მოთავეს სამაგიერო მიუზღო, იგი სამართლიანად ამბობს: „ერთი მუშაკაცი ვიყავი, გასაჭყლეტად მომინდომეს, თავზე ხელი ამაღებინეს და ეს არის, ნახონ თუ კაია თავზე ხელაღებული კაცი“. ამ ბრძოლას მრაგვერესა და დაჩაგრულს შორის დიდი მხატვრული თანმიმდევრობით, შინაგანი ლოგიკით და სიმძაფრით გამოხატავს ე. ნინოშვილი.

ე. ნინოშვილმა არა მარტო თანამედროვეობის თემაზე დაწერილ მოთხრობებში შენიშნა გლეხკაცობის ეს პროტესტანტული განწყობილება, არამედ ისტორიული სინამდვილის ფონზედაც გამოხატა მან გლეხკაცობა, როგორც დიდი რევოლუციური ძალა, უსამართლობის წინააღმდეგ მიმართული ძალა. ნინოშვილის სწამდა, გულით სწამდა, რომ ... კაცობის ეს საბრძოლო ყიფლი „ზეგანაცვლებ დაფაყეფდულ ძველ სამყაროს. ჯერ კიდევ გულოს ათქმევინა რომან „ჯანყი გურიაში“ ნინოშვილისა: „თუ კი კანონ-დაწესებულება მოსაწონი და საკეთილო არ არის, გლეხკაცებს შეუძლიათ იმის უარყოფა და შეცვლა, ჰოი, დედა, მძლავრი და საშიშია, როცა იმოდენა ხალხი ხმას ამოიღებს, ხელს გაანძრევს! ვაი მათ, ვისაც იმათგის უსამართლოა რამ უყვიათ, მოკითხავენ ძველსა და ახალ ცოდვას, მწარედ მოანანიებენ ყველა დანაშაულს“. ნინოშვილის ეს სიტყვები გასაცვლა როგორც საბრძოლო მოწოდება, რევოლუციამდელ საქართველოში იგი ამზადებდა ინ საბრძოლო სულისკვეთებას და განწყობილებას, რომელსაც ჯერ 1905 წლის რევოლუცია ხოლო შემდეგ 1917 წლის რევოლუცია მოჰყვა.

ნინოშვილი თანამედროვეობის მხატვარი იყო, 90-იანი წლების სინამდვილის მხატვარი. ის თავისი მოთხრობებისათვის თემებს, ფაქტებს, მოვლენებს მის თანამედროვე ცხოვრებიდან კრეფდა, მის გარშემო არსებულ სინამდვილიდან იღებდა და მის გარშემო არსებული საზოგადოებრივი უსამართლობის, სოციალური ჩაგრის და ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდა ხალხს. მან მწერლობის მთავარი დანიშნულება ხალხის ამ საბრძოლო განწყობილებას და სულისკვეთების აღზრდაში დაინახა და მთელი თავისი კეთილშობილური ცხოვრებაც და შემოქმედებაც ამ საქმეს შესწირა. საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრად დახასიათებასა და განმარტებას მან საფუძვლად კლასობრივი პრინციპი დაუდო. ამ პრინციპით გააშუქა მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ამ თვალსაზრისით გამოხატა ადამიანები, მათი ენებები და ფიქრები, მათი ისტორიქმები და განცდები. კლასობრივი პრინციპით ხატავდა ე. ნინოშვილი არა მარტო მის თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებას, არამედ ამ თვალსაზრისით აშუქებდა ჩვენი ხალხის, ისტორიულ წარსულსაც. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“.

ეს რომანი საინტერესოა მხატვრული თვალსაზრისით. ამ რომანის კომპოზიცია მეტად ოსტატურად ვითარდება. ხასიათები გამოსახულია საღმვიკების სრული და ზომიერი მოსწარებით, როლებისა და მდგომარეობის ზუსტი განაწილებით და, რაც მთავარია, მათ სულიერ ცხოვრებაში მოძებნილია ყველაზე ტიპიური და დამახასიათებელი, მათი ინტიმური განცდები და ზრაზებები შეფარდებულია საზოგადოებრივ ინტერესებს და ატმოსფერის. ბეგრია აქ ინტერესოდ შესრულებული ლირიკული ადგილებიც, ადამიანის ცხოვრებისა და ბედის ფსიქოლოგიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიმართლის გამომხატველი ეპიზოდები. გულის დამაღონებელი ტრაგიკული კილოთი და ლირიკული სინაზით არის გადმოცემული გელოსა და გიორგის უიღბლო სიყვარულის სცენები, განსაკუთრებით ძლიერია გელოს უკანასკნელი დღეების აღწერა. ამ რომაში ჩასს ჭეშმარიტი და ნამდვილი მხატვარი, რომელსაც ძალა შესწევს ადამიანის სულის მოძრაობის ტიპიური და დამახასიათებელი სურათი გააცოცხლოს, მას მხატვრული ნაბატის დიდი ემოციონალური ძალა მიანიჭოს და მკითხველზე ზემოქმედების ძალით აღვსილს.

* * *

ნინოშვილი თემატიურად მრავალფეროვანი მწერალია. იგი შეეხო თავისი დროის ყველა მწვავე სოციალურ და ეროვნულ საკითხ, რომელიც ჩვენს ხალხის ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული და შეეხო ისეთი სიმძაფრით, რომ ყველგან თანმიმდევრულად დაიცვა მან მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი მწერლის პოზიციები.

ე. ნინოშვილს მაშინ მოუხდა სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, როდესაც საქართველოში მეურნეობის კაპიტალისტური ფორმა აღმავლობის გზით მიდიოდა. საზოგადოებრივი ცხოვრება ახალ ყაიდაზე ეწყობოდა. კაპიტალი და ფული ყველაფერს იმორჩილებდა. მწერალს ეს მოვლენები არ გამოპარვია. მან კარგად შენიშნა კაპიტალისტური ურთიერთობის შეჭრა სოფლად და ამის შედეგად კულაკობის, როგორც კაპიტალისტური ცხოვრების, პირმშოს აღმოცენება. ეს ისტორიული პროცესი ე. ნინოშვილმა სოფლის ცხოვრების მაგალითზე. გადაგვიშალა.

ყველაზე უფრო დამთავრებული სახით ეს სოციალური სურათი გამოხატულია მოთხრობა „სიმონანში". ნინოშვილმა მეტად სანტერესოდ წარმოადგინა ამ მოთხრობაში კაპიტალისტური ცხოვრების ბუნება. ნინოშვილმა კარგად იცის, რომ კაპიტალისტური ცხოვრება მწვავედ დაიწვა სოფლის ხალხს. ასალმა გართულებულმა ეითარებამ უფრო მძიმე გახადა გლეხის მდგომარეობა. ყველაფერი ამის შედეგად „მამეული პატრონებმა ღალასა და ბაეს მოუმატეს. გლეხობას შრომა, სიღატაკე და გადასახადი დღითი დღე ემატებოდა". ე. ნინოშვილმა კარგად აჩვენა კაპიტალისტური ცხოვრების მიერ წამოყენებული ამ მოთხოვნილების მსხვერპლი გლეხკაცობა. ეს ეითარება მან კარგად გამოხატა მოთხრობა „პალიასტომის ტბაში". ლუმა პერის ძმებსამ, ფულის შოვნამ აიძულა მამა და შვილი, ივანე და ნიკო, დღედაღამ ეშრომათ, ხე-ტყე ეჩეხათ, გაეყიდათ და ამით გროშები მოგროვებულიყო. ამ შრომასა და ბრძოლას შეალიეს მაგრამ ეს ძალა და ღონე, და ბოლოს ბუნების სტიქიასთან ბრძოლაში დაიღუპნენ ისინი, ეს პატიოსნად მშრომელი ადამიანები. მაგრამ ამ მოთხრობაში კაპიტალისტური ცხოვრების დამკვიდრების წესი მაინც ნაჩვენებია საერთოდ, მას კონკრეტული დახასიათება და ახსნა ცალკე მშრომელ ცხოვრებასა და ხასიათში გამოხატული არა აქვს. ამ მხრივ უფრო საინტერესოა მისი მოთხრობა „სიმონა".

ახალი სოფლის, კაპიტალისტური კულაკური ცხოვრების სურათი სწორედ „სიმონანია" მოცემული. ნინოშვილს ძუნწად, მაგრამ დამახასიათებლად აქვს გამოხატული დაკეთ დროიდან გამდიდრების გზა, ეაკრობის გზა და ამ ნიადაგზე ამ უბრალო რიგითი გლეხის გადაქცევა ყოველისშემძლე ფულიან და გაფენიან ბიროვნებად. დაკეთ დროიძე ფულმა და მზოლოდ ფულმა აქცია ყოველისშემძლე კაცად. ყველა მისი შემყურეა, შიში, რიდი, პატივისცემა და მოკრძალება აქვთ მისი. და ყველაფერი ეს მან ფულის, სიმდიდრის მეოხებით მოიპოვა. არც ერთ სოფლის მეზობლინეს არ ჰქონია ისეთი გაგლენა, როგორსაც დაკეთ დროიძემ მიაღწია. და არა მარტო დაკეთია ასე გამამაგებული და გაამაყებული სოფელზე, არამედ მთელი მისი ოჯახი. ფულით გადიდაკაცებული ტიტეო. რომელსაც ქეთევანის რძალის დარეკის ხელშ ჩაგდება გადაუწყვეტია, ასე მიმართავს თავის ძმას:

„Kः« чорт, ქეთევანმა უნდა შემაშინოს! ამდენი კაცი ერთ დედაბრის შეუშინებიან! კაცო, ძალა თქვენა გაქვთ, ფული თქვენა გაქვთ, და მაინც ერთი დასნეულებული დედაბრის უნდა გეშინოდეთ, და ცრუთა უნდა იფცარო მისი შიშით! Вот необразованный народ, არ გესმით ცხოვრება, რა ორად განდათ ის შეძლება და ფულება, თუ კი დედაბერი თქვენ შეგაშინებთ! ის კი არა, კრონს დაძვრის ვერ უნდა გიბედავდნენ მეზობლები...." ასე მსჯელობს სიმდიდრით გათავხედებული დაკეთ დროიძის ეაკიშვილი ტიტეოდ. დაკეთ დროიძეს სამართლიანად ეძახიან სოფლის პატარა მეფეს. მამასახლისი და ბოქაული, მმართველები მოსამართლე თუ მაზრის უფროსი ერთსაორი პატივისცემით ეპყრობიან დაკეთს და ყოველ მის მოთხოვნას უყოყმანოდ ასრულებენ. მან განიზრახა თავიდან ჩაბოეშორებინა სიმონა და ამ მიზნით მას ქურდის სახელი დაარქვა. და ეხლა დაკეთის სიტყვებს ბრმად იმეორებს ხალხი, განუკითხავად მზარის უშვრს მამასახლისი და ბოქაული, მაზრის უფროსიც და მოსამართლეც.

ე. ნინოშვილმა, როგორც მხატვარმა დამაჯერებლად გოგვაცხო დაეთი დროიძის არა მარტო გამდიდრების ისტორია, არამედ უმთავრესად მკითხველს ყურადღება შეაჩერა იმ გარემოებაზე, რომ დაეთი დროიძე ხალხს უბედურების, ჩაგვრისა და დამცირების მიზეზი გამხდარა. სწორედ დროიძეებმა გაიუბედურეს ძალაძეების ოჯახი. ამ მხრივ როდი ჩამორჩენიან ისინი ძველებური ყაიდის ბატონებს. პატიოსანი შრომელი კაცი სიმონი, რომელმაც არ მოინდომა დროიძეების ყურმოჭრილი მონა ყოფილიყო, პრინსპარ შეეჯახა დროების მიერ გამამაყებულსა და ყოველისშემძლე დაეთი დროიძეს. დროიძეებისა და ძალაძეების მორიგება არაეთარ ძალას არ შეუძლია იმიტომ, რომ ისინი კლასობრივად მოწინააღმდეგე ინტერესების წარმომადგენელნი არიან. მწერალი ხსნის ამ კონფლიქტის ნამდვილ კლასობრივ ახრს და ამ კლასობრივი კონტრასტების გზით ხატავს დაეთი დროიძისა და სიმონ ძალაძის ურთიერთობის სურათს მთთხრობაში. ე. ნინოშვილი, როგორც ხალხის მწერალი, ბოლომდე შეურიგებელია ამ ახალი ბატონის, ფეოდალ მფლობელის, დაეთი დროიძის მიმართ. აქ ისევე დაფნდობელი მხილებელია მწერალი ამ კლასისა, როგორც ფეოდალური ყოფის წარმომადგენლებისა. ნინოშვილმა კარგად იცის, რომ არა მარტო უფლებრივად, ეკონომიურად ჩაგრავს დროიძეები ძალაძეებს, არამედ ზნეობრივი აღვირახსნილობითაც როდი ჩამორჩენიან კაპიტალიზმის ეს ნაშიერები ი კადაზნაურობის ნაშიერებს. ტატიკის მორალი ტარიელსა თუ იასონის მორალის მსგავსია. აქ ისინი ერთპირად შეთქმულნი არიან ხალხის წინააღმდეგ. სიმონს ლაშაზი მეუღლე, პატიოსანი შრომელი ქალი დარია ისევე მბეცცრად გაიუბედურა და მსხვერპლად შეიწირა ტატიკომ, როგორც ტარიელმა დესპინე და იასონ უქმაძემ ქრისტინე. ერთ შემთხვევაშიაც და მეორე შემთხვევაშიაც ჩვენ სამმე გვაქვს ხალხის მჩაგვრელ ძალებთან; ნინოშვილი კი ამ მაგნე, ბნელ ძალებს დაუნდობლად ამხელს და აშიშვლებს.

* * *

ე. ნინოშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ძველი ფეოდალური ყოფის ახლებას. იგი როგორც შრომელთა ინტერესების მებრძოლი მხატვარი, კარგად ხედავდა, რომ გლეხკაცობის სულთამხუთავად და დამჩაგვრელ ძალად კელავაც რჩებოდნენ ძველი ფეოდალური ყოფის წარმომადგენლები. ძველი ცხოვრების ეს ნარჩენები ნინოშვილს ნაჩვენები აქვს ახალი გართულებულ საზოგადოებრივი ეთიპრების გარემოებებში. კეპიტალისტური ცხოვრების შედეგად შექმნილმა პირობებმა მადა გაუხსნა თავადაზნაურობას, იგი ხელგაშლილად ჩაება ახალ ბურჟუაზიულ ცხოვრებაში. ამის მიზეზით მთ გაარჩკეცეს გლეხკაცობის ყველფა. ნინოშვილმა ეს მდგომარეობა, ისტორიისაგან განაჩენგამოტანილი კლასის ნაშიერები საღეაეების მთელი სიუხეით ამხილა. ყველა ეს ტარიელ მკლავაძეები, იასონ უქმაძეები, მანუჩარ არწივაძეები ე. ნინოშვილმა გამოგვიხატა როგორც საზოგადოებისათვის მავნე ადამიანები, საზოგადოებრივი ცხოვრების ზედმეტი ხორცი. ისინი როგორც ტყუპი ძმები ისე ერთმანეთს გვანან თავიანთი მორალით, თავიანთი შეხედულებით, თავიანთი აღზრდითაც და „მოღვაწეობითაც". ტარიელი, იასონი, მანუჩარი გიმნაზიის პირველ კლასიდანვე დაითხოვეს მასწავლებლის გალაგნისათვის... „მასწავლებლები მუდამ უჩიოდნენ იასონს უმორჩილობასა და სიცელქეს. ბოლოს ფუფფუნებასა და ნებიერობაში აღზრდილ უქმაძეს „მასწავლებელს სილა გააწნა". იასონი სკოლიდან დაითხოვეს. ასეთივე ბედი ეწვია ტარიელ მკლავაძესაც. ჯერ კიდევ ექვსი წლის ბავშვი იყო ტარიელი, რომ შვილებმა ბანკლის ტარება დაუწყებინეს. სამაგალითოდ შვენოდა ჩერქეზული ტანსაცმისთან გამოწყობილ ტარიელს ეს იარაღი. ბავშვის პირობაზე ბეჭედგანი, მეტად საღი, თვალტანადი ტარიელი ბანკლითო წელზე იმთავითვე ყველებურ რაინდს მოგგონებდათ... ბევრ ღირსებასთან ერთად დიდი ნაკლოვანება გამოაჩნდა ტარიელს: სრულიად სუსტი იყო სწავლაში, ასე რომ მისი შვილები იძულებული შეიქნენ გამოეყვანათ სკოლიდან, სადაც რამდენიმე წლის წინათ მიაბარეს. იმდენნაბს სკოლაში ყოფნით ქართული კითხვაც კი ვერ შეისწავლა ტარიელმა. „ბუნებისაგან უხვად დაჯილდოვებული თვალტანადი ტარიელი განსაკუთრებით მოწონდა შვილებსა და მათ ნათესავ თავდებს, ისინი კიდეც ამაყობდნენ ამ სახელოვან პირმშოთთ". „ამგვარად ტარიელი ნელნელად შეეჩვია იმ აზრს, რომ მას როგორც საუკეთესო ქმნილებას, საუკეთესო ადამიანს სრული უფლება აქვს დატკბეს ამქვეყნესან, იგემოს ეს ქვეყანა, თუნდაც ამ დატკბობას სხვებს სიცოცხლე და ბედნიერება შეეწიროს მსხვერპლად. ლტოლვილება დატკბობისა ტარიელისათვის გამოიჩქვა ორ სიგანეში: ქალებში და ღვინოში. ეს ორი სიგანი შეიქნა ტარიელისათვის სიცოცხლის მიზნად. ჰკონდა ტარიელ მესამე ლტოლვილებაც. ეს მესამე ლტოლვილება იმაში მდგომარეობდა, რომ ეძებდა შემთხვევას გმირული საქმე ჩაედინა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ადამიანთა ფიზიკურ შეურაცყოფაში თუ ჩხუბში გამოიხატებოდა. ასეთი ფერებითა და საღებავებით გამოხატა ნინოშვილმა თავადაზნაურობის ეს წაწიერი და მასში ტიპიურად განაზოგადა 90-იან წლებში ჩვენ საზოგადოებაში შემორჩენილი ძველებური თავადშვილის ფიზიკური ღირსებანი და სულიერი სიღატაკე. და რაც მთავარია, ე. ნინოშვილმა აჩვენა, რომ ტარიელ მკლავაძე, იასონ უქმაძე ჩვენი საზოგადოების, მისი უკეთესი იდეალების შემფერხებელი ძალა და ამის მიხედვით წარმოადგენს მწერალმა ეს ზედმეტი ადამიანები ახალთან, უკეთესთან ბრძოლასა და კონფლიქტში. ტარიელ მკლავაძის თავგასულობის მსხვერპლი გახდა სპირიდონ მცირაშვილი — ხალხის ეს ერთგული მოკირისუფელ და მისი ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლი. იასონ უქმაძის, ამ ცმელი და გაიძვერა ახნაურის იეზორცობამ იმსხვერპლა ჯულებრყვილი ვლეხის გოგონა ქრისტინე. და მაინც ყველაზე უფრო ტიპიურად ნინოშვილმა ძველისა და ახალი ბრძოლა, გარდასულისა და მომავლის კონფლიქტი არაჩვეულებრივი მხატვრული ძალით განასახიერა ტარიელ მკლავაძისა და სპირიდონ მცირაშვილის კონფლიქტსა და ბრძოლაში.

ე. ნინოშვილმა ტარიელ მკლავაძისა და სპირიდონ მცირაშვილის სახით ერთმანეთს დაუპირისპირა ორი სხვადასხვა კლასობრივი ინტერესების გამომხატველი ტიპი, ორი სხვადასხვა ნაბიჯის წარმომდგენელი, ორი სხვადასხვა სულიერი სამყაროს და ინტერესების მატარებელი. ტარიელ მკლავაძე გარდასული, (ფრომეშმელი, დამყაყებული. ძველის ფიზიკური ძლიერების იდეალის კაცი, პატრიარქალური ბატონყმური საქართველოს ტიპიური განსახიერება; სპირიდონ მცირაშვილი კი ახლის, პროგრესულის, დემოკრატიული იდეებისათვის, ხალხის ინტერესებისათვის მებრძოლი, მშრომელი ხალხის ღვიძლი შვილი, ახალი სულიერი კულტურის ახალი ტიპი. ისინი სრულიად საპირისპირო ტიპები არიან. მშრომელთა წრიდან გამოსული სპირიდონ მცირაშვილი მზად არის მთელი თავისი განათლება და ცოდნა და, თუ საჭირო იქნება სიცოცხლეც, უყოყმანოდ ხალხს შესწიროს: „ჩვენი ქვეყნის რაინდში" დესპინეს და სპირიდონის დიალოგი ხალხის სამსახურისთვის თავშეწირული ადამიანების განცდებსა და ფიქრების გულწრფელი გამოხატვაა. სპირიდონ მცირაშვილის იდეალი ხალხის სამსახური, ხალხისათვის თავგაწირვა. მას განსაკუთრებით უყვარს და იტაცებს ისეთი ადამიანების თავგადასავალი, რომელთაც „ვერ აშნებს ვერც შიშნილი, ვერც სიცივე, ვერც საპყრობილე, ვერც დაკარგვა, ვერც ... ტოოთა და ვერც სახლრაზეა". აი, ასეთი ... მიანი გაუხდია მას თავის იდეალად. მისი აზრით, ის ადამიანია პატეესაცემი, რომელსაც ხალხის ცხოვრება თავისი ღვაწლით გაუუმჯობესებია. ისე ნათლადაა გამოხატული ეს იდეალი თვითონ სპირიდონ მცირაშვილის მოქმედებაში. რომ ამ მხრივ ის მართლაც ახალი ტიპი იყო ჩვენს ლიტერატურაში, იმდენად ახალი, რომ ყოველი მოწონაგე და მებრძოლი ქართველი ინტელიგენტისთვის მისაბაძი და სამაგალითო ვამხდარა იგი. არც ის იყო შემთხვევითი, რომ მესამე დასის ისეთმა მებრძოლმა მწერალმა, როგორიც ჯოლ ლომთათიძე იყო, თავის ფსევდონიმად სწორედ სპირიდონ მცირაშვილი აიჩინა.

ნინოშვილმა, როგორც მხატვარმა, მოახერხა განზოგადოებულად და ამაღლებულად წარმოეფინა 90-იანი წლების მოწონაგე მებრძოლი ინტელიგენტის სახე სპირიდონ მცირაშვილის ხასიათში.

სრულიად საწინააღმდეგო ტიპია ტარიელ მკლავაძე. ტარიელი ხალხის ხელშეშშეული, დამჩაგვერი ძალა. ნინოშვილი საგანგებოდ აღნიშნავს ამ მომენტს: „ძლიერ აწუხებდა ტარიელს თავგასულობა მის სამშობლო სოფელს, მეტადრე გლეხკაცობას; თითქოს მისი ჰარამხანის კუთვნილება იყოსო, ისე უყურებდა ტარიელი გლეხკაცების ქალებს". არაერთხელ სცადა სოფელმა თავიდან ჩამოეცილებინა ტარიელი. მოთმინებიდან გამოსულმა სოფლის გლეხკაცობამ ტარიელ მკლავაძეს საჩივარი შეუდგინა და წარადგინა სადაც ჯერ არს. ამ გზით ეითმა სოფლის გლეხკაცობას სურდა ტარიელის თავიდან მოშორება. მაგრამ ტარიელისა და იასონის დამცველთა როლში მეფის პოლიციია გამოდის, ამიტომაც გლეხკაცობს ყოველგვარი ბრძოლა მათ წინააღმდეგ ამაოდ რჩება... დამახასიათებელია, რომ ნინოშვილის მოთხრობაში შრომელი ხალხის სამარცილან ბრძოლაა იშვიათად უწერია კეთილი ბოლო, იმიტომ რომ ამ ბოროტ ძალების დამცველად, ხალხის მჩაგვრელი ძალების დამცველად არსებული წესწყობილება, სახელმწიფო გამოდის. ამიტომ არის, რომ ნინოშვილი ამხელს ასეთ სახელმწიფოს და ებრძვის მას, როგორც ხალხის ცხოვრების შემფერხებელს, ხალხთა საპყრობილეს. ხალხის ინტერესებისთვის მებრძოლ ადამიანებს საკუთარი საშუალებებით უხდება გზის გაკაფვა. ისინი მარტო მოქმედებენ ხალხის ინტერესებით გამბნევებულნი და ჩაგრებულნი. ამ თვალსაზრისით ტარიელ მკლავაძის წინააღმდეგ სპირიდონ მცირაშვილის ბრძოლას უალრესად საზოგადოებრივი ხასიათი აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენი ქვეყნის რაინდში“ სპირიდონ მცირეშვილის ბრძოლას და მოქმედებას ტარიელ მკლავაძის წინააღმდეგ არა მხოლოდ პირადი შურისძიების ხასიათი აქვს, არამედ ზოგადსაზოგადოებრივიც. შურისძიებით გამბორტებულ **პიროვნებას** აქ საზოგადოებრივი ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანი ცვლის. უაღრესად **საზოგადოებრივი** ეტერა მისცა ე. ნინოშვილმა „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ “ფინალს. იმ მომენტში, როდესაც სპირიდონმა გადაწყვიტა ანგარიში მოსთხოვოს თავის დამღუპველს, მან გარკვევით გიგიო ტარიელის სიტყვები ახალი სავმირო საქმეების შესახებ, ტარიელისა, რომელიც „თითქოს იმისათვის არის დამადებული, რომ ყველა გთელოს და შეურაცხყოს, თავი მოსწონს კიდეც ამით“. ამ ფაქტით აღშფოთებული სპირიდონ მცირეშვილი უფრო მტკიცედ გადაწყვეტს, მოსპოს ეს ბავე ელემენტი, თავისი და ხალხის მტერი. ასე შეეთვისა ამ **სპირიდონ** მცირეშვილის ამ უაღრესად საზოგადოებრივი ინტერესებისათვის მებრძოლი ადამიანის პიროვნული ინტერესები საზოგადოებრივ ინტერესებს. მოთხრობა „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ სიუჟეტურად ამ ორი ძალის, ამ ორი მორალური კატეგორიის ძველისა, წარმავალისა, ახლისა, მომავლის მძაფრი დაპირისპირებით იშლება. ეს აქაც წმერალმა ღრმა კლასობრივი კონფლიქტის ფონზე გამოსახა ეს ორი ტიპი: ხალხის ინტერესებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, გონებრივი და ზნეობრივი მაღალი მორალით დაჯილდოვებული სპირიდონ მცირეშვილი და ამორალური, პირუტყვული განზრახვებითა და აღვირახსნილობით მოქმედი ხალხის შემაღელრობელი, საზოგადოებრივად მავნე ადამიანი ტარიელ მკლავაძე.

* * *

ე. ნინოშვილი ერთ თავის გმირს ეთქვაცებს: „ის ადამიანია პატივსაცემი, რომელსაც ხალხს ცხოვრება თავისი ღვაწლით გაუუმჯობესებია“. ნინოშვილის იდეალი სწორედ ასეთივე მოწინავე გმირები იყვნენ, თვითონ კი, როგორც ერთი თავდადებული ქომაგი ხალხისა, სურვილებდაუოკებელი იბრძოდა ხალხის უკეთესი მომავლისათვის. იგი ებრძოდა ხალხის ყოველ მჩაგვრელ ძალს, ყოველ მას შემფერხებელ მოვლენებს. ნინოშვილის შემოქმედების თემატიკაში დიდი ადგილი უჭირავ ხალხის ძველი ტრადიციების, მავნე ჩვეულებების, გაუნათლებლობის და სიბნელის წინააღმდეგ ბრძოლას. ნინოშვილის აზრით, მშრომელი ხალხის ცხოვრების ერთერთი შემფერხებელი ფაქტორი უთუოდ არის ძველი ტრადიციები, რომელსაც ფართოდ გაუდგამს ფეხი ბევრ ადგილებელი და ჩამორჩენილი გლეხის ცხოვრებაში. ტრადიციის მავნე გავლენა მთელის ძალით ამხილა ნინოშვილმა მოთხრობებში „პარტახი“, „უცნაური სენი“, „არშიყი“.

ამ მოთხრობებში გამოხატულია, თუ როგორ შეეწინა მსხვერპლად მავნე ტრადიციას „უცნაური სენის“ გმირი ტასოც და მისი მოზეკებული ქმარი გაბრიელიც. ნინოშვილი გულისტკივილით შენიშნავს, ტასო და გაბრიელი სავსებით შეუფერებელი იყვნენ, ამ მოხუცებულ კაცს 16 წლის ტასო ძალით შერთეს. „მტირალი ტასო მამამ ძალად შესვა ცხენზე, თითქოს გაყიდეს საქონელიაო, დაფლოცა გაბრიელ ჩამწარდაძეს“. ძალმირერთის ზნე-ჩვეულებაში აღზრდილი ხალხის ანგარიშს არ უწევენ არც ასაკს, არც ადამიანის გულწრფელ სიყვარულს. მაგრამ მწარეთა არ იყოს „გარეგნობით ხმაჩაგნებლიანებს თავის გულში კი აფუფქებენ საწამლავს, რომ როცა დროს ჩაიგდებენ ხელში გადაანახოონ თავიანთ მჩაგვრელების სიეოცხლეს, აგრძნობინონ, რომ უსამართლო ძალიერების ცუდი შედეგი მოსდევსო“. და ასე ხდება აქაც. გასხაკეთრებით მძიმეა ნინოშვილის აზრით მშრომელი ქალის ცხოვრება. ძველი ტრადიციისა და ჩამორჩენილ ჩვეულებათა ფონზეა გამოხატული „პარტახის“ მთავარი გმირის ლიზას ტრაგიკული თავგადასავალი. გულისშემხვარავად გაისმის მისი სიტყვები თავის მოკვლის წინ წარმოთქმული: „შევძელიდი, შევძელდი ყველას, რეზა შეცდიო, რეზა შეცდიო, რა ვიცი რეზა შევცდი, ისე იყო ჩემი საქმე მოწყობილი და შევცდი. ოლაო იგინია დანაშაული ჩემს შეცდომაში, არა ვითომ! არა ვითომ! აბა მე ვარ, რა ვიცი, ვერაფერს გიგებს კაცი! ასეა მოწყობილი ჩვენი ყოფა!... ძალიან უბედურად არის ქალის საქმე! ყაზახის ქალის ნამეტური დაჭერულია, ჯერ დედმამაა შენი ბატონი და მერე ქმარი! ხმაის ნება არე ერთთან არ გაქ, რომ განწყალონ, მაინც იმით ხელში უნდა დარჩე, სანამდი ცოცხალი ხარ! აბა სხვი რა გაგიგავ? გეიქცეი? რა გამოვიდა მერე? რამოდენი გეიქცა, მარა ზოგი დაჭერილი მეიყვანეს, ზოგი ქმარმა მოკლა და ზოგი ჭირმა დაალპო. თითბოდან არის ყოლიფერი უხეიროდ მოწყობილი და იგია“. ასე მეკეთრ ფერებში ხატავს ე. ნინოშვილი ქალის ბედს. საზოგადოდ ნინოშვილის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს ქალთა სახეებს.

ე. ნინოშვილმა ლირიკული განწყობილებებით გამოხატა მეტწილად ქალთა სახეები. გულწრფელი სიყვარული, რომანტიული ფერები არ

დაკლო მათს ტრაგიკულ ბედს. მისი გმირი ქალები თითქმის ყველანი (ამ შემთხვევაში გამონაკლისია, გაქალაქებული ნატალია და სონა) დადებითი გმირებია, კეთილი და გულწრფელი განცდის ადამიანები, ოღონდ ცხოვრების უკეთესობისაგან გაწირულნი. ყველა ისინი იღუპებიან უთანასწორო ბრძოლაში. ეს იქნება უსწავლელი, გულუბრყვილო გლეხის გოგონა ქრისტინე, ძალით გაუპატიურებული დარიკო, ყიდღონ სიყვარულით განწირული გელო, თე ბორატი ძალების მსხვერპლი დესპინე. ყველა ისინი ნამუსის, პატიოსნების, ოჯახის, სიყვარულის ერთგულნი არიან. მათ გულწრფელობას, მათ კეთილ სულებს, მათ გულუბრყვილო მოქმედებას მწვრალი საინტერესოდ გამოხატავს. მაგრამ ყველგან ამ ადამიანების ცხოვრებას თან გასდევს ერთგვარი ტრაგიკული კილო.

ნინოშვილის ნაწარმოებთათვის საზოგადოდ დამახასიათებელია ტრაგიკული ინტონაციები. არა მარტო მისი დადებითი ქალთა სახეები, არამედ მისი დადებითი ვაჟკაცებიც. ახალგზრდებიცა და ხანში შესულნიც, ცხოვრებაში გამოცდილნი და გამოუცდელნი მეტ შემთხვევაში თავიანთ ცხოვრებას, ტრაგიკულად ამთავრებენ. ამ სვედიან ინტონაციას ემორჩილება ფერების, საღებავების და სიტყვიერი მასალის შერჩევაც. მოვიგონოთ გოგია უიშვილის სიტყვები საკვდილის წინ, სიმონ ძალიანის სიტყვები ფირალდ გასვლის წინ, ლიზასა და ქრისტინეს, ბულოსა და დარიკოს სულიერი ტკივილების და მწუხარების გამომხატველი სიტყვები და ფრაზები. ნინოშვილის მოთხრობებში ერთი გამბედი მოთქმაა გაბრვებული კაცის, „ბოგანო ხალხის“ ველისმომყველი ცხოვრების შესახებ. უკუღმართი, შავბნელი სინამდვილის გამოსახვა არა მარტო უთანასწორო ბრძოლაში დაცემულ გმირთა თავგადასავალშია გამომჟღავნებული, არამედ იმ მხატვრულ მასალაშიაც, რომელსაც იყენებს მწვრალი ამ გმირების ბედის გამოსაძერწად.

ნინოშვილის შემოქმედებაში საზოგადოდ ბეიზაკს, ბუნვნის სურათებს არ უჭირავს დიდი ადგილი, მაგრამ აქაც ისეა შერჩეული ეს სურათები, რომ გმირის სულიერ მდგომარეობას ზედმიწევნით ეხამებიან ისინი. მოვიგონოთ მოტყუებული ქრისტინეს ღოდინი მდინარის პირას: „დღე იყო ყუჩი, ღრუბლიანი, არეშარეს გულს დამაშმიმებელი, რაღაც მყუდრო მოწყენილი სახე ედო“. ან კიდევ „დღე გამოეთხოვა ქვეყანას, ღრუბლიანმა ღამემ ისეთი თვალუხელი სიბნელე დაუშვა, რომ გეგონებოდა მთელი სამყარო სიბნელის ოკეანეშ შთანთქაო“ და ამას მოსდევს „ჯალნყი გურიას“ ბრძოლის პირის მანას მოტაცების ტრაგიკული ეპიზოდი. „ახალწლის წინა დღე იყო, თუმცაღა წინა ღამით თოვლი მოდიოდა, მაგრამ იმ დილას კი ცა მოიშშინდა, ღონემიხდილი ზამთრის მზე ზარმაცად ამოცოცდა მქმეყდ მოკრიალეულ ლურჯ ცაზე და თოვლით დაფუნთულ ხეებს შუა ნელნელა აძერნენდა თავის სხივებს. გოგია უიშვილი იჯდა თავის სახლში და თითქოს ყოველივე ჯაფერი ან ნაღველი დავიწყნია, მხიარული, წარბგაბსნილი, ხან თავის ცოლს ებაასებოდა, ხან ბავშვებს ეალერსებოდა. გოგიას კმაყოფილების მიზეზი ალბად ის იყო, რომ საკალენდო პერ-ღენონ და ნამზადისი უკვე მზად ჰქონდა“...

ნინოშვილის გმირების ფსიქოლოგია უბრალო და მარტივია. ისინი მაშინათვე აბეიდავებენ თავიანთ ხასიათს, აკტორს ერთბაშად შემოაყვეს ისინი, მათ გარეგნულ პორტრეტულ აღწერაში მაშინათვე გამოჩნდება ამ გმირების ხასიათი, მათი ბედიც და მომავალიც. ისინი ბუნებისა და ცხოვრებისაგან განებიდრებული ადამიანები როდი არიან, მათ ხანგრძლივი დაკვირვებისა და რთული მსჯელობისათვის არ სცალიათ და ბევრ მათგანს არცა აქვს ამის უნარი. ნაწარმოებში ამ ხასიათების განვითარება მძაფრ სოციალურ მდგომარეობას ეფუძნება. მათი შეგნება და დამოკიდებულება საკანთან და ცხოვრებასთან მაშინათვე ნათლად ელინდება. მათი არითმეტიკა მარტივია, შორმოსენ და მინაც მშიერნი არიან, შიათ, სწყურიათ, ისინი არსებობისათვის, უფლებისათვის იბრძვიან და ამ ბრძოლაში იხოცებიან. ამ მარტივ სოციალურ ხასიათებს ნინოშვილმა დიდი უშუალობა და ბუნებრიობა მიანაკვა. მათი ოცნება და ფიქრი, სვედა და სიხარული სოციალური ცხოვრების გარშემო ტრიალებს. ამ მარტივი ფსიქოლოგიის მქონე ადამიანებს დიდი სულიერი და მაღალი მორალური ცხოვრება აქვს. ე. ნინოშვილმა ეს ალმოაჩინა როგორც მხატვარმა. ისინი პატიოსანნი, ფაქიზნი, შრომელი ადამიანები არიან. ამ ნიშნებით გამოსახა ე. ნინოშვილმა გოგია უიშვილი, კაცია მუნჯაძე, სიმონა და დარიკო ძალაქეები, სხვანი და სხვანი. ეს მარტივი სინამდვილე, ეს ბეშარატი სოციალური ცხოვრებისეული სინამდვილე და მათთან ამ ადამიანების დამოკიდებულება ისეთი უშუალობითა და განცდათა სიწრფელით გამოხატა მწვრალმა, რომ ეს გმირები ამ თავიანთი მარტივი მსჯელობით გვხიბლავენ და გვაკვადოვებენ. ამ გმირების ცხოვრება დახატა ე. ნინოშვილმა ხალხის გულში დაგრეული სოციალური ბოღმით და დიდი ვარამით, ამაკე დროს დიდი სმპრონლითა და გულწრფელო-

ბით. ნინოშვილის მხატვრული ხერხები არ არის რთული, მაგრამ ყოველ ფრაზას, ყოველ სიტყვას აზის სულიერი ცხოვრების ღრმა დაღი, გულწრფელობის ნიშანი. ბევრ შემთხვევაში კი მისი ნიჭიერებანი, მისი ბუნებრივი ნიჭიერებანი დიდის სინათლის შუქით ანათებენ ცხოვრებისეულ მხატვრულ სიმართლეს და ბევრ შემთხვევაში აღწევენ სწორუპოვარი მხატვრული სახის გამოკვეთას.

სიმონა ძალაძეების ოჯახი გაამარტახა დავით დროიძემ. სიმონა სპასტიმრობი ზის, ხოლო შეშინებულ ქეთევანს სახლში პატარა ნათესავი ქალი ჰყავს. ავტორი იქვე უმატებს, კარგა ხანია, რაც ქეთევანს შიშარობა დასჩემოდა და ამას ასეთი სურათი მოსდევს. დადამდა. ქარი და თოვლუყაბი თანდათან მატულობდა.

— კარი მოუგდე, ღამე იმზირება სახლში და არ ვარგა. ღამე იმზირება სახლში—ჰეშმარიტად მიგნებული სახეა, ასეთი სახე ნინოშვილის ბელეტრისტულ ნაწერებში უხვად არის გაბნეული.

საერთოდ ღამის გამოყენება მხატვრულ სახედ ხშირად გვხვდება ე. ნინოშვილის შემოქმედებაში. ხალხის შიგნეული ცხოვრების მამხილებელი მწერლისათვის მუქი ფერების გამოყენება დამახასიათებელი იყო. ი, კიდევ ერთი მაგალითი: „მთვარე ჩავიდა. დედამიწამ ნელნელა წამოიფარა შავი ნაბადი და ბოლოს სულ ვაეხვია შიგ. ბულბულნი მიწყნარდნენ, თითქო შეაშინა ღამის ყურყუმა თვალებმაო“. — „ღამის ყურყუმა თვალები“—სიბნელის შიშით გამოწვეული სახე კარგად მიგნებული ხატია. ამავე განწყობილებას გამოხატავს „დედამიწამ შავი ნაბადი წამოიფარა“.

ნინოშვილის ფრაზა პოეტურია, სახიერი. სახლიდან გამოპარული, დადონებული, შეშინებული, მატარებლის ვაგონის ერთ კუთხეში მოკუნწრეული ლამაზი ქრისტინეთი მოხიბლული ახალგაზრდა კაცი ასე მომართავს ქალ-ტინეს თანმხლებ სონას: „ვინ არის ეგ შენი ამხანაგი, გაჯავრებულ ანგელოზს რომ გავს?“ ეს ფრაზა ზუსტად გამოხატავს ქრისტინეს მდგომარეობას. ლამაზი სოფლელი ქალი, სიყვარულში გაწამებული, თავის საყვარელ კუთხესა და ძეძეამწოვარ შვილს მოგონებული, გამოურკვეველი ხვალინდელი დღის შიშით შეპყრობილი, მწერალმა გაჯავრებულ ანგელოზს შეადარა. ესეც კარგად მიგნებული სახეა. და ყველგან ნინოშვილი რთულსა თუ მარტივ მხატვრულ სახეში, ამბავის მოთხრობას და დიალოგში, მგრძის დახასიათების თუ პორტრეტის დახატვაში ამქცევნებს უაღრესად გულწრფელი და მართალი მხატვრის სახეს. ნინოშვილის ნაწარმოებებისადმი შეუნელებელი ინტერესიც აქედან წარმოსდგება.

მხატვრული ნიჭიერების დიდი გამოცდაა ტიპების შექმნა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ე. ნინოშვილმა რამდენიმე მკაფიო ტიპიური სახე შექმნა, სახეები, რომლებიც ხალხში გადავიდა და გავრცელდა. აქაც ნინოშვილს აქვს უნარი ერთბაშად მოძეძნოს დამახასიათებელი თვისება ტიპისა და ყველაფერი ეს იმის წყალობით, რომ ნინოშვილი ორ არის სინამდვილის „ნატურალური მხატვარი“, როგორც ამას ზოგიერთი ნინოშვილის მოწინააღმდეგე ამტკიცებდა. ნინოშვილი ცხოვრების უშუალო მონაწილე და მეგზნებარე მებრძოლი მხატვარია. იგი შეგნებულად ნაკლებ ყურადღებას უთმობდა სიტყვიერ ჩუქურთმებს, პოეტურ გაზვიადებებს. მაგრამ მას აქვს ისეთი გულწრფელი ნათელი ფერები და საღებავები გამოყენებული, რომ იგი ერთბაშად ახერხებს სულიერი განწყობილება გმირისა ცხოველი ძალით გამოხატოს. ყველაფერმა ამან განაპირობა ნინოშვილის, როგორც მხატვრის, ძალიერებაცა და უკვდავებაც.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ჭიღაძე

გალაკტიონ ტაბიძე

„ჭოი, სიმღაბლეჰ მაღლისაჰ მიუწვდომელი"

დიდი პოეტების უპირველესი თვისება მათი ლექსების ყოველდღიური ზრდა და ახალი ელვარებით გამოსათვალია. დიდ პოეტებს აქვთ ლექსები, რომლებიც შორეული გარსკვლავების დარად მრავალი წლის მერე შემოანათებენ ჩვენს შეგნებაში და მთელი სისრულით გაბრწყინდებიან. საუკუნეთა განმავლობაში ეცვლება და წვიმაში იწრთობოდა რუსთველის გენია და იზრდებოდა მისი მნიშვნელობა. ყოველი ახალი თაობა მის პოემაში პოულობდა ახალ, მისთვის მახლობელ პოეტურ სიტყვას და ეს ნაპოვნი ძვირფასი თვალივით ემატებოდა რუსთველის საუნჯეს. ყოველი კარგად გგებული სიტყვა, ფრაზა, სახე, მელოდია ლექსს ახალ საფეხურზე ამაღლებს და რაც უფრო მეტი ნათელი გონება აღიქვამს მას, მით უფრო ძლიერი და სრულყოფილი ხდება იგი. ვიღაცას უთქვამს, რომ ლექსი მარგალიტსა ჰგავს, რომელსაც ადამიანური სითბო აკაფებსო. ადამიანური სითბო, ადამიანთა სიყვარული მხოლოდ ჭეშმარიტ პოეტთა ხვედრია და სწორედ ადამიანთა სიყვარულის ხანგრძლივობაა ლექსის ნამდვილი გამომცდელი და შემფასებელი.

ყოველი ნამდვილი ლექსი აღმოჩენას ჰგავს და მას უჩინარი სიხარული და სიამაყე ახლავს თან: ადამიანს შეუძლია გააკეთოს ყველაფერი! სამყაროს აღქმა სულითა და ხორცით, ტკივილებამდე მისული განცდა მოვლენაა, მოწინავე, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აზრი — აი, ის ნიშნები, რომლებიც დიდ პოეტებს ახასიათებთ. ჩვენ ვიცით, რომ ბევრი, სიხარულის მომნიჭებელი სიტყვა ქვეყნად დიდი ტკივილითაა დაბადებული. იგი განწმენდილა და გამოწრთობილა სიხარულის თუ ტკივილში, დიდ ადამიანურ ენებათა ღელვაში და შემდეგ უკოვნია მკითხველთა მყუდრო ნავსაყუდარი, არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ლირიკა ერთი შეხედვით უცნაური რამ არის: ზოგიერთ ლექსში თითქოს ყველაფერი თავის ადგილზეა, ზომაც და რიტმიც, რითმაც და სახეც. მაგრამ ეს ლექსი მაინც თოჯინას გვაგონებს, რომელიც თვალებს ახელს და ხუჭავს, დდასაც იძახის, მაგრამ ყალბია და ხელოვნური. მას ნამდვილი პოეტის ხელის შეხება და პოეტური ცეცხლით გათბობა სჭირდება. პოეტური ცეცხლი ის ცეცხლი კი არ არის, რომელზედაც ახალგამოძერწილ სავნებს გასაშრობად მიაფიცხებენ ხოლმე, ეს ცეცხლი თვითონ ქმნის, თვითონაა სახეთა გამომძერწავი. დიდი მწერლების მიერ შექმნილ ხასიათებს ჩვენ ცოცხალ ადამიანებივით აღვიქვამთ და ჩვენს ნაცნობთა წრეს მივაკუთვნებთ მათ. და არასოდეს ეჭვი არ შეგვპარვია, რომ ისინი ნამდვილად არ ცხოვრობენ ქვეყნად და ისეთივე ჰფრს არ სუნავენ, როგორსაც ჩვენ.

პოეზიის გზა ბეწვის ხიდია და ამ ხიდზე გავლილ კაცს სიკეთილი არ უწერია.

*

ბიბლიოთეკა

ალიო ალამია

სამი გახსენება

I

მას საოცრად შვენოდა ისოფერი ჩოხა და თეთრად მოსილმული ჩალისფერი ახალუხი. ტანწყრილსა და ბეჭგანიერს კოხტად ავარცხნილი ქაღალი თმა, ნათელი და უნაოჭო სახე ახალგაზრდად აჩენდა... სამოცი წლისა კი იყო!

მაისის ღაღანა დილით ზუგდიდის ბაღში ოჯდა, მზეს ეჩრდილებოდა და წიგნს ფურცლავდა.

ხანდახან შეირხეოდნენ ჭადრის ტოტები, გადაიკარებდა ჩრდილი, მზის შუქი დაეფრქვეოდა სახეზე და მაშინ ქანდაკებას ჰგავდა — ბუნებასავით დინჯს, მეტყველსა და მიმზიდველს.

დიდხანს ოჯდა ასე. მერე წიგნი დახურა, ირგვლივ მიმოიხედა და როცა წამოდგომა დაპპირა, მეც მივედი.

— ოჰო, საიდან, შე ახალგაზრდა თათარო, თბილისიდან? მერე-და ვინ მოგცა სადადიანში ჩამოსვლის ნება გლეხიკაცშვილს?

— გაზეთის რედაქციამ დამავალა.

— რა გვინდაო? რა დავამავეთ ასეთი?

— ქაღალდის კომბინატის მუშაობას უნდა გავეცნო.

— ჩინებულია... გუშინ მთელი დღე იქ გავატარე. სასწაულივითაა. მართლაც: აგერ ინგლრიდან გამოყვანილი არხი მორეს მოაცურებს, მერე ეს მორები ვეებერთელა ქვაბში დანაფოტდება და წარმოიდგინე — ადუღდება, ნამდვილად ადუღდება და იქვე, ქვაბიდან წყაროსავით მომდინარი, უცებ ტკიცინა ქაღალდად იქცევა. ძალიან დამაინტერესა და მეც წამოვალ... ოღონდ ხვალ ჩემი ყმა იქნები, ადამიას კი ეკადრება დადიანის ყმობა! — ...რუხში უნდა წამყვე... მაპანკლების მეტი რა შემხვედრია ცხოვრებაში და სცენაზე, მაგრამ ერთმა ჩემმა ნაცნობმა მეეტლემ გადამრია: ხოფელ რუხში ერთი ისეთი მაპანკალია, რომლის შესადარი ჯერ დედამიწაზე არ გაჩენილაო. საოცარი სიტყვა-პაუსები აქვსო, რუხელი გონჯი ქალები ულამაზეს ყმაწვილებს მიაფახოვა და არცერთი რუხელი ჭაბუკი არ დარჩა დაუქორწინებელიო... რაღაც სასწაულთმოქმედია თურმე!.. სწორედ რომანისთვის მჭირდება ესეთი მაპანკალი.

*

სულ რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ ზუგდიდიდან და მთავარ გზაზე, ერთი კოპწია ოდასახლის წინ გაჩერდა ეტლი.

— შენ ვითომ მეგრელის ინჩი-ბინჩი არ იცი, — მითხრა შალვამ, თამამად შეაღო ჭიშკარი და ჩვენკენ გამოქანებულ პატარა ძაღლს დაუყვავა.

მასპინძელიც მალე გამოგვეგება.

დროული, კაფანდარა ქალი იყო, სუფთად ჩაცმული და კოხტად დავარცხნილი, სახეზე უმარული მსუბუქად წაეცხო. შორიდანვე ნაცნობივით გაგვიღიმა.

— აა, სასწაულია სწორედ, მობრძანდით, შალვა ბატონო!

— თქვენ საიდან მიცნობთ? — გაოცებული შეეკითხა შალვა და ფერი ეცვალა.

— გიცნობთ, ბატონიშვილო, ხალხში გასარევი დადიან ერთიღა დარჩით, როგორ არ გიცნობთ! ბევრჯერ მინახიხართ ზუგდიდში, მარა გამოლაპარაკებას ვერ ვბედავდი, — მინდოდა კი...

მოკრძალებით შეგვიწვია სახლში, აივანზე დაგვსხა და გიტჩინარდა.

— წახდა ჩვენი საქმე! არ მეგონა თუ ეს მაპანკალიც ჩემი ნაცნობი გამოდგებოდა. ნეტავ არ მოვსულიყავით!

— მოვუბოდაშოთ და ახლავე გავბრუნდეთ.

— უხერხულია. აწი თვითონ არ გაგვიშვებს.

ჩინებულად მოფლილი და განაშენებული ეზო. ეზოს ნახევარი ვენახს უკავია, ვენახის გვერდით გადაბბინებებული ბოსტანი, სახლის წინ ვაშლის, მსხლისა და ლეღვის ხეები, ხოლო ტანმორჩილი გუნდის ხეები ორ რიგად

ოკარისაკენებიით ჩამწკრივებულან ჭიშკრიდან სახლის კიბემდე.

— ბოდიში, ბატონიშვილო, მარტოდ რომ დადგომეთ, მარა ჩემი კაცი ყანაშია წასული, — შინ შემობრძანდით, თქვენ შემოგველით ჩემი თავი...

ნირწამხდარი შალვა წამოდგა, მხარზე დამკრა ხელი და თვალით მანიშნა გაეყოლოდი.

უთუოდ სასწაულმოქმედი უნდა იყოს ეს ქალი, ისე სწრაფად გაეწყო სფერა: ახალი მწვანილი, სუდგუნი და ჭყინტი ყველი, ცხელი ჭადი, ხმელი ხილი, არაყი, ღვინო.

— თქვენი გასაბედებელი არაფერია, შალვა ბატონო, მარა მაპატიეთ.

— პირიქით, ნამეტანი გარჯილხართ, ქალბატონო კესა, ჩვენ სულ მცირე ხნით...

— აა, ჩემი სახელიც გცოდნიათ, მაშ ნაცნობები ვყოფილვართ! ნიშნის მოვებით წარმოოქვა დიასახლისმა და მერე უცვე მოელს სახეზე სიწითლე შემოვნთო.

— ჩემი სახელი, ალბათ, მეეტლემ გიმოძათ, აგერ ეზოში რომ შემოთრეული დაუკითხავად და ყური აქეთ აქვს, როდის დამძახებენ — ჩაგუ ბატონო, მობრძანდიო, მარა ვერ მივართვი! ეგდოს იქ ოხერი და შეჩვენებული. ვიცი, ბეგერ ჯორს, დაფქვადან ჩემს მაჭანკლობაზე და ახლა გვერდით რომ მოვისვა, არც კი შერცხვება...

დიასახლისზე უფრო გაწითლდა შალვა.

— არა, ქალბატონო, თქვენი ამბავი ზუგდიდში მითხრეს...

— ქალაქში სხვა საქმე არაფერი აქვთ, ჩემი ამბავი რომ დააქვთ ალმა-დალმა?

— თუ ასე ეწყინნო, მაშინ ბოდიშს მოვიხდი და ახლავე წავალ... მე კი სერიოზულ საქმეზე ვარ მოსული.

დიასახლისი ოდნავ მოლბა.

— საქმეს მოვესწრებით, შალვა ბატონო, ჯერ ცოტა დანაყრდით.

მომცრო ჭიქებში არაყი დასხა, დაგვალევინა, თვითონაც გადაჰკრა, მერე კედელზე დაკიდებული გვარიანი მოზრდილი ყანწი ჩამოხსნა, წყალი გამოავლო, ვარდისფერი ღვინით ავსო და შალვას გაუწოდა.

— დაალოცეთ, შალვა ბატონო!

ყანწში ფეხზე ამდგარმა ჩამოართვა, დაბნეული კი იყო, მაგრამ სადღეგრძელოს წარმოოქმა შალვა დადიანს ამა როგორ გაუძნელდებოდა:

— თქვენი ეზოს მოლი ისეა დაგვილი, რომ ფეხის დაკარება მომერიდა, ამ ვენახმა და ბოსტანმა, ხეხილმა, ამ კოხტა სახლმა თვალი მომჭრა და გული გამიხარა, ჭეშმარიტად გასახარელია კარგი ოჯახის ხილვა და ამ სიხარულის მონაგებისათვის თქვენ და თქვენს ბედნიერ ღღეგრძელობა, გაუმქრალი ყოფილიყოს ვერდალი თქვენი კერისა, და თქვენს ოჯახში ლხინი და სიხარული გამოელვეული!

ყანწი გამოსცალა და მასპინძელს თვალი გაუსწორა, სითამამე მოეცა და გაუღიმა.

— ახლა საქმეზე, ქალბატონო კესა, გადაკრთი გეტყვით — ეს ყმაწვილი მინდა დავაქორწინო.

— ეს ბაღანა?

— ბაღანა რატომ? სწორედ ოცი წელი შეუსრულდა დღეს.

— არ ეტყობა! წვერ-ულვაში მაგას არ აქვს და მიწასაც არ ასცილებია, ამას რა ჯანდაბად უნდა ცოლი! მერე-და თვითონ რატომ არაფერს ამბობს?

— მეგრული არ იცის.

— ქართულად ბრძანოს, ბატონო, გაგეგებგბა. ერთი ყანწი დაალევინე და აუკეკეგდეგ.

— არ არის საჭირო. თვითონ არც კი იცის, რატომ წამოვიყვანე თბილისიდან. მშობლები შემეხვეწნენ — არ გვინდა ქალაქელ პრანჭია ქალიშვილებს გადაეკიდოს, ერთი სოფლელი კეთილი და შრომისმოყვარე რძალი გვინდა მოვიყვანოთო.

— ალბათ მოსამსახურე ეირდებათ ოჯახში!

— ნუ იკადრებთ! ფუტკარივით მშრომელი ღედ-მამა ჰყავს.

— ღმერთმა უეცოსტლოს.

უთუოდ შალვა დადიანის მსახიობობამ გასჭრა და მაჭანკალი თითქოს თანდათან როლში შევიდა. საგულდაგულოდ ამათვალიერ-ჩამათვალიერა, ეშმაკურად გაიღიმა და ისევ გაიბა საუბარი.

— შესახედავად ვერაფერი ტარიელია და ქონება თუ აქვს მაინც?

— უნივერსიტეტს ამთავრებს წელს, გვარიანი შეძლებული ოჯახი აქვთ, მეც შევეშველები...

— თვითონ შენ რამე შეგრჩა, შალვა ბატონო?

— რატომაც არა! არც ისეა საქმე.

— ტყუილია, — ხმა აიმაღლა მაჭანკალმა: — მამაშენის დანატოვარის ნაწილი მთავრობამ წაიღო, რაც დაგრჩა, მოხეტიალე არტისტებს მიაფლანგე და შენ თვითონ აბა რა შეგეძლო შეგეძინა? შენი ამბავი ზუგდიდში ყველამ იცის — რასაც ხელთ მოიგდებ, ამხანაგებში ხარჯავ... დიახ, რა ქონების პატრონიცა ხართ, ყველამ ვიცით, ბატონო, მარა ქონებას თავი მოუკვდეს, ჯანმრთელად კი ბრძანდებოდეთ და... ჩაის ჭიქები შეავსო დიასახლისმა.

— დამლოცნეხართო, სასიკეთოდ გეკლოთ ამ ქვეყანაზე... თქვენი მობრძანება დიდად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეამა... ხოლო ჩემს შესახებ რაც იმ უხანო ჩაგუნიამ გიამბოთ, სიცრუეა! ნუ გამიჯავრდებით, შალვა ბატონო, და ჩემს ეზოში ფეხშემოდგმული რომ დაგინახეთ, გავიფიქრე — შალვა დადიანს მორიგი მეუღლის თხოვნა გადაუწყვეტია-მეთქი და მეწყინა, მარა ისე არ ყოფილა, საბედნიეროდ! ეს ყმაწვილაკი კი დაიცდის, კოქებში ეტყობა — ეს ცოლის მთხოვნელი არ არის და თვალებსაც ისე აპარპალებს, ხატზე დავიფიცავ, რომ მეგრელიც ჩინებულად იცის...

შალვამ ხმა ვერ ამოიღო, მხოლოდ, უთუოდ ზრდილობისთვის, ნაძალადევად გაიღიმა.

— ვცდილობ ჩვენი სოფლის ქალ-ვაჟების დროზე დაქორწინებას, ოჯახები მინდა გამრავლდეს და განა ეს ცუდია? აი ზეგაც ქორწილი გვაქვს, ჩემი შვილიშვილი ქორწინდება სოფელ კოქში და თუ წამობრძანდებით, დიდად გაგეახარებთ... ოღონდ ჩაგუნიას ეტლს, ნუ დაიბარებთ! ეტლს თვითონ ჩვენ მოგართმევთ, შალვა ბატონო!

იქ გაბერება უკვე აღარ შემეძლო, გამოვემშვიდობე დისახლისს და ეზოში ჩავერბინე. ეტლი და ჩაგუნია არსად ჩანდა, მხოლოდ გზაზე გამოსულმა დაეინახე, რომ ორასიოდე მეტრის მოშორებით ჩაგუნიას ჩრდილში დაეყენებინა ეტლი.

სახლიდან შალვას ხარხარი მომესმა... მერე დისახლისი და შალვა ხელიხელგადაბეკეული ჩამოვიდნენ ეზოში და ჯიშერამდე ტაატით მოისეირნეს... ისევ გასაუბრება და ისევ სიცილი... ოდნავ მოიხარა შალვა, დისახლისს შუბლზე ეამბორა და ჩვენსკენ მსუბუქი ნაბიჯით წამოვიდა.

— ვერაფერი თამაში გამოგვიეიდა, ჩემო ჩაგუნია, — წყენით შესჩივლა შალვამ მეეტლეს, — გაგვაქიაქა, კაი მაგრადაც გამოგვაპანღურა და ერთი გასათხოვარი ქალის პორტრეტიც არ წარმოადგინა... ისე-კი ჩინებული ქალია!

— ჩემი ბრალია, შალვა ბატონო, — სინანულით თქვა მეეტლემ — ვუშინწინ შევიტყობინე, რომ დღეს ახერებდით მასთან მისვლას და უეჭველში ნამეტნავად შემზადებული დაგხვდათ შეჩვენებული...

II

უთუოტრად ვერ ძლებდა. სიცოცხლის ბოლო წლებში „ვეირგვალიანების ოჯახი“ დამთავრა, წერილების ორი წიგნი გამოსცა, ოხუნჯებათა ენციკლოპედიის ამზადება გამოსაცემად და მაინც ყოველდღე თეატრი ეკარა ბრჭზე.

ორი წლის წინათ ძლიერმა ენამ მოფეთქვა ისევ რეჟისორად ან მსახიობად წამოდგომა მაყურებლის წინაშე... თბილისის თეატრებს წარმოდგენებს ხომ არ აკლდებოდა, მერე საქართველოს თითქმის ყველა რაიონული თეატრი მოინახულა, მაგრამ ამან ვერ დააკმაყოფილა და მოისურვა მოძრავი თეატრის დაარსება, რომელსაც მთავარი ბაზა თბილისში ექნებოდა, ხოლო თავისი წარმოდგენებით მოემსახურებოდა საქართველოს უთეატრო რაიონულ ცენტრებს, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს. ამ საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში თბილისელი რეჟისორების და მხატვარ-დეკორატორების რამდენიმე თათბირი ჩატარა. მოიხაზა თეატრის შემოქმედებითი სახე, მუშაობის გეგმა, რეპერტუარი... მაგრამ საქმე როგორღაც ჭიანურდებოდა, მას კი უმოქმედობა არ შეეძლო და სრულიად მოულოდნელად, არც ისე ავადმყოფი, რამდენიმე დღით საავადმყოფოს შეეხიზნა.

„ავადმყოფი“ მთელი დღეები ხალისიანად, შეუსვენებლად მუშაობდა და როგორც-კი დაამთავრა გაილინის „ჯორიკანა ქალების“ თარგმნა, გამოგზავნილა, სამსახურში მოვიდა, მოიწერა თანამშრომლთა საერთო კრება და გადაჭრით განაცხადა:

— საგანგებოდ თქვენთვის ვთარგმნე ეს „ჯორიკანა ქალები“. მსახიობები იქნებით თქვენ, ხოლო რეჟისორი მე. ჯერ ნუ გაკვირდებით ამ ამბავს, წარმოდგენა მოვამზადოთ ჩუმად და ეს მეტ ეფექტს მოგვცემს.

თეატრალური საზოგადოების თანამშრომელს მხატვარ ალ. ჯედიას შეუკვეთა დეკორაციები და კოსტუმების ესკიზები, თავის თანაშემწედ მოიწვია ალ. ბურთიაშვილი, დიანმნნა მდივანიც და, რაც მთავარია, გამოაცხადა როლების განაწილებაც.

„ჯორიკანა ქალებში“ საკმაოდ ბევრი მოქმედი პირია, თეატრალური საზოგადოების აპარატში — კი სულ რამდენიმე კაცი, ამტომ, ცხადია, ჩვენ ყველანი „დაკავებული“ აღმოჩნდით და ჩვენს გარდა „მსახიობების სიაში“ აღმოჩნდა ამჟამად თეატრისათვის თავდანებებული ორი მსახიობი ქალისა და თეატრალური საზოგადოების საამქროთა რამდენიმე თანამშრომლის ვვარიც.

— კი მაგრამ სად უნდა დაედგათ წარმოდგენა და ვინ იქნება ჩვენი მაყურებელი?

— ამაზე ნუ იდარდებთ, ყმაწვილო, მე ეს ყველაფერი მოფიქრებული და მოგვარებული მაქვს! დღესვე გადაიწერეთ როლები, ხვალ ჩაგიტარებთ პირველ საუბარს და ბჯალეკ გაგიკეთ პირველ რეპეტიციას მაგიდასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხუთმეტ დღეში წარმოდგენა მზად გვექნება! მოგეხსენებათ, ძველ თეატრში ყოველ კვირა ახალ წარმოდგენას ვდგამდით... ეს ახლანდელმა რეჟისორებმა გამოიგონეს კვირტალებით და მთელი სეზონობით სპექტაკლების მომზადება.

საქმემ ერთობ სერიოზული ხასიათი მიიღო და რადგან ყველა დასამშრომელი სდუმდა, დავით ჩხეიძეს გადავუჭურჭეულე:

— ხომ იცით, არაფერი გამოვა და როგორც გამოცდილმა თეატრალმა, დაარწმუნეთ.

დავითი უხალისოდ წამოდგა.

— რას გებრძანებთ, ჩემო დავით?

— როგორც მოგეხსენებათ, გოლდონის ეს პიესა, ძეიერფასო შალვა, არც ისე იოლი დასადგმელია, ხოლო ჩვენი სახოგადოების თანამშრომლები...

— გასაგებია, ვიცი, რასაც იტყვით: გამოუცდელნი არიან, ვერ დასძლევენ როლებს, რეჟისორიც ძველმოდურია!.. აბა, რა არის აქ საძნელო და შეეძლებელი? არც ისე რთულია ეს პიესა დასადგმელად, ხასიათები ჩნებულად არის გამოკვეთილი, ამბავი სახალისოა, შეეფაწალოთ ტექსტი და მერე ყველაფერი იოლად წავა: ყოველ ადამიანს გააჩნია მსახიობობის ცოტაოდენი ნიჭი, საჭიროა მონდომება და გადმოდგა! შენნგან მიკეთის სწორედ, ჩემო დავით: ადამიას კიდევ ეპატიება — სცენაზე ერ შეედგამს ფეხი, თქვენ-კი „დღეში თქვენი არსებობისა“ თეატრში გაატარეთ და ახლა, ნაცვლად წასალისებისა, ეშინეთ ხალხს? ვერაფერი მოსაწონი საქციელია! რა არის ეეითმე აქ საძნელო და შეეძლებელი? მეტყველება არ ეეარგა ჩვენს თანამშრომლებს თუ მიხრა-მოხრა? ვითომ სცენაზე ვერ გადადგამენ ნაბიჯს? როცა მე პიესას ვთარგმნიდი, ჩვენი საზოგადოების თანამშრომელთა „დაბახასიათებელი თვისებანი“ გავითვალისწინე და პიესაში არ აღმოჩნნდა არც ერთი ეროი, რომლის თამაში ჩვენ ვერ შეეძლოთ. აი თუნდაც ჩვენი ბუღალტერი — იმისთვისაც გახლეთ აქ როლი! პიესაში ხომ არის ხელზე მოვაჭრე, რომელიც მოხალულ მუტუდოს ჰყიდის... როგორ ფიქრობთ, ჩვენი ბუღალტერი, და საერთოდ რომელიც გნებავთ ბუღალტერი, ვერ ითამაშებს მეწარიმლნე ეაჭრის როლს? ამ როლის ხასიათი ნაწილობრივ მაინც ახლის არ არის მთ ხასიათთან? რომელი მამაკაცი ვერ ითამაშებს შეეყარებელის როლს? ან ჩვენს ქალებს გაეძნელოვებთ ჯორიკანა ქალების ხასიათის გადმოცემა? დიახ, მე ყველაფერი წერილად ავწონ-დაეწონე და მერე გადავწეიტე! დღეისთვის ეს ეიმპროთ, ახლა როლები გადაიწერეთ და ხვალ შეეჯიბრებებით...

ასეთი ერიკეი სიტყვის მოუხეადად, დავით ჩხეიძე და მე მაინც უარი განეეცაცდეთ თამაშზე. ეწყინა, გაგულისდა და ირონიულად თქეა:

— იყავით თქვენთვის, უთქვენოდაც იოლას წავალთ, იოლად რეპეტიციებზე ფეხდადგმული არ განახოთ!

მეორე დღესვე „თეატრის სენმა“ დასძლია დავით ჩხეიძეს, როლი გადაიწერა და კვითლსინდღისიერადაც შეუდგა მის შესწავლას. მოკვეთილი მარტო მე აღმოვნენი.

...დიდის გატაცებით მუშაობდა. ყოველდღე ეთათბირებოდა მხატვარს, ესკეზებს სინჯავდა, ალბომიც კი მოიტანა, რომელშიაც ვენეკიის ყოველნაირი ხედი იყო დახეშედილი; კოსტუმების გამოთხოვას გრიბოედოვის სახელობის თეატრიდან ამირებდა, ხოლო პირველი წარმოდგენის გამართვა, როგორც შემდეგ გაამხილა, კოსმეტიკატორის დიდ დარბაზში ჰქონდა განზრახული.

რეპეტიციები სისტემატურად ტარდებოდა ხელოვნების მუშაკთა სახლის დიდ დარბაზში. ცხადია, „არალეგალურად“, „დაკეტილ კარებში“.

პირველ დღეებში ბევრს ოხუნჯობდა და დიდად კმაყოფილი იყო.

მაგრამ „კრიზისამ“ მალე იჩინა თავი.

შალვას „რეეისორული გაკეეთილები“ ყველამ სიამოვნებით მოისმინა, ასე თუ ისე ტექსტიც ზეისწავლეს, მაგიდასთანაც გვარიანად „ლაპარაკობდნენ“, ხოლო როცა ყოველივე ეს მოთავდა და სცენაზე შედგეს ფეხი, როგორღაც ყველაფერი დომხალივით აირია და რეეისორი საგონებელში ჩავარდა; საქმეს მაინც არ მოუშეა, სულ უმნიშვნელო მიზანსცენასაც რამდენჯერმე ამეორებინებდა, მაგრამ ამაოდ და მისი დარბაისლური, ხავერდოვანი ხმა გაიბზარა.

ერთ-ერთ მორიგ რეპეტიციაზე შეეიპარე და, სამწუხაროდ, ეს რეპეტიცია საბედისწეროო გამოდგა.

შალვა სცენასთან ახლოს, დარბაზში იჯდა, მის გვერდით მდივანი, ხოლო თანაშემწე არსად ჩანდა. სცენაზე ერთი პატარა მაგიდა და ორი სკამი იდგა, ორი „მსახიობი ქალი“ ერთმანეთს შესცქეროდა და რეეისორის ნიშანს ელოდა.

— დავიწყოთ! — გაისმა რეეისორის ხმა.

ჯერ თითქოს დინჯად შეესიტყვენ ქალები ერთმანეთს, მაგრამ თანდათან ისე აჩქარდნენ, რომ მათი საუბრისა არაფერი ისმოდა.

— შეჩერდით! რა მოგვიდათ? განა ასე ბაასობთ სახლში? ეს სცენა ხომ სახლში მიმდინარეობს, გაგიგებნეთ ერთმანეთს თქვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენი აზრი! ერთმანეთს დაუგდეთ ყური!

გამეორების დროს ქალები უფრო თავბრუდამხვევად აკანკანდნენ... მერე სცენაზე შემოგაბიჯდა მამაკაცი და რეჟისორმა იფეთქა:

— ეს ხელფეხი შენია თუ სხვისი? შებრუნდი კულისებში და ადამიანურად შემოდი სცენაზე! აბა, მარდად!

ეს უკანგაბრუნებული „მსახიობი“ მეტად სწრაფი ნაბიჯით შემოიჭრა სცენაზე და უეცრ გაშეშდა... ამის შეხედვაზე ქალებმა სიცილი კი არა, ხარხარი მორთეს, ეს კი არც პიესის რეჟისორთ და არც რეჟისორის მიერ არ იყო გათვალისწინებული... სკამიდან წამოიჭრა შალვა, ხელები სცენისკენ გაიშვირა და უზეაეული ხმით შესძახა:

— დაჩუმდით! ახლავე დაჩუმდით! ეს რა უბედურებაა ჩვენს თავს!...

მაგრამ ქალებმა თავი ვერ შეიკავეს და უმატეს და უმატეს ხარხარს. ამ ხარხარზე პიესის სხვა მოქმედი პირნიც შემოცვივდნენ სცენაზე და ახლა-კი მოთმინებიდან გამოსულმა რეჟისორმა მაგრად დაჰკრა მაგიდას ხელი:

— რეპეტიციას კი არ ვხსნი, არამედ საერთოდ ვწყვიტე თქვენთან მუშაობას! დავრწმუნდი, რომ თქვენგან მსახიობები არ გამოვა... — და ისეთი აღელვებული წავიდა შინ, რომ ორ დღეს სამსახურში არ გამოცხადებულა.

...კარგა ხნის შემდეგაც, როცა „ჭორიკანა ქალებს“ ჩამოვუგდებდით სატყეკას, ღიმილით გადმოგვხედავდა და ნაღვლიანად იტყოდა:

— ეეჰ, არ მოინდომეთ და ხელი არ შემოწყვეთ, თორემ „ჭორიკანა ქალებს“ ჩინებულად დავდგამდი.

III

გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე შალვა დადიანმა თავისი მშობლიური სოფელი ბერთომი მოინახულა.

მიინდამინც ჯანზე არ იყო, მაგრამ რაღაც აუცილებელი მიზეზი მოიმიზეზა და გაემგზავრა.

ოთხი დღის შემდეგ დაბრუნდა და უფრო მხრგბაშალილი და ხალისიანი მეჩვენა.

— უკანასკნელად ვნახე ჩემი ბერთომი...

— რატომ უკანასკნელად?

— დრო... აქამდესაც დრო იყო... ბებრულად ვეჩალჩენი ამ ცხოვრებას და, ასე მგონია, ვიღაცას ვეფარები თუ ვფარავ!.. ბერთომი კი ვნახე, მენჯიც, დღანიე ცივის ნაპირებს აყაყეი და სოფელ საადამოს შეეაალე თავალი, ჩემი მორდუ ხომ ადამიას ქალი ... ბალდათ. თოვლიან-ქარიანი ამინდი იყო, ... ჩემს ბებერ ძვლებს არ შესცივნია...

ზამთარი და სიცივე საერთოდ არ უყვარდა, ეს ბოლო ხანებში, როცა სიბერე ჯარბად მოეკიდა და უმძიმდა დამაბმული პალტოს ტარება, ხოლო „შინ ჩაკეტვა“ და ერთ ადგილზე დიდხანს ყოფნა არ შეეძლო: ხან სკანეთში იყო, ხან გურიაში და სამეგრელოში, იმერეთში, ქართლსა და კახეთში, მოსკოვშიაც რამდენჯერმე გამგზავრებული ყოველწლიურად მატარებლითა თუ თვითმფრინავით. ის ეკუმარიტად მოგზაურობის ტრფიალი იყო.

შარშანწინ ზემოიმერეთის რაიონებში ვიმოგზაურეთ ერთად. კულტურის სახლებსა და საკოლმეურნეო კლუბებში მოხსენებებს კითხულობდა ქართული თეატრის შესახებ, სინჯავდა თვითმოქმედი კოლექტივების წარმოდგენებს, ისევ რეჟისორად და მსახიობად წარმოდგებოდა, ჩრეკვა-დარიგებას ძალევდა სცენისმოყვარეებს, ღელავდა, ენთებოდა და ყოველივე ამას ახალგაზრდული გატაცებითა დადიდის სიყვარულით აკეთებდა.

ზესტაფონის სასტუმროში დავბინავდით.

სიცხიანი საღამო იყო, ორპირი ქარი დავაყენეთ ოთახში, მაგრამ ამან ვერ გვიშველა და ღამის ორ საათამდე შილიფად ვისხეიდით ანვაზზე.

უცეტ წამოდგა, ხალათი მოიგდო და კარისკენ გაემართა.

— მაინც არ მეძინება და ერთი ქალაქში გავიზეტიალებ, ეგეც დაბლა უფრო გრილა.

ერთად წავედით. ავყევით ყვირილას მარჯვენა ნაპირს და ბაზრათან ახლოს ხიდზე გადავედით.

ხიდზე საოცრად შეაენელა ნაბიჯი და ერთ პატარა ორსართულიან სახლს შეაცქერდა.

მე ვიცოდი. — ჩვენს წინ იდგა სახლი, საღაც შალვა დადიანი დაიბადა.

სულ ახლოს მიეიდა სახლთან, საგულდაგულოდ შეათვალიერა, გაეჩურჩულა თითქოს და გაიღიმა.

— რა დროც არ უნდა იყოს, ზესტაფონთან გავლისას ყოველთვის ვეფიზზლობ და როგორც-კი ამ სახლს მოვკრავ თვალს, მატარებელი აკვანივით დაირწეა ხოლმე... გავშორდები ამ არემარეს და ჩამეძინება...

თურმე ახლაც, როცა ბერთომიდან უკანასკნელად ბრუნდებოდა თბილისში, ზესტაფონთან მატარებელი აკვანივით დარწეულა... და მერე, ვაგლახ, რომ ღრმად ჩაეძინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲒᲝᲬᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲔᲒᲜᲐᲢᲘ ᲜᲘᲜᲝᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲬᲘᲠᲐ-ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲛᲔᲑᲐ

1892 წლის 15 აპრილიდან ეგნატე ნინოშვილმა ხელმეორედ დაიწყო მუშაობა შავი ქვის მრეწველ ნიკო ღოღობერიძესთან სოფელ გომის კანტორაში. იქაური მუშაობის პირობებს თვითონ ეგნატე ერთ პირად წერილში ასე აგვიწერს: „ვგდივარ ათასი უხეირო მუშაობით და... დავიდარაბისაგან მოქანცული; გარშემო შავი ქვის მტვრისაგან გამფარული ჰაერი, მთვრალი ხალხის ყაყანი, საშინელი ლანძღვა-გინება, ყვირილი და ჩხუბი, სულის შეშხუთავი სიცხე; კუბოს ოდენა სხვადასხვა ხურდა-მურდით გატტნილი ოთახი“. მეორეგან წერდა: „ვისაც აქაური გარემოება არ უნახავს, ის ადვილად ვერ წარმოიდგენს ამას. მე, უნდა გამოვტყდე, მომძულდა თავი და ცოტა მაკლია თავის დანებებას“.

მწერალმა დიდხანს ვერ გაუძლო ასეთ არაადამიანურ პირობებში მუშაობას და იმავე წლის აგვისტოში საბოლოოდ თავი დაანება სამსახურს. ერთხანად იგი თავის სოფელში ᲛᲘᲧᲝᲤᲘᲗᲔᲑᲝᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ 1 ᲜᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ თბილისში და უნდოდა მთელი თავისი ცოდნი და ენერგია ლიტერატურული შრომისათვის ᲛᲝᲮᲬᲐᲠᲗᲘᲜᲐ. გარდა ამისა მას ესაჯრიოებოდა სისტემატური მკურნალობა, რის შესაძლებლობაც სრულიად არ ჰქონდა პროვინციაში მცხოვრებს.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ იყო, რომ ეგნატემ 1892 წლის 1 ოქტომბრის განცხადებით მმართა ჩოჩხათის სოფლის საზოგადოების მამასახლისს და სთხოვა მიეცა მისთვის პასპორტი ერთი წლის ვადით თბილისში ცხოვრებისათვის. სოფლის თავგასულმა მოხეილ მამასახლისმა ეგნატეს ათასნაირი დაბრკოლება შეუქმნა და პასპორტის მიცემაზე უარი უთხრა. ამ „უკანონო მოქმედებით შეწუხებული ეგ. ნინოშვილი უპასპორტოდ გაემგზავრა თბილისს.

თბილისში ჩამოსული ეგნატე ერთხანს დაბინავდა მიხა ცხაკაიასთან, რომელიც მიხეილის ქუჩაზე, სარდაფის ერთ ნესტიან პატარა ოთახში ცხოვრობდა. ამ დროისთვის ეგნატე უკვე საკმაოდ პოპულარული მწერალი იყო და მოწონაც საზოგადოებაც არ აკლებდა თანაგრძნობასა და სიყვარულს. სამწუხაროდ, მაშინდელი დუხჭირი პირობების გამო შეუძლებელი გახდა მწერლის ცხოვრების გაუმჯობესება. ყოველდღიური საარსებო ლუკმაპურის გამუდმებულმა ძიებამ და გაჭირვებამ ეგნატეს ისედაც შერყეული ჯანმრთელობა კიდევ უფრო გაუარესა, ამიტომ, ექიმების რჩევით, 1893 წლის ნოემბრიდან იგი კვლავ მშობლიურ კუთხეს სოფელ ჩოჩხათს დაუბრუნდა.

სოფელში დაბრუნებული მწერალი, გამუდმებული ავადმყოფობის მიუხედავად, შეუთავრად განაგრძობდა ლიტერატურულ შრომას. ᲩᲐᲥᲐᲠᲗᲮᲓᲐ, სანამ ძალა შესწევდა, კიდევ მოეწერო ახალი თხზულებების შექმნა.

„სხვა ჩემი ამბავი რა უნდა ვთქვა! — სწერდა იგი 1893 წლის 6 დეკემბერს გ. წერეთელს. — ისე დამისუსტება ავადმყოფობამ, რომ ლამის ჯოხი დამჭირდეს სკამიდან ადგომაზე. თითქო აქაური ჰავა მომიხდა, ხველა და მსუქანი ალარ მაქვს, მაგრამ დასუსტებული ორჯერ უფრო ვარ, რაც თბილისში ვიყავი. ერთი სიტყვით, ყოველივე იმედი დაკარგული მაქვს ჩემს გაჯანსაღებაზე“.

ქართველ მწერალთა ასეთი უნუგეშო მდგომარეობის გამო დუტუ მეგრელმა აღიმაღლა ხმა და მოწონაც საზოგადოებას მოუწოდა — მათ დასახმარებლად სალიტერატურო ფონდი დააარსოთო. 1893 წლის 5 იანვრის „ეკერიაში“ წერილში — „დრო!“ დუტუ მეგრელი წერდა: „როცა რომელიმე მწერალი გეკითხება ხელიდამ, ან ავად ხდება, მაშინ თუ ვიღებთ თითო-ოროლა გროშს. უკეთესი არ იქნება, ეს გროშები წინდაწინ გამოვიღოთ, დავაარსოთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონდი და ცოცხალნიც შევინახოთ და მკვდარ-ნიც ღირსეულად დავიტიროთ? რასაკვირველია, რომ უკეთესი იქნებას..

მაშ, იმედია, ვინც-კი ჯერ კიდევ ქართველს უძახის თავის თავს, ვისაც ოდნავ მაინც უღვივის გულში სამშობლო ქვეყნის სიყვარული და სურს მისი წარმატება, ვისაც სამშობლოს კეთილდღეობა ახარებს და მისი წყლული თავის წყლულად მიაჩნია... განავრცელებს ჩვენში სალიტერატურო ფონდის დაარსების მიუცილებელ საჭიროების აზრს თავის ნაცნობთა და მეგობართა შორის და შეუდგება ფულის შეგროვებას".

მწერალმა და უანგარო საზოგადო მოღვაწემ ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელისამ 1893 წლის 23 დეკემბერს მოხსენებით მიმართა ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას სალიტერატურო ფონდისათვის თანხის გამოყოფის შესახებ. მანვე პირველმა მოითხოვა ეგნატე ნინოშვილისათვის დაენიშნათ ყოველთვიური დახმარება. მოხსენებაში ნათქვამი იყო:

„სალიტერატურო ფონდის ფული გარდაეცა ჩვენ მმართველობას და ჩემი აზრით მმართველობამ ან თვითონ უნდა იკისროს ახლავე ამ საქმის წაყვანა და ან გარეშე პირებს ორსამს ჩაამაროს, რომ შესაძლო იყოს ახლავე ეუშველოთ ზოგიერთ მეტად გაჭირვებულ მწერლებს" [1].

ამ მოხსენების საფუძველზე იმავე დღეს შედგა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობის სხდომა ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით; სხდომას ესწრებოდნენ: იაკობ გოგებაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო მთვარელიშვილი, ალექსანდრე ჭიჭინაძე და დავით კარიჭაშვილი. ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობის 1893



ანასტასია წერეთლის მოხსენება ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობის სახელზე.

ფოტო შ. ფურცხვანიძისა

[1] საქ. ეროვ. სახ. საისტორიო არქივი, ფონდი № 481, საქმე № 391, ფურც. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის 23 დეკემბრის სხდომის ჟურნალში წერია: „6. მოხსენება გამგეობის წევრის ანასტასია წერეთლისა სალიტერატურო ფონდის შესახებ.—ბ. ეგნატე ინგოროყვას დანიშნოს შესაწევრად თვეში ხუთმეტი (15) მანეთი იმ ფულიდამ, რომელიც შემოწირულია გაჟერევებულ ლიტერატორებისათვის. თავმჯდომარეს, ... ალექსანდრ ნ. ცხვედაძე“ [1].

[1] იქვე, ფონდი № 481, საქმე № 420, ფურცელი 33. სხდომათა ჟურნალი.



ქ. Ს. წ.-კ. გ. ს. გამგეობის ლადგენილება ეგ. ... ნინოშვილისათვის ლახმარების ლანიშვნის შესახებ.

ფოტო Ს. ფურცხვანიძისა

საზოგადოების მდივანმა დ. კარიჭაშვილმა მეორე დღესვე აცნობა ეგნატე ნინოშვილს გამგეობის ეს გადაწყვეტილება დახმარების დანიშვნის შესახებ და თან გაუგზავნა დეკემბრის 15 მანეთი.

დ. კარიჭაშვილი მიმართავში ეგნატეს სწერდა:

„წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოების გამგეობამ, მიიღო რა მხედველობაში, თქვენი ავადმყოფობა, რომელიც იძულებულ გაყოფთ შრომისგან მოსვენებას, გადაწყვიტა დახმარება ამოგიჩინოს თვიერად თხუთმეტ-თხუთმეტის მანეთის გამოგზავნით მის ხელთ მყოფის საალტარატორო ფონდიდან იმ დრომდე, ვიდრე მორჩებოდეთ ავადმყოფობისგან. თანახმად ამ გადაწყვეტილებისა ამასთანავე გეგზავნებათ ამ თვის თხუთმეტი მანეთი, გთხოვთ ამ ფულის მიღება გვაუწყოთ“ [1].

საზოგადოების მიერ გადაგზავნილი ფულის მიღება ეგნატემ იმავე წლის 31 დეკემბერს აცნობა წერილით, რომელშიაც წერდა:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას.

მადლობას მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც აღმომიჩინა შემწეობა თვიერად თუთხმეტი მანეთის გამოგზავნით.

24 ამ თვის გამოგზავნილი ფული, თუთხმეტი (15) მანეთი, უკვე მიეიღე.

თქვენი პატივისმცემელი ეგნატე ინგოროყვა“ [2].

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მიერ თვიერად დანიშნულ 15 მანეთს ანასტასია წერეთელისამ თავის მხრივ დაუმატა ხუთი მანეთი და ისე გაუგზავნა ეგნატეს. ამის გამო ეგნატე ნინოშვილი ანასტასია წერეთლისას 1894 წლის 1 იანვარს სხვათა შორის სწერდა: „თქვენი წერილი და 20 მანეთი ფული გუშინ მივიღე. ღიდ მადლობას მოგახსენებ დახმარებისათვის. მადლობელი ვარ აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის, რომელსაც გადაუწყვეტია დამეხმაროს თვიერად თუთხმეტი მანეთით“ [3].

ეგნატე ატორონინებდა მისამართს და თხოვდა, ამის მიხედვით მიგზავნეთ საზოგადოების მიერ დანიშნული ფულიო. ამის შემდეგ ანასტასია წერეთელი ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მდივანს დ. კარიჭაშვილს სწერდა:

„ბატონო მდივანო! გეგზავნით რა ... ნინოშვილისას, გთხოვთ ჩემ მხრივ ... ტოთ, როგორც მაშინ, 5 მანეთი (ეს ფული მოეცით იმ ანგარიშიდან, რომელიც ხელთ ... ნის შკოლის ხელსაქმეებისათვის უნდა მოგეცათ ჩემთვის)“ [1].

1894 წლის 22 იანვარს ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობის მიმართვაში საზოგადოების მდივანი დ. კარიჭაშვილი ეგნატე ნინოშვილს სწერდა:

„ბოზოსლაო ხელმწიფეკ! ამასთანავე გეგზავნებათ იანვრის შესაწევარი თხუთმეტი მანეთი, რომელიც წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობამ დაგინიშნათ სალტერატურო ფონდიდან. გთხოვთ უმორჩილესად ამ ფულის მიღება გვაუწყოთ.

მდივანი დ. კარიჭაშვილი.

P. S. ამასთანავე გეგზავნებთან კიდევ ხუთი მანეთი ანასტასია წერეთლის მხრით. გთხოვთ მასაც აცნობოთ ამ ფულის მიღება.

დ. კარიჭაშვილი“ [2].

ფულის მიღება ეგნატე ნინოშვილმა 29 იანვარს დაწერილი წერილით აცნობა:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას.

22 ამ თვის თქვენგან გამოგზავნილი თუთხმეტი (15) მანეთი მივიღე.

თქვენი პატივისმცემელი ეგნატე ინგოროყვა.

29 იანვარს 1894 წ.

ს. ჩოჩხათი“ [3].

ამავე პერიოდში ეგნატე ნინოშვილს საგრძნობი დახმარება აღმოუჩინა სამშობლო ქვეყნის მოამაგემ იაკობ გოგებაშვილმა. მან დახმარებასთან ერთად ეგნატეს მისწერა გამამხნევებელი წერილი, რომელმაც უდიდესი სიმხნევე შემატა მწერალს. სამწუხაროდ, იაკობ გოგებაშვილის ის და შემდეგ გაგზავნილი წერილები დღევანდლამდე ვერ იქნა აღმოჩენილი და შთამომავლობისათვის დაკარგულად ითვლება.

სარეცენზე მიკრული სასამიხდილი მწერალი 1894 წლის 12 თებერვალს იაკობ გოგებაშვილს სასამუხო წერილში სწერდა: „ჩემს უგულითადეს მადლობას მოგახსენებთ მეგობრული თანაგრძნობით სავსე წერილისათვის, რომელმაც არა თუ მარტო გამამხნევა, ავადმყოფობიდან მორჩენის იმედიც კი მომეცა...

დიდ მადლობას მოგახსენებთ აგრეთვე ფუ-

1 საქ. ცენტრ. სახ. საისტორიო არქივი, ფონდი № 481; საქმე № 391, ფურც. 4.

2 იქვე, ფურც. 9. ყველა ეს დოკუმენტი პირველად ქვეყნდება.

3 ეგნატე ნინოშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1954, გვ. 576.

1 საქ. ცენტრ. სახ. საისტორიო არქივი, ფონდი № 481, საქმე № 391, ფურც. 16.

2 იქვე, ფურც. 14-15.

3 იქვე, ფურც. 18; ყველა ეს დოკუმენტი პირველად ქვეყნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის გამოგზავნისათვის. მხოლოდ გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ ეს ფული შემდეგში გადაგიხადოთ. მართალია თქვენისთანა ღირსეული და პატივცემული პირისაგან შემწეობასაც ვერ ვითაკილებ, მეტადრე ისეთი მხურვალე თანაუკანასკნელად სწერდა ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობას:

„მივიღე წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობისაგან მარტის შესაწევარი თუთხმეტი (15) მანეთი.

ეგნატე ინგოროყვა“ 1.



ანასტასია წერეთლის ბარათი ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების მდივანს ლევან კარიჭაშვილს.

ფოტო შ. ფურცხვანიძისა

გრძნობით მოძღვნილს... მე ისიც მეყოფა ჯილდოთ, თუ კი ჩემი ნაწერების კითხვამ ქართველ საზოგადოებას მოუტანა ცოტაოდენი მაინც ჭეშმარიტი სიამოვნება.... როგორ ღმერთი გამიწყრება, რომ თითეული პირისაგან კიდე ამისთვის ფული ავიღო! განა არ კმარა ისიც, რომ საზოგადოებას ჩამოვეკიდე **სარ**ჩენად!“ 1

1894 წლის 2 აპრილს ეგნატე ნინოშვილი ცხოვრების უკუღმართობასთან უთანასწორ ბრძოლაში დაილია და დაიშრიტა მწვრალი სიცოცხლის ალსასრული კარზე იყო მომდგარი. უკანასკნელი ზამთარი ეგნატემ სოფელში გაატარა, სადაც არც ბინა ჰქონდა ხელიანი და არც საუმელი. მის ოთახში ღამღამობით, როცა ბუხარში ცეცხლი გაქრებოდა, ჭურჭელში თურმე წყალი იყინებოდა. დაუძლურებული მწერალი მეგობრების დახმარებით 20 მარტს სოფლიდან ბათუმში ჩავიდა, მაგრამ

[1] ე. ნინოშვილის წერილები ი. გოგებაშვილისადმი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის გოგებაშვილის ფონდში № 219.

[1] საქ. ცენტ. სახ. საისტორიო არქივი, ფონდი № 481, ნუსხა № 391, ფურც. 23; პირველად ქვეყნდება.

იქაც გუშინრდა ცხოვრება. თანდათან ლოგინიდან ადგომასაც ვეღარ ახერხებდა და წერაც აღარ შეეძლო. ბათუმიდან მალე ისევ სოფელში წაიყვანეს. მწერლის უიმედო მდგომარეობას იტყობინებოდა სალ. ჯიბლაძე 1894 წლის 13 აპრილს „ივერიაში“ გაგზავნილი წერილით: „ჩვენი ე. ნინოშვილის ავადმყოფობას ამ ბოლო დროს მეტად უიმედო ნიშნები დაეტყო. რადგანაც სოფლად მისი ცხოვრების პირობები აუტანელი შეიქნა, მან განიზრახა... ბათუმში დაბინავება, სამწუხაროდ, ბათუმმა ვერაფერი თანაგრძნობა აღმოუჩინა ჩვენს მწერალს. მისმა მკრთალმა, სანთელივით გაფითრებულმა შეხედულებამ დაამნინა სახლთა პატრონება. ახლოდან ერთმა სასტუმრომ დაუთმო მას, ისიც მეტად სამძიმო სასყიდლით, ერთი ძლიერ ვიწრო და უზერხულო ოთახი. ამგვარად მისი ცხოვრება აქაც აუტანელი შეიქნა. ავადმყოფმა არჩია ისევ თავის სოფლის ქოხში დაბრუნება. სისუსტე თანდათან უძლიერდებოდა. მიუხედავად ამისა, მუდამ შრომასა და მეშვობას დაჩვეული, ის დროგამოშვებით წამოვარდებოდა ლოგინიდან და ამაოდ ცდილობდა დაწყებული შრომის გაგრძელებას: აკანკალებული ხელიდან კალამი უსხლტება და გაშმაგებული თვალ-ცრემლიანი ლოგინად ეცემა: „ეკვდები, ეკვდები“ — ამბობს შემაძრწუნებელი ხმით. „ეკვდები იმ დროს, როცა ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარ, როცა ჩემი შთამავლის მოქმედების პროგრამა უფრო ნათლად გამოვარკვე.

ამ პატიოსან კაცს საშინლად აწუხებს ის გარემოებაც, რომ პასუხის მიწერაც არ ძალუძს იმ პატიოსანცემ პირებისათვის, რომელთაგან თანაგრძნობით სავსე წერილებს ღებულობს“ [1].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა დიდი იმედის მეთაურობით, ქართული ხალხის სასიკეთლო მოღვაწენი: იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, ანასტასია წერეთელი და სხვები ყოველ ღონეს ხმაროობდნენ ეგ. ნინოშვილის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, უგზავნიდნენ გამამხნევებელ წერილებს და ფულად დახმარებას, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა მწერლის გადარჩენისათვის. ყოველივე უკვე ამაო იყო. სასიკეთლო სარეცელზე მიკოცი მწერალი უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. ეგნატეს განუყრელი მეგობარი სილიბისტრო ჯიბლაძე მწერლის მაგიერ 1894 წლის 25 აპრილს ანასტასია წერეთელს სწერდა: „ეგნატე ინგროყვამ მიიღო თქვენგან გამოგზავნილი ფულები. რადგანაც მას პასუხის მიწერის თავი აღარ აქვს, მე მომანდო გულწრფელი მადლობა მოგიძღვნათ თანაგრძნობისათვის. ეგნატე ეჯლა სოფელშია. აქ არჩია დალიოს უკანასკნელი დღეები თავისი მწარე სიცოცხლისა. თუთხმეტი დღეა რაც დავსაქმენი მის აუტანელ ტანჯვას. ბათუმის ექიმების სიტყვით ის ამ გაზაფხულს ვერ გადატანს. მადა სულ დაეკარგა, ხმა მიუწყდა, ლოგინიდან ადგომა სრულებით არ შეუძლია. მიუხედავად ამისა, როცა უკეთ იგრძნობს თავს, ცდილობს, განაგრძოს



ეგ. ნინოშვილის წერილი ქ. შ. წ.-კ. გ. ს. გამგეობის.

ფოტო შ. ფურცხვანიძისა

თავისი ახალი მოთხრობა „პარტახი“, მაგრამ ამაოდ: კალამი ხელიდან უვარდება და საშინელი აღელვებული ოწყვნს ცურვას თავის მწარე ოფლში. აგრე ღევს სულს ეგ კეთილშობილი ადამიანი. საშინლად ტანჯავს მას ის გარემოებაც, რომ არ ძალუძს პასუხი მოგწეროსთ თქვენ და სხვა პატიოსანცემ პირებსაც, რომლიდანაც ის თანაგრძნობის წერილებს ღებულობს“ [1].

ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ გასულა და

[1] იხ. „ივერია“, 22 აპრილი, 1894, № 83.

[1] წერილის ავტოგრაფი ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტის ე. ნინოშვილის ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1894 წლის 12 მაისს სრულიად ახალგაზრდამ — 35 წლისამ — შემოქმედებითი ძალების ზომწიფების პერიოდში მყოფმა დაუტეკა მშობლიური ლიტერატურის ასპარეზი.

მწერლის გარდაცვალების დღეებში სილიბისტრო ჯიბლაძე სწერდა გიორგი წერეთელს: „ბატონო გიორგი ექვთიმეს ძეკ! განსვენებულს ეგნატეს არ მიუღია წარსული თვის — აპრილის 15 მან., რომელსაც დანიშნულებისამებრ ღებულობდა წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისაგან. ძალიან კარგს იზამენ რო გამოგზავნიდნენ ლანჩხუთში ჩემს სახელზედ.

სილიბისტრო ჯიბლაძე“ [1].

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების გამგეობისაგან უკანასკნელი თვის, აპრილის 15 მანეთი სოფ. ჩოჩხათში გასაგზავნად ანასტასია წერეთელმა მიიღო, რაც მწერლის დამარხვის ხარჯებს მოხმარდა.

ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვაში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მიერ ჩოჩხათში ფარ-ფაფანელი ღებუტაციაც ღებულობდა მონაწილეობას. დეპუტაციამ საზოგადოების სახელით მწერლის ცხედარი თბილისიდან წაღებული გვირგვინით შეამკო. სიტყვაც უთხრეს.

უდროოდ დაკარგული მწერლის დაკრძალვაზე საერო გოდების დროს გრ. ყიფშიძემ თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა იმ საერთო სახოგადოებრივ გულგრილობას, რომელსაც იჩენდა მაშინ ხალხი გაჭირვებაში მყოფ თავის სასიკეთოო შვილებისადმი. მან სამართლიანად თქვა: „ეწუხვარ, ძმაო, რომ სიცოცხლეში საკმაო პატივი ვერ გეცით, ჯეროვნად ვერ დაგიფასეთ, თვალსაჩინეოით ვერ გაგიფრთხილდით და მოგკალით სიღარიბესა და სიღატაკეში, მშიერ-მწყურვალი, უმწეოდ და ობლად დარჩენილი შენის გარდაცვალებულის დედ-მამის გლეხკაცურ ჯოხში“ [1].

ეგნატე ნინოშვილის გლოვის დღეებში დიდმა ქართველმა პოეტმა აკაკი წერეთელმა ასე გამოხატა მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მწარე სინამდვილე: „დიაღ, რაცა გვაქვს, მას არ ვაფასებთ და თუ დავკარგეთ, ეწუწუნებთ, ეტირით“.

[1] საქ. ცენტ. სახ. საისტორიო არქივი, ფონდი № 481, საქმე № 391, ფურც. 24. წერილი პირველად ქვეყნდება.

[1] გაზ. „ივერია“, 11 მაისი, 1894, № 97, გვ. 3.

ნათია ამირეჯიბი

„სხვისი შვილები“



დიდი წარმატება ხვდა წილად კინოსურათს „სხვისი შვილები“ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოფესტივალზე ტაშკენტში; გულთბილად მიიღო იგი საბჭოთა მაყურებელმა. რა არის ასეთი გამარჯვების მიზეზი? უპირველეს ყოვლისა, ადამიანური გრძნობების განზოგადება, რის გამოც ფილმი მისაწვდომია ყველა ეროვნების მაყურებლისათვის. აქ ვერ შეხვდებით კერძო ფაქტებისა და შემთხვევების ზერელე ილუსტრაციას, ზოგადი მოვლენები ნაჩვენებია კონკრეტული ადამიანების მოქმედებაში, კონკრეტულ გარემოში. ფილმში გაკვრითაა ნახსენები, რომ დათა შემაწვნია, თეო და ნატო — სტუდენტები, რაც უფრო განაზოგადებს მოვლენას და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ეს სულიერი დრამა შეიძლება განეცადა ყველას, სტუდენტი იქნებოდა იგი თუ სხვა ვინმე.

მოქმედ პირებს შორის ყველაზე საინტერესოდაა დახატული ნატოს სახე. სცენარის აეტორებმა რევაზ ჯაფარიძემ და თენგიზ აბულაძემ შეძლეს ნატოს სახის ჩამოყალიბება პირველი კადრებიდანვე: ამაყი და გამბედული ნატო გამოესარჩლება ბავშვებს; მძღოლს შეურაცხყოფილ სიტყვებს სილით უმასპინძლდება, ჩაავლებს პატარებს ხელს და ხალხს შეუტევს: „თქვენ კიდევ, რომ ეს სერის უყურებთ, ხმას ვერ ამოიღებთ?“ და მაყურებელი ხვდება, რომ იგი ცხოვრების დამდგარხართ დაბრკოლებებს არ შეუშინდება. შეუპოვრად გადალახავს მათ. ნატოს ხასიათის მთლიანობაშია ჩაქსოვილი ფილმის იდეა, რაც საბჭოთა

ქალის მაღალი მორალის შესახებ მეტყველებს.

თეოს სახე სცენაზეც და ფილმშიც შედარებით ფერმკრთალი გამოვიდა. დათას მიერ ოჯახის მიტოვებას მეტი დამაჯერებლობა რომ მისცემოდა, საჭირო იყო უფრო მკვეთრი სალმებების გამოძებნა თეოს სახის სრულყოფისათვის. მართალია, სცენრის ავტორებმა დათა დახატეს, როგორც უნებისყოფო, ინერტული ადამიანი, რომელიც ებრძვის თავისთავს, ცდილობს გახდეს უკეთესი ზამა და მეოჯახე, მაგრამ ბოლოამდე ვერ ინარჩუნებს ხასიათის სიმტკიცეს, ვერ ერევა მოზღვავებულ გრძნობას და უკანმოუხედავად მისდევს თეოს; მაგრამ ეს არ კმარა. საჭირო იყო თეოს სახის ჩამოყალიბება, ისევე ოსტატურად, როგორც დანარჩენი პერსონაჟებისა, რათა გამართლებული ყოფილიყო ის ძლიერი ლტო�sვა მისდამი, რითაც დათა შეპყრობილი.

ფილმი „სხვისი შვილები" არ არის გადატვირთული დიალოგებით. ყველასთვის ცხადია, რომ კინოსცენარი უნდა განსხვავდებოდეს პიესისაგან ისევე, როგორც არ შეიძლება კარგი მოთხრობა მივიინაროთ კარგ სცენარად. მართალია, კინოსცენარის, მოთხრობის, პიესის, ლიტერატურისა და დრამატურგიის სხვა ჟანრების საერთო ძირითადი ღერი მოქმედებაა, მაგრამ სპეციფიკად ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან; თუ პროზისგან მოვითხოვთ თხრობას, პიესისგან — დიალოგებს, კინოსცენარისაგან მოვითხოვთ ხედვითობას. ხედვითობა კი კინოხელოვნებაში განპირობებული მონტაჟით. ჯერ კიდევ, 1928 წელს ვს. პუდოვკინმა თავის თეორიულ წიგნში „კინოს ტექნიკა" დაპეჭდილებით აღიარა, რომ „მონტაჟი არის კინოხელოვნების საფუძველი".

რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ კინომოთხრობა „სხვისი შვილები" წარმოგვიდგინა ხედვითი ნაწარმოებად და მთელი ფილმი ააგო მონტაჟის პრინციპებზე.

მოგვყავს ნაწყვეტი სცენარიდან:

„სძინავთ გიას და ლიას...

გაცივებული ოთახის შუაგულში ტახტრეტზე ჩამომჯდარა გულხელდაკრეფილი ნატო. ცრემლაშმრალი და ჩაფიქრებული უაზროდ მისჩერებია ამოჩემებულ წერტილს: რაღა დაგრჩენია ამ სახლში, ვიღას უცდი, ვიღას ელოდები? ის წავიდა... აღარ დაბრუნდება; აღარ დაბრუნდება იმიტომ, რომ არასოდეს არ ყვარებიხარ. აღარ დაბრუნდება იმიტომ, რომ მას ყოველთვის სხვა უყვარდა, სხვა უყვარდა ყოველთვის... იმას დაუტოვა გული, გრძნობა, სითბო, სინაზე... შენ კი, საცოდავო, სულელო გოგო, მოსამსახურად შემოგიყვანა. შენს ჭკუაზე გადიას ვერ იშოვნიო,—გახსოვს, ჩემ დედა? შენ გამოვნა — მიმნდობი, უბარი, გულუბრალო ყველო, გიშოვნა და წავიდა თავისი გზით. რაღა გაკავშირებს ახლა ამ ადამიანთან?! არაფერი. რაღა გაკავშირებს ახლა ამ ბავშვებთან, ასე ტკბილად და უდარდელად რომ სძინავთ? არაფერი. ვინ არიან შენი, რა არიან? არაფერი. ამათ ხომ შემთხვევით გადაეწყდა ქეჩაში და რიცა შეიოდათ, ლუკმა მიაწოდე, რიცა სწყუროდათ, წყალი მიაწოდე, როცა სციოდათ, შენი გაიხადე და იმათ ჩააცეი. ვინ არიან შენი ისინი, ვინ? რით დაისაკუთრეს შენი სიყვარული, შენი ალერსი, შენი სული და გული, რით, რა უფლებით? სხვისი შვილები... ესენი ხომ იმის შვილებია, ვისაც არასოდეს არ ჰყვარებიხარ, ვინც წაგართვა ყველაფერი, რაც გაგაჩნდა და ცხოვრების პირას მიგატოვა... წადი, წადი აქედან, წადი ჩქარა, უკანაც არ მოიხედო, წადი!.."

ეს ადგილი მოთხრობაში ყველაზე ემოციურია, რეჟისორს უეცლელად რომ გადაეტანა იგი ეკრანზე, მონოლოგის ან შინაგანი მონოლოგის სახით, უღალატებდა კინოს სპეციფიკას და ფილმს მიეცემოდა მელოდრამატული ელფერი. მაგრამ თენგიზ აბულაძემ ასე გაიიზარა ეს სცენა: ნატო გოგენებეული მისჩერებია ერთ წერტილს, იწყება თეოს მუსიკალური თემა და მაყურებელი უკვე გრძნობს, რომ ნატო ფიქრობს იმ ადამიანზე, ვისაც დათამ „დაუტოვა გული, გრძნობა, სითბო, სინაზე"... თეოს მელოდიის სცენის ბავშვების თემა მინორულ ტონალობაში. ნატო ფიქრობს მათ შესახებ, კადრში ჩანს ტახტზე ჩამომჯდარი გია, ლიას სძინავს... ნატო მისჩერებია ერთ წერტილს... „როცა შიოდათ ლუკმა მიაწოდე, როცა სწყუროდათ, წყალი მიაწოდე, როცა სციოდათ, შენი გაიხადე და იმათ ჩააცეი" — ფიქრობს მაყურებელი ნატოსთან ერთად... ისმის მუსიკის შემზარავი ხმა, ნატო მოიწმენდს ცრემლებს, უეცრად შემოტრიალდება და გარბის სახლიდან. დიდი სახლის ფონზე, უკაცური ქუჩაში მოდის ნატო. იწყება ნატოს თემა, ეს შესანიშნავი ჰანგი, რომელსაც ახლა მთელი ორკესტრი კი არ ასრულებს, არამედ მხოლოდ ფორტეპიანო. მარტოდმარტოა ნატო. მარტოდმარტო ქოცერს მისი მელოდია და ამ წვიმიან დილით მას ახსენებდა თავისი ხანმოკლე ბედნიერების ტკბილი წუთები, თუნდაც ის ღამაზი, თავბრუდამხვევი დღე, როდესაც დათამ პირველად მიაკითა სახლამდე ნატო. ეს მოტივი ქუდრად იმ საღამოსაც.

ამ ეპიზოდში თენგიზ აბულაძემ შეძლო ამეტყველება ჭეშმარიტი კინოენით. მისი ჩანაფიქრის განხორციელებას დიდად შეუწყო ხელი მსახიობ ც. ციცისშვილის თამაშმა, მხატვრების გივი გიგაურის და კახი ხუციშვილის კომპოზიციებმა (ძნინარე ლია და ლოგინზე წამომჯდარი გია, დიდი სახლის ფონზე მომავალი ნატო), ოპერატორ ლევან პაატაშვილის შუქჩრდილებმა, რომლებიც ეპიზოდს მატებენ ემოციურობას, და კომპოზიტორ არჩილ კერესელიძის ღრმად მელოდიურმა მუსიკამ.

რეჟისორმა ფილმის ფინალი მთლიანად დამბადები მოქმედებით წარმართა, რაც მის მიერ მონტაჟის ფლობის დიდ უნარზე მეტყველებს. გავიხსენოთ ფილმის შემდეგი ეპიზოდი: ჩვენს წინაშეა ბედნიერი ოჯახი. ი

არც ერთი ზედმეტი სიტყვა, ზედმეტი ცრემლი. ყველაფერი გაკეთებულია მკაცრად, თავდაჭერილად და ამავე დროს დიდი პოეტური გრძნობით.

ფილმის კინემატოგრაფიულობა განაპირობა მსახიობების სადა და თავდაჭერილმა თამაშმა. არც ერთი მთგანნი არ ეტანება თეატრალურ ესთეტიკულაციას, ან მეტყველების დეკლამაციურ სტილს; არც ერთი მთგანნი არ გრძნობს კინოაპარატს თავის წინაშე. მათ შეძლეს დამაჯერებლად განესახიერებინათ ეს ბრალო ადამიანების ცხოვრება, მათი სიხარული და დარდი.

ნაწარმოებში განსაკუთრებით რთული იყო ნატოს სახე. ოდნავი გადახრა როლიდან და სიტუაცია შეიქნებოდა ძნელად გასაგები, მიუწვდომელი. მაგრამ ციცინო ციცინაშვილის თამაშმა მოლოდინს გადააჭარბა. მსახიობმა ოსტატურად განახორციელა რეჟისორისა და სცენარისტის ჩანაფიქრი და განასახიერა მტკიცე ხასიათის და კეთილშობილი გრძნობების მქონე ადამიანი.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ციცინო ციცინაშვილი ფინალურ სცენებში: „მამა წვიდიაო“ — აუწყებს გია. ნატო შეკასეურეს კარგს, დთა კარს უკან მიმალული ჰგონია, იმედი და ადამიანისადმი რწმენა არ ჰქრება მის თვალებში... „როცა მატარებელი დაიძრა, ივ ქალმა ხელი დაუქნია, მამა მატარებელს შეაბა და წავიდა“ — ამბობს გია... ახლა კი იმედის ნაპრფალი საშინელი გოიცვნთ იცვლება; ნატო სდუმს, არც ტირის, იგი გაკვირვებულია დათას სიცოცხით, უნებისყოფობით.

აქ რეჟისორისა და მსახიობის მიერ მეტად ფაქიზად არის ამოხსნილი ასეთი ფსიქოლოგიური ნიუანსი: ნატო პირველად თავის უბედურებას კი არ მიხვდება, არამედ გაკვირვებულია დათას ხასიათის სისუტით.

შეუდარებლად ატარებს უსიტყვო სცენას მატარებელში ციცინო ციცინელი. „დედა ნატო!“ — ისმის ბავშვების ძახილი და მასში კვლავ ღვიძების დედა, მის თვალებში ჩანს ზრუნვა, შიში, რომ მატარებელს გამოდენებული ბავშვები არ წაიქცნენ, რამე არ დაუშავდეთ. ნატოს უბრუნდება თავისი „მე“, რომელიც თითქოს წუთით დაკარგა. ბოლო კადრში ჩვენ ისევ ვხედავთ ამაყსა და გამბედავ ნატოს, ხელჩაკიდებული ბავშვები რომ მოპყავს.

დათას სახის შექმნის დროს მსახიობმა ოთარ კობერიძემ და რეჟისორმა თ. აბულაძემ მიხვეულ-მოხვეული, მაგრამ ზუსტი გზა აირჩიეს. ოთარ კობერიძის დათა არ იწვევს ანტიპათიას, ის უარყოფითი ტიპი არ არის, ნებისყოფის სისუსტე აიძულებს მას ჩაიდინოს **შეცდომა,** რომელიც ადამიანურია.

კარგია ოთარ კობერიძე ბავშვებთან სცენაში. მსახიობმა აქ განსახიერა მამა, რომელიც კარგად არ იცნობს თავისი შვილების ბუნებას, სწუხს, დამნაშავედ გრძნობს თავს და თითქოს პატიებასაც კი ითხოვს. დათა ცდილობს გახდეს უყვარესი მამა და შექმნას ბედნიერი ოჯახი. მაგრამ როდესაც ის ნატოს მუხლებს მიყრდნობილი უმწეოდ აჭნეულ თავს, მაყურებელი უკვე ხვდება, რომ დათა მოზღვავებულ ენერგიას ვერ მოერევა.

კიდევ ერთხელ გამოიწვიეს მაყურებლის ალტაცება, უკვე „ნაცადნა მსახიობებმა“ ნანი ჩიქვანიძემ და ზინო ბორაშვილმა. კარგად ატარებს სცენას ალტობუსში ნ. ჩიქვინიძე. თუმცა ასევე შეიძლება ითქვას ყველა სცენაზე, სადაც გამოჩნდება ხოლმე ლია, ეს ენერგიტიკა და სიცოცხლით სავსე გოგონა.

სრულიად განსხვავდება თავისი ხასიათით გია. იგი სიტყვაძუნწი, მაგრამ მგრძნობიარე ბავშვია. ფინალურ სცენაში გია უკვე შეგნებული ადამიანია, უკვე ხვდება დედა ნატოს ტკივილს, ფეხაკრეფით მიდის მასთან და ეუბნება: „დედა ნატო. შეიძლება დედა დაგიძახო?“ ამ სცენას ბევრი გამოცდილი მსახიობი ვერ ჩაატარებდა ასე ოსტატურად.

ბავშვების თამაშს ძალიან ხშირად მოუყვანიათ ალტაცებაში მაყურებელი. მაგრამ ზოგჯერ აქ იმალება რეჟისორის და სცენარისტის მიერ დაგებული ფაწი: ბავშვი ლამაზკოს და ხუმრობს დასარულებული ადამიანის ენით. უდავოა, რომ მაყურებელი ალტაცებაში მოდის ბავშვის სიბრძნით და ოხუნჯობით. მაგრამ ამავე დროს ეს ფაწი ყველაზე იოლი გზაა ეფექტისაკენ, ჩვენ ვიტყოდით — იაფი ეფექტისაკენ.

„სხვანი შვილების“ ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ვერცი აუარეს ამ უადვილეს გზას და დახატეს გია და ლიას სახეები მთელი თავისი ბავშვური ბუნებით. არსად არ იგრძნობა, რომ ისინი კითხულობენ უფროსებისთვის განკუთვნილ ტექსტს. ხაზგასმითაა ნაჩვენები მათი ბავშვური სიცელქე და ცნობისმოყვარეობა. სწორედ ამიტომ თვითეული მათგანი სრულყოფილად ჩამოყალიბებული მხატვრული სახეა.

შესანიშნავია ოპერატორ ლევან პაატაშვილის კინოკადრი. იგი იღებს ჰაერს, სიგრცეს, ბზის სხივებს მთელი თავისი სიცხოველით. იგი გვასწავლის, როგორი თვალით უნდა დავინახოთ თბილისი, როგორი წერტილებიდან უნდა ვეუფიროთ ჩვენს დედაქალაქს. თანაბარი სიძლიერისაა ოპერატორი ნატიერასა და პორტრეტში; გიგიხესნთ მისი შეკრძალული ალტობუსით მიმავალ თეოს სახეზე, ნატოს სახის ფონზე წარმოშობილი ორთქლი მატარებელში; ან სადგური, გადაწყვეტილი ნაცრისფერ ტონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, რაც აუტანელ მდგომარეობას აგრძნობინებს ადამიანს; ღამით მოსეირნე ნატოსა და დათას კადრები... ლ. პაატაშვილმა შექმრდილების ოსტატური გამოყენებით შექმნა სურათის მთლიანი განწყობილება. ამ მხრივ მას დიდად დაეხმარა ნიჭიერი მხატვრების გივი გიგაურისა და კახი ხუციშვილის კომპოზიციები: კიბის მოაჯირს მიყრდნობილი გია და ლია, რკინის მესერთან მოთამამე ბავშვები, ჩემოდნით მომავალი ნატო ნაცრისფერი სახლის ფონზე, სადგურის ხიდი...

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფილმის შექმნაში კომპოზიტორმა არჩილ კერესელიძემ. თავისი მელოდიებით მან ხელი შეუწყო რეჟისორს და მსახიობებს მოქმედ პირთა ხასიათების მკვეთრად ჩამოყალიბებაში.

კომპოზიტორმა, პავშვებისთვის შესანიშნავად დაამუშავა ძველი ქართული სიმღერა „მახსოვს პირველად სასწავლებელში“ და მოგვცა ამ მელოდიის ორი ვარიაცია, მაჟორულ-მინორულ ტონალობაში.

აღსანიშნავია აგრეთვე ნატოს თემა. ეს არის ქართულ ჰანგებზე აგებული „იავნანას“ მსგავსი მელოდია, ოერიშლისოდაც წარმოუდგენელია ქართველი დედა.

არჩილ კერესელიძის მუსიკა არ არის ილუსტრაციული, კომპოზიტორი ღრმად ჩასწვდა მთლიანად ფილმის ინტონაციას.

ფილმის გამარჯვება არ შეიძლება მიეწეროს მხოლოდ ერთ ადამიანს. მის შექმნაში ტოლფასოვანი წვლილი შეიტანეს როგორც რეჟისორმა, ისე მხატვრებმა, ოპერატორმა, კომპოზიტორმა, მსახიობებმა და ტექნიკურმა პერსონალმა; იგრძნობა მთელი დამდგმელი კოლექტივის ერთიანი, შემოქმედებითი მუშაობა.

ფილმი „სხვისი შვილები“ ერთ-ერთი საუკეთესოა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოებებს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ღუმბაძე

მე, ბებია, ილიკო და ილარიონი

ჩემს სოფელს მარკვნივ გუბაზოული ჩაუდის, მარცხნივ ლაშის ღელე, რომელიც სავსეა კიბორჩხალებით, ღორჯოებით და შარვალდაკაპიწებული ბიჭებით. გუბაზოულზე ხიდია გადებული, რომელსაც ბოგას ეძახიან. ყოველ გაზაფხულზე ხიდი მოვარდნილ წყალს მიაქვს და ჩვენ მხოლოდ ხიდის თავი გვრჩება. მიუხედავად ამისა, ჩემი სოფელი მაინც ყველაზე ლამაზი და მშიაერული სოფელია გურიაში. მე იგი ყველა სოფელზე უფრო მიყვარს ამ ქვეყნად, რადგან არ შეიძლება სხვაგან იყოს სოფელი, რომელშიც ვცხოვრობდე მე, ჩემი ბებია, ილარიონი, ილიკო და ჩემი ძღლი მურადა.

*
* *

ბებიაჩემი ბრძენი ქალია, ის მუდამ ასე მეუბნება:

— ისწავლე, შე სასიკვდილე, თორემ უსწავლელი დარჩებიო. მეცნიერებაზე ბებიას თავისებური წარმოდგენა აქვს. ერთხელ, როდესაც ივანზე ვიჯექი და ხმამაღლა ვიზეპირებდი ქართული გრამატიკის ნორმებს, ბებიამ, სხვათა შორის, მკითხა:

— რასაა, რომ იზუთხავ, შვილო?

— ზმნის პირიანობას ვსწავლობ, ბებია.

— ზმნის პირიანობა ვის გაუგია, ბიჭო, პირიანი კაცი ვიცი მე.

— ეს სხვა პირია, ბებია, შენ რომ გგონია, ის არ არის.

— პირი ერთია, ბიჭო, ქვეყანაზე.

— კარგი, აბა მითხარი, რა არის პირი? — ვკითხე ბებიას და წიგნი დავხურე.

— პირი რა არის და, პირი პირია.

— დაჯექი, ბებია, გაკვეთილი არ იცი, ორს ვიწერ!

— ორს მოგცემ მე შენ, შე კუდიანო, ახლავე წადი და თხა გადაიბი, თორემ იმდენს გირტყამ, რუმბივით გაგიხდი ცხვირ-პირს!

— აბა ერთს კიდევ გკითხავ და მერე წავალ. რამდენი პირი არსებობს?

— პირი იმდენი არსებობს, რამდენიც კაცი დაიარება ამ ქვეყანაზე და პირი იმიტომ არსებობს, რომ ენა დაატიოს კაცმა შიგ. გეყურება? პირი ზოგს პატარა აქვს, ზოგს დიდი, დიდი პირი ვისაც აქვს, ისეთ ლაშაინს უძახიან. არსებობს კიდევ უცხვირპირო ხალხი, მაგალითად, შენ.

— პირშავი ხალხიც არსებობს. — ეთქვი მე.

— მართალი ხარ, ჩვენი ფოსტალიონი, მაგალითად, პირშავია, კონვერტებს მარკებს აძრობს და მერე მეუბნება, უმარკო იყო, მანეთი მომეცითო.

— მე როგორი ვარ, ბებია?

— შენ? პირზე მიწა დასაყრელი, ამოუპირავი და ღვთის პირიდან გადაკარდნილი. შენს პირში ჩემი მტერი ჩავარდა.

არ არსებობს ქალი გურიაში, რომელსაც უკეთესი წყევლა შეეძლოს, ვიდრე ჩემს ბებიას, მაგრამ მე მისი წყევლის არ მეშინია, რადგან ერთხელ წამოცდა — ნუ გეშინია, ბებია, როდესაც გწყევლი, ჩემი ძუძუები გლოცავენო.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ჩემი ბებია ეჭვის თვალით უყურებს განათლების ორგანოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსულგულო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ბავშვებს ყოველდღე ექვს-ექვსი საგაკვეთილო ვეიფილი გვაქვს, თუმცა მე ამის სამაბს ბებიას არასოდეს არ ვაძლევ. ჩემი მეცადინეობა ყოველდღე დიდი-დიდი ოთხ გაკვეთილამდე გაგრძელდეს. მეოთხე გაკვეთილზე მე კვარავ დროისა და ზომიერების შეგრძნების უნარს და ზომაზე მეტად ხმამაღლა ვეკითხები ჩემს მეზობელს:

— რომელის ვენაცვალე, რატომ არ ირეკება — ზარი მოიშალა ნეტავ, თუ დარაკი?

რომელი იკრიჭება, მასწავლებელი კი იშვერს ჩემსკენ თითს, (თითით საჩვენებელი მოწაფე ვარ) და ალერსიანად მეუბნება:

— ეხლავე აეთრიე, გარეთ გაეთრიე და სანამ მშობელს არ მოიყვან, სკოლაში არ მოეთრიო!

მე არ ვეკითხები მასწავლებელს „რატომ“, რადგან ასეთი დისკუსიის შემდეგ კამათში ცარცი და სახაზავი ერევა ხოლმე. უხმოდ ვიღებ ქუდს და გავდივარ.

— ნახვამდის! — ვეუბნები რომელს.

— ნახვამდის! — მეუბნება რომელი და ხელს მიქნევს.

მეორე დღეს ბებია მომყავს სკოლაში, მერე ბებიას მიეყავარ სახლში, მერე ისევ ბებია მომყავს სკოლაში და ასე შემდეგ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მე და ბებია ერთად ვამთავრებთ ათწლედს. ეფიქრობ, ეს ერთადერთი შემთხვევაა კაცობრიობის ისტორიაში.

*
* *

მე რა. მე ჩვეულებრივი სოფლის ბიჭი ვარ, წიგნების ჩანთაში ხილი, შურდული და ფეშტო მიწყვია. დაზამთრებამდე სკოლაში ფეხშიშველი დავდივარ. მაქვს ერთი შარვალი და ყოველ წელს ორი საშემოდგომო გამოიცდა. რადგან ჩემი ძაღლი მურაფა სულ თან დამყვება, სოფელში სულძაღლიანს მეძახიან, სკოლაში — ყალთაბანდს, ხოლო ბებია კუდიანს მეძახის. ჩემი ნამდვილი სახელი ზურიკოა.

როდესაც ბებიას გავაბრაზებ, იმ ღამით საწნახელში მძინავს, როდესაც ვურიგდები, ერთად გვძინავს. დღისით ბებია მწყალს და ზურგს უკან ამოფარებული წყნელით მეპარება, ღამით ფეხებს მბანს და დაძინებულს მკერდზე მოკცნის.

სკოლაში როგორი ვარ? სკოლაში ჩემი ქცევის შესახებ არსებობს დოკუმენტი — „პედსაბჭოს სხდომის ოქმი“, — რომელიც იმ შთაბეჭდილების წიგნს გავს, უნიჭო მხატვრის გამოფენაზე რომ დევს და გამელელ-გამომველეს ეხვეწებიან, თუ ძმა ხარ, რამე ჩაგვიწერე შიგო.

ეს დოკუმენტი, დაახლოებით, ასე გამოიყურება.

N სოფლის, საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს, 1940 წლის 18 მარტის სხდომის ოქმი.

სხდომას ესწრებოდა: ყველა მასწავლებელი.

მოისმინეს: მეექვსე კლასის დამრიგებლის მოხსენება ამავე კლასის მოსწავლის ზურაბ ვაშალომძის საქციელის შესახებ.

აზრი გამოსთქვეს მათემატიკის მასწავლებელმა:

„— ვაშალომძე ჩემთვის ას უცნობიანი განტოლებაა და სანამ მასში ადამიანს ამოვიცნობ, ალბათ, სულს ამომხდის“.

ფიზიკის მასწავლებელმა: ფიზიკის მასწავლებელმა ჩემს პიროვნებაზე უშუალო დაკვირვებით ჩამოაყალიბა ფიზიკის ახალი, ურყევი კანონი.

„— არ არსებობს ბუნებაში ენერგია, რომელსაც შეეძლოს ვაშალომძის მოძრაობაში მოყვანა. ეს არის სითხეში ჩაშვებული სხეული, რომელზეც არ მოქმედებს არავითარი ამოგდები ძალა“.

ქიმიის მასწავლებელმა:

„— არავითარი რეაქცია, ზის და მთელი დღე მშლის. იგი რაღაც განსაკუთრებული ლაკმუსია, რომელზეც არაფერი არ მოქმედებს, იგი არასდროს არ წითლდება“.

რუსულის მასწავლებელმა:

„— По моему, он просто идиот“.

გეოგრაფიის მასწავლებელმა:

„— ვაშალომძეს აქვს ერთობ რელიეფური ცოდნა. იგი ან შექანებულია, ან გამოფატული. ეფიქრობ, მას სჭირდება ზომიერი სარტყელი, რომ სიგრძედი და განედი ერთი ჰქონდეს“.

ისტორიის მასწავლებელმა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„— იგი უფრო ჭკვა ხანის ადამიანია, ვიდრე მეოცე საუკუნის ცივილიზებული მაჭანკალი. ძნელია დავთარიღოთ მომენტი, როდესაც იგი გაკვეთილზე წყნარად ზის. არავითარი ეჭვიანობა, რესი, იგი არცხვენს თავის კლასს“.

სკოლის დირიჟორი:

„— რას ერჩით მაგ ბაღანას, თუ ასე შტერია, რაფერ გადადის კლასიდან კლასში?“

სასწავლო ნაწილის გამგე:

„— შენ არავინ გეკითხება, შენი საქმეა, დილას ადრე ადგე და ზარი დარეკო“.

ქართული მასწავლებელმა: (ჩემი ახლო ნათესავია).

„— რა გაჰპირეთ საქმე, ბოლოს და ბოლოს, დაადრჩვეთ ბარემ ბავშვი და ესაა, რომელი გაყავთ მაგაზე კარგი? არც ისეა საქმე, დირექტორის შვილს რომ ყველაფერში ხუთები აყავს. იმაზე შტერი ბავშვი მე ჯერ არ შემხვედრია, ბუსავით ზის გაკვეთილზე“.

ფიზიკულტურის მასწავლებელმა:

„— რატომ უწერ მერე ხუთს?“

ქართული მასწავლებელმა:

„— ნუ დაუწერ, თუ ბიჭი ხარ!“

სასწავლო ნაწილმა:

„— გაჩუმდით ორივე! შენ რას გეტყვი, ვაშალომიძე?!“

ვაშალომიძე:

„— მართალს ამბობს ქართული მასწავლებელი!“

სასწავლო ნაწილი:

„— მაგას არავინ გეკითხება შენ! საერთოდ რას გეტყვი?“

ვაშალომიძე:

„— საერთოდ, ახლა მაპატიეთ და მერე გამოვსწორდები!“

ამის მსმენელს მე დიდხანს ეჭვიც კი მეპარებოდა ჩემს ჯანმრთელობასა და ნორმალურობაში, მაგრამ ერთმა შემთხვევამ კამიფანტა იქვები. საქმე იმაშია, რომ ერთი კვირის განმავლობაში სახლში ჯდომა მომბეზრა, ყანა მჭირდა გასათოხნი. ესე იგი, სკოლა უნდა გამეცდინა. გაცდენისათვის რომ სკოლიდან არ გავეფიცხე, საჭირო იყო ექიმის მოწმობა. ჩემ სოფელში ჯანმრთელებს ავადმყოფობის მოწმობას ის ხანებში არ აძლევდნენ. საჭირო შეიქნა ჩემი ერთი საათით ლოგინში ჩაწვენა, ექიმის მოყვანა და ცნობის აღება. ამისათვის დილიდან მაშიშშლეს, ავადმყოფის ფერი რომ დამდებოდა, თავი პირსახოცით გამიკრეს და ბებია ექიმის მოსაყვანად წავიდა. ნახევარ საათში ექიმმა ეზოში ცხენი შემოაჯირითა.

— რა მოგვიდა, ბიჭო? — მკითხა ექიმმა და ლოგინზე ჩამომიჯდა.

— ვკვდები, ექიმო!

— რა გტკივა?

მართალი გითხრათ, ასეთ კითხვას არ ველოდი და შეშინებულმა ბებიას გადავხედე.

— ყველაფერი, — თქვა ბებიამ.

— თმა გტკივა?

— კი. — ამოვიკვნესე მე. ამასობაში მეზობლებიც მოვიდნენ. ილარიონმა და ილიკომ ციოდნენ, როგორი ავადმყოფიც ვიყავი და საუბარში ჩაებნენ.

— რაღაცა, ამ ბოლო დროს, სისუსტეს ვამჩნევ ამ ბაღანას, — თქვა ილარიონმა.

— მაგალითად, როგორ?

— მაგალითად, ჭაბის მადა არ აქვს. ამასწინათ ჩემთან იყო და ერთი კეცი მჭადის და სამი საინი ლობიოს მეტი ლუკმა არ ჩაუდვია პირში.

— რას მეუბნები, კაცო? — გაუკვირდა ექიმს.

— კი, შენ ნუ მომიკვდები, წინათ ყველაკე დაყოლებდა, იმ დღეს კი, რომ შეკრა პირი, ერთი ლუკმაც ვეღარ გადავაცდინე იმაზე მეტი, რაც გითხარი.

— მართლა, ბიჭო? — მკითხა ექიმმა.

— კი, ექიმო, ლობიოს რომ ვხედავ, გული მერევა.

— დაივიჯერო ახლა შემწვარი წიწილი ნორწყაღში ჩაწყობილი, ან ქონდარში შემწყალებული ჭაინტი ყველი, ანდა ყალიოდ მოხარშული დედალი, ან, შენ ხარ ჩემი ბატონი, შემამზადა კუმ-ნაწლავი ან კიდევ უკეთესი, ნიგვზის ბაქში ჩაწყობილი წვერა და კალმახი არ გინდა?..

— გადამირევს ეს შეჩვენებული ბაღანა. — ჩაიღაპარაკა ბებიამ. ილიკომ ვეღარ გაუძლო ასეთ მენიუს და ხველებ-ხველებით გარეთ გავარდა. ილარიონმა თავი შეიკავა და გაზეთს დაეწყო თვალიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კიდევ რა სტკივა? — იკითხა ექიმმა ღიმილით, მერე მომბსნა თავზე პირსახოცი და პირზე მომდგარი ნერწყვი სათუთად მოსხოცა.

— ცხვირს აცემინებს, — თქვა ილარიონმა.

— შარდი როგორი აქვს? — აქ უკვე ილარიონიც დაიბნა და შემობრუნებულ ილიკოს ჰკითხა.

— შარდი როგორი აქვს, ილიკო?

— რაღაც ამ ბოლო დროს არ მომწონს მაგის შარდი. — არ დაიბნა ილიკო.

— ფწინ კარგი ჰქონდა?

— გადასარეცი.

— კიდევ რა გტკივა, ყმაწვილო?

— კიდევ ცოტას... — თქვა ილიკომ და საფეთქელზე საჩვენებელი თითი დაიტრიალა. მიეხვდი, რაშიც იყო საქმე.

— მართლა? აბა ერთი მითხარი ეს რამდენია? — თქვა ექიმმა და ხუთი თითი მომიტანა ცხვრთან.

— შვიდი! — ვთქვი მე და რაც შეიძლებოდა სულელურად გავიღიმე.

— მართლაა! — თქვა ექიმმა.

ილარიონს გაკვირვებისაგან სათვალე ჩამოუვარდა, ბებიამ კი უკან დაიწია. ექიმმა თვალს ქუთუთოები ჩამოშქაჩა, მერე ზეკით ამიქაჩა, ჩამხედა შიგ, თავი სინანულით გადაიქნია და იკითხა:

— ახლობლებს და ნათესავებს თუ გცნობთ?

— გაკვირვებით, — თქვა ილარიონმა.

— კარგი, ეს კაცი ვინ არის? — მკითხა ექიმმა და ილიკოზე მიმითითა.

— ეს კაცი არ არის, ეს მხეცია, — ვთქვი მე და უფრო სულელური გამომეტყველება მივიღე, ვიდრე ილიკო მოელოდა.

— ზურიკო, ბიჭო, ვერ მიცანი? ილიკო ვარ, შენი ილიკო ბიძია! — შემომეკედრა ილიკო.

ეარის ნიშნად თავი გავიქნიე და თვალები დავიღლიმე. ბებიამ ქვედა ტუჩზე იკბინა და ლოყა ჩამოიხოცა.

— რითი მკურნალობთ ავადმყოფს? — იკითხა ექიმმა.

— არყით ვუზილავთ საფეთქლებს, შვილო. — თქვა ბებიამ.

— მომიტანე აქ ის არაყი. — ბებია გაცუნცულდა და არაყი მოიტანა. — ერთი ის ჩაის ჭიქა მომაწოდეთ. — მიიართვეს ჩაის ჭიქა. ექიმმა პირამდე აავსო და დაიწყო: — ამ ბავშვის მდგომარეობა ძალიან სერიოზულია, ადვილი შესაძლებელია დილამდე ვერ გაყწიოს, ეხლავე უნდა წავიყვანოთ საავადმყოფოში და სასწრაფოდ ოპერაცია გავუკეთოთ.

— რისი, ექიმო? — წამოვხტი ლოგინიდან.

— თავის ქალა უნდა აგხადოთ!

— ცოცხალი თავით არ გაგატან, — იკივლა ბებიამ, — თავის ქალა ახადო, რავა, კვები ხომ არ არის? რა სჯობს სოპერაციო კეტივით ბაღანას, ღმერთო კი მომკალი. აღვქმ, ბიჭო, ზედ, შენ მაგას მართლა ავად ხომ არ ჰგონიხარ, ავად კი არა, კერკეტა ნიგოზივითაა, ენიცალოს ბებია!

— ჰოდა, ღმერთმა კარგად გამყოფოთ, სიმწარე გაწოროთ და სიტკბო მოგცეთ. — თქვა ექიმმა და ჩაის ჭიქა სულმოუთქმელად გადაიბერტყვა ხახაში.

— არიქა, დასაყოლებელი, — თქვა ილარიონმა და ექიმს მსხალი მიაჩეჩა. ექიმმა მსხალი მადიანად ჩაკბიჩა, ლოყაზე ხელი მომითათენა და დაგვემშვიდობა. ოთახიდან გასვლისას შემობრუნდა და ასე უთხრა ბებიას: — ასე ჯანმრთელი, ჯანსაღი ბავშვი მართლაც არ მგონია ამ სოფელში დაღიოდესო. მერე მოახტა ცხენს, ხელი დაგვიქნია და თოხარიკით გაუდგა გზას.

ნადიროობა

ჩემი მძიმე ავადმყოფობის ერთი კვირის თავზე ილარიონი ჩამოვიდა ჩვენს ეზოში. მსხლის ძირში წამოწვა, პაპაროსი გააბოლა და სხვათა შორის მკითხა:

— რა ქენი, სულძაღლიანო, ოპერაცია გადაიტანე?

— შენ და ილიკოს რა გენაღვლებათ, შე კინაღამ დავიღუპე!

— რა დაგღუპავდა, ბიჭო, აგხდიდა ის კაცი თავის ქალას, ჩაიხედავდა და დახურავდა ამავე წუთში, მე შენ გეტყვი, დაკაპიწებული სამუშაო დახვდებოდა შიგ.

— არც შენ და ილიკოს გეთნავთ ყურებიდან ტვინი.

— სადაა შენი ძუნკალი ძაღლი მურადა? — ამის კითხვა და ძაღლის კიკილი ერთი იქნა.

— მოვკლავ მაგ პატრონძაღლს, საიდან მოთრევ. შენი შიგანი ოაგლიჯოს ძაღლებმა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურიკელა მახინჯო. სიიდან ჩამოათესლე ეს უჯიშო, გინახავთ, კაცო? კეერცხი არ დამრჩენია ბუდეში და ახლა წიწილებს მიადგა! — მოფოფინონდა ორღობეში პირზექაფმომდგარი და მხარზე სარგადებული ეფროსინე. წინ კი ჩემი საწყალი მურადა მორბოდა წკავწკავით და უკანა ფეხს ძლივს მოათრევდა.

— ჰაიტ, სად წავა! — კიეოდა თავის ეზოში ეფროსინეს ქმარი.

— რაშია საქმე, დედაკაცო, რომ აიკლე მთელი სოფელი, რადაც ფარცაგი არ მეგონა? — გამოვარდა გარეთ ბებიაჩემი. — უჯიშო მაგი კი არა, შენი ქმარია. რას ქვია უჯიშო, ორი წვეტა ყველი მივეცი ამ ძაღლში სიმონა მეწისქვილეს!.. — ეფროსინეს ბებიაჩემისა ტიფივით ეშინოდა და უხმოდ გაბრუნდა უკან. მურადა კი ჩემს ფეხებში იწვა და სანამ ეფროსინე წავიდოდა, თაღლითურად წკავწკავებდა.

— გამარჯობა შენი, მურადა! — მიეხალმა ილარიონი.

— გაგიმარჯოს! — თქვა გულში მურადამ და კუდი მიწაზე დაბაბაკუნა.

— ნამდვილად მელიას ჯიშისაა. — თქვა ილარიონმა და პირიდან ქაფის ბურდღა გამოაცალა.

— რაო, ეფროსინემ. რა მინდაო, ა? — ისევ ჰკითხა ილარიონმა.

— რა ვიცი, იმ ოჯახაშენებულს ისე ღია ადგილას დაუდგამს ბუდე, რომ სულმა წამძღლაო, — თქვა გულში მურადამ და სევდიანი თვალებით ახედა ილარიონს.

— მაგრად მოგხვდა ჯიხი?

— კი, — გაიფიქრა მურადამ და მტკივან ფეხზე დაიხედა.

— ნუ გეშინია, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება, — უთხრა ილარიონმა.

— არც ისე მტკენია, ეფროსინეს რომ ეგონა! — თქვა გულში მურადამ და გაიღიმა, მერე ადგა, ყურები გააპარტყუნა და ილარიონს ხელების ლოკვა დაუწყო.

— რა მოუვიდა. ბიჭო, დრუნჩზე? — ჰკითხა ილარიონმა.

— გუშინ ჭადი არეკა კეციდან, ღადარში კრა ცხვარი და დაეფუფქა.

— მართლა. მურადა? — ჰკითხა ილარიონმა.

— ეჰ. ცოტა ვიჩქარე, თორემ მასეთი ჭადი ამირეკია კეციდან? — თქვა გულში მურადამ და ცხვარზე თათი ჩამოისვა.

— ძაღლი კი არა, ოქრო ხარ. ჩემი ბიჭი 20 წლისაა და მაინც ჩემი სარჩენია, შენ კი შენთან ირჩენ უკვე თავს! — უთხრა ილარიონმა მურადას და კისერზე ხელი მოუთათუნა.—ოღონდ ქურდობა არ ვარეკა, პატიოსანი შრომით ნაშოვნ ლუკმაზე გემრიელი არაფერი არ არის, ხომ ხედავ, ჩვენი საწყობის გამგე დათიო სასიკვდილოდაა გადადებული, სანამ შეეძლო არ იქნა მისი მუცელის ამოყორავ, ახლა წყალმანკი გაუჩნდა და აგდია ლოგიბში, ჩამოწერილი საქონელივით. გეყურება? — ჰკითხა ილარიონმა მურადას.

— როგორ არ მეყურება, მაგრამ სხვები თუ იპარავენ, მე რა მამა აბრამის ბატკანი ხომ არ ვარ, ბოლოს და ბოლოს ძაღლი ვარ! — თქვა გულში მურადამ და მე შემომხედა.

— წადი ახლა და დაწექი შენს დგილას, ფეხი არ მოიცალო სახლიდან, თორემ მოგკლავ ცემით, შე მამაძაღლო! — ეუთხარი მე მურადას და წიხლი ამოვკარი.

— ნუ ილანძღავი! — შემომღრინა მურადამ და კუდამოძუებული წავიდა თავისი საწოლისკენ.

— დღეს გაღმა ვიყავი **კოლექტივის ყანებში**, — თქვა ილარიონმა. — სოიოს ფოთოლი სულ შეჭმულია. კურდღლის კვალიც ვნახე. არ იქნებოდა ერიგო, გაგვეარა ხელ, ალიონზე.

— შენ მაშინაც წამიყვანე და კურდღლის კვალის მაგივრად თხის კვალი აღმოჩნდა.

— ახლა ნამდვილად კურდღლისაა, ცურკლიც ვნახე.

— კარგი, ბატონო. გაკინადიროთ, ოღონდ ის ცურკელი კურკელი არ აღმოჩნდეს ბოლოს.

— კურკელს და ცურკელს ნუ მასწავლი, შე ცხვრიმოუოცელო! თოფი გაამზადე და ის შენი მურადაც წამოათარე. ეგება გამოგვადგეს რამეში. — მითხრა ილარიონმა, ქუდი ცხვრიზე ჩამომფხატა და წავიდა.

ღილით ადრე მე, ილარიონი და მურადა დაცვარულ, წელამდე ბალახს მივარღვევდით. წინ მიდიოდა ილარიონი, უკან მე, სულ უკან თავიდან ფეხებამდე გალუმპული და ხოზიკით გაწეპილი მურადა მოფრუტუნებდა.

— ძაღლიკ ასეთი **უნდა, — ყბას მიქცევდა** ილარიონი, — მაგ შეჩვენებულს, კურდღლები ხომ არ ვგონივართ, კვალში რომ მოგვდევს, ე ბიჭო, უთხარი გავარდეს წინ!

— გადი, ძაღლო, წინ! — ვუბრძანე მურადას. მურადა დაჯდა.

— დაიღალა, ჩვენს ხომ არ დაგვესვენა და გვეკმაზა რამე? — მკითხა უკეე ჩამომჯდარმა ილარიონმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დავისვენოთ! — ვთქვი მე და ჩამოვჯექი ილარიონის გვერდით.

ილარიონმა აბგა გახსნა, მოხარშული დედალი, გაფიცხებული ქადი, ჭყინტი ყველი ერთი მთელი ჭაჭის არაყი აწოიღო და ჩვენს შუა მაგიდასავით ბრტყელ ქვაზე დააწყო. მე ერმი მრრიდან ჭინჭრის ფხალი, კირკეალი ლობიო, მოხარშული კარტოფილი და მარილი შევმატე სუფრას და პურ-მარილი გაიშალა.

— პირს ნუ ამწლაკუნებ, ილარიონ, თორემ კურდღლები გაიგონებენ და დაფრთხებიან.— ჩაეფრთხიე ილარიონი.

— ვის დასცინი, შე დაგვაჯულო, კურდღლის მეტი რა არის, ოღონდ მოძებნა უნდა. — ამბეჯავრდა ილარიონი, არაყი დასცხა, ერთი სახარება შეგვეწოსო, თქვა და გადახუხა.

— შეგვეწოის! — ვთქვი მე და გადავეხეე.

— დაეყოლე რამე, დაგალრჩობს!

— რას დამალრჩობს, რახია!

— რახი ბებიაშენის არაყია, ორი სახარება შეგვეწოს!

— ორი სახარება შეგვეწოის. — ვთქვი მე და უცაბ გავმხიარულდი.

— პირდაპირ ჭაჭაში ურტყამს.

— ჭაჭისაა და აბა რას იზამს!

— სამი სახარება შეგვეწოის, — ვთქვი ახლა მე.

— სამი სახარება შეგვეწოის! — თქვა ილარიონმა და გადაკრა, მერე თუთუნი ამოიღო.

— აგერ, მოწევ ჩემი სტამბულისაა, — ვუთხარი მე და ილიკოს ნაჩუქარი თუთუნით სავსე ქისა მივაწოდე.

ილარიონმა თუთუნი გამომართვა, უსუნა, ეჭვის თვალით შეგხედა, მაგრამ მაინც გაახვია, ჭოუკიდა, მოქაჩა, ნაფაზი დაარტყა და გულღმა გადავარდა.

— რა მოგვივდა, ილარიონ! — მივეკრდი შეშინებული. ილარიონს თვალები გადაეტრიალებინა და უკუღმა მხრიდან მიმზერდა.

— არიქა, მურადა, წყალი! — ვიყვირე შეშინებულმა. ილარიონმა უკარის ნიშნად ხელები გასაკაცავა, მერე წამოჯდა, დიდხანს მიყურა თვალცრემლიანმა, ბოლოს ერთი ვეშაპივით ამოისუნთქა, მერე სიკვდილმისაჯილი კაცივით მკითხა:

— ვინ მოგეკა, ბიჭო, ეს თუთუნი?

— ილიკომ!

ილარიონმა არაყი დასსხა; ცრემლები მოიწმინდა, ჭიქიანი ხელი ღმერთისაკენ გაიშვირა და თქვა:

— ეს ღმერთმა არ გაუმარჯოს ყველა ცუდლუტ და ციგანს, ღმერთო ილიკო ჩიგოგიძე მანახე ისე გაგდუდული, რომ სულს ვერ იბრუნებდეს და ახლამახლოს ჩემს მეტი კაცი არ იყოს მშვიელები.

— რა მოხდა, ილარიონ ბიძია?

— პილპილია თუთუნში გარეული!

— შეგვეწოის აბა ოთხი სახარება და ილიკოს გაუწყრეს ღმერთი. — ვთქვი მე. ვთქვი, დავლიე და ილარიონის ცხვირზე მომშინდა კოცნა. — ჩემო ილარიონ ბიძია, შენ გენაცვალე მე, შენისთანა კაცი ერთი არ დადის ამ ქვეყანაზე, მე ძალიან მიყვარხარ, შენ დიდი ცხვირი გაქვს და კეთილი გული, შენ რომ არ იყო ამ ქვეყანაზე, სულ არ მოვალ ამ ქვეყანაზე, შენ რომ არ მეგულებოდე. შენი ქირიმე, ილარიონ ბიძია, უნდა გაკოცო. — და ვაკოცე ჩემს ილარიონს ცხვირზე.

— აბა, მე თუ მკითხავ, ზურიკელა ბიძია, შენისთანა ბაღანა სულ არ გაჩენილა დუნიაზე. მართალია შენზე უფროსი ვარ ოცდაათი წლით, მაგრამ მე რომ შენხელი ვიყავი, მაშინ ხომ ვიყავი შენხელი? ჰოდა, ოცდაათი წლის შემდეგ შენც ხომ გახდები ჩემხელა? ესე იგი, ჩვენ შორის რა განსხვავებაა? არაფერი, რა მნიშვნელობა აქვს ვის მეტი ბანალი და ბურდღა აქვს თავზე, არაფერი. ჩვენ მეგობრები ვართ. შეგვეწოის ცხრა სახარება.

— ცხრა კი არა, ჯუთი, ილარიონ!

— აწი არა აქვს მაგას მნიშვნელობა, სამს რომ გადასცილდება, ერთია ყველა.

— ვოი, ძმა-ბიჭებში დაჩაგრული

მე ვარ სამონა დოლიძე, — დაეწყე მე.

— ვინ დაგჩაგრა შენ, ვინაა ძმა-ბიჭებში რომ ჩაგრავს ჩემს ზურიკოს, სკოლაში გჩაგრავენ? ნაფთს გადავასხამ და ცეცხლს მივცემ ქვეყნიდან. ეგება მოსაკლავი გყავს ენშე, ამ ზაუერის ტყვია მატარებლის რელსს ხვრიტავს, მითხარი ვინ გყავს ვასახვრეტი! — ილარიონმა თოფი გადმოიღო და ფეხზე შეაყენა.

— დასცხე, ილარიონ, მაგის რჯულიც არ იყოს, გაიგოს მთელმა ქვეყანამ, აქ რომ ვართ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისონი დარჩაია
ნაქებია ბიეობაში,
შვილდა და ძმა ატირა,
არ შეშინდა იმტონ ჯარში...

ილარიონმა გამოუშალა თოფს ფეხი, ზედზედ იქუხა, ექო დიდხანს გალიაში გამომწყვდეული ჩიტივით აწყდებოდა გურის მთებს, მერე იშოვა გასასვლელი, გავარდა, გაფრინდა და სადღაც გადაიკარგა.

არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა. სიცივემ გამომაღვიძა. თვალები მოვიფშვნიტე და სუფრას გადავხედე. მურადას საუზმე დაემაგრებინა, სუფრაც აელაგებინა და სადღაც წასულიყო.

ილარიონი გავაღვიძე.

— რა გინდა, ბიჭო, სტრაფნიკივით რომ დამდგომიხარ თავზე, გაწი მაგი თოფი იქით, არ გაგვარდეს და არ მომხვდეს, თორემ თუ ავდეკი, ბუკივით გაგიხდი ცხვირს! — შემომღრინა ილარიონმა.

— გავეცალ, ერთი ენახავ, კურდღელი არ იყოს, შენ მოემზადე მანამდე.

— სროლის დროს მარცხენა თვალის დახუჭვა არ დაგავიწყდეს! — მომძახა ილარიონმა. ათიოდე ნაბიჯი არ მქონდა გადადგმული, რომ ილარიონის ლანძღვა-გინება გავიგონე.

— ვაი შენს პატრონს უბედურს, ძაღლი კი არა, მთხლეი ხარ, იქმებოდეს მაინც შენი ხორცი, დაგალაჯდა კაცი, არა და გაგონილა სადმე, ძაღლს დაყეფება ეზარებოდეს?

— რა მოხდა, ილარიონ? — მოვეკარდი თოფმომარჯვებული.

— რა იყო და უყურე ამას, — მითხრა ილარიონმა და ხელისგული გამომიშვირა. ზედ მსხვილი სადაზანის ტოლა კურდღლის ცურცელი ეყარა.

— თბილია, ვეყურება შენ? თბილია, — ამოიკვნესა ილარიონმა და ცურცელი საჩვენებელი თითით დაისრესა ხელისგულზე.

— სად იყო?!

— სად იყო და აგერ, ორი ფეხის ნაბიჯზე. არიქა, გავარდი, ზევიდან შემოუარე, შორს ვერ წავიდოდა, მე აქედან დავუხვდები.

თოფი ფეხზე შეეყენე და ყანას ზევით ავყევი. თხუთმეტი ნაბიჯი რომ გადავდგი, გაპუტული სოიო ვნახე, — კურდღლის ნახელვია, — გავიფიქრე. ცალიც იყო. გავყევი კვალს. ვიარე და შქრის ბეჩქს მივადექი, ცალი აქ წუდებოდა. შემოვუარე ბუჩქს, არაფერი არ ჩანდა. მერე თოფის კონდახი შევუჩხაკინე ძირებში და გამოვარდა, გამოვარდა ნამდვილი კურდღელი. დიდყურებიანი, ელამი, ზურგზე თეთრი ზოლი გასდევდა.

— სად წავა! — ვიკვლე დამთხვეულივით და ვესროლე. კურდღელმა ყურები ზურგზე გადაიწყო და თავქვე დაეშვა.

— ილარიონ, მოდის, არ გაუშვა!

— აგერ ვარ, ნუ გეშინია!

ერთ-ორ წუთს სამარისებური სიხუმე ჩამოვარდა. ჩხაკ, ჩხუკ, მომესმა ჯერ, მერე გადაფრენრება გავიგონე, მერე რაღაც დაიღუნა ყანაში, ვინება, ოხერა, კენესა, მერე უცებ:

— არ გაუშვა, ზურიკელა, შენსკენ წამოვიდა! — გავინაბე და თვალებად გადავიქეცი. უცებ იქუხა ერთხელ, მერე მეორეჯერ და ძაღლის კივილმა ცას ჭერი ახადა. თვალთ დამიბნელდა, ტანზე ბუსუსები დამაყარა, მუნლები მომეკვეთა და უხმოდ ჩავჯექი.

* * *

— მურადა, ჩემო მურადა, შემომხედე, ბიჭო! — ვკოცე მურადას და ავღრიალდი.

— ჩუმად, ჩემო ბიძიკო, სირცხვილია, — მითხრა ილარიონმა და ცრემლი ჩამობერტყა საჩვენებელი თითით ლოყიდან. მურადამ თვალები გაახილა და ამოგვხედა. სამთავე ვტირ-ოდით — მე, ილარიონი და მურადა.

— ეტკივა, მურადა?

— მტკივა, ძალიან მტკივა, — თქვა გულში მურადამ და ილარიონს შეხედა.

— რატომ ხელი არ გამეხმება და თვალები არ დამეცვლება, — თქვა ილარიონმა.

— რა შენი ბრალია, ილარიონ, ნამთვრალები იყავი, თანაც იმ კურდღელმა სულ ახლოს ჩამირბინა, იმას ძაღლის ბედი აღმოაჩნდა, ტყვია აცილდა და მე მომხვდა, მერე შენი თოფიც ისეთია, მტერს რომ ესროლო, მოაკვარეს მოხვდება. ასე არ იყო, შენი ძაღლი რომ შემოგაკვდ-მაწვზე ნადირობისას? ნუ ტირი, ილარიონ, მე შენზე არ ვბრაზობ, ისე ეფროსინეს გული კ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაბარე, შენ რა გითხრა მე. — თქვა გულში მურადამ და მის წინ დაჩოქილ ილარიონს მუხლებზე ხელი ფაფარე დაადო.

— აფსუსი არაა — ილიკო კაცი იყოს და აგი ძაღლი? **შეეარცხვინე,** ღმერთო, შენი სამარცხილო. — თქვა ილარიონმა და ხელები ცაში აღაპყრო.

— მურადა, ნუ გეშინია, მოგარჩენ თუ კაცი ვყოფილვარ, — აეზღუქუნდი ისევ.

— არა, ჩემო ძამია, ჩემი მორჩენი ალარ იქნება, ისე შენ უნდა გიხაროდეს, სულძაღლიანს ვეღარ დავიძახებენ. ჩემი საქმე ვათავებული, ჩემო ზურიკო, მე აწი რა მომარჩენს. ტყუილი ყოფილა, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდებამ, ვკვდები, ბიჭო ზურიკელა, კვდები!

— გაუძელი, ჩემო მურადა, ცოტა გაუძელი, ძაღლი არ ხარ შე კაიკაცო! — ეხვეწებოდა ილარიონი და ბავშვივით ტიროდა.

— თქვენ რა გიჭირთ ადამიანებს, დაგმარხავენ და გიტირებენ. ჩვენ, ძაღლებმაც კი ვიცით ტირილი, მაგრამ მალე გვავიწყდება მიცვალებული. ჩვენ ვინ გვმარხავს, თუ გვმარხავენ ამიტომ, რომ არ ავმყარალდეთ. — მურადას გაეცინოდა.

— მურადა, მურადა, ილარიონ, მიშველე კვდება! — ვიბღავლე მე.

— მიშველე! — შემომხედა მურადამ და მერე თვალები დახუჭა.

— გათავდა, ღმერთო, რატომ ხელებს არ გამიხსნიბ! — თქვა ილარიონმა და სახელოთი ცრემლები მოიწმინდა.

ბებიამ ოშში დაღუპულივით შეიცხადა მურადა. გულშემყრილი მეზობლები მოცავდნენ და როფესაც გაიგეს რაში იყო საქმე, ქოქოლა დაგვაყარეს.

— არ გაიშვა თქვენი არაფერი, ყველაფერში უენაური და დამთხვეული როგორ უნდა იყოს ეს ოჯახი, გაგონილი ძაღლის ასე შეცხადება? — თქვეს და წავიდნენ.

ილარიონი მთელი დღე კაცისმკვლელივით დადიოდა. დღის ბოლოს დამიძახა და მითხრა:

— უნდა დავმარხოთ ამ ჭაღრის ძირში!

დიდი ორმო გავთხარეთ და მურადა სასოებით ჩავასვენეთ შიგ. ბებიას ერთი დოქი ღვინო გამოვთხოვე და მურადას საფლავზე ქელეხი გავმართეთ. პირველი სადღეგრძელო ილარიონმა თქვა:

— ზურიკო, ჩემო ბიძია, — დიწყო მან, — დღეს ჩვენ აქ შეგვყარა მძიმე და უბედურმა შემთხვევამ, ჩვენს რიგებს გამოაკლდა ჩვენი საყვარელი მეგობარი და ამხანაგი მურადა. იგი ძაღლივით ერთგული იყო და სამოთხის კარი ღიაა მისთვის, თუ ძაღლებს საერთოდ აქვთ სამოთხე. მისი ნათელი ხსოვნა მუდამ იქნება ჩვენს გულებში. ხსოვნა იყოს, ზურიკო ჩემო, მურადასი!

— მადლობელი ვარ, ილარიონ, ხსოვნა იყოს ჩემი მურადასი.

— ამ მეორე ჭიქით გაუმარჯოს მის ჭირისუფალს, მეტი სიმწარე არ ენახოს ამ ოჯახს. აკმაროს ეს დანაკლისი.

— მადლობთ, ილარიონ! — ეზოში შავი ძაღლი შემოიძურწა, საფლავს რამდენჯერმე შემოუარა, მერე მოშორებით დაჯდა და დაიყმუვლა თვალდახუჭულმა.

— მოვიდნენ მოტირალები. — თქვა ილარიონმა.

— ეს სიმონა ვეწისქვილის ძაღლია, მურადას დედა. — ვთქვი მე.

— ღმერთო ნუ გიფამრეე, მოდი აქ ძაღლო! — ძაღლი მიუახლოვდა ილარიონს. ილარიონმა ხორცის ნაჭერი გადაუგდო, ძაღლმა პირი არ დააკარა და მუცელზე გაწვა.

— ტანმა უგრძნო, — ვთქვი მე.

— მურადას შუბლებს გაუმარჯოს, იცოცხლე ძაღლო, მე მიდგას ფეხი თქვენს ცოდვაში. — თქვა ილარიონმა და დაღია.

— გაუმარჯოს, — ვთქვი მე. — ეზოში კიდევ ოთხი ძაღლი შემოიძურწა.

— ეს ასალოს ძაღლია, ეს დათიკოსი, ეს დესპინესი, ეს მაკასი. **მატრონს** თავგასიებული ძაღლი რატომ არ მოვიდა ნეტავი? — მკითხა ილარიონმა.

— ემდუროდა მურადას, შარშან ვაჩხუბე და დაკბინა მურადამ.

— ასეთ დროს მდურება ვინ გაიგონა, ფუი, შეეარცხვინე მაგის ძაღლობა, კაცი არ ყოფილა მაგი და გული არ ჰქონია! — თქვა ილარიონმა, და გადაფურთხა.

— მასპინძელო! — გაისმა უცებ ჩემს ალაგესთან.

— რომელი ხარ?

— შეიძლება?

— მობრძანდი! — ეზოში მახარე გოგიჩაიშვილის შვიდი წლის ბიჭი ჩამოვიდა.

— რა იყო, ბიძია? — კითხა ილარიონმა.

— დებეშაა ზურიკელას და შენს სახელზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაჩვენე აგერ! — ბიბმა დეპეშა გაუწოდა. ილარიონმა სათვალე ამოიღო, დაიფიქრა, ცხვირსახოცით გაამრიალა, ვაიკეთა და დინჯად დაიწყო კითხვა:

„ელვა, ზურიკელა სულძაღლიანს და ილარიონს ცხვირას.

ვიზიარებ თქვენს ღრმა მწუხარებას ძვირფასი მერადას ტრაგიკული დაღუპვის გამო, თქვენთან ერთად ცხარე ცრემლებით დავსტირი მის მძორს, განუზომელია ჩემი მწუხარება და გულის ტკივილი, არ ვიცი როგორ მოვინელებ ამ დანაკლისს. ეწუხვარ, დაკრძალვას ვერ ვესწრები. არ ვიცი როგორ განუგეშოთ, ძალი მიგაკვდათ ორივეს სულში. ვაი თქვენს პატრონს უმედურს. კურდღელზე სანადიროდ როდის მიდიხართ, არ გამომპაროთ. კეოლნიი ორივეს შუბლზე.

დამწუხრებული“.

— ხელმოუწერელია! — თქვა ილარიონმა.

— ვინ უნდა იყოს, ნეტაკი? — ილარიონმა მხრები აიჩეჩა.

— მოდი აქ, ბიძიკო! — უთხრა ილარიონმა დეპეშის მოტანეს.

ბიჭი მიუახლოვდა.

— ახლოს მოდი, ახლოს, ნუ გეშინია! — ბიჭი ისე ახლოს მივიდა, რომ ილარიონი თავისუფლად მისწვდა მის ყურს და ისე გადაატრიალა, რომ ბავშვმა ჩაის ფაბრიკის საყვირივით იბღავლა.

— ვინ მოგცა დეპეშა?

— მომკლავს, რომ ეთქვა!

— სულ ერთია, გინდა იმას მოუკლავხარ — გინდა მე. — თქვა ილარიონმა და საყვირი ისევ ჩართო.

— ილიკო ჩიგოგიძემ სამი მანეთი მაჩუქა და მითხრა — ეს დეპეშა მიუტანე ილარიონს და თუ გითქვია, მე რომ მოგეცი, ენას ამოგაძრობო.

— ილიკომ, ხომ?

— კი, ილიკომ!

ილარიონმა გაუშვა საყვირს ხელი და გულზე მუშტი დაიბარბუნა:

— მაცალე მე შენ, ილიკო ბრეციანო. — გულწრფელად შემეცოდა ილიკო.

ღამე ისე ჩვეულებრივად მოვიდა ჩვენს სოფელში, თითქოს იმ დღეს ჩვენს ოჯახში არავინ არ მომკვდარიყოს.

სიცხლი სიცხლისა ფილ

წელს ისევ გამომყვა საშემოდგომო გამოცდა რუსულში. კვირაში ორჯერ დავდიოდი სახლში რუსულის მასწავლებელთან სამეცადინოდ. საფასურს მასწავლებელს ბებია ნატერი უნაზღაურებდა: ერთი ბამბანი ლობიო, ოთხი წელი ოხის ყველი და ერთი ფუთი ღვინო ახალ მოსავალზე. ჩვენი ოჯახისათვის ეს დიდი შეღავათი იყო შარშანდელთან შედარებით. შარშან ორ საგანში მქონდა საშემოდგომო გამოცდა. ჩემი სამეცადინო დღე ასე იწყებოდა.

— ადექი, შე არაგდასარჩენო, გეყოფა აწი გორაობა, დაგგეკიანდა.—ამომძახებდა ბებია ქვედა სართულიდან. ამ დაძახილისთანავე წამოვიტეგბოდი, ოთახში გავირბენდი, ფეხსაცმელებს დავბაკუნებდი, სკამს ხრაგუნით გადავდგამდი ერთი ადგილიდან მეორეზე, მერე ფეხაკრეფით მივიპარებოდი საწოლთან და ისე შევეგორდებოდი ლოგინში, და ასე მეძინა, ვიდრე ბებია ერთ დოქ წყალს არ დამაცლიდა თავზე.

— ვის დაეშვგასე ასე ზანტაკი, შენ ჩემი ცოდვაო! სავსე!

— რა გინდა, კაცო, რა?!

— რა მინდა და სიკვდილი შენი, დაგმარხავი მერე ამ ჭაღრის ძირში მერადას გვერდით და გიტირებენ ორივეს! რუსულის სწავლას რა უნდა, ბიჭო, მთელი რუსეთი რუსულად ლაპარაკობს. შენ რა ღმერთი გიწყრება! ვინ იყო ჩვენს ოჯახში შენს მეტი რუსული რომ არ იცოდა! საწყალმა ბაბუაშენმა შეიდი წელი იცხოვრა რუსეთში, რომ ჩამოვიდა, მაგრამ რუსული ფოსტის ნაჩალნიკმა ივანე რუსმაც არ იცოდა.

— შტო ვი გოვორიწე? — გავიკვირვებდი მე.

— გაგიკვირდეს, ხო, გაგიკვირდეს, ორი საათი ელაპარაკა ივანე რუსს ბაბუაშენი, ისე ხმარობდა ორივე ხელს ლაპარაკის დროს, გეგონებოდა ფოლზე უკრავსო. ორი საათი პირდაფაჩენილი უყურებდა ყურს ივანე რუსი. მერე მოუბარუნდა ხალხს და ასე უთხრა: — მასეთი რუსული ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონიაო.

— ნე მოკეტ ბიწ! ისევ გავიკვირვებდი მე. ამ გაკვირვებას მოყვებოდა წკნელი კოჭებში და ჩემი გაქცევა მასწავლებელთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ზრდასრტვეი, ზაბლონა მასწავლებელო! — ვეტყოდი მისთვლისთანავე.

— ზდრასრტვეი, ჩტო მი სეგოდნია ბუდემ დელატ? — მკითხავდა ზაბლონა მასწავლებელი.

— სეგოდნია, გუშინ რომ ყანა დამრჩა გასათოხნი, იმას დავამთავრებ, პატომ, კაროვა ნა საბალახო, პატომ ნა წისქვილ პაიდუ და პატომ დრავას დავაპობ, ა პატომ უროკი.

— აბა შენ იკი! — მეტყოდა მასწავლებელი და იწყებოდა მეცადინეობა. ნაშუადღევს, საქმეს რომ მოვთავებდი, იწყებოდა დღის განმავლობაში განვლილი მასალის გამოკითხვა.

— გათოხნე?

— კი, მასწავლებელო.

— სიმინდი ხომ არ დაღერღა მეწისქვილემ?

— ისე სუფთად დაფქვა, გიკრა არ უნდა.

— ძროხას წყალი დაალევინე?

— წყალიც დავალევინე და ბალახიც დავუყარე.

— შეშა?

— იმდენი დავაპე, ერთ კვირას გეყოფათ.

— შტო ტაკოე გრამატიკა?

— გრამატიკა გრეჩესკოე სლოვო!

— ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარ, გაიქეცი ახლა სახლში!

ის იყო ბებიას დაშაქრული ბალობა გავიგონე და მორიგი მეცადინეობისათვის მოვემზადე, რომ ჩვენს ეზოში ილიკო ჩამოვიდა და ბებიას თხოვა:

— ოღლას ვინაცვალე, თუ არ გეწყინება, ზურიკელა უნდა მათხოვო დღეს.

— მერე, შენ ასწავლი რუსულს?

— ისეთ რუსულს, ზაბლონა რომ ასწავლის, მეც კი ვასწავლი, შე ქალო. ორი ქცევა ყანა მაქვს გასათოხნი, მივაყენებ და იმდენს ვათოხნიე, რომ რუსული კი არა, ისე გახდეს, მაგის ლაპარაკი ჩინურად გეყურებოდეს. ამაში არც ლობიოს მოგთხოვ და არც ღვინოს!

— გახმა შენი ენის ძირი, რაში გეჭირდება?

— შენ გამოუშვი ჩემთან და მაგი მე ვიცი!

— წაყვები, ბიჭო, მაგ მეორე თვალდასაფსებს, ვნახოთ ერთი როგორ რუსულს გასწავლის!

— ვპერიოდ! — მითხრა ილიკომ და წინ გამიძღვა.

— რაშია საქმე, ილიკო?

— სათხოვარი მაქვს შენთან, ჩემო ზურიკო, ილარიონთან უნდა მიმეგზავნო.

— რაზე?

— ღვინო მინდა სამი ფუთი, ხომ იცი, მასეთ ღვინოს ჩვენს სოფელში კაციშვილი ვერ აყენებს.

— უთხარი ბებიას და ბებია მოგცემს.

— ბებიაშენს კვაწარახი რად მინდა, შე მამაძაღლო, წნილს კი არ ვამყავებ, ქალაქიდან ბიჭის წერილი მომივიდა, გამოცდა ეწყება და სასწრაფოდ ღვინო გამომიგზავნეო.

— მერედა, გამოცდაზე ღვინო რად უნდა?

— მაგი შენს გამხმარ ტენიში არ შეეკ, სანამ უმაღლესში არ შეხვალ. ახლა, მე რომ გეუბნები, ისე გააკეთე: მიდი ილარიონთან და სთხოვე ,ან მომყიდოს ან მასესხოს. შენი დიდი ხათრი აქვს, უარს არ გეტყვის.

— წადი და შენ თვითონ უთხარი.

— ზურიკოს ვინაცვალე, ნუ გამომჭრი ყელს და ნუ გამაწბილებ, მურადაზე რომ დებეშა გამოგიგზავნეო, იმის შემდეგ სათოფეზე არ მიკარებს. თუ უარი გითხრა, მერე მე ეიცი და ჩემმა ბიჭობამ.

— რას ამბობ?

— რას და უნდა გამიგო რომელ ჭურში უსხია ის ცოლიკური, სპირტივით რომ ცეცხლს მიყვება, და ისეთ ფოკუსს გავაკეთებ, მთელი სოფელი მაგაზე ლაპარაკობდეს.

— რა ფოკუსს?

— შენ ღვინიანი ჭური დამინიშნე და ნაშუადამეკს ილარიონის ჭურიდან ღვინო გაკრება და ჩემი ბიჭის პროფესორის ვანის ოთახში რომ აფთიაქის დიდი ბოცები დგას, იმაში აღმოჩნდება!

— ხომ არ გაგიჟდი?

— სუ, ნუ დაგიღია პირი და ნუ ღრიალებ. ჩემს თუთუნს რომ ვაჩაე ილარიონის ნაჩუქარი ჩიბაკიდან, დაგაეწყდა?

— იმ თუთუნმა გაგიჩინა ჭლექი მე და ილარიონს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ათი კვერცხი თუთუნი და — სამარე ხარ.

— ეხლავე მომეცემ?

— ეხლავე!

— წადი სახლში და მოგაკითხავ პასუხით.

— აბა შენ იცი!

— ნახვამდის!

ილიკომ შუბლზე მაკოცა, ლოყაზე ხელი მომითათუნა, მერე ის ცალი თვალი ისე გამიყარა თვალში, კეფაზე ხელი მოვისვი, ხომ არ გამხვრიტა-მეთქი, და მითხრა:

— ბიჭო, ხომ იცი, ილიკო ჩიგოგიძის ღალატი სამშობლოს ღალატია!

— არ გრცხვენია, ილიკო? — ვიწყინე მე და გულდამშვიდებული ილიკო სახლში გავეშვი.

ილარიონის ეზოში ჩავედი, ივანზზე დაყრილ საჩირე ვაშლს მზე სისხლს უშრობდა. ილარიონი ცაცხვის ძირას გაგებულ ოხის ტყავზე წამოწოლილიყო და ერთი კვირის გაზეთს დიდი გულმოდგინებით კითხულობდა. ჩვენს სოფელში არ არსებობს გუშინდელი, გუშინწინდელი და დღევანდელი გაზეთი. გაზეთი ერთი კვირისაა ყოველთვის.

— გამარჯობა, ილარიონ!

— ზურიკელას გაუმარჯოს, რა უნდოდა იმ ბრუცაანს ამ დილით?

— ისე გამოიარა, წერილი მიუღია ბიჭისგან და წამაკითხა, ჩემი მოკითხვა ეწერა შიგ.

— რას წერს ის ბედოვლათი?

— გამოცდა მოახლოდდაო.

— რვა წელია სწავლობს და აღარ გაუთავდა ეს გამოცდები?

— ღვინო გამომიგზავნეო, წერს.

— მერე და ილიკოს ღვინო ვის გაუგია?

— სწორედ მაგაზე იყო ჩემთან, ილარიონთან მიმეგზავნე მასესხოს ან მომყიდოს ერთი სამი ფუთი ღვინოო!

— დარიშხანი არ უნდა?

— არა, ღვინო უნდა.

— აბა მაგის დამთხვეული ბიჭის დასალევი ღვინო მე არ მაქვს.

— ბიჭისთვის არ უნდა, გამომცდელებს უნდა მიართვას ძღვნად.

— მერე, დიპლომს ჩემს სახელზე თუ მაგის გამოთაყვანებული ბიჭის სახელზე გამოწერენ?

— არ ვიცი.

— წადი, აბა, გამიგე მაგი და მერე მოდი!

— შენ რა გენაღვლება?

— რავა რა მენაღვლება, ბიჭო, ჩამოვა მერე სოფელში მასეთი ღვინით დადუღებული ავრონომი და კორკიმელს ჭაუჭურს უძახის!

— ცოდვაა.

— ცოდვა ჩვენ არ ვიყავით, პილპილიანი თუთუნი რომ გვაქაჩვია და მურადაზე სამძიმრის დეპეშა რომ გამოგვიგზავნა?

— მაგი მართალია!

— ჰოდა, ნუ მეხვეწები ახლა.

— რა თქვა, თუ იცი?

— რაო?

— თუ უარი გითხრას, მაგის ღვინიანი ჭური დამინშნე და ნაშუალამევს გავაქრობო.

— ხომ კი? ახლა მინდა ზურიკელა შენი მოხმარება. შემწყვე ხელი და მე ვიცი შენი პატივისცემა.

სალამოს ილიოსთან ვიყავი და თუთუნზე ვევაჭრებოდი:

— ორ კვერცხ თუთუნს მოგცემ, მეტი არ მაქვს!

— რაო? ჭური რომ დაგინშნე?

— ჯანდაბას შენი თავი, ოთხი იყოს!

— ათი!

— ოთხი!

— ათი!

— მოგკლავს, შე უპატრონო, ათი კვერცხი თუთუნი, დაგილპობს ფილტვებს, ხომ ხედავ, მე ღანდი რომ გამდის ყურებში, თუთუნი მიშვება ამას!

— ნუ ჯავრობ შენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხუთი!

— არც ერთს არ დაიკლდება, თუ გინდა მომეცი, თუ არა და წავალ და ყველაფერს შენ-ვეუყვები ილარიონს.

— ა და გასკეს შენი გაუმაძღარი მუცელი, — მითხრა ილიკომ და თუთუნი წინ და-მიყარა, — ოღონდ, შენ უნდა წამაყვე და მომეხმარო!

ნაშუადამეს ილარიონის მარანთან, წინდაწინ გარღვეული ღობის ძირში ვიწექით. ბა-ლახი დაცვარული იყო. ცხიკ, ცხიკ, ცხიკ, — დამაცემინა ზედიზედ.

— არ გაეზარდე შენს პატრონს, ამხელა მუტრუკმა ცხვირს ვერ უნდა მოუარო? — გამიბ-რაზდა ილიკო და მუჯლუგუნი წამკრა.

— აგერ ის ჭურია, სამოცფუთიანი, ჯობი რომ აქვს თავზე დასობილი. — გადავუჩურჩუ-ლე ილიკოს. ილიკო ამოძრომილ სარეებში გაძვრა და ხელით მანიშნა მომყევიო. გუდა იღლიაში ამოვიჩარე და ფორთხვით მივყევი. ჭურთან მივფორთხდით.

— აბა ჰე, დავიწყოთ! — თქვა ილიკომ და თოხი მომაწოდა.

ფრთხილად და სწრაფად ვმუშაობდით. თხუთმეტ წუთში ჭურის თავი გამოჩნდა.

— ახადე თავი! — მითხრა ილიკომ და გუდის მომზადება დაიწყო. ჭურს იმხელა პირი ჰქონდა მე და ილიკო ორთავე თავისუფლად ჩავძვრებოდით შიგ. ავსადე თავი, ილიკომ თავი ჭურში ჩაყო და უცებ ძალლივით შემომღრინა:

— რაა, ბიჭო, ეს ცარიელია?

— რას ამბობ, ილიკო, ნაკლულია, ცოტა უფრო ღრმად ნახე.

ილიკო გადაიხარა ჭურში. მე უკან ვიდექი.

— ჰაიტ, თქვე ჯიბგირებო! — იკივლა უცებ ილარიონმა და გადმოხტა სეროში გახვე-ული მსხლიდან, — დაგხოცავთ ახლავე!

— არიქა, უშველე თავს! — ვიყვირე მე და ფეხში ვსტაცე ხელი, მაგრამ ილიკო გასხლტა და ჭურში გადაეშვა კისრით.

— რომელი ხარ შენ, თქვი თორემ გაგათავე, — მტაცა ხელი ილარიონმა.

— მე ვარ, ილარიონ, არ მომკლა, — შევეხვიენ ხმის კანკალით.

— მეორე სადაა?

— არ ვიცი!

— თქვი, თორემ გაგათავე!

— არ ვიცი, ილარიონ ბაძია!

— ვინ იყო?!

— არ ვიცი!

— როგორ არ იცი, ერთად იყავით!

— არ ვიცი!

— ახლა ეს ჭური დაგიზე, როგორც მოთხარე, თორემ სულს ამოგიღებ და მერე ბოგელ-პარაკები! — მითხრა ილარიონმა და ისევთი სიღა მთხლიშა, გეგმით გათვალისწინებული კრუ-სუნის ნაცვლად ბღავილი აღმომხდა. ჭურს თავზე დიდი ქვა დავახურე, ავიღე თოხი და ის იყო მიწა უნდა მიმეყარა, რომ ჭური გრძნეულივით ალაპარაკდა.

— ღმერთო ძლიერო, გახვიქე მიწა და ჩაიტანე შიგ ყველა მაცდური უპირო, კუდიანი და პირშავი. ზეცაო ძლიერო, დაეცი მეხი თავში ილარიონს შევარდნაძეს და ზურიკო ვაშალო-მიძეს ჩემი გაბითურებისათვის.

— რომელი ხარ მანდ, თქვი თორემ დაგანთხევიე ტვინი, — თქვა ილარიონმა და თოფის ტუჩი ჭურში ჩაყო.

— ილიკო, ვარ, ილარიონ ცხვირა, გაწიე თოფი, ცოდვა არ დაატრიალო!

— ილიკო კი არა, მთხლე ხარ. რა გინდა ცარიელ ჭურში?

ისე გადავიხარხარე, სუნთქვა შემეკრა.

— ილარიონ, მპარხავ ცოცხლად? რას ეუბნები ღმერთს?

— ღმერთს რა უნდა ვუთხრა, ეშმაკს და კუდიანს თუ დავმარხავ, მადლობის მეტი რა ეთქმის?

— ამომიყვანე, ილარიონ!

— წადი, ზურიკელა, გაალვიძე მეზობლები, ნახონ ერთი, რა ცალთვალა მაჩვი მყავს ჭურში.

— ილარიონ შევარდნაძე, ნუ გამომიყვან თემშარაზე და ნუ გამაჯირითებ, ისიც მეყოფა, ამ დაშპალ ჭურში რომ ვიღრჩობი, გეყოფა ახლა ხუმრობა!

— ხუმრობა კი არა, დაგგიზავ ახლა და არყად გამოგხდი ერთ თვეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე და ვის რად უნდა მაგისგან გამოხდილი მყრალი არაყი, დაწმალავს ქვეყნიერებას ვთქვი მე.

— ზურიკელა, გამყიდე ხომ თხასავით?

— შენ რომ პილპილიანი თუთუნი მომეცი და სამძიმრის დებეშა გამოგვიგზავნე? იჯეკი ახლა მანდ და ყლაპე გოგირდი.

— ამომიყვანეთ, თქვე ღვთის პირიდან გადავარდნილებო, რაღაც ორი დღე სიცოცხლე დამრჩენია და ნუ გამატარებიეთ ჭურში!

— ნუ გეშინია, არ მოკვდები, შენი დღე და მოსწრება ჭურში ზიხარ და არ იცი რა ხდება ამ ქვეყანაზე და ახლა გაგიჭირდა? — უთხრა ილარიონმა.

— ამოვიყვანოთ, ცოდვაა! — ვთქვი მე.

— ამოვიყვანოთ, ოღონდ ხმამაღლა დაიძახოს მთხლე ვარო!

— თანახმა ხარ? — ეკითხე ილიკოს.

— მთხლეი ვარ, მთხლეი! — ამოგვძახა ილიკომ ვანწირული ხმით.

ჭურიდან რომ ამოძვრა ილიკო, ისე ღრმად ჩაისუნთქა ღამის ნოტიო ჰაერი, გეგონებოდათ ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებული წყალქვეშა გემის ეკიპაჟის წევრი ყოფილიყოს. მერე გუდა აიღო, საჩვენებელი თითი მოღუნა და გვითხრა:

— მაჯობეთ, და ეკეკვავ თითს! — მერე გაბრუნდა და ბუზღუნით გაუდგა გზას.

— სად მიდიხარ, უმადურო, არ დაგველოცავ? — ჰკითხა ილარიონმა.

— აგაშენათ ღმერთმა, მადლობელი ვარ, ძალიან პატივი მეცით! — თქვა ილიკომ.

— მასე არა, ღვინით! მოთხარე, ბიჭო, ეს ჭური! — მითხრა ილარიონმა და ღვინით სავსე ჭურზე მიმითითა. სანამ ჭურს მოვთხრიდი, ილიკოს ნაჩუქარი თუთუნი ამოვიღე და გახვევა დავუწყე.

— არ მოწიო, ბიჭო, პილპილიანია! — გამაფრთხილა ილიკომ.

მამლის უკანასკნელ დაყივლებამდე ისმოდა ილარიონის ჭურის თავზე სადღეგრძელოები, ხმამაღალი კოცნა და სიმღერა:

„სამი ძმანი გურულები
მუშაობდნენ ყანასა,
სამუშაოც კარგი ჰქონდათ,
დასძახაოდნენ ნანასა...“

დილით მე და ილარიონი ბარბაცით მივთრეედით სახლში ილიკოს და ღვინით სავსე გუდას.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აშშ

პიკანტური ბალზაკი

გამოვდა ონორე ბალზაკის „ლეგენდა მოთხრობების“ ახალი გამოცემა. რათა წიგნი უფრო პიკანტური გახდეს ამერიკელი მკითხველისათვის, გამომცემლობამ ყველაზე დაბუნდა ცნობილი ფრანგი კინოვარსკვლავის ბრიჯიტ ბარდოს პორტრეტი. მსახიობი ქალი გადაღებულია იმ დროს, როცა ის წერს: „სწორედ ბალზაკმა მომაგონებინა საიდუმლოება ჩემი სექსებილისა“ (ამერიკული კინოთერმინი, რომელიც აღნიშნავს „სქესობრივ მიმზიდველობას“).

ცემა თუ უშველის

100 ბმით 48-ის წინააღმდეგ ნიუ-იორკის შტატის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც პედაგოგებს ნება ეძლევათ ცემით დასაჯონ მოსწავლეები. კანონში წერია, რომ ესაა „ძალის გონივრული გამოყენება“. კანონპროექტის ავტორმა ჯეროუე კორსომ განაცხადა, ამ კანონის ერთადერთი მიზანია, ეპრძოლის დანაშაულს, რომელსაც სჩადის ახალგაზრდობა და რომელიც ლამის არის წალეკოს ნიუ-იორკის შტატი.

საფრანგეთი

„ანტიგონა“ სოფიის სცენაზე

სოფიის სახალხო თეატრში „ჭრისტინე სარაფოვი“ დიდგა სოფოკლეს განთქმული ტრაგედია „ანტიგონა“. „ანტიგონას“ დასადგმელად საგანგებოდ მოიწვიეს ცნობილი ბერძენი რეჟისორი მუზენიდისი, რომელსაც ამ პიესაზე მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და მრავალჯერაც დაუდგამს ის საბერძნეთის ბევრ თეატრში.

გერმანია

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

საქართველოს კინოხელოვნება

ყურნალ „ფილმშაბგელში“ დაიბეჭდა წერილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში კინოხელოვნების განვითარების შესახებ. წერილში საქართველოს კინოხელოვნების შესახებ ნათქვამია:

„ქართულმა ფილმმა, რომელსაც დიდი ისტორიული წარსული აქვს, უკანასკნელ წლებში უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

საქართველოში კინოხელოვნება ჯერ კიდევ 20-იან წლებში აღმოცენდა. პირველმა ქართულმა ფილმებმა ივანე პერესტიანის „ფოთელმა ეშმაკუნებმა“, ნიკოლოზ შენგელაიას „ელისომ“, მიხეილ ჭიაურელის „ხაბამ“ და „ზაბარდამ“, აგრეთვე 30-იანი წლების მისივე „უკანასკნელმა მასკარადმა“ და „არსენამ“ შორს გაუთქვა სახელი ქართველ რეჟისორებს და ისინი საბჭოთა კინოხელოვანთა მოწინავე რიგებში ჩაალენა...

ახალგაზრდა ქართველი რეჟისორების რეგაზ ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის ფილმები დიდ ტალანტსა და ნიჭიერებაზე მეტყველებენ. მათს პირველ ერთობლივ ფილმს „მაგდანას ლეგენდა“, ლრმად ლირიულსა და მომავალდიდებლად სადა სურათს — დიდი წარმატება ჰქონდა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთაც“.

გიდსტრუპის გამოფენა

ქ. როსტოკში გაიხსნა ცნობილი დანიელი მხატვარ-კარიკატურისტის ჰერლუფ ბიდსტრუპის ნახატების გამოფენა, სადაც წარმოდგენილია 250 ნაშუშევარი. ეს მხატვრის ნამუშევართა პირველი გამოფენაა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ბიდსტრუპმა, რომელიც გამოფენის გახსნას ესწრებოდა, მრავალთასიანი დამსწრის წინაშე განაცხადა, ამ გამოფენას ვუძღვნი დანიასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებასო.

„გულივერის მოგზაურობა“ ეკრანზე

დეფას პოპულარულ-სამეცნიერო ფილმების სტუდიაში დაიწყეს სრულმეტრაჟიანი ფერადი ფილმის „გულივერის მოგზაურობის“ გადაღება. ფილმს იღებენ დეფა და ლო-

ძის (პოლონეთი) პოპულარულ-სამეცნიერო ფილმების სტუდია. მაყურებელი გულთბილის თვალით შეიცნობს სამყაროს და მატერიას, მოვლენათა ურთიერთკავშირს და ურთიერთდადამოკიდებულებას. ფილმის რეჟისორები არიან მანფრედ გუსმანი და იანუშ სტარი, გულთბილის როლს ასრულებს პოლონელი მსახიობი მარეკ იოზეფოვიჩი.

ᲑᲔᲠᲫᲜᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲪᲘᲡᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐ

ᲕᲐᲒᲜᲔᲠᲘᲜᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ

მაირეიტში ტარდება ვაგნერისადმი მიძღვნილი ტრადიციული ყოველწლიური ფესტივალი. ფესტივალი გაიხსნება ვაგნერის ოპერით „მფრინავი ჰოლანდიელი", რომლის დირიჟორი იქნება კიმპოზიტორის შვილიშვილი ვინანდ ვაგნერი. წელს ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ოპერები „ლოენგრინი", „ტანჰოიზერი", „პარსიფალი" და „ტრისტან და იზოლდა". „ნიბელუნგების რკალის" ციკლი 1980 წლისთვისაა დაგეგმილი.

„ᲦᲐᲛᲔ ᲨᲠᲔᲓᲘᲠᲘᲡ ᲬᲘᲜ"

ცნობილი ამერიკელი ზანგი მუსიკოსი ლუს ამსტრონგი მონაწილეობას მიიღებს ახალ ფილმში — „ღამე შრედერის წინ". ფილმში მასთან ერთად ითამაშებს მარიკა რო�sტ.

ᲛᲝᲙᲚᲔᲛᲔᲢᲠᲐᲕᲘᲜᲘᲡ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ

ამას წინათ ობერჰაუზენში გაიმართა დასავლეთ ევროპის ქვეყნების მოკლემეტრაჟიანი ფილმების V ფესტივალი. პირველი პრემია მიენიჭა ჰოლანდიურ ფილმს „ჭიქა", რომლის რეჟისორია ბერტ ჰაანსტრა; მეორე პრემია მიენიჭათ ჩეხურ ფილმს — „როგორ ხატავენ ბავშვები" და პოლონურ ფილმს — „ცხოვრება ისე მშვენიერია".

ᲓᲐᲜᲘᲐ

ᲰᲐᲜᲡ ᲙᲘᲠᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲜᲘᲗᲜᲘ

კოპენჰაგენის პროგრესულმა გამომცემლობამ ტიდელმა გამოსცა ჰანს კირკის მოთხრობების ახალი კრებული — „მეშჩანური მოთხრობები". გამომცემლმა დანიელმა პროგრესულმა მწერალმა თავის მოთხრობებში ხატრიკოსის მახვილი კალმით აღწერა წვრილი და ზანელი ბურჟუაზიის სულიერი ცხოვრება.

ᲘᲜᲓᲝᲚᲝᲒᲘᲐ

ᲑᲔᲠᲜᲐᲠᲓ ᲠᲐᲡᲔᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ

განოქმულმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ბერნარდ რასელმა ჯერ კიდევ 1937 წელს იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების დღე — 1962 წლის 1 ივნისი, და თავის თავს ნეკროლოგი დაუწერა. წელს, 18 მაისს, რასელი 87 წლისა ხდება და მომდევნო თვეებში აპირებს რადიოში წაიკითხოს თავისი ნეკროლოგი, რომელშიც ერთი სიტყვაც კი არ შეუცვლია. კითხვაზე, რაღა მაინცდამაინც 1962 წლის 1 ივნისი დაადგინეთ თქვენი სიკვდილის დღედ, გამოჩენილმა ფილოსოფოსმა მიუგო, ზოგ რამეში უკვე გადავშორდი 90 წლის ასაკს, რომელიც, როგორც ჩანს, ზღვარია კაცთა ცხოვრებისა დედამიწაზე. „უნდა გამოვტყდე, — თქვა რასელმა, — რომ რაც უფრო ახლოვდება ეს თარიღი, მით უფრო, ცოტა არ იყოს, ენერვიულობ".

ᲮᲣᲚᲘᲒᲐᲜᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ინგლისელ და ამერიკელ მხატვრებს გაცხოველებული კამათი აქვთ განთქმული „მხატვრისა" და ტელეხედვის „ეინოვარსკვლავის" მაიმუნშიმპანზეს კინოკოს „ნამუშევრების" თაობაზე. ამ კამათის „ბერმრმ" კი, თავისი „მხატვრული კარიერის" მწვერვალზე ყოფნისას, „ხულიგნობის გამო" თავი ამოჰყო ლონდონის ზოოპარკის გისოსს იქით და მისმა თაყვანისმცემლებმა ზოოპარკს უნდა მიაშურონ. საქმე ისაა, რომ ტელეხედვიდან უკანასკნელი გამოსვლისას „მხატვარმა" დაკაწრა ტექნიკოსი, წითელი საღებავით შეუღება სახე ტელეხედვის ერთ კრიტიკოსს და, დასასრულ, დააპირა ტელესტუდიის ერთ-ერთი თანამშრომლისთვის ყურის მოგლეჯა.

ᲘᲜᲓᲝᲚᲝᲒᲘᲡᲔᲚᲘᲡᲐ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ „ᲜᲘᲣ ᲡᲢᲐᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡ" მხატვრულმა კრიტიკოსმა ჯონ ბერგერმა წაიკითხა რუსული ფერწერის გამოფენის მხსნელთა შეთანეკლილებების წიგნი — ეს გამოფენა წელს მოეწყო ლონდონში. „ᲔᲗ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ ᲬᲐᲕᲘᲙᲘᲗᲮᲔᲑᲓᲘ ᲨᲔᲗᲐᲜᲔᲙᲘᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲗᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲠᲔᲪᲘᲡᲣᲚᲘᲐ, — წერდა ბერგერი. — ᲯᲐᲚᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲣᲪᲮᲝᲕᲠᲘᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲜᲐᲗ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲐ. ᲩᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲑᲠᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲐᲠᲐᲜ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲙᲕᲔᲧᲐᲜᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝᲑᲐ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ ᲛᲘᲓᲘᲡ". ერთ-ერთ ჩანაწერში ნათქვამია: „ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲖᲝᲒᲘ ᲪᲝᲪᲮᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝᲡ ᲒᲣᲚᲘ ᲒᲐᲣᲢᲧᲝᲑᲐ ᲘᲛ ᲐᲛᲑᲐᲖᲘᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲛᲝᲤᲝᲜᲔᲑᲖᲔ ᲐᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲔᲑᲐ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲒᲐᲣᲯᲔᲑᲐ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სურათი". ერთ ჩანაწერშიც ნათქვამია: „ყოველთვის შიში ჭმონდა, კომუნიზმის დროს ადამიანი თავის ინდივიდუალობას დაკარგავს-მეთქი. ახლა ვხედავ, რომ ამის საფრთხე არ არსებობს".

ირანი

დარიუსის სასახლე

ირანის უძველეს ქალაქ პერსეპოლში მიმდინარეობს დარიუსის სასახლის გათხრები. ეს სასახლე აგებულია 518 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე და დანგრეულია 320 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე ალექსანდრე მაკედონელის მიერ. უკვე გათხარეს მისაღები დარბაზი, რომლის მოცულობაც ამჟამად მეტყველებს სასახლის არაჩვეულებრივ სიდიდეს — დარბაზის სიმაღლეა 18 მეტრი, მისი ჭერი დაყრდნობილია 36 სვეტზე. პერსეპოლის ბიბლიოთეკას იმ დროს ჭქონდა 30.000 თიხის ფირფიტა, რომელთა ნაწილი უკვე ნაპოვნია.

იტალია

როსინის მივიწყებული ოპერა

მილანის თეატრმა „ლა სკალამ" დიდი წარმატებით განაახლა როსინის ოპერა „მოსე". ეს ნაწარმოები, რომელსაც საზღვარგარეთ თითქმის არ იცნობენ, პირველად დაიდგა ნეაპოლის თეატრ სან-კარლოში 1818 წელს. 1827 წელს როსინიმ მთლიანად გადაამუშავა ოპერა. მოსეს არია და დიდი გუნდი როსინის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება.

ტურგენევის ინსცენირება

რომში თეატრსა და ტელევიზიაში იდგმება ტურგენევის რომანის „მამებისა და შვილების" ინსცენირება. ინსცენირება ეკუთვნის განქმეულ იტალიელ მწერალს ალბერტო მორავიას. სპექტაკლმა სცენაზეც და ტელეეკრანზეც დიდი ინტერესი გამოიწვია.

„ჩემი იტალია"

ცნობილი იტალიელ კინორეჟისორსა და მსახიობს ვიტორიო დე სიკას განზრახული აქვს ჩეზარე ძავატინთან ერთად გადაიღოს ფილმი „ჩემი იტალია", რომელშიც უნდა ასახოს დღევანდელი იტალიის რეალისტური სურათი. გარდა ამისა განზრახულია ეროვნული ბიბლიოთეკა

გარიბალდის ქალიშვილი

91 წლის ასაკში გარდაიცვალა კლელია გარიბალდი, იტალის გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდი გმირის ჯუზეპე გარიბალდის ქალიშვილი. უკანასკნელი წლები მან სრულ სიმარტოვეში გაატარა კუნძულ სარდინიაზე, სადაც მამამისი განისვენებს. კლელია გარიბალდიმ დაწერა დიდი რევოლუციონერის ცხოვრების ამსახველი რომანი — „მამაჩემი".

მეტისმეტი ზნეობა

ფრანგულ გაზეთ „მონდის" ცნობით, სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია სწავლობს საკითხს, თუ მარმარილოს სამოსის მეშვეობით რანაირად დაფარონ ქანდაკებებიანი შიშველი ანგელოსები, რომლებიც ამკობენ წმ. პეტრეს ტაძარს. ვატიკანის აზრით ეს ანგელოსები უზნეოდ გამოიყურებიან.

ათეისტი, მატერიალისტი, უზნეო

ვატიკანის ყოველკვირეულმა ორგანომ „ოსერვატორე დელა დომენიკამ" ერთ-ერთი თავისი მკითხველის, კათოლიკე მღვდლის თხოვნით გამოთქვა თავისი პოზიცია თომას მანის მიმართ. რედაქციამ ამ დიდ გერმანელ მწერალს უწოდა ათეისტი და მატერიალისტი, რომლის ნაწარმოებებიც ძალზე საეჭვოა ზნეობრივი თვალსაზრისითაც. ფურნალის აზრით, თომას მანის წიგნების წაკითხვა შეუძლიათ მხოლოდ მტკიცე და ჯანსაღი ზნეობის მქონე ადამიანებს.

„ჩემი იტალია"

ცნობილი იტალიელ კინორეჟისორსა და მსახიობს ვიტორიო დე სიკას განზრახულია აქვს ჩეზარე ძავატინთან ერთად გადაიღოს ფილმი „ჩემი იტალია", რომელშიც უნდა ასახოს დღევანდელი იტალიის რეალისტური სურათი. გარდა ამისა განზრახულია შეიქმნას ფილმი საფრანგეთის რევოლუციის გმირის რობესპიერის შესახებ.

ლიბანი

3.000 წლის ლექსიკონი

ფრანგმა არქეოლოგმა კლოდ შეფერმა ბეირუთში წარმოებული გათხრების დროს იპოვნა 3.000 წლის წინანდელი ლექსიკონი, რომელიც შედგენილია ოთხ ენაზე და ერთმანეთს ადარებს სუმერულ, ბაბილონურ, ხურიტულ და უგარიტულ ენებს. უგარიტული ენა ძველებრაულს უახლოვდება. ლექსიკონში მოცემულია ავრეთვე სხვადასხვა სიტყვის წარმოთქმა.

მექსიკა

ახალი მექსიკური ფილმი

მექსიკელი ხალხის ბრძოლა ამერიკელი დამპყრობლების წინააღმდეგ — ეს თემა ახალი მექსიკური ფილმისა „უკანასკნელი მეამბოხე". ფილმის რეჟისორია მიგელ კონტრერესი, მთავარ როლს ასრულებს განთქმული არგენტინელი კინომსახიობი კარლოს გამსონი. ფილმში მოქმედება წარმოებს კალიფორნიის იმ ტერიტორიაზე, რომელიც დაიპყრეს ამერიკელებმა XIX საუკუნეში.

პოლონეთი

ვოლანდილეობს 31 ქვეყანა

ოსვენციმის ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტო-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲠᲘᲐᲖᲔ ᲒᲐᲜᲘᲮᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲘᲡᲐ ᲛᲘᲛᲝᲛᲬᲘᲡᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ-ᲛᲬᲘᲤᲝᲛᲬᲘᲡᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ — ᲔᲡᲐᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲘᲛ ძᲔᲚᲖᲔᲚᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲥᲪᲣᲚᲘ ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲬᲐᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲪᲘᲤᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲗᲐ ᲛᲝᲬᲐᲛᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲜᲘᲜᲐ ᲓᲐᲜᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲝᲡᲢᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ 14 ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ.

ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ 31 ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲕᲜᲘᲚᲘ 426 ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲐᲪᲕᲠᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ 50 ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ — 49, ᲩᲔᲩᲜᲘᲗᲐ — 58, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛ — 22, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛ — 41. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲕᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲗ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ, ᲪᲔᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲠᲘᲪ ᲮᲐᲚᲘᲡᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲝᲡᲢᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲬᲐᲠᲗᲣᲚᲘ ძᲔᲚᲘ? ᲠᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡᲫᲔᲓᲘᲗ ᲘᲡ? ძᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲙᲚᲝᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲐᲢᲘᲪᲙᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲒᲠᲫᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲓᲔᲕᲘᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲝᲛᲑᲘᲡ. ᲛᲐᲜ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲠᲬᲘᲕᲝᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲒᲠᲘᲙᲝᲚᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲡ ᲜᲐᲧᲠᲫᲐᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲐᲛᲔ. ᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲘᲜᲔᲑᲐᲐ ᲑᲐᲜᲐᲯᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲜᲐᲧᲠᲫᲐᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲐᲛᲔ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲛᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲐ ᲓᲠᲝᲛᲘ ᲛᲝᲜᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲘᲜ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲗᲮᲝ ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲘᲓᲔᲕᲘᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲝᲛᲑᲘᲡ. ᲛᲐᲜ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲠᲬᲘᲕᲝᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲒᲠᲘᲙᲝᲚᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲚᲘ ᲑᲐᲚᲘᲡᲐᲛᲘ. ᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲪᲘᲜᲔᲑᲐᲐ ᲑᲐᲜᲐᲯᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲜᲐᲧᲠᲫᲐᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲐᲛᲔ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲛᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲘᲜ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲛ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲘᲠᲙᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕᲘᲪ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲝᲛᲑᲘᲡ. ᲛᲐᲜ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲠᲬᲘᲕᲝᲗ ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲐᲒᲠᲘᲙᲝᲚᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲜᲐᲧᲠᲫᲐᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲘᲡᲐᲛᲔ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲣᲛᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲜᲘᲐᲜᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲕ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲜᲣᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲘᲜ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲘᲡ ᲜᲘᲜᲐ ᲓᲐᲜᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ ᲝᲡᲢᲔᲜᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ 14 ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ.

ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ 31 ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲕᲜᲘᲚᲘ 426 ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ. ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲘᲐᲪᲕᲠᲔᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ 50 ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ — 49, ᲩᲔᲩᲜᲘᲗᲐ — 58, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛ — 22, ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲛ — 41. ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲐᲕᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲗ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ, ᲪᲔᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲠᲘᲪ ᲮᲐᲚᲘᲡᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲝᲡᲢᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲦᲬᲐᲠᲗᲣᲚᲘ ძᲔᲚᲘ? ᲠᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘᲡᲫᲔᲓᲘᲗ ᲘᲡ? ძᲔᲚᲘ ᲐᲠᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲠᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲙᲚᲝᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲐᲠᲜᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲘᲡᲐᲢᲘᲪᲙᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲛᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲐᲒᲠᲫᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ Ც

ვეხი ინდოეთელური მანერითა და ტექნიკით. ეს ბედნიერი მოდელი, რომელსაც უკვდავᲛᲧᲝᲤᲘᲝ ამდენი გამოჩენილი მხატვარი, გახლავთ ბერძენი ქალი ვივიანო თეოფილიდისი, პარიზის სამხატვრო სკოლის სტუდენტი, რომელმაც 10 კვირის განმავლობაში 386 საათი ამ მხატვრების სამუშაო სეანსს მოანდომა.

წინაპრდმდეგობის მოძრაობა

საფრანგეთის კინემატოგრაფიას დიდი ხანია ალარ მიუმართავს წინაპრდმდეგობის მოძრაობის თემებისათვის. ამჟამად ახალგაზრდა კინორეჟისორი ჟან ვალერი, ცნობილი კინორეჟისორების კიაიას და კარნეს ყოფილი ასისტენტი, იღებს ფილმს, სადაც ასახული იქნება 1944 წელს ნორმანდიიში დესანტის გადმოსხმის დროის ამბები. ფილმს სცენარი დაწერა ჟორჟ არნომ, ფილმ „შიის საფასურის“ სცენარის ავტორმა.

კიკასო თავის თავს ითამაშებს

წელს გამოჩენილი ფრანგი კინორეჟისორი ჟან კოკტო იღებს ორ ახალ ფილმს — „ორთეოსის ანდერძი“ და „პოეტის სისხლი“. ამ უკანასკნელ ფილმში მონაწილეობას მიიღებს პაბლო პიკასო, რომელიც თავის თავს ითამაშებს. ორივე ფილმს გადაიღებენ ჩვეულებრივს, შავ-თეთრ ფერებში, მხოლოდ ზოგი კადრი იქნება ფერადი.

ფილმი ეგზიუპერის შესახებ

რეჟისორი ჟან ჟაკ ლანგეპენი იღებს ფილმს ცნობილი ფრანგი მფრინავისა და პოეტის სენტ ეგზიუპერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

უნგრეთი

ახალი ჯამოცემა

მაისში გამოვა „უნგრული მცირე ენციკლოპედიის“ ახალი, ექვსტომეული გამოცემის პირველი ტომი. ყოველი მომდევნო ტომი გამოვა 3—4 თვის მერე, ასე რომ მთელი გამოცემა 1960 წლის მიწურულს დასრულდება. ენციკლოპედიაში იქნება 3.000-მდე დიდი ფორმატის გვერდი და მოიცავს 40.000 სტატიას მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, პოლიტიკის, ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკის, სამართლისა და ა. შ. დარგებს.

ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ

სუხონის ახალი ოპერა

ცნობილი სლოვაკი კომპოზიტორი ეუგენ სუხონი, რომლის ოპერა „მორეკი“ ამას წინათ დადგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა, ამთავრებს ოპერას „მეფე სვატოპლუკი“, რომელზეც ავერ 20 წელიწადია მუშაობს.

სმეტანას ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ

წლევანდელი წელიწადი განთქმული ჩეხი კლასიკოსი კომპოზიტორის ბედფიზიკოსი სმეტანას საიუბილეო წელიწადია. ჩეხოსლოვაკიაში განზრახულია მთელი რიგი ღონისძიებების ჩატარება, რათა მოსახლეობის ყველა ფენას ფართოდ გააცნონ დიდი ოსტატის შემოქმედება. ამ ღონისძიებებს სათავეში უდგანან ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა და ხელოვნების აკადემია, კარლოვის უნივერსიტეტი, ეროვნული თეატრი, კომპოზიტორთა კავშირი, სმეტანას მუზეუმი და რადიო. ხელახლა დაიდგმება სმეტანას ყველა ოპერა, რომლებსაც ტელევიზიითაც გადაცემენ, სმეტანას მუზეუმში გაიხსნება გამოფენა „სმეტანა დღეს“, რადიოთი გადასაცემენ კონცერტების ციკლს, გაიხსნება სმეტანას ორი ძეგლი და, დასასრულ, სმეტანას სამშობლო ლიტომიშელში მოეწყობა დიდი საიუბილეო მუსიკალური ფესტივალი.

49 ᲯᲘᲚᲓᲝ

1960 წელს სრულდება ჩეხოსლოვაკიის სახალხო რეს-პუბლიკის 15 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით გამოცხადდა კონკურსი თემაზე — „ხელოვნება სოციალიზმისათვის ბრძოლაში“. მთავრობამ დააწესა 49 ჯილდო საუკეთესო ნაწარმოებისთვის ლიტერატურაში, მუსიკაში, სახეთის ხელოვნებაში, დრამატურგიაში, კინოხელოვნებაში, ლიტერატურათმცოდნეობასა და ხელოვნებათმცოდნეობაში. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებული პრემიებისთვის გამოყოფილია 750.000 ჩეხური კრონა.

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ

წლევანდელი გამოცემები

ლიტერატურის სახალხო გამომცემლობა პეკინში წელს გა-

მოსცემს ჩინელი და უცხოელი მწერლების 1.000-ზე მეტ წიგნს. „ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ“ — ამ სახელწოდებით გამოდის მაო ძე-დუნის ნაშრომების კრებუ-ბული (1927 წლიდან 1957 წლამდე), რომელიც შეადგინა ლიტერატურის საეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად.

სერიაში — „მარქსისტული ლიტერატურული მეცნიერება“ გათვალისწინებულია მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწარმოებების გამოცემა.

გამომცემლობის გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურის ანთოლოგიებისა და ფოლკლორის გამოცემას; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აზიისა და აფრიკის მწერლების ნაწარმოებთა კრებულად გამოცემას, რაც ჯერჯერობით 40 ტომადაა დაგეგმილი. განზრახულია აგრეთვე ლათინური ამერიკის მწერლების ნაწარმოებთა გამოცემა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემჩნეულ შეცდომათა გასწორება

ჩვენი ჟურნალის № 4-ში ტექნიკური მიზეზების გამო გაიპარა რამდენიმე შეცდომა:

1. გვ. 7. გ. გეგეკორის ლექსი „დაიძრა“ უნდა იწყებოდეს ასე:
„დაიძრა,
ცეცხლი მოეკიდა თითქმის ყველაფერს“... შემდეგ როგორც დაბეჭდილია.
2. გვ. 114. ზ. მე-10 სტრ. უნდა იკითხებოდეს ასე: „მარტის ამინდივით ძიზეზიანია და მზის...“, შემდეგ როგორც დაბეჭდილია.
3. გვ. 116. ზ. მე-4 სტრ. უნდა იკითხებოდეს ასე: „მთაგრეხილებს... დაისლამის უცნაური ბუნდი...“, შემდეგ როგორც დაბეჭდილია.
4. გვ. 118. ქვ. მე-4-3 სტრ. უნდა იკითხებოდეს ასე: „მცხოვრებ უკვე მოხუცებულ ჯადოქარს ალარფერი ჰქონდა საერთო მის...“, შემდეგ როგორც დაბეჭდილია.
5. გვ. 119. ქვ. მე-3 სტრ. უნდა იკითხებოდეს ასე: „გალაკტიონის სიტყვებით დალაგდა ჩვენ...“, შემდეგ როგორც დაბეჭდილია.
6. გვ. 120. ქვ. მე-2 სტრ. უნდა იკითხებოდეს ასე: „ჩვენთვის ძვირფასი და სათუთია...“, შემდეგ როგორც დაბეჭდილია.

6 48/121

ფასი 6 მან.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

„ЦИСКАРИ“

ГОСУДАРСТВЕННОЕ ИЗДАТЕЛЬСТВО
ГРУЗИНСКОЙ ССР

«САБЧОТА САКАРТВЕЛО»